საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო ... – შიგ ჩასმულ ... ში ®
www.tbiliselebi.ge
...-22 ივნისი * №24
ფასი 1,50 ლარი



რას ეწირება ნათია გამცემლიძის ზაფხული და ვისთან გაატარა მან საუკეთესო წლები

გვ. 18

გვ. 2

რა ოცნება აუსრულა სალომე ჭაჭუამ გიორგი ვარდოსანიძეს და ვინ არის მათი 6 თვის შვილობილი

გვ. 23

რის გამო გაიხადა მაისური კონცერტის დროს კახა მამულაშვილმა და ვინ შეიყვანა ლელა წურწუმია „შავ სიაში“



გვ. 47

ვისზე ზრუნავს და ვისთან გრძნობს თავს კარგად ქოლას ჯულიეტა – თეკლა ჯავახაძე



როგორ აგიჟებს ანა დოი დედას და როგორ საჩუქრებს უკეთებს მას დავით დოი

გვ. 70



ვინ არ აძლევს არასდროს ექვიანობის საბაბს ნათია წიწილაშვილს და რატომ არვარდება ის დეპრესიაში

გვ. 22



გვ. 14

რა გაანდო გელა ჩარკვიანს ამერიკელმა ასტრონავტმა, რომელმაც „ღმერთი ნახა“ და სად „მოათავსა“ მან წარსული

# მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

**სალომე ჭაჭუა და გიორგი ვარდოსანიძე, პირადად ჩემთვის, ერთ-ერთი საუკეთესო წყვილია და ვფიქრობ, ერთმანეთს ძალიან უხდებიან. რაც მთავარია, ორივე პოზიტიური და ხალისიანია – ბევრი დადებითი, ხალასი ემოციითა და ენერგიით. ამიტომაც, მათ გარემოცვაში ყოფნა ძალიან სასიამოვნოა.**

# რა ოცნება აუსრულა სალომე ჭაჭუამ გიორგი ვარდოსანიძეს და ვინ არის მათი 6 თვის შვილობილი

**გიორგი**: ჩვენკენ ყველაფერი გენიალურად მიდის. ოჯახში ერთადერთი პრობლემა დროა, რომელიც არ გვაქვს არც ერთს. სალომე თავის სტუდიაშია, მე – გადაღებებზე, რეპეტიციებზე... იმედია, ზაფხულში მაინც ვნახავთ ერთმანეთს სამჯერ მაინც. რომ არ ვიმუშაოთ, რა თქმა უნდა, არაფერი გამოვა. ოჯახში ბევრი რამ არის საჭირო და ამიტომაც, წელებზე ფეხს ვიდგამთ.

**– თან, სახლში შვილობილიც გყავთ.**

– რომელიც უკვე 6 თვისაა. დიდი გოგოა, ტრენერთან უნდა წავიყვანო. სამნი ვართ ოჯახში, სამივეს კარგი მადა გვაქვს, იმას – განსაკუთრებით. სალომეც იმდენს ჭამს, მშურს.

**სალომე**: ზოგადად, სპორტსმენები ასე ვართ. რადგან დიდ ენერგიას ვხარჯავთ, მერე, გვინდა არ გვინდა, უნდა ვჭამოთ.

**– სპორტსმენისთვის მსახიობის მეუღლეობა ხომ არ არის რთული?**

– არ არის ჩემთვის რთული. მე წინასწარ მქონდა გაანალიზებული, ვინ იყო გიორგი, ვის მივყვებოდი ცოლად. ამიტომ, არანაირი პრობლემა არ ყოფილა.

**გიორგი**: სპორტსმენი ცოლი რომ გყავს, ამას ბევრი პლუსი აქვს – სულ ფორმაშია, თავს უფრთხილდება. ასე თუ ისე, ჯანმრთელობასაც უფრთხილდება, ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს და არ ფიქრობ იმაზე, ივარჯიშოს, ჯანმრთელობას მიხედოსო. მეც ვცხოვრობ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ყოველთვის ჯანზე ვარ და თუ მჭირდება – ვვარჯიშობ.

**სალომე**: დაჭირვებაზე არ არის, უნდა ივარჯიშო. ხანდახან ეშვება და მერე თუ ხვდება, რომ წონაში იმატებს, მიდის სავარჯიშოდ. ეს ცუდია, ასე არ შეიძლება. ადამიანი სულ ნორმალურ ფორმაში უნდა იყოს, ვარჯიშობდეს და აკონტროლებდეს თავს.

**გიორგი**: ამ მხრივ ჩემ გემოზე ვერ მოვეწყვე. სახლში არ მაქვს ისეთი სივრცე, რომ „გრუშა", სახტუნაო დავიკიდო. „გრუშა" რომ დავკიდო, სალომე უნდა გავიდეს ოთახიდან. „ზალაში" დავკიდებ – ტელევიზორს ვერ ვუყურებ. აივანზე დავკიდებ – ძაღლი შეჭამს. სალომესთან ხუმრობა არ შეიძლება. ისეთ ჯანზეა, შეიძლება, ერთი ისეთი მოგიქნიოს, ნეკნებში გადაგამტვრიოს. ამიტომ, ხანდახან, მოზომილად ერთ-ორ „ბალევოის" გავუკეთებ, დავახეთქებ და მერე დავდივარ ჩემთვის. ისეთი სწრაფია, რომ გგონია, ახლა დაარტყამ, ის უკვე ოთხჯერ გირტყამს. ამიტომ, უფრო „ვსპარინგობთ". მირჩევნია, ბალიშები ვურტყა, რომ დისტანცია ვაკონტროლო. ჭიდაობის ილეთებს ვასწავლი: გათიშვებს, მახრჩობელა ილეთებს, ხელის ამოტრიალებებს... მალე ითვისებს. იცოდეს, რა იცი, რა ხდება... მერე, თავდაცვის მიზნით, ვინმეს კისერი რომ მოტეხოს. ყველაფერი იცის – ყველა თითს მოგტეხავს, ცხვირს გაგიტეხს, ორ წამში დაგაბრმავებს.

**სალომე**: სხვათა შორის, თევზაობაც კარგად გამომდის.

**გიორგი**: თევზაობა ჩემი ჰობია. ცოტა ხნის წინ ძალით წავიყვანე, პირველად დაიჭირა ანკესი. ჩვენ თუ 10-10 შამაია დავიჭირეთ, ამან 30 დაიჭირა.

**– ზოგადად, ძალიან აზარტულია. ისეთები „ჩაიდინა" „ადრენალინში".**

**სალომე**: „ადრენალინში" საერთოდ გადამეკეტა.

**გიორგი**: ჯერ წინ გვაქვს ადრენალინები. სახლში 50 ათასი უნდა შემოვიდეს, უნდა მოვიგოთ.

**– ბევრ რამეში გავხართ ერთმანეთს?**

– ორივე ჯინიანები ვართ.

**სალომე**: ძალიან ჯიუტები ვართ.

**გიორგი**: ხან ერთი ვიგებთ, ხან მეორე და ბოლოს ვთანხმდებით იმაზე, რომ აზრი არ აქვს ჯიუტობას – „ნიჩიათი" მთავრდება ყველაფერი.

**სალომე**: თუმცა, ორივე მაინც ჩვენს აზრზე ვრჩებით.

**გიორგი**: ზარმაცებიც ბევრ რამეში ერთნაირად ვართ და – ენთუზიასტებიც. თითქმის ერთი და იგივე საჭმელები გვიყვარს. ძაღლის ჯიშზეც უკვე შევთანხმდით. ადრე „ბოს" ჯიშის ძაღლი უნდოდა, მაგრამ ახლა „ჰასკი" მოსწონს. ჩემი გოგო ულამაზესია.

**– მოკლედ, ორი ულამაზესი გოგონა გყავს სახლში. გემოვნება გაქვს არაჩვეულებრივი.**

– გოგოები მყავს სახლში ულამაზესი, ერთი – ცისფერთვალება, მეორე – ასეთი თვალ-წარბით, შხვართი, მაგარია... ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი. ძალიან მეამაყება და ბედნიერი ვარ იმით, რომ სალომე ჩემ გვერდითაა. შეიძლება, ამას ყოველდღე ვერ გამოვხატავ, მაგრამ ეს შეგრძნება ჩემში არის და ამით ვცოცხლობ.

**სალომე**: მეც ძალიან გამიმართლა და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ადამიანი შემხვდა.



გიორგი: „სალომესთან ხუმრობა არ შეიძლება. ისეთ ჯანზეა, შეიძლება, ერთი ისეთი მოგიქნიოს, ნეკნებში გადაგამტვრიოს"

**– როდესაც სალომეს მიმართ რაღაც გრძნობა გაგიჩნდა, გარკვეული სტრატეგიები დასახე თუ პირდაპირ გადახვედი საქმეზე?**

**გიორგი**: სტრატეგიების დასახვით ვერ გამოვირჩევი, „ლაზავოიზე" ვიცი ყველაფერი. ვმეგობრობდით, უკვე ვიცოდი, რა ტიპი იყო. თვითონაც მიცნობდა, კარგი მეგობრები ვიყავით. ამიტომ, ხვალ მარცხნივ ვაგდებ ყვავილს, ქოთნით დავხვდები, გულებს ავუნთებ... არ დამჭირვებია ამის გაკეთება. ჩემს გრძნობას გამოვხატავდი ურთიერთობაში, დამოკიდებულებაში და ანალოგიურად ვიღებდი სალომესგანაც.

**სალომე**: რომანტიკოსი კი ვარ, მაგრამ არც მე ვანთებ გულებს და არც მისგან მომეწონებოდა ყვავილები, გულების დანთებები და ასეთი რაღაცეები.

**გიორგი**: ძალიან რომანტიკული ვარ, მაგრამ გამოხატვის ფორმა არ მაქვს ასეთი. სალომესთვის გულის დანთების სურვილი არ გამჩენია. ამაზე მეც გამეცინებოდა, სალომესაც და იქნებოდა სასაცილო. თუმცა, მისთვის გამიკეთებია სხვანაირად, ჩემი გაგებით რომანტიკულად და მოსწონებია.

**– სიურპრიზები ორივეს გიყვართ. თუმცა, ამ მხრივ აშკარად 1:0 სალომეს სასარგებლოდაა.**

**სალომე**: მე ვაჯობე აშკარად. წინა დღეს ამაზე ისე დავცხეთ, მაგრად ვიჩხუბეთ: არა „ჰასკი", არა „ბო". მისგან ჩუმად გავაკეთე ყველაფერი. თან, იმდენი ვეძებე, რომ თეთრი ყოფილიყო და ცისფერთვალება, როგორიც გიორგის უნდოდა.

**გიორგი**: ამას ვერც ვიფიქრებდი, გადავირიე – მაჩუქა ძაღლი, რომელიც მთელი ცხოვრება მინდოდა. ახლა ასჯერ უფრო ლამაზი გახდა, ფაქტობრივად, მგელი მყავს სახლში. საღამოობით ყმუის, სერენადები აქვს თავისი.

**– რომელს უფრო მეტად მიიჩნევს პატრონად?**

**სალომე**: თავიდან სულ მე მეტმასნებოდა და ამას ულრენდა. ამაზე მაგრად გაჭედა, მაგრად იეჭვიანა: გავაგდებ სახლიდანო.

**გიორგი**: ცოტა აგრესიაც დაეწყო, სალომესკენ იწევდა და მე რომ ვეფერებოდი, ცუდად იკბინებოდა. ერთი-ორჯერ გამოიწია კიდეც. ფანჯრიდან გადავაგდებ-მეთქი – ვბრაზობდი საშინლად. დრო რომ გავიდა, ძალიან შეიცვალა, ახლა ისეთი თბილია... ჩემზე გიჟდება.

**– მახსოვს, სალომემ ქორწილის შემდეგ მითხრა: ზაფხულში გვინდა, სადმე წავიდეთ, „თაფლობის თვე" მოვიწყოთო.**

– რეალურად ვერ მოვიწყვეთ „თაფლობის თვე". ახლაც ცოტა ვერ ვართ კარგად დროის ამბავში, მაგრამ ვცდილობთ, რაღაცეებს. ინდოეთის ამბებს ვარკვევთ, ანუ აზიისკენ გვაქვს უფრო გეზი აღებული. ამ ზაფხულს 10-დღიან „თაფლობის თვეს" აუცილებლად მოვიწყობთ, ნამდვილად დავიმსახურეთ.

**– ცოტა ხნის წინ სალომეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია საყვარელი ადამიანის გვერდში დგომა.**

**სალომე**: სულ გვერდში მედგა და გიორგი იყო ის, ვინც ამაზე ბევრს მეჩხუბებოდა. მე მაინც ვვარჯიშობდი. თან, წელის ტკივილი უკვე ქრონიკულში მქონდა გადასული და აღარ მაწუხებდა. მერე, ფეხზე რომ გადამივიდა ტკივილი, წავედი ექიმთან. აღმოჩნდა, რომ დისკები მქონდა აქეთ-იქით. ვიმკურნალე და ყველაფერი, ღმერთის წყალობით, კარგად არის.

**– გიორგი, შენს განცხადებას „ცეკვავენ ვარსკვლავებში" სალომემ თავი ამოწურაო, არაერთგვარი რეაქცია მოჰყვა. ბევრმა ისე გაიგო, რომ შენ ცეკვას უკრძალავ.**

**გიორგი**: მეც გამიგია ასეთი რაღაცეები: თითქოს ცეკვას ვუშლი, კიდევ – ვითომ ბინას ვყიდი. არც ერთი არ არის მართალი. არც მეოთხე სეზონში გამოსვლა ამიკრძალავს მისთვის. ორივემ ერთად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ ყველაფერ კარგს აქვს თავისი დრო და დოზა.

**სალომე**: ორივემ ერთად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ჩემი საქმის კეთებას ნამდვილად არ დამიშლის. ახლა წელმაც გამიარა და ვაპირებ, ისევ დიდი ყურადღება მივუძღვნა ჩემს სპორტულ კარიერას. მეწყვილეს, ალბათ, ჩამოვიყვანთ.

**გიორგი**: ყველანაირად შევუწყობ ხელს, რომ სალომემ დადოს შედეგი და თქვას: მე მაქსიმალური გავაკეთე და შედეგებსაც მივაღწიეო.

**– როგორც ყველა ოჯახი, ალბათ, თქვენც ფიქრობთ შვილებზე.**

– ხშირად ვლაპარაკობთ: ვისი ცხვირი ექნება, ვისი ხასიათი... მაგრამ ჯერ სხვა ეტაპზე ვართ, არსად გვეჩქარება.

**სალომე**: ის ფაქტიც არ არის მხოლოდ, რომ მე მოცეკვავე ვარ, ფორმაში უნდა ვიყო. ჯერ ახალი შეუღლებულები ვართ, მოგვწონს ეს ეტაპი.

**გიორგი**: ვტკბებით ამ ეტაპით, ალბათ, ამ ტკბობასაც ექნება დასასრული და ჩვენც ბუნებრივად გადავალთ სხვა ეტაპზე.

**ნათია უტიაშვილი**

# „$m^2$ იპოდრომთან“ – დათქმულ ვადაზე 4 თვით ადრე დასრულებული საცხოვრებელი კომპლექსი

## $m^2$-ის მიმართ გამოცხადებული ნდობა და უპრეცედენტო პროექტით გამართლებული იმედი

$m^2$ ქართულ სამშენებლო ბაზარზე გამოირჩევა მაღალხარისხიანი, კომფორტული ცხოვრების სტანდარტით, ხელმისაწვდომი ფასებითა და საინტერესო პროექტებით. კომპანიის მიზანია, მოსახლეობას შეუქმნას თანამედროვე საცხოვრებელი პირობები. კომპანიამ ამჯერადაც გაამართლა საზოგადოების იმედი და იპოდრომზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დათქმულ ვადაზე 4 თვით ადრე დაასრულა. ამ ფაქტის აღსანიშნავად, $m^2$-მა საზეიმო მიღება გამართა მედიისთვის, პარტნიორებისა და მოწვეული სტუმრებისთვის. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდილაძემ, სამშენებლო სამუშაოების დასრულება მიულოცა ყველას, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში იყო ჩართული. შეხვედრამ სასიამოვნო მუსიკისა და ალაფურშეტის ფონზე ჩაიარა. მოწვეულმა სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. საცხოვრებელი კომპლექსი მოწესრიგებული სადარბაზოებით, ულამაზესი გამწვანებით, საბავშვო ზონითა და სპორტული მოედნით, მართლაც მაღალ სტანდარტს შეესაბამება.



**ირაკლი ბურდილაძე**: თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა, რომ დეველოპერს დათქმულ ვადაზე 4 თვით ადრე დაემთავრებინა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. ჩვენი კომპანიისადმი ნდობა დიდია, რასაც ბინების 97 პროცენტის გაყიდვა მოწმობს. ნდობისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს თითოეულ კლიენტს და პირობა მივცე, რომ სამომავლოდაც გავამართლებთ მათ იმედებს.

მოგეხსენებათ, რომ კომპლექსის მშენებლობა 2012 წელს დაიწყო. აღნიშნული პროექტი 20 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის საკრედიტო რესურსით ჰოლანდიის განვითარების ბანკმა (FMO) დააფინანსა, საიდანაც მხოლოდ 10 მილიონის ათვისება მოხდა. აღნიშნული სესხი კომპანიამ გასული წლის დეკემბერში წინსწრებით დაფარა, რაც გაყიდვების მაღალი ტემპის შედეგად გახდა შესაძლებელი. პროექტის სამშენებლო ფართმა 60.724 კვადრატული მეტრი შეადგინა, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა კი უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალებით განხორციელდა. გარემონტდა 525 ბინა. პროექტში, ასევე, გათვალისწინებულია 1.375 კვადრატული მეტრი კომერციული ფართი და 11.047 კვადრატული მეტრი მიწისქვეშა ავტოსადგომი. სარეკრეაციო ზონაში კეთილმოეწყო შიდა ეზო, სპორტული მოედანი, საბავშვო ზონა. ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კომპლექსი უზრუნველყოფილია 24-საათიანი დაცვით; სადარბაზოების, ლიფტებისა და სარეკრეაციო ზონების დასუფთავებით და მოვლით.

ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ობლიგაციების მეორე ემისია. $m^2$-ის ობლიგაციების პირველი განთავსება, დიდი წარმატებით განხორციელდა 2014 წლის აპრილში და ერთი თვის განმავლობაში ეს პროცესი სრულიად დასრულდა. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიწოდებას და, შესაბამისად, $m^2$-მა ობლიგაციების მეორე ემისია განახორციელა. ამერიკულ დოლარში დენომინირებული ობლიგაციების ერთწლიანი მოცულობა 10 მილიონ დოლარს შეადგენს, ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება კი – 1 000 დოლარს. ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც დააბანდებს თავისუფალ სახსრებს ხსენებულ ობლიგაციებში, მიიღებს მაღალ წლიურ საპროცენტო განაკვეთს – 8.42 პროცენტს (გადასახადებით დაბეგვრამდე). ობლიგაციის გამოშვებით $m^2$ ახდენს მისი დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიკაციას და საქართველოში ამკვიდრებს თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკას. ზოგადად, ობლიგაციების გამოშვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.




**სოფი ლორია**


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# უძველესები

## ანუ სექსუალური მომსახურების საშემოსავლო ხიბლი

**რადგან გადასახადები და მხოლოდ გადასახადებია სახელმწიფოს სიმტკიცისა და კეთილდღეობის გარანტი** (და, მილიონს თუ კაპიკი აკლია, მილიონიც ვერ იქნება), **ესპანეთის ბორდელების მფლობელებს ქვეყნის ეროვნული სტატისტიკის ინსტიტუტმა დეტალური ფინანსური აღრიცხვა მოსთხოვა!** –

სხვათა შორის, **არა მხოლოდ ესპანეთის, სრულიად ევროკავშირის ბორდელების მფლობელები არიან ვალდებულნი, აუწყონ** შესაბამის ორგანოებს, **რამდენს და როგორ გამოიმუშავებენ**. ეს აქტივობა **ევროკავშირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უკავშირდება,** რის მიხედვითაც, 2016 წლისთვის **უნდა დადგინდეს სექსუალური მომსახურების სექტორისა და ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვით მიღებული შემოსავლების ოდენობა.**



ვარაუდობენ, რომ ეს მონაცემები **ცვლილებას შეიტანს ქვეყნების მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელში** და საშუალებას მისცემს, **რეალური ეკონომიკური სიჯანსაღის მდგომარეობა დაადგინონ.**

სახელდობრ, **ესპანეთის ბორდელებმა შემდეგი შინაარსის კითხვარი უნდა შეავსონ: რამდენი პროსტიტუტია აუცილებელი, რომ კლუბი რენტაბელური იყოს? რა ღირს ერთჯერადი მომსახურება? რამდენ კლიენტს ემსახურება ერთი მუშაკი?** საერთო ჯამში, **ესპანეთში 5 000-მდე ბორდელი ყოფილა, პერსონალის** ოდენობა **300 000-ს აღწევს,** სფეროს **ბრუნვა კი – წელიწადში 10 მილიარდ ევროს**. დიდ ბრიტანეთში ანალოგიური მაჩვენებელი 5 მილიარდი ფუნტია. იმასაც კი ვარაუდობენ, რომ **სექსუალური სფეროს შემოსავლების გაკონტროლება, მაგალითად, იტალიას, საერთოდაც ეკონომიკურ კრიზისს დააძლევინებს.**

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ჩვენთან პროსტიტუცია არც აკრძალულია და არც დაშვებული,** ამ სფეროს **მთელი შემოსავალი ჩრდილოვანია** და, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **პროსტიტუციას ლეგალიზაცია კარგა ხანს არ უწერია,** თუმცა გამოსავალი მაინც არსებობს: თუ გავიხსენებთ, რომ **ჩვენებური პოლიტიკოსები პარტიიდან პარტიაში ხტომის ჩემპიონები არიან,** თუკი **პარტიული ორიენტაციის შეცვლისთვის გადასახადს დავაწესებთ,** სავარაუდოდ, **ამ ნოვაციამ ჩვენს ბიუჯეტს ევროპულ ბორდელებზე ნაკლები შემოსავალი არ უნდა მოუტანოს.** –

# სკამგატკბილებული

## და ბოდიშისთვის შესამზადებელი

**აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს** („ქართული ოცნებიდან“) და, იმავდროულად, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს, ქ-ნ **მედეა ვასაძეს, რაკი არ მოეწონა „ტელეარხ 25-ის“ მიერ მომზადებული გადაცემა** „უმაღლესი კომფორტი“, **ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს დაურეკა და აუწყა** (ტელეკომპანია ირწმუნება, რომ აქვს ამ საუბრის ჩანაწერი), რომ, ჯერ ერთი, **მის წინააღმდეგ იწყებს მუშაობას** (ნეტავ, **დახვრეტს თუ ჩამოახრჩობს?!** თუმცა ისეთი გაქანების ქალბატონი ჩანს, არ გამოვრიცხავ, ორივე ჰქონდეს გუმანში) და, რაც მთავარია, **მის სექსუალურ ორიენტაციასაც გამოარკვევს** (ვითომ, **ჟურნალისტს თუ ორიენტაცია ქ-ნი ვასაძის მოსაწონი ექნა, მისი ხელიდან მორთმეულ საწამლავსაც კი დალევდა?!** – ).



რაკი **ეს საქციელი დეპუტატისთვის შეუფერებელია** – როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ქ-ნ **ვასაძეს ამ თემაზე ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს,** მაგრამ, რადგან **სამაგიეროდ ჯერჯერობით მისი კოლეგები ინარჩუნებენ ადეკვატურობას**. ამიტომაც **უმრავლესობამ იმსჯელა და ქ-ნ მედეას ან ბოდიშის მოხდა, ან კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის დატოვება შესთავაზა,** თუმცა ქ-ნი **დეპუტატი ერთზეც ცივ უარზეა და მეორეზეც** (სკამიეტკბილება?!). ოღონდ, გვპირდება, რომ **„ჯერ ბრძოლა უნდა მოიგოს“** (პათოსით: „არწივი ვნახე დაჭრილი“) და შემდეგ გადაწყვეტს, **დატოვოს თუ დაიტოვოს კომიტეტის თავმჯდომარეობა** (იმიტომ რომ, **ასეთი თანამდებობები „ნა ულიცე ნე ვალიაიუტსიაო“?!).**

თუმცა ყველაზე საინტერესო ქ-ნი **დეპუტატის განმარტების ის პასაჟია, სადაც ის ამბობს, რომ შინაგანად მზად არ არის ბოდიშის მოსახდელად** (იძულებით კი ვერავინ მაიძულებსო, მააშ!). მომყავს ციტატა: „თუ რამე დავარღვიე, მე, როგორც დარღვევა, ეს ჯერ გაცნობიერებული არ მაქვს. ამ დროისთვის მორალურად მზად არ ვარ, პირიქით, ჰიპერაქტიურ, მოგერიების რეჟიმში ვარ და შეტევაზე გადასვლას ვაპირებ.“

ჩვენ არ ვიცით, რით დასრულდება ჟურნალისტ-დეპუტატის დაპირისპირება ან **როდის მომწიფდება შინაგანად ქ-ნი ვასაძე ბოდიშის მოსახდელად,** თუმცა ცხადია, რომ ამ ჩვენი ბედკრული სამშობლოს **პოლიტსპექტრის ნაწილი თანამდებობისთვის სრულიად შეუფერებელია.** –

# „უცოდინარობა სიბნელეა“

## ანუ რატომ არ ჰყავთ იაპონელებს მომსახურე პერსონალი

2006-სა და 2011 წლებში საქართველომ წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მიიღო მონაწილეობა. **კვლევის მიზანი 9-10 წლის მოზარდების კითხვის უნარისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა იყო.** სულ კვლევაში **საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 173 სკოლა და 4 796 მოსწავლე იყო ჩართული.**



საბოლოოდ, **ჩვენმა მოსწავლეებმა საშუალოზე დაბალი შედეგი აჩვენეს,** კერძოდ, **500-ზე დაბალი,** კონკრეტულად კი **ჩვენმა 9-10 წლის თანამემამულეებმა 488 ქულა დააგროვეს**. ხოლო **ჩვენ შემდეგ ადგილებს ინაწილებენ: აზერბაიჯანი, ირანი, ყატარი, ომანი და მაროკო** (რუსთაველი, ალბათ, საფლავში ბრუნავს!).

შედეგები საგანგაშო და ტრაგიკულია და, წესითა და რიგით, **ნიშნავს, რომ განათლების განხორციელებულმა რეფორმამ ვერ გაამართლა.** მეორე მხრივ, შესაძლოა, **ოპტიმისტმა ისიც კი თქვას, რომ მომსახურე პერსონალს კითხვის უნარი მაინცდამაინც არ სჭირდება,** თუმცა, **თუ იაპონიის მაგალითს გავიხსენებთ, შესაძლოა, მომსახურე პერსონალობაც სანატრელი გაგვიხდეს.**

მაგალითად, **იაპონელები მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ხალხია** (საერთაშორისო კვლევებით, იაპონიის მოსახლეობა 100-პროცენტიანი წიგნიერების ზღვარს აღწევს), **განათლების სისტემაზე მთლიანი შიგა პროდუქტის მხოლოდ 3,3 პროცენტს ხარჯავს,** თუმცა **საფუძვლად კონფუციანიზმი უდევს.**

ამჯერად **არ შევჩერდებით იაპონური განათლების სისტემის დეტალებზე,** მხოლოდ იმას გეტყვით, რომ **იაპონიაში თითოეული მოსწავლე დღეში 15 წუთს სკოლის შენობის, მათ შორის, სველი წერტილების სავალდებულო დალაგებას უთმობს,** რათა სისუფთავეს ბავშვობიდან ეზიაროს. სხვათა შორის, **რიგით დამლაგებელს, რომლის პროფესიასაც იაპონიაში „ჯანმრთელობის ინჟინერი“ ეწოდება, ზეპირი და წერითი ტესტის ჩაბარება უწევს**. და, მიუხედავად იმისა, რომ **იაპონელები მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ერია,** ისინი **არ ცნობენ მომსახურე პერსონალს და ყველა ყოფით საქმეს თავად ართმევენ თავს.**

ამის გათვალისწინებით კი, **თუ ასეთი ტემპით განვაგრძეთ განათლების რეფორმა,** ვეჭვობ, **მალე ჭურჭელსაც აღარ დაგვარეცხვინებენ...** –

# კოსმოსის მბრძანებელი „დუმებში“

## ანუ სიგარეტის მოწევა კლავს!

რაკი მათთან **ურთიერთობის 200-წლიანი გამოცდილება გვაქვს, ვიცით**, რომ **მაინცდამაინც მაღალი მორალის სადარაჯოზე არ დგანან**, აღარაფერს ვიტყვი **ალკოჰოლისადმი მათ უზომო ლტოვა-დამოკიდებულებაზე.**

მეორე მხრივ, **ისე შორს გაუტიეს, რომ უახლოეს მომავალში მთვარეზეც აპირებენ დასახლებას** და **მარსის ათვისებასაც** (სავარაუდოდ, **რათა სრულყონ პრ. პუტინის მიწების შემგროვებლის იმიჯი და მას კოსმოსის შემგროვებლობაც შეუთავსონ**).



ასეა თუ ისე, გასულ კვირას **რფ-ის „დუმის“ დეპუტატი,** ვინმე ივან ნიკიტჩუკი, გამოვიდა **ინიციატივით, რომ შემოიღონ ჯარიმები იმ გამყიდვლებისთვის, რომლებიც 40 წლამდე ასაკის ქალბატონებს** ან, ქალბატონებს არასრულწლოვანი ბავშვების თანხლებით, **სიგარეტს მიჰყიდიან** (იმიტომ რომ, პაპიროზის მოწევა კლავს!).

მომყავს ციტატა საკანონმდებლო ინიციატივიდან: **„თამბაქოს ან თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა** 40 წლამდე ქალებისთვის, ასევე, ქალებისთვის, მიუხედავად ასაკისა, რომლებსაც თან ახლავთ მცირეწლოვანი შვილები, ითვალისწინებს ადმინისტრაციული ჯარიმის დაწესებას **3 000-დან 5 000 რუბლამდე, თანამდებობის პირებისთვის – 30 000-დან 50 000 რუბლამდე, იურიდიული პირებისთვის კი – 100 000-დან 150 000 რუბლამდე.“**

ინიციატივის ავტორის თქმით, **ეს ამბავი დაიცავს ქალის სუსტ და ფაქიზ ორგანიზმს თამბაქოს გამოყენების მავნე ჩვევისგან. –**

ჩვენ არ ვიცით, **გაიზიარებენ თუ არა დანარჩენი „დუმელები“ კოლეგის „დუმებს“,** თუმცა **სასიამოვნოა, რომ ქალების არასრულწლოვნების ასაკი, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ტერიტორიაზე, 40 წლამდე გადაიწევს** და ისიც საკითხავია: **კრეატიული შეჯიბრების პირობებში, არასრულწლოვნებისთვის ბუსუსებიანი პრეზერვატივების აკრძალვა გადასძალავდა თუ 40 წლამდე ქალებისთვის თამბაქოს ნაწარმის მიყიდვის აკრძალვა?!**

# უფასო რჩევები

## და ჩვეულებრივი თაღლითები

ის, რომ **საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა ბანკებისთვის უმად მისართმევი კერძია, ჩვენი რეალობის ლამის სავიზიტო ბარათია**. ზედაც, **ბანკები რამდენიმე ასეულმილიონიანი მოგებებით ასრულებენ საანგარიშო წლებს**, სესხების **პროცენტებს კი ცეცხლს უკიდებენ**, აღარაფერს ვამბობ **მიკროსაფინანსოებისა და ლომბარდების საპროცენტო განაკვეთზე,** რომელთა მიზანიც **ისედაც გაღატაკებული მოქალაქისთვის საერთოდაც წესის აგებაა.**



სავარაუდოდ, ამ მიზეზით, **ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მოსახლეობა გააფრთხილა, ერიდეთ** ეგრეთ წოდებულ **„საკრედიტო მახეს“, განსაკუთრებით, საქართველოს ბანკების ტერიტორიაზეო**. კერძოდ, ბ-ნი **ქადაგიძე მოქალაქეებს ურჩევს, სესხის აღებამდე დეტალურად გაეცნონ ხელშეკრულებას** (თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **მომხმარებელს იმ კაბალურ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის უფლების იოტისოდენა შანსიც არ აქვს**, შესაბამისად, **წაკითხვით ოდენ საკუთარ კითხვის უნარს თუ გაივარჯიშებს).**

ამას გარდა, ბ-ნი **ქადაგიძე მოქალაქეებს იმასაც ურჩევს, რომ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ განვადების, საკრედიტო ბარათისა და სესხის გადაფარვის პროდუქტებით სარგებლობისას**. თავის მხრივ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ამ **რჩევას „საქართველოს ბანკის“ დირექტორი გამოეხმაურა** და **ყოფილი პრემიერ-მინისტრის ძმამ, ირაკლი გილაურმა, აქეთ დაგვამუნათა – 100 პროცენტით რომ მართლები ვიყოთ, ბანკირები არ ვიქნებოდითო** (ანუ **ჩვეულებრივი თაღლითები ვართ და ამ თაღლითობითა და თქვენი სიბრიყვე-გაჭირვებით ვშოულობთ პურსო –** ).

ამის გათვალისწინებით, ნაკლებ სავარაუდოა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რჩევები რეალურად გამოადგეთ მოქალაქეებს. **თუ ბ-ნი ქადაგიძის რჩევები გულწრფელია, მას სულ თავისუფლად შეუძლია**, კანონის დონეზე **იხსნას მოქალაქეები თაღლითი და უკვე საკმარისად გამძღარი ჩვენი თანამემამულე ბანკირებისგან.**

# „გომბიო“ და ევროკავშირი

## ქართული „ტვირთი“

რაკი ფაქტია, რომ **ჩვენსა და ევროკავშირს შორის ასოცირებას წინ ვერაფერი დაუდგება** (მეტი გულდაჯერებისთვის სამჯერ ხეზეც დავაკაკუნე!), ევროკომისიის პრეზიდენტი ბ-ნი **ბაროზოც გვეწვია** და ჩვენი დედაქალაქიდან **მოუწოდა რფ-ს, ამათ არაფერი ავნოო** (პათოსით: **„ეს გოგო ჩემთვის მინდაო“).** ნაკლებ სავარაუდოა, **რფ-მ ეს რჩევა შეისმინოს,** თუმცა **ისიც თითქმის გამორიცხულია, უკრაინასავით ამჯერად ბომბები დაგვიშინოს.**

ასეა თუ ისე, **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჩვენებურ ოს და აფხაზ სეპარატისტებს შესთავაზა, ჩვენთან ერთად თქვენც ისარგებლეთ ასოცირების შეთანხმების პერსპექტივებითო.** პერსპექტივები კი, მართლაც, არის (განსაკუთრებით, იზოლაციაში მყოფი სეპარატისტებისთვის): უვიზო მიმოსვლით დაწყებული და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობით დამთავრებული.

თუმცა ამის პარალელურად, მას შემდეგ, რაც ალექსანდრ ანქვაბი გაისტუმრეს, **კვლავ გააქტიურებულმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ გალის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციებთან არსებული კომისიის რეკომენდაციით გაცემული პასპორტები უკანონოდ ითვლება!** რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში დარჩენილი ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების ჩამორთმევის პროცესი აქტუალიზდება.

ჯერჯერობით **ჩამორთმევის მოტივად ის სახელდება, რომ გალელი ქართველების დიდ ნაწილს საქართველოს პასპორტებიც აქვს და სეპარატისტულიც,** თუმცა, **არ არის გამორიცხული, მათ მიმართ უფრო მკაცრი სანქციებიც გატარდეს** (ქართველების ხმა არჩევნებში სეპარატისტებს რამსებს ურევს). ანუ **ჩვენ არ ვიცით, მიიღებს თუ არა აფხაზი საზოგადოება პრემიერ ღარიბაშვილის შეთავაზებას,** თუმცა **უკვე ვიცით, რომ გალელ ქართველებს არადემოკრატიულად მოექცევიან**, რაც გვაფიქრებინებს, რომ **ვითარება უცვლელია: გომბიოს ბუმბულში აწვენდენ, ის კი გაიძახოდა „ფუჩეჩი-ფუჩეჩიო“.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**ბულგარეთმა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობას გამოეთიშება, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის რუსული გაზით დამატებით უზრუნველყოფის გეგმა სავაჭრო საგნად იქცა. ამის პარალელურად, სერბეთმაც ბულგარეთს მიჰბაძა (თუმცა რუსული მედია ამტკიცებს, რომ სერბებს, ძირძველ სლავებს, მოკავშირე რუსეთისთვის არ უღალატიათ). იმას გარდა, რომ ევროპის მომარაგების პირობას აშშ დებს (მათ შორის, ფიქალის გაზით), აქტუალური ხდება ირანული გაზის ევროპისკენ ტრანსპორტირების პერსპექტივაც. ამ გზამ კი, წესითა და რიგით, საქართველოზე უნდა გაიაროს (შესაძლოა, საერთოდაც, მიუერთდეს შაჰ-დენიზის მილსადენს). აშკარაა, რომ დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირება ბირთვული რაკეტების ნაცვლად გაზის მილებით ბრძოლის სახეს მიიღებს, რაც, პრინციპით, ზოგი ჭირი მარგებელია, ჩვენს როლსაც უფრო მეტ წონას შესძენს. საგაზო ომის პოლიტიკურ კონტექსტს ხათუნა ლაგაზიძესთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# მიიერთებს თუ არა ცხინვალის რეგიონთან ერთად რუსეთი აფხაზეთსაც თბილისის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სანაცვლოდ

**– „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერება როგორ აისახება ჩვენს, როგორც დასავლეთის მოკავშირის, როლზე?**

– რუსეთის რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ბარიერები, რომლებიც სამხრეთის ნაკადს შეექმნა, ყველაზე მწვავეა იმ სანქციათა შორის, რაც დღემდე განხორციელებულა რუსეთთან მიმართებაში უკრაინის მოვლენების შემდგომ. იმიტომ რომ იყო სხვა სანქციაც და რუსეთის მხრიდან რეაგირება იყო იქედნური, ჩვენ მხოლოდ საპასუხო სანქციების მუქარა გვესმოდა ზოგადად დასავლეთთან მიმართებაში. რამდენადაც მახსოვს, ყველაზე მწვავე რეაქცია რუსეთის მხრიდან სწორედ ამ სამხრეთის ნაკადის შეჩერებაზე გაკეთდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას, როგორც სანქციას, ოფიციალურად არ აღიარებს დასავლეთი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ თავად რუსეთის მხრიდან შეფასებებს, ისინი იმასაც კი წერენ, რომ ბულგარეთისა და სერბეთის პოზიციაზე სწორედ დასავლეთმა იმოქმედა არა ღიად, არამედ ირიბად. უფრო მეტიც, სერბეთისთვის უარი სამხრეთის ნაკადის მშენებლობაზე ერთგვარ საშვადაც შეიძლება, იქცეს ევროკაშირის გზაზე და პირიქით, თუ სერბეთი უარს არ იტყვის ამ პროექტზე, ეს მისთვის შეიძლება, აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი ბარიერი ევროკავშირის მიმართულებით. ფაქტია, რომ სამხრეთის ნაკადი რუსეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო თემა აღმოჩნდა. შეჩერების მიუხედავად, იმავე ბულგარეთის ხელმძღვანელობა აღიარებს ამ პროექტის მნიშვნელობას პერსპექტივაში და ყველა ხიდს არ წვავს პროექტთან მიმართებაში. არაფერს ვამბობ სერბეთზე, რომელიც აცხადებს, რომ მისი საბოლოო პოზიცია დამოკიდებული იქნება ბულგარეთის, ევროკავშირისა და რუსეთის მოლაპარაკების შედეგებზე. მოდი, ასე ვთქვათ: დასავლეთი პირდაპირ აგრძნობინებს რუსეთს ამ ორი ქვეყნის პოზიციით, რომ ეს ერთ-ერთი სავაჭრო თემაა, რომლის უკანაც, ბუნებრივია, დგას უკრაინის და ზოგადად რეგიონის პრობლემა: ამ რეგიონზე რუსეთის გავლენის გაფართოებ-დაბრუნების თუ დასავლეთის გავლენის შენარჩუნების. ასე რომ, ძალიან დიდი ფსონებია. ამავდროულად, ეს უნდა განვიხილოთ ზოგადად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების კონტექსტში.



**ირანისთვის ამერიკა იყო მტრის ხატი და ყველა უბედურება ამერიკასთან იყო დაკავშირებული და იქიდან მოდიოდა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე**

**– მაგრამ ევროპას გაზი სჭირდება.**

– სჭირდება და აქვს ეს გაზი. გარდა იმისა, რომ ლოკალურად უკრაინასთან მიმართებაში, სურს, რომ სამხრეთის ნაკადი რუსეთთან სავაჭრო თემად გამოიყენოს, მეორე მხრივ, მას რეალურადაც ეშინია რუსეთის ენერგეტიკული გავლენის და ალტერანტიული გზების ძიება დაიწყო, რადგან ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების სისტემის რუსეთზე მიჯაჭვა კიდევ უფრო მზარდ საფრთხეებთან შეიძლება, იყოს დაკავშირებული. ამიტომ დაიწყო ალტერნატივების ძიება და ერთ-ერთი ალტერნატივაა ამერიკიდან ევროპის თანდათანობითი უზრუნველყოფა გაზით.

**– მაგრამ ფაქტია, რომ ყირიმს რუსეთი არ დააბრუნებს, ევროპამ საერთოდაც რომ თქვას უარი რუსულ გაზზე. პუტინს, როგორც ამას ნოდარ ნათაძე ამბობს ხოლმე, უბრალოდ ჩამოახრჩობენ. რაზე ვაჭრობენ? რომ რუსეთმა თავი დაანებოს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთს? მხოლოდ დასავლეთ უკრაინას მაინც? საქართველოს? მოლდოვას?**

– ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ამაზე პასუხი, ვფიქრობ, არც ერთ მხარეს არ აქვს. შესაძლოა, მოლაპარაკება დაიწყოს ერთი თემით, მაგრამ ამ მოლაპარაკების შედეგები გავრცელდეს გაცილებით ფართო არეალზე. ახლა მიდის ძალიან სერიოზული ვაჭრობა უკრაინის თემით. მე უფრო გავაფართოებდი საკითხს. საუბარი მიდის უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთზე, მთლიანად უკრაინაზე თუ ჩვენც და მოლდავეთიც მოვიაზრებით?! ეს ყველაფერი ძალიან მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს და, სამწუხაროა, რომ ჩვენ ამაზე პასუხი არ გვაქვს, საქართველო არის თუ არა ამ მოლაპარკებების თუ ვაჭრობის ობიექტი და საქართველოს ხელისუფლება რამდენად აქტიურად იღებს მონაწილეობას ამ პროცესში, რათა მაქსიმალურად დაიცვას თავისი ქვეყნის ინტერესები.

**– მაგრამ ალტერნატიულ გზაში ხომ მხოლოდ აშშ-დან გაზის ტანკერებით ტრანსპორტირება არ იგულისხმება? ნებისმიერ შემთხვევაში, ალტერნატიული გზაა ირანიდან მომავალი: თურქეთ-საქართველოს გავლით ან სომხეთ-საქართველოს გავლით. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო ავტომატურად იგულისხმება ამ ვაჭრობაში?**

– აქ უნდა გამოვყოთ ორი თემა. ერთი – უფრო ლოკალური, ანუ ენერგეტიკული გავლენისთვის ბრძოლა და, მეორე – უფრო ფართო – ზოგადად რეგიონზე გავლენისთვის ბრძოლა, თუმცა ერთი მოიცავს მეორეს. ძალიან საინტერესოა ის პერსპექტივები, რაზეც თქვენ ახლა საუბრობთ, რადგან ევროპის ენერგეტიკული მომარაგება ალტერნატიული გზებით არ მოიცავს მხოლოდ ამერიკულ მარშრუტს, ბოლო პერიოდში დასავლელი ექსპერტები პირდაპირ საუბრობენ, რომ ეს წონას ჰმატებს საქართველოს, როგორც ერთ-ერთ ალტერნატიულ გზას, რაც იყო კიდეც საქართველოთი დაინტერესების მთავარი საფუძველი როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის მხრიდან. ანუ ეს არის საქართველოს ის რესურსი, რომელიც მის ტრაგედიადაც შეიძლება იქცეს და ჭკვიანურად გამოყენების შემთხვევაში მისი დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური აყვავების გარანტადაც. ოღონდ, გარდა დასავლელი მოთამაშეებისა, საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს: ფარად აქცევს თუ მახვილად. აქ ირანის თემა ძალიან საინტერესოა, მაგრამ ამაზე ყურადღებას ნაკლებად ამახვილებენ. როდესაც ჯერ კიდევ თებერვალში ვიყავი ამერიკაში და როდესაც ჯერ არ იყო დაწყებული ხელჩართული ბრძოლა ყირმისთვის – ეს თემა უკვე გადაწყვეტილად მიაჩნდათ მაშინაც კი, ანუ ამის გამო დასავლეთი თავს ვერ თუ არ გამოიდებდა, მაგრამ ამავდროულად, ძალიან საინტერესო იყო ირან-ამერიკის ურთიერთობების გადახედვის თემა და ამ ფონზე საქართველოს როლი. მე არ ვამბობ, რომ, ამ მხრივ, საქართველოს შესაძლოა, გლობალური როლი დაეკისროს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამერიკის დაინტერესება საქართველოს ამ ახალი როლის მიმართ აშკარა იყო და ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. რადგან დღევანდელი სიტუაციაც აჩვენებს, თუ რამდენად პრაგმატულია მსოფლიო პოლიტიკა და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, იყო დაცული და გარანტირებული შენი საგარეო პარტნიორებისგან, თუ მუდმივად ხარ მათი ინტერესების შუაგულში და თუ შენი ამ ფუნქციის დაცვა მის სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება. ირანთან მიმართებაში კიდევ უფრო ფართოა საქართველოს ფუნქცია – ეს გულისხმობს არა მხოლოდ ენერგოდერეფანს, არამედ ერთგვარ ხიდსაც ირანსა და დასავლეთს შორის, მე ვიტყოდი, ცივილიზაციურ ხიდს. ირანის პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული ელიტისთვის უფრო გასაგები და მისაღებია ქართული დემოკრატია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ან ამერიკის, რომლებისგანაც, გარდა ცივილიზაციური, იდეოლოგიური სხვაობისა, ბოლო წლების გართულებული ურთიერთობებიც განიზიდავს და აშორებს. ირანისთვის ამერიკა იყო მტრის ხატი და ყველა უბედურება ამერიკასთან იყო დაკავშირებული და იქიდან მოდიოდა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. გარდა ენერგეტიკული ხიდისა, აი, ეს ცივილიზაციური ფუნქცია საქართველოსთვის შეიძლება, იქცეს იმ მომხიბვლელობ-

## მიხეილ (მიშა) ბილაშვილის გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა



რა ძნელი ყოფილა უშენოდ ცხოვრება... ნებისმიერი სიტყვა უძლურია იმ ტკივილისა და სიცარიელის გადმოსაცემად, რაც შენი წასვლით დაგვიტოვე. ძალიან გვაკლიხარ ჩვენ, შენს ძმას – კახას და მის ოჯახს, მეზობლებს, რომლებიც სულ შენს ხსენებაში არიან და მეგობრებს, რომლებიც ერთი დღითაც არ გვტოვებენ უყურადღებოდ.

2 მარტს პირველად გადაგიხადეს დაბადების დღე ძმაკაცებმა უშენოდ. ცრემლიან-ღიმილიან მოგონებებს ბოლო არ უჩანდა და ყველა ვგრძნობდით, რომ შენც ჩვენთან ერთად იყავი.

წელიწადი შესრულდა, რაც მარადისობაში გადახვედი, აქ კი ერთი კარგი კაცის სახელი დაგვიტოვე სიამაყით გასახსენებლად.

**ბაია, კახა, ლუკა**

# ყურადღება!

## „აკადემია ლიბერთი-პროფი“

**9, 10 და 11 კლასდამთავრებულებს გაძლევთ უნიკალურ შანსს ისწავლოთ და ერთდროულად მიიღოთ:**

**სკოლის ატესტატი+პრესტიჟული სპეციალობის დიპლომი**

**სპეციალობები:**

**1. ფარმაცია; 2. კრიმინალისტიკა და გამოძიების მეთოდები; 3. ბუღალტერია; 4. ვებ-სპეციალისტი; 5. კბილის ტექნიკოსი.**

***სექტემბრიდან ემატება მე-6 და მე-7 სპეციალობები:***

**6. საბაჟო წარმომადგენელი; 7. კომპიუტერული ინჟინერია (დაშლა, აწყობა, დიაგნოსტირება და დაზიანებების აღმოფხვრა)**

***შეიძლება ექსტერნის ფორმით კლასიდან კლასში გადასვლა და ატესტატის მიღება.***

**მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 „ქარვასლასთან“ („ნახალოვკაში“)**

**ტელ.: 2 95 20 16; მობ.: 591 40 50 60 ვებ-გვერდი: www.libertyprof.ge**


ად, რაც მას დასავლეთის, გნებავთ, იმავე ამერიკის სასიცოცხლო ინტერესების რიგში დააბრუნებს და მისი უსაფრთხოებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი.

**– მგონია, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები, რაულ ხაჯიმბას ისევ წინ წამოწევა, არის ნიადაგის მოსინჯვა აფხაზეთის შესაერთებლად, ცხინვალის რეგიონელი სეპარატისტები ხომ ყოველთვის მზად იყვნენ დედარუსეთთან შესარწყმელად, არის 27 ივნისის ასოცირების ხელმოწერაზე რუსეთის პასუხი. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– ფაქტია, რომ იმას, რაც ხდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, გარკვეული კავშირი აქვს ასოცირების ხელშეკრულებასთან, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ასოცირების ხელშეკრულებას რამე რეალური წინაღობა ემუქრება.

**– არც მე ვფიქრობ. უბრალოდ მგონია, გვაჩვენებს: თქვენ მოაწერთ ხელს ასოცირებას, მე წავილებ ამ ტერიტორიებს.**

– ფაქტობრივად, ის გააფორმებს რეალურად არსებულ ვითარებას.

**– და შესაძლოა, ეს უკეთესი იყოს.**

– უკეთესი როგორ იქნება?!

**– იმ გაგებით, რომ დაიმსხვრევა ილუზიები და უსაფუძვლო იმედები, კარგი რუსეთის, რომელსაც არსენალში აქვს მათი დაბრუნების სურვილი.**

– ეს, რა თქმა უნდა. თუკი რუსეთი იმაზე ფიქრობს, ცხინვალის რეგიონი მიიერთოს იმისთვის, რომ საქართველო დასაჯოს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის, ეს მას ცალსახა პლუსად საქართველოს საზოგადოების თვალში არ ჩაეწერება. თუ რუსეთი იმას ფიქრობს, მივიერთებ და ეს საქართველოს საზოგადოებას გულს აუცრუებს ასოცირების ხელშეკრულებაზე, ესეც მცდარი წარმოდგენაა. მართალია, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იმ მძაფრი იდეოლოგიური ნაკადის ფონზე, რომელიც მოდის რუსეთიდან და მიზნად ისახავს ანტიდასავლური გათვლების გაღრმავებას, შესაძლოა, გამოიწვიოს განწყობა, რომ არა ასოცირების ხელმოწერა, ჩვენ ცხინვალის რეგიონს არ დავკარგავდითო, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილში უფრო მეტად გამოიწვევს რუსეთის მიმართ კიდევ უფრო გაღიზიანებას და რუსეთის მტრის ხატის კიდევ უფრო გამყარებას.

აფხაზეთის თემას ცალკე გამოვყოფდი, რადგან თითქმის გამოვრიცხავ, აფხაზეთის მიერთება გაბედოს რუსეთმა, იმიტომ რომ თავად აფხაზეთში არ არის ამისთვის ხელსაყრელი განწყობა. რეალურად აფხაზი მოსახლეობის დიდი ნაწილი, როდესაც აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, იბრძოდა არა მარტო საქართველოსგან, არამედ რუსეთისგან დამოუკიდებლობისთვის და აფხაზეთის პროაფხაზური ნაწილი კარგად ხედავს, რომ აფხაზი ეთნოსი უბრალოდ დაამთავრებს თავის არსებობას რუსეთთან მიერთების შემთხვევაში.

**– ჩვენ ვლაპარაკობთ 100 000 აფხაზზე. ამას გარდა, თავი რომ დავანებოთ ქართველებს, იქ ერთი ამდენი, თუ მეტი არა, სომეხი ეროვნების მოსახლეობაა, რომლებიც დიდი ალბათობით რუსეთთან მიერთების მომხრე იქნება. 100 000 აფხაზი ფაქტორი იქნება რუსეთისთვის?**

– გააჩნია, სად განვიხილავთ ჩვენ 100 000 აფხაზს. 100 000 აფხაზი აფხაზეთის ტერიტორიაზე ფაქტორია.

**– და ვინ დაუჭერს მხარს აფხაზებს: დასავლეთი, თბილისი? რუსების წინაშე აფხაზები იმაზე დაუცველები არიან, ვიდრე ჩვენ ვიყავით, ჯერ ჩვენ რა ვიყავით, რომ მერე აფხაზები იყვნენ?! მათი დამცველი არის ვინმე ამ დედამიწაზე? მარტო არიან შეტოვებულები რუსეთს, თუმცა ეს მათი არჩევანიც იყო.**

– დიახ, თვითონ შეიტოვეს თავი, მაგრამ აქ ერთი იმედისმომცემი თემაა. გლობალიზაციისა და გახსნილი საინფორმაციო სივრცის ეპოქაში, 100 000 აფხაზიდან, თუნდაც, 10 000-მა რომ რუსეთთან მიერთებას დაარქვას პირდაპირ ანექსია და ოკუპაცია, ეს სხვანაირ რეაქციას გამოიწვევს. განსხვავებით ყირიმისგან, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობისგან ნაკლებად ისმოდა, რომ ყირიმის მიერთება იყო რუსეთის მხრიდან ანექსია და ოკუპაცია. აფხაზეთში ამის ალბათობა ძალიან მაღალია, თორემ სამხედრო ძალით თუ ადამიანური რესრუსით რუსებს აფხაზები რომ ვერაფრით დაუპირისპირდებიან, ეს გასაგებია.

აქვე არის ერთი თემა: ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. თქვენი კითხვიდანაც ჩანს, რომ აფხაზებს რეალურად დღეს სჭირდებათ მაშველი რგოლი. საქართველოს სათავეში გონიერი ხელისუფლებების ყოფნის შემთხვევაში აი, ამ მომენტისთვის უნდა ვყოფილიყავით მზად. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო, რომ საზოგადოებრივი აზრი, განწყობები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ამ კრიტიკული მომენტისთვის ყოფილიყო შემზადებული და სწორედ საქართველო გამოსულიყო ამ შემთხვევაში აფხაზების მაშველი რგოლი, მაგრამ ჩვენი პოლიტიკა არ მიმართულებით არ წარმოებულა. თუმცა თუ რუსეთმა ამ ეტაზე ვერ გაბედა აფხაზეთის პირდაპირ მიერთება, იქნებ სამომავლოდ მაინც საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს გაკვეთილად იქცეს. აფხაზებმა უნდა იგრძნონ, რომ საქართველო მათთვის ნაკლები საშიშროებაა. მათ უდგათ გადარჩენის თემა და უნდა იგრძნონ, რომ რუსი გაცილები მეტი საფრთხეა მათთვის, ვიდრე ქართველი. ამას წინათ ვწერდი, ოცნებას კაცი არ მოუკლავს და აფხაზებისთვის იდეალური ვერსია იქნებოდა ევროკავშირის კანონმდებლობით შებოჭილ საქართველოსთან ურთიერთობა, კონფედერაციის თუ ფედერაციის სახით.

**– მეც სულ ამას ვუმეორებ მათ, მაგრამ არ სჯერათ.**

– რადგან არავის მოუგონია იმაზე უკეთესი კანონმდებლობა ეთნიკური უმცირესობებისა და მცირე ერების დასაცავად, როგორიც დღეს აქვს ევროპას და თუკი მივაღწევდით იმას, რომ აფხაზეთი, როგორც საქართველოს ნაწილი, შევიდოდა ერვროკავშირში და აფხაზების, როგორც ეთნოსის, უფლებები დაცული იქნებოდა ევროკავშირის კანონმდებლობით, ეს იქნებოდა მათი სამარადჟამო გადარჩენის საუკეთესო ვერსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს ოცნების სფეროა.

**ნინო ხაჩიძე**

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL



***კითხვებზე პასუხობს „ჰეალაინის“ დერმატო-კოსმეტოლოგი მაკა დოლოზაშვილი.***

**კითხვა: შეიძლება, თუ არა ზაფხულში პილინგის გაკეთება და მერე „ზაგარის“ მიღება? ან რას მირჩევთ, როგორი პილინგი გავიკეთო, ამ პერიოდში – ქიმიური, თუ ოჯახში იმ საშუალებებით, აფთიაქში რომ იყიდება.**

**პასუხი:** სახლში მოვლის პილინგები, რომლებიც იყიდება სააფთიაქო ქსელში და ყველასთვის ხელმისაწვდომია, მხოლოდ კანის ძალიან ზედაპირული, რქოვანა შრიდან აშორებს ცხიმს და ასუფთავებს ფორებს. მას სხვა დატვირთვა არ აქვს. მისი გაკეთების შემდეგ, გარუჯვა საფრთხეს არ უქმნის კანს. რაც შეეხება ქიმიურ პილინგს, მისი გაკეთება მხოლოდ პროფესიონალი ექიმ დერმატო-კოსმეტოლოგის მიერაა შესაძლებელი. ქიმიური პილინგის დახმარებით მრავალი პრობლემის გადაჭრა ხდება, მათ შორის პიგმენტური ლაქების, აკნეს, ზედაპირული ნაოჭების და ა.შ. მისი გაკეთება უმჯობესია შემოდგომა-ზამთარის პერიოდში. არსებობს ზაფხულის პერიოდის პილინგებიც, თუმცა პროცედურის შემდგომ პერიოდში აუცილებელია მზის დამცავი კრემების გამოყენება და არამც და არამც არ შეიძლება გარუჯვა.

**კითხვა: როგორც კი ზაფხულის მზე ჩემს სახის კანს დახედავს, მაშინვე ლაქები მიჩნდება და სერიოზული დისკომფორტი მექმნება. არის რაიმე საშუალება, ეს პრობლემა რომ მომიგვაროს?**

**პასუხი:** რადგან თქვენი კანი მიდრეკილია პიგმენტური ლაქების გაჩენისკენ, აუცილებელია პირველ რიგში საპრევენციო ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს მზის დამცავი კრემების (SPF 50) სისტემატურ გამოყენებას. მზის დამცავი ფაქტორები შედის სპეციალური მათეთრებელი ან დამცავი სამკურნალო კოსმეტიკური ხაზების დამატენიანებელ და ტონალურ კრემებში. მათი შერჩევა, კანის ტიპის მიხედვით, ხდება დერმატოლოგის მიერ. უკვე არსებული ლაქების მოსაშორებლად ვიყენებთ მათეთრებელ მოვლის პროცედურებს, ქიმიურ და ლაზერულ პილინგებს, მეზოთერაპიას, პიგმენტური ლაქების კრემ-კორექტორებს და ა.შ.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**გაუგებარ მიზეზთა გამო საგრძნობლად იმატა მამაკაცების მიერ ცოლის ან პარტნიორის მკვლელობის ფაქტებმა. გასულ წელს ამ მაჩვენებელმა სამ ათეულს მიაღწია, წელს უკვე ამ ტიპის 10-მდე მკვლელობაა. რატომ დაერივნენ პარტნიორ ქალებს ჩვენი თანამემამულე მამაკაცები, შეიძლება, თუ არა ტენდენციად მივიღოთ არსებული სტატისტიკა და რა პრობლემის არსებობაზე მიუთითებს ის? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემასა და შექმნილი პრობლემის გადაჭრის გზებზე ლია მუხაშავრიასთან ვისაუბრებთ.**

# როგორ იქცა ქალი ტრადიციულ პატრიარქალურ საქართველოში ფაქტობრივ ლიდერად და რატომ აღიქვამს ოჯახი და საზოგადოება ქალს, როგორც საგანს

**– ოკუპანტებითაა გაძეძგილი ჩვენი ქვეყანა, თუმცა ჩვენი თანამემამულე მამაკაცები, რატომღაც, მაინცდამაინც, ქალებს, თან, შინაურობაში, დაერივნენ. საერთო აგრესიული ფონია მაღალი თუ სად უნდა ვეძებოთ მიზეზი?**

– მე ვფიქრობ, რომ აგრესიული ფონი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ყბადაღებული თემაა, მაგრამ ცნობილია, რომ სამართლიანობის არ აღდგენა იწვევს საერთო ფონის დაძაბვას. გარდა ამისა, ფაქტორი შეიძლება, იყოს შემდეგიც: მაგალითად, წამება აღიარებულია უფრო მძიმე დანაშაულად, ვიდრე თვით სიცოცხლის მოსპობაც კი იმის გამო, რომ წამების მსხვერპლი უნებლიეთ იწყებს იმ ადამიანების ტრავმირებას, ვისთანაც შეხება აქვს, მაშინაც კი, როდესაც ის ადამიანები არაფერს უშავებენ. გადააქვს ამ ადამიანებზე განცდილი ტანჯვა, მაშინაც კი, როდესაც არ უნდა ამ ადამიანების დატანჯვა. ეს მსხვერპლები, რომლებიც ციხიდან გამოვიდნენ, ქმნიან მატრავმირებენ ფონს, რომელიც შემდეგ, როგორც წყალში ჩაგდებული ქვის მიერ წარმოქმნილი რგოლები, ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე.

**– ამიტომაც მუშაობს უცხოეთში ფსიქოლოგების მთელი არმია ადამიანების რეაბილიტაციაზე.**

– დიახ, არსებობს რეაბილიტაციის უამრავი ცენტრი. ბევრი ადამიანი, რომელიც ციხის წამების მსხვერპლი იყო, ახლა სერიოზული ფაქტორია ჩვენს საზოგადოებაში, რაც ამ ფონს ქმნის და ამ ფონის შედეგია გავრცელებული უმძიმესი დანაშაულები. გარდა ამისა, ჩემი აზრით, არის ერთი ძალიან ძველი და ღრმა სოციალური პრობლემა: დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, როდესაც ჩვენ თვალწინ დაინგრა ყველაფერი, ქალებმა მამაკაცებთან შედარებით მეტი სიცოცხლისუნარიანობა და ადაპტაციის უნარი გამოავლინეს და მათ, ფაქტობრივად, ფიზიკურად გადაარჩინეს თავიანთი ოჯახები და ამ პროცესში სრულიად გაუცნობიერებლად მოხვდნენ ოჯახის სათავეში, იმიტომ რომ ისინი იყვნენ ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის და სოციალური გადარჩენის ფაქტორები. მაგრამ ქალების ოჯახის ფაქტობრივი მესაჭეობა და საზოგადოებაში ლიდერის პოზიციის ფაქტობრივი დაკავება არამც და არამც არ მოდის თანხმობაში ქალის ამ საზოგადოებაში გავრცელებულ ტრადიციულ როლთან. ანუ უწინდებურად ითვლება, რომ მამაკაცია ოჯახის თავი, ლიდერი, მაშინ, როდესაც რეალურად სრულიად საწინააღმდეგო რეალური სურათია და ეს დამახინჯებული სოციალური მდგომარეობა არის უზარმაზარი სოციალური კონფლიქტის წყარო, რომელიც ახლა ასეთ ტრაგიკულ შემთხვევებში ვლინდება.

**– ანუ ქალებს სჯიან იმისთვის, რომ უფრო სიცოცხლისუნარიანები აღმოჩნდნენ და ამით უნებლიეთ დაამცირეს კაცები?**

– ეს არ არის დასჯა, ეს არის ამ ანომალიურ მდგომარეობაზე ანომალიური რეაქცია. იმის მაგივრად, აღიარო, მიიღო ეს რეალობა და გახდე ამ რეალობის ადეკვატური, იმის გამო, რომ შენც ხარ ანომალიურ მდგომარეობაში, იქცევი არაადეკვატურად და არაადეკვატური რეაქციაა ძალადობა და გაუმართლებელი სისასტიკე. ბევრგან შეიძლება, ასეთ ტრაგიკულ შედეგამდე არ მიდის, მაგრამ ურთიერთობის ხასიათი და ფორმა არის სრულიად ანომალიური. ეს არის ღრმა სოციალური პრობლემა და ჩემი, როგორც იურისტისა და უფლებადამცველის გადმოსახედიდან, ვხედავ, რომ ქალთა მდგომარეობა რეალურად შეცვლილია, მაგრამ კულტურული, ტრადიციული, გნებავთ, რელიგიური დამოკიდებულება ქალებისადმი არ არის ადეკვატური და ეს არაადეკვატურობა ქმნის პრობლემას, რაც შესაძლოა, გამოიხატება ასეთ ანომალიურ შედეგში. ანომალიაა მკვლელობა და ასეთი ფორმით ურთიერთობის დასრულება. თუ ამაზე თვალს არ გავახელთ და არ დავინახავთ, რომ თუნდაც მიკროდონეზე ეს პრობლემა არსებობს, ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ. ამაზე ძალიან სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, იმიტომ რომ, თუ არსებობს ასეთი ანტაგონიზმი ყოველი ურთიერთობის შიგნით, სადაც ქალი და მამაკაცია, მაშინ ძალიან მძიმე ვითარებასთან გვქონია საქმე და ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია ან სტაბილურობა, ან განვითარება, არ წინსვლა.



**ქალებმა მამაკაცებთან შედარებით მეტი სიცოცხლისუნარიანობა და ადაპტაციის უნარი გამოავლინეს და მათ, ფაქტობრივად, ფიზიკურად გადაარჩინეს თავიანთი ოჯახები და ამ პროცესში სრულიად გაუცნობიერებლად მოხვდნენ ოჯახის სათავეში**

**– როგორ იცავს ქალებს ჩვენი კანონმდებლობა, რამე გარანტიებს სთავაზობს ქალებს, ფაქტია, თუნდაც ოჯახური ძალადობის პრობლემიდან და იმ სტატისტიკიდან, რომ გამოკითხულთა ნახევარი ამართლებს პარტნიორი მამაკაცის მიერ ქალის ცემას, თუ მიზეზი აქვთ.**

– ვფიქრობ, ჩვენი კანონმდებლობა მეტნაკლებად ადეკვატურია, ისეთი ხარვეზები არ გვაქვს, რომ ასეთი ძალადობა კანონმდებლობას დავაბრალოთ. ჩვენ უფრო მეტი პრობლემა გვაქვს ჩვენს ტრადიციულ გარემოში და იმაში, რომ ჩვენი ტრადიციების არასწორი გაგება და ინტერპრეტაცია ხდება. სამწუხაროდ, საზოგადოებაში არის თემები, რასაც ტაბუ ადევს, ეს ტაბუ იხსნება გარკვეული ჩარჩოების შიგნით, მაგრამ არ ვცდილობთ, პრობლემა დავინახოთ მთელი სიღრმით და ვცადოთ მისი მოვლა კომპლექსურად.

**– ანუ ქალი მაინც უფრო ქვედა საფეხურზე მდგარ არსებადაა განხილული ჩვენს სოციუმში?**

– რა თქმა უნდა, ეს უნდა ვაღიაროთ. განსაკუთრებით, ეთნიკურ უმცირესობებში და არაქრისტიანულ რელიგიურ მიმდინარეობებში. მაგრამ ეს უმცირესობები მთლიანობაში ისეთი უმრავლესობაა, რომ მართლმადიდებელ ქართველ ეთნოსზეც მოახდინა გავლენა და გარკვეული ტენდენციები ჩანს. მაგალითად, პრაქტიკის, რომ კარგი ბიჭია, რადგან ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, უკან ხომ მუსლიმანური ფილოსოფია დგას, რომელსაც ყურანი 4 ცოლს ყოლის უფლებას აძლევს?! ჩვენ ხომ არ გვაქვს შეურიგებელი პოზიცია ამის მიმართ?!

**– პირიქით: კაცია და რა ქნასო?!**

– დიახ, ვამართლებთ.

**– თან, ამატებენ: მთავარია, ოჯახს არ აკლებს არაფერს, თითქოს ოჯახი საქონელი იყოს და მთავარია, ფული არ მოაკლო.**

– ესეც ხომ მუსლიმანური კულტურის ნაწილია – თუ შეინახავს თანაბრად, შეუძლია 4-ზე მეტი ცოლი ჰყავდეს?! ჩვენ ხომ ერთმანეთზე ვახდენთ გავლენას და ეს ძალიან საგრძნობია. მე მართლაც მიკვირს, რომ მართლმადიდებლური და ევროპული კულტურა არ არის იქით გავლენის მომხდენი.

**– არადა, ქრისტიანობა გაცილებით პროგრესული მოძღვრებაა.**

– რა თქმა უნდა, ის აღიარებს ქალის თანასწორობას ყურანთან შედარებით, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პრობლემა არსებობს. გარდა ამისა, ძალიან მაშფოთებს ის დამოკიდებულება, რომელიც ახალგაზრდობას აქვს. ჩემი აზრით, ახალგაზრდებს აქვთ ასეთი დამოკიდებულება: კარგი კაცის აქსესუარია ძვირფასი მანქანა, ლამაზი ცოლი, რომელიც კარგად გამოიყურება, კარგად არის ჩაცმული და ძვირფასი ნივთებითაა აღჭურვილი; ცოლი არ არის მეუღლე, ანუ ქმრის თანასწორი, ოჯახის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების თანაბრად გამნაწილებელი სუბიექტი.

**– ადრე თუ საყვარელი ცოლზე ლამაზი უნდა ყოფილიყო, როგორც წესი, დღეს აუცილებელია, რომ ცოლიც იყოს ლამაზი.**

– სამწუხაროდ, ცოლი გახდა აქსესუარი და ახალგაზრდა პოლიტიკური ლიდერების ცოლები ამის საწინააღმდეგო სიგნალებსაც კი არ იძლევიან. ისინი ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ამ სრულიად მანკიერ ხატს კიდევ უფრო ამყარებენ და ამკვიდრებენ. და ისინი, რა თქმა უნდა, მიბაძვის ტენდენციებს ქმნიან. მესმის, რომ ჩემი ტიპის ქალი არ არის იდეალი, მაგრამ არც ის არის იდეალი, როდესაც ქმართან ერთად ჩნდები და ხმას არ იღებ ან თუ რამეს ამბობ, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამას არავინ აქცევს ყურადღებას. ისინი არ არიან აქტიურები არც სოციალურად, არც პროფესიულად და არც ოჯახურად. მათი ასეთი პოზიცია ახალგაზრდებს აფიქრებინებს, რომ ეს კარგია. მათთვის იდეალია პრეზიდენტის თუ პრემიერის ცოლები, რომლებიც დადიან მიღებებზე, მაგრამ არანაირ გავლენას არ ახდენენ არც ქმრის გადაწყვეტილებებზე, არც მის კარეირაზე, არც მის თვითშეფასებაზე ან საზოგადოების შეფასებაზე, იმიტომ რომ დღეს ეს ქალები თავიანთი გარეგნობითა და აქსესუარებით განსაზღვრავენ ქმრების სტატუსს და არა იმით, რას და როგორ ამბობენ. მაგალითად, იმავე ევროპაში, საითაც ჩვენ ასე მივისწრაფით, ასეთი სტატუსის მქონე პოლიტიკოსთა ცოლები, არიან ძალიან აქტიურები და სოციალურად ძალიან თვალსაჩინო პირები და მათი სტატუსი ბევრწილად განაპირობებს მათი ქმრების წარმატებას. არაფერს ვამბობ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სადაც პირველი ლედი თანამდებობა და პირდაპირი მოვალეობაა, რომელიც ამ ქალბატონს ეკისრება და მან ეს უნდა განახორციელოს და განავითაროს და არამც და არამც არ უნდა დააკნინოს. ჩვენთან ამის საწინააღმდეგო ტენდენციებია; ქალის როლი კნინდება, შესაბამისად, ქალს საზოგადოება, მისი ოჯახის წევრები უყურებენ, როგორც საგანს, როგორც ნივთს, რომელიც მხოლოდ აქსესუარია და არა პიროვნება, არა თანასწორი ადამიანი ყველა თავისი ღირსებითა და მოვალეობით. ეს

**განცხადება**

1 ივლისიდან იხსნება საზაფხულო კურსები. ვამეცადინებთ ნებისმიერი კლასის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ქართულში და მათემატიკაში.

**ტელ.: 555-53-43-38 – თამრიკო**

MONOLITHS GROUP

# „ნუცუბიძის ტყუპები" სამშენებლო კომპანიისგან „მონოლით ჯგუფი"

თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში, სამშენებლო კომპანია „მონოლით ჯგუფი" ორ ახალ, საცხოვრებელ კორპუსს აშენებს. 8 800 კვადრატულ მეტრიდან, საცხოვრებელ ფართს 7 200 დაეთმობა. 10-სართულიანი შენობის პირველი სართული კომერციული ფართებისთვისაა დაპროექტებული, რაც სუპერმარკეტების, სააფთიაქო ქსელისა და ასევე, ბანკებისთვის შესანიშნავი შეთავაზებაა, რადგან მიუხედავად მიკრორაიონის სიდიდისა, მოსახლეობა უბნის მაღაზიებითა და არაბრენდირებული აფთიაქებით სარგებლობს. ახალ კორპუსებს ესაზღვრება სკოლა და ბაგა-ბაღი. იქვეა სტადიონი და სკვერი.

„ნუცუბიძის ტყუპები" – ასეთია „მონოლით ჯგუფის" ახალი ობიექტის სახელწოდება, რომელიც თბილისისთვის უჩვეულო პრინციპით შენდება. ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები, რომელსაც მშენებლები იყენებენ, კორპუსს ენერგოდანაკარგებისგან 40 პროცენტით იცავს.

რაც შეეხება ბინების განლაგებას და ფასებს, „ნუცუბიძის ტყუპებში" არჩევანი დიდია: 45,4 კვ; 53,7 კვ.მ; 56,2 კვ.მ; 60,5კვ.მ; 63,4კვ.მ; 73 კვ.მ; 117,5 კვ.მ; 118,3 კვ.მ. შესაძლებელია ფართის განსაზღვრა მყიდველის სურვილის გათვალისწინებითაც. თუ თქვენ სრულად ფარავთ ბინის ფასს, 1 კვ.მ ეროვნულ ვალუტაში 600 აშშ დოლარის ეკვივალენტია; შიდა, ერთწლიანი განვადებით, 1კვ.მ ფასი 650 აშშ დოლარს შეადგენს.

**დამატებითი ინფორმაციისთვის, სამუშაო დღეებში, 10–18 საათამდე მიმართეთ „მონოლით ჯგუფის" გაყიდვების ოფისს: ალ. ყაზბეგის გამზირი №47; ტელ: +995 32 230 9977, +995 32 2 997700, +995 32 2305050.**

---

ქმნის იმ ფონს, როდესაც ასე ხშირდება ძალადობა და საზოგადოების ჩუმი თანხმობით ძალადობა იღებს კატასტროფულად მძიმე ფორმებს.

**– მაგრამ ეს ქალი-აქსესუარები არიან აქსესუარის მფლობელი მამაკაცების შვილების აღმზრდელები?**

– ეს კიდევ ცალკე პრობლემაა და ვფიქრობ, დღეს ყოველთვის აღარ ანდობენ მათ უკვე შვილების აღზრდას, რადგან შემოდის ძიძის ინსტიტუტი. ადრე ძიძის ინსტიტუტი არ იყო ასე ძლიერი, ამიტომ კაცს უფრო მეტად უწევდა ცოლის განათლებასა და სულიერებაზე ფიქრი, თუნდაც, იმიტომ რომ ის მისი შვილების აღმზრდელი უნდა ყოფილიყო. დღეს, როდესაც შეგიძლია, დაიქირავო შენს ცოლზე გაცილებით განათლებული, კარგად აღზრდილი და კარგი პედაგოგიური უნარის მქონე ძიძა, ცხადია, ცოლის მნიშვნელობა ამ კუთხითაც სერიოზულადაა ლიმიტირებული. მე შეიძლება, ძალიან საშიშ სურათს ვხატავ, მაგრამ მეჩვენება, რომ ტენდენცია აქეთკენაა და თუ ეს ტენდენცია არ შევაჩერეთ და შესაბამისი დასკვნები არ გავაკეთეთ, ეს იქცევა ძალიან საშიშ მოვლენად და როდესაც ამას ყველა დაინახავს, ძალიან გვიან იქნება. ამიტომ ამას ახლა უნდა ვუპატრონოთ და ვუწამლოთ.

**– ჩვენთან მეოცე საუკუნის დასაწყისში არა მხოლოდ ხმის უფლება ჰქონდათ ქალებს, არამედ 4 ქალბატონი საკანონმდებლო ორგანოს წევრიც კი იყო. როდიდან დაიწყეს ჩვენმა თანამემამულე ქალბატონებმა თავიანთ უფლებებზე ზრუნვა და რამდენად წინ წავედით ამ პროცესში?**

– ქალებმა ასი წლის წინათ დაიწყეს ძალიან აქტიურად საკუთარი უფლებების დაცვა. ასი წლის წინათ ისინი სწორედ ამ სიტყვებით, სწორედ ამ შინაარსით საუბრობდნენ და მართლაც მოიყვანეს გაზაფხული და მათი სახელები ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს და ყველა დედამ თავის გოგონას უნდა ასწავლოს. ესენი იყვნენ კატო მიქელაძე, ჯორჯაძე... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, ამიტომ არ ჩამოვთვლი. ქართული ფენიმიზმი ევროპული ფემინიზმის კვალდაკვალ და პარალელურად დაიწყო. ისინი თავიანთი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ფასად ავრცელებდნენ ამ იდეებს: ატარებდნენ საჯარო ლექციებს და მოუწოდებდნენ ქალებსა და მამაკაცებს, რომ ქალი არის სწორუფლებიანი. ძალიან გულსატკენია, რომ ასი წლის თავზე საქართველოში ისევ ამ მანკიერებებზე ვსაუბრობთ. მე ვარ თანასწორუფლებიანობის მომხრე, ფემინიზმი ცოტა სხვა რამ არის. ჩვენ ფემინიზმამდე კიდევ ბევრი გვიკლია, ჩვენ ბევრი გვიკლია თანასწორუფლებიანობაზე და ამას ავლენს სტატისტიკა: როგორია ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურაში. მაშინ, როდესაც ქალთა განათლების დონე არ ჩამორჩება მოსახლეობის განათლების საერთო დონეს. საზოგადოებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვას უარი თავისი ნახევარი ადამიანური რესურსის შესაძლებლობების გამოყენებაზე. სუფთა მატერიალისტურად შევხედოთ საკითხს: თუ ვინმე პროფესიულად თანაბარია და მას მხოლოდ იმიტომ არ აძლევენ დასაქმების უფლებას, რომ ის ქალია, ეს არის ქვეყნისა და სახელმწიფოს უბედურება. დასავლელი ფემინისტები საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია გარემო, როდესაც ქალმა, რათა მოხვდეს მაღალ სოციალურ საფეხურზე, უნდა მიიღოს მამაკაცის თამაშის წესები, რაც არსებითად განსხვავდება ქალის ბუნებისგან. ეს ნიშნავს, რომ მან უარი უნდა თქვას ქალურ საწყისზე და მამაკაცური საწყისით იმოქმედოს, რაც ქალს ანგრევს, იმიტომ რომ მამაკაცური ბუნება ქალისთვის მიუღებელია, ამიტომ ის აპრიორი წაგებულია, თუ ამ მამაკაცური წესებით იმოქმედებს, მაგრამ გარემო არ უტოვებს ქალს შესაძლებლობას, ქალური ბუნებიდან გამომდინარე უნარებით იმოქმედოს. ამიტომ იცვლიან ხოლმე რადიკალურად ჩვენი ლიდერი ქალები ბუნებას, ხასიათს და ხანდახან თვით ადამიანურ სახესაც კი და ემსგავსებიან მამაკაცს. ამ თემას ადევს ტაბუ, არავინ გამოთქვამს უკმაყოფილებას, მაგრამ, მოდი, ვილაპარკოთ ამაზე ახლა.

**– ან აღვადგინოთ გენდერული ბალანსი იმ სტატისტიკაში: არც ერთი შემთხვევა არ არის ჯერჯერობით ქალის მიერ ქმრის ან პარტნიორის მოკვლის შესახებ. შავი იუმორის სტილში ვამბობ ამას.**

– თუ ქალებს ვაიძულებთ, რომ მამაკაცებს უპასუხონ ისეთივე წესებით, რა წესითაც ისინი ექცევიან ამ ქალებს, მივიღებთ სამოქალაქო ომს, საიდანაც გამარჯვებული არასდროს არავინ გამოდის. როდესაც ჩვენს სიცოცხლეში გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები, ვართ მტრულ გარემოცვაში, შიგნით კიდევ ასეთი ფრონტის არსებობა ნამდვილად ძალიან საშიშ ვითარებას გვიქმნის. რაზეც მე ვსაუბრობ, საყურადღებო უნდა იყოს როგორც ქვეყნის ხელისუფლებისთვის, ისე რიგითი მოქალაქისთვის, რომ დავფიქრდეთ და გავიხსენოთ ჩვენი ტრადიციული – მშვიდობის – სადღეგრძელო. მშვიდობას ვუსურვებთ ერთმანეთს და არ ვფიქრობთ, რომ ეს მშვიდობა არ გვაქვს აღარც შიგნით და აღარც – გარეთ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 200 0 200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის ინფორმაციით, ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ბავშვები იმყოფებიან. კერძოდ, 16 წლამდე მოზარდების 27 პროცენტი სიღარიბეში ცხოვრობს და, რაც მთავარია, ბავშვები სხვა სოციალურ ჯგუფებზე მეტად დგანან სიღარიბის რისკის ქვეშ. დემოგრაფიული პრობლემის გათვალისწინებით, ჯერ ერთი, კატასტროფულად მცირეა 16 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, მეორეც, თითქმის მათი მესამედი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, რაც ნიშნავს, რომ პრობლემა საკმაოდ საგანგაშოა (საბოლოოდ, შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ მოასფალტებულ გზებზე მოსიარულეები აღარ გვეყოლება). რა გავლენას ახდენს სიღარიბე პიროვნების ფორმირებაზე და გახდება თუ არა სრულფასოვანი მოქალაქე სიღარიბეში გაზრდილი ბავშვი? – თემას ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი განგვიმარტავს.**

# რატომ ვერ შედგება სრულყოფილ პიროვნებად ღარიბ ოჯახში გაზრდილი ბავშვი და როგორ უნდა წავახალისოთ ის, რომ ბედნიერი გაიზარდოს

**– რა მინიმალური პირობებია აუცილებელი იმისთვის, რომ ბავშვი ნორმალურ, კონკურენტუნარიან პიროვნებად ჩამოყალიბდეს?**

– ამ თემის შესახებ ფსიქოლოგიაში ნათელი პოზიციაა: ადამიანები თავს თვლიან ბედნიერად, თუ აქვთ ძალიან ბევრი ფული, ან არიან კარგად უზრუნველყოფილები და აქვთ პროფესია: ინჟინრის, ექიმის თუ სხვა.

**– ბედნიერი შეიძლება იყოს უმუშევარი?**

– აი, მაქეთკენ მივდივარ: მაგრამ ბედნიერი ვერ იქნება ლატაკი – ადამიანი, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. მას ერთმნიშვნელოვნად ექნება განცდა, რომ არის დაჩაგრული, უბედური, გატანჯული და საშინელ მდგომარეობაში. იმის თქმა მინდა, რომ ბედნიერების განცდა არ არის დამოკიდებული ფულზე, როდესაც ლაპარაკია საშუალო, მაღალ და ზემაღალ უზრუნველყოფაზე, მაგრამ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები ერთმნიშვნელოვნად განიცდიან თავს უბედურად. მათი ცხოვრება პრობლემებითაა დატვირთული. კვლევებით დადგინდა, რომ ფულის რაოდენობა არ განსაზღვრავს ბედნიერებას, მაგრამ უფულობა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ ადამიანები იქნებიან უბედურები.

**– არის სხვაობა იმ ადამიანებს, რომლებიც ბავშვობიდან იზრდებოდნენ გაჭირვებაში და მათ შორის, რომლებიც შემდგომ გაღარიბდნენ?**



კვლევებით დადგინდა, რომ ფულის რაოდენობა არ განსაზღვრავს ბედნიერებას, მაგრამ უფულობა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ ადამიანები იქნებიან უბედურები

– რა ასაკშიც იქნება ადამიანი გაჭირვებული, იმ ასაკში ექნება მას ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და ცხოვრებისეული გაჭირვება, რაც ათქმევინებს, რომ უბედურია და ვერ ახერხებს ნორმალურად არსებობას.

**– თეორიულად შესაძლებელია, რომ სიღარიბეში, ამ ფსიქოლოგიით გაზრდილი ადამიანი გამდიდრდეს?**

– ეს თემა ხშირად არის რომანებისა და კინონაწარმოებების სიუჟეტი, სადაც ნაჩვენებია, როგორ შეიძლება, გახდეს ბედნიერი და მდიდარი უბედური და გაჭირვებული ადამიანი, მაგრამ ცხოვრებაში ასე არ არის. ჩვეულებრივ, საუბედუროდ, ასეთი ვითარებაა: მძიმე პირობები არ აძლევს ადამიანებს იმის საშუალებს, გამოხატონ საკუთარი თავი, საკუთარი პოტენციალი, საკუთარი რესურსები და მოახერხონ მათი სრულყოფილი განვითარება. სამწუხაროდ, ცხოვრებაში, თუ ბავშვობაში არ განვითარდა უნარები, ნიჭი, ჩანასახში არსებული პოტენციალი, მაშინ ეს ადამიანი რჩება იმ ფსკერზე, სადაც იმყოფება. იმისთვის, რომ ადამიანი განვითარდეს, საჭიროა, რადიკალურად შეიცვალოს გარემო. განწყობის თეორიის მიხედვითაც, არ არის საკმარისი, რომ ადამიანს რამის მოთხოვნილება ჰქონდეს. იმისთვის, რომ შეექმნას შესაბამისი განწყობა, აუცილებელი ელემენტია გარემო. თუ შესაბამისი გარემოც არ არის შინაგან მოთხოვნილებებთან ერთად, ადამიანი ვერ ასრულებს შესაბამის ქცევებს და ვერ ახერხებს თვითრეალიზაციას. მაგალითად: ადამიანი აფრიკის განუვითარებელ ქვეყანაში და შვეიცარიაში სრულიად სხვადასხვანაირად გამოიყურება. შესაძლოა, მათ ერთი და იგივე ნიჭი ჰქონდეთ, მაგრამ განუვითარებელ აფრიკაში ან განუვითარებელ აზიასა თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არ არის ის შესაძლებლობები, რაც შვეიცარიაშია. მივარდნილი სოფელი, რომელშიც ჯერ არ შეუღწევია ცივილიზაციას, უკვე განსაზღვრავს იმ ადამიანის ბედს. იმის თქმა მინდა, რომ განსხვავებით იმ ფილმებისგან, სადაც ნაჩვენებია მეტარმორფოზა, როგორ იქცევა მილიარდერად მათხოვრულ სიტუაციაში მყოფი ადამიანი, რეალურ ცხოვრებაში ფსკერზე მყოფები, საუბედუროდ, მიჯაჭვულები არიან ამ ფსკერს და ვერ ახერხებენ იქიდან ამოსვლას. ეს, რა თქმა უნდა, მათი ბრალი არ არის. ეს იმ გარემოს ბრალია, რომელიც მათ ამგვარ სიტუაციაში ამყოფებს. ამას უკავშირდება პროტესტი, რომ არ შეიძლება, ადამიანები ამყოფო ასეთ გარემოში, რადგან ისინი იქ უბედურები არიან, თავიანთ ადამიანურ ბუნებას ვერ ავლენენ.

**– ადამიანი ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელიც მხოლოდ ადამიანთა გარემოცვაში ყალიბდება ადამიანად. ყველა სხვა სახეობა ინარჩუნებს თავის არსს, ვისთანაც და რა გარემოშიც არ უნდა გაიზარდოს.**

– ადამიანური გარემო ძალიან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ბუნებას. არსებობს ექსპერიმენტები, როდესაც ადარებდნენ ადამიანების ქცევას ჭუჭყიან, დაბინძურებულ ქუჩაზე და მოვლილ, გაწკრიალებულ უბანში.

**– ჩვენ თავად ვიყავით ცოცხალი ექსპერიმენტის მონაწილენი: არ იგვებოდა ქალაქი და ვყრიდით ნაგავს, ანუ გვექცეოდნენ ნახირივით და მასობრივად ვიქცეოდით ნახირივით. აღარ გვექცევიან ნახირივით და ცოტა ჩვენც გამოვსწორდით.**

– იგივე ხდება კრიმინალთან მიმართებაშიც. ღია ავტომანქანას სპეციალურად ტოვებდნენ მივარდნილ ადგილას და ძალიან პრესტიჟულ გარემოში. თუკი პრესტიჟულ გარემოში, სადაც იგრძნობა ადამიანის ხელი და სული, ახსნილ კაპოტს ხურავდნენ, გაღებულ შუშას თუ კარს კეტავდნენ, მივარდნილ გარემოში, რომელსაც ძალადობა ეტყობოდა, კიდევ უფრო მეტად ძარცვავდნენ ავტომანქანას. ეს გამოხატავს გარემოს ზეგავლენას ადამიანებზე, რის შედეგადაც ერთი და იგივე ადამიანები სხვადასხვა გარემოში განსხვავებულად იქცევიან.

**– თქვით, რომ მხოლოდ ფილმებისა და წიგნების სიუჟეტებშია შესაძლებელი ღარიბის გამდიდრება, მაგრამ ისტორიამ იცის ასეთი გამონაკლისები: მათ შორის, ჩარლი ჩაპლინი, განზრახ არ მომყავს ბიზნესმენის მაგალითი.**

– არის გამონაკლისები, მაგრამ ეს გამონაკლისები მიანიშნებს იმ ჭეშმარიტებას, რომელიც არსებობს. გამონაკლისები არსებობს, მაგრამ ეს არ ქმნის გარემოს.

**– ამბობენ, რომ სიღარიბემ იცის შეჩვევა და ეს მდგომარეობა იმორჩილებს ადამიანს. ის ირგებს მსხვერპლის როლს და უნდა, რომ მუდმივად ღარიბი და დაჩაგრული იყოს.**

– საუბედუროდ, ამან იცის გადასვლა ჩვევაში. როდესაც ადამიანი დაუკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მას არ უჩნდება ის პრეტენზიები და მოთხოვნილებები, რაც უჩნდება ადამიანს, ვისაც აქვს მოტივაცია, პიროვნულად გაიზარდოს. შეძლოს უფრო მეტი, ვიდრე მანამდე შეეძლო. ადამიანს ეუბნებიან, შენ არაფერი შეგიძლია, არაფერი გამოგივა და როდესაც ეს ბავშვობიდან კულტივირდება, ბავშვს ასეთი წარმოდგენა ექმნება საკუთარ თავზე. თუკი ასეთი დამოკიდებულება შეექმნა საკუთარ თავზე, მაშინ მას აღარ აქვს პრეტენზია, იყოს უნიკალური, განუმეორებელი, გამოხატოს თავისი თავი ისეთად, როგორი პოტენციალიც აქვს და, ფაქტობრივად, უარს ამბობს საკუთარ ინდივიდუალობაზე, პიროვნებაზე. თუ გარემომ უარი ათქმევინა ადამიანს საკუთარ თავზე, მაშინ ხდება ადამიანის, მისი მეს, მისი შესაძლებლობების ჩაკვლა და ეს არის სიღარიბის ყველაზე მტკივნეული შედეგი.

**– ჩვენი 16 წლამდე მოსახლეობის 27 პრო-**

(გაგრძელება 16-ე გვერდზე)

## დიტო ქურციკიშვილის

### გახსენება



აქედან გილოცავთ დაბადების დღეს, დიტო!

მართლაც არავინ იცის, სად არის ჩასაფრებული ბედისწერა და შენც ამ ბედისწერის მსხვერპლი გახდი. დაობლდნენ ბავშვები – სანდრო და თათული, დაქვრივდა ახალგაზრდა ქალი – ეკა, სიცარიელემ ამოავსო დედმამის, თამაზისა და თამარის გულები და ფრთა ჩამოუვარდა შენს – ძმას ზურას.

ტკივილიანი და ცრემლიანია უშენოდ გატარებული ყოველი დღე და ყოველი წუთი.

შენი სულისთვის ვლოცულობთ ყველა, ჩვენო უკეთილესო და უსაყვარლესო ადამიანო!

**ოჯახი**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ქეთი დვალი**, *49 წლის, პედაგოგი. თბილისი.*

**დიაგნოზი**: წელის მალების დისკოპათია, L4-L5, პროლაფსი 7 მმ.

– მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები მანანა ექიმის, რომელმაც გარდაუვალი ოპერაციისგან მიხსნა. აუტანელ ტკივილებში გავატარე 3 თვე – წელი და ფეხი მაგიჟებდა. დიკლოფენაკი ჩემი ყოველდღიური წამალი იყო. ნემსებისგან ადგილი აღარ დამრჩა. გამიღიზიანდა კუჭ-ნაწლავიც. დიაგნოსტიკის შემდეგ ოპერაცია მირჩიეს. მადლობა უფალს, რომ ამ კლინიკაში მოვხვდი, შედეგი პირველ დღესვე ვიგრძენი. მეორე დღეს ფეხში სიმძიმე და დაბუჟება მომეხსნა. ტკივილი მტანჯავდა, ხუთ დღეში კი ფეხზე ისე დავდექი, ვითომ არც მტკიებია. მკურნალობას ვაგრძელებ; მადლობელი ვარ. უფალი თქვენთან, მანანა ექიმო!

**შოთა კაკაურიძე**, *54 წლის, რუსთავი.*

**დიაგნოზი**: მარცხენა გონართროზი, ართროზოართრიტი.

– დიდი ხანია, მაწუხებს მარცხენა მუხლის სახსრები, ნაავარიები ვარ. მუდმივად მიწევდა გამაყუჩებელი აბებისა და მალამოების გამოყენება. 2 კვირის წინ კი მუხლი დასივდა, ტკივილი გამიმწვავდა, ველარ დავდიოდი, ყავარჯენი დავიჭირე. რა აღარ ვცადე, შინაურიც და აფთიაქისაც... აქ ჩემმა ნათესავმა მომიყვანა, აშენდა მისი ოჯახი. იმავე საღამოს ვიგრძენი შვება, მეორე და მესამე დღეს კი შესიება ჩაცხრა და ახლა (მე-9 დღეს) ტკივილი უკვე აღარ მაქვს. გაიხარეთ, დალოცვილები იყავით, მანანა ექიმო და სოსო ექიმო!



**ნანა ღლონტი**, *38 წლის, მუსიკოსი. თბილისი.*

**დიაგნოზი**: კისრის ოსტეოქონდროზი, დისკოპათია.

– ვარ მუსიკოსი, ვუკრავ ვიოლინოზე. ეტყობა, კისრის გადატვირთვის გამო მოხდა... ამტკივდა კისერი, შემდეგ ტკივილი გადავიდა მხარში, ხელში და თითებამდე ჩამოვიდა. ორი თითი მიბუჟდებოდა, ხელში ძალა მეკარგებოდა. თითქოს კომპიუტერულმა კვლევამ აჩვენა, რომ დისკი მქონდა დაზიანებული. მწვავე ტკივილი ღამით არ მაძინებდა. მოვაკითხე ამ კლინიკას. შედეგით აღფრთოვანებული ვარ. ის, რაც ვერ შეძლო მანამდე ჩატარებულმა ერთთვიანმა მკურნალობამ, აქ 2 დღეში მოხერხდა. 2 დღეში მთლიანად მომეხსნა ყველა სიმპტომი. მკურნალობას ვაგრძელებ. უღრმესი მადლობა ჩემს მშველელებს, ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ცოტნე ზარანდია**, *54 წლის. ზუგდიდი.*

**დიაგნოზი**: ჰემოროიდული დაავადება მესამე ხარისხის, კოლიტი.

– ეს დაავადება დიდი ხანია, მაწუხებს, ჯერ კიდევ ჯარში ყოფნისას დამეწყო. მერე თანდათან გამირთულდა. აქამდე ვიყენებდი შინაურ მალამოებს. ბოლოს აღარ მიშველა. დამეწყო მწვავე ტკივილი, წვა, ზოგჯერ სისხლდენა. იყო კვანძები, შეკრულობა... ძალიან კმაყოფილი მივდივარ. პირველ კურსზე რომ წავიღე მალამოები, ნახარშები, იმან მთლიანად აალაგა ჩემი ჩივილები. ახლა მეორე კურსის მალამოებით ჩავამთავრებთ მკურნალობას. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

**ლოლა ძიძიგური**, *61 წლის. თბილისი.*

**დიაგნოზი**: ანალური ნაპრალი, დისბაქტერიოზი.

– საშინელი ტკივილებით მომიყვანეს, ექიმმა ძლივს გამსინჯა. ადრე არასდროს შევუწუხებივარ. 2 თვის წინ მოვიწამლე, კუჭის მოქმედება მქონდა დღეში 7-8-ჯერ, მეტი თუ არა. მაშინ ვიგრძენი, რომ რაღაც მოხდა, სისხლდენა დამეწყო, მერე ამას ტკივილებიც დაერთო... ვიმკურნალე, სანთლებით, აფთიაქის წამლებით, შედეგი არ გამოიღო. „ალექსიშვილის კლინიკაში“ ჟურნალის დახმარებით მოვედი. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის მუშაობა, მუცლის შებერილობა, ჭვალი. ასევე, მომეხსნა ტკივილები. კმაყოფილი მივდივარ. დიდი მადლობა!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

# აზა დავითაშვილი - ადამიანი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

*ის ვინც ნათელმხილველ **აზა დავითაშვილს** ერთხელ მაინც შეხვედრია, დამეთანხმება, რომ მის ფენომენალურ უნარს საზღვარი არ აქვს. მის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღო მასზე. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ მოგაწვდით ინფორმაციას ამ ქალბატონის შესახებ, რომლის ფენომენალურ ნიჭზეც თბილისში საოცარ ისტორიებს ყვებიან. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც აზა დავითაშვილი ადამიანების დახმარებას ცდილობს და ვინ მოთვლის, ამ წლების განმავლობაში რამდენი გაქცეული ქმარი დაუბრუნა ცოლს, რამდენ იმედგადაწურულ ახალგაზრდას დაეხმარა ოჯახის შექმნაში, ბედის გახსნასა და ფინანსური კრიზისების მოგვარებაში. მადლიერი ბევრი ჰყავს, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ. წლების განმავლობაში, ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელ აზას” უწოდებდნენ. მოგვიანებით, მას ჰქონდა კერძო მიწვევები რუსეთში, ისრაელში, უკრაინაში, თუმცა თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად” დარჩა. ის ერთადერთი ნათელმხილველია, ვისაც თქვენი მომავლის განჭვრეტა და „დახატვა” შეუძლია. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი – არც იმას ამბობს ხშირად, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი გახლდათ. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს. აზა დავითაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი პირადი ცხოვრება, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ წარუმატებლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.*

*აზა დავითაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, ჩვენ რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ, რომელთაც საკუთარი შთაბეჭდილებებისა და ისტორიების გაზიარება თავად ისურვეს.*



**მარინა ლოლუა** *56 წლის (თბილისი):* აზა დავითაშვილი 15 წლის წინ გავიცანი. მაშინ ქალბატონ აზაზე თბილისში ბუმი იყო – ყველა, ქალი თუ კაცი მასზე ლაპარაკობდა და საოცარ ისტორიებს ყვებოდნენ. ცხონებულმა დედაჩემმა წამიყვანა, დედა 8 წლის წინ დაკარგულ შვილს ეძებდა, რომელიც სახლიდან გავიდა და გაუჩინარდა. კარგად მახსოვს, აზამ მაშინვე ის უთხრა, შენი შვილი ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობს და მალე გამოჩნდებაო. მერე ჩემზე უთხრა, ამ შვილზე რა გითხრა, 40 წლისაა და ჩაკეტილი ბედის გამო ოჯახს ვერ ქმნისო. მართლაც საოცრად ჩაკეტილი ვიყავი, ხან ვის მირიგებდნენ, ხან – ვის, მაგრამ როგორც კი ოჯახის შექმნამდე მივიდოდა საქმე, ყველაფერი იშლებოდა. ორი კვირა ვიარეთ ქალბატონ აზასთან, თილისმები მოგვცა. მერე მოხდა ნამდვილი სასწაული, დედას უკრაინიდან დაუკავშირდა ადამიანი, ვინც უთხრა, რომ ჩემი ძმა ცოცხალი იყო. ერთ თვეში ჩემი ძმაც გამოჩნდა. სამი თვეც არ იყო გასული, მეც გავთხოვდი. ამაზე მეტი სასწაული რა უნდა იყოს. ახლა ჩემს მეზობელს მოვყევი აქ. იპოთეკარებმა ბინა წაართვეს და უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. სულ სამჯერ მოვიდა აქ და უკვე ყველაფერი უკეთესობისკენ დაიძრა. მე მჯერა ქალბატონი აზას ფენომენალური ძალის.

**ლელა გაგნიძე** *44 წლის (ქუთაისი):* ქალბატონი აზას შესახებ ტელეგადაცემიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან შევიტყვე. აქ პირველად ჩემს მეგობარ ქალს გამოვყევი, რომელსაც მოულოდნელად, ოჯახი დაენგრა და ქმარმა მიატოვა. აზა დავითაშვილმა ექვს თვეში დაუბრუნა გაქცეული ქმარი. ეს იყო ნამდვილი საოცრება. კაცი ფეხებში ჩაუვარდა ჩემს დაქალს, ჯადო მქონდა გაკეთებული, თავგზა ამებნა და უნდა მაპატიოო. მე ახლა ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით ვარ მოსული. ვიცი, რომ ამ საქმეში აზა დავითაშვილს ბადალი არ ჰყავს.

***P.S.** აზა დავითაშვილთან სტუმრად მყოფებმა მოვისმინეთ ისტორია, რომელიც ერთ-ერთ ცნობილ ქალბატონს უკავშირდება. მას მოულოდნელად დაეკარგა ხმა და მოტყდა ორივე ფეხი. აზა დავითაშვილმა ქალბატონის ახლობლების მეშვეობით შეიტყო ეს ამბავი. მის სახლში, პიანინოში აღმოაჩინა ჩიტის ფიტული, რომელსაც ყელსა და ფეხებზე წითელი ძაფი ჰქონდა გამობმული. სწორედ ეს გახდა მოულოდნელად თავს დატეხილი ამბის მიზეზი. ქალბატონი აზას მეშვეობით, ცნობილმა ხელოვანმა დაკარგული ხმის დაბრუნებაც შეძლო და ფეხზე გავლაც. სწორედ ეს არის აზა დავითაშვილის ფენომენალური უნარი!*

*გსურთ, დაადგინოთ რატომ არ გწყალობთ იღბალი? განიცდით თუ არა ბოროტი თვალის ან ჯადოს ზემოქმედებას? რატომ გაწუხებთ უბარაქობა? დაუკავშირდით აზა დავითაშვილს.*

*დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08, 593 56-10-39 მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი”, გუთნის ქ № 42.*

**თამარ ჩხენკელი**

**მინდა, დღეისათვის ქართულ ფეხბურთში ეგრეთ წოდებულ „ჩაწყობილი თამაშებისა" და გარიგებების თემას გვერდი ავუარო; არც იმაზე ვისაუბრებთ, უმცროსი ნოდარ ახალკაცის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ რა პერსპექტივები გაუჩნდა ან არ გაუჩნდა „დინამოს" გუნდს; რა ვალები დაედო ფედერაციას და ამის გამო დატოვა თუ არა მან თანამდებობა... დღეს ვისაუბროთ ადამიანზე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ფეხბურთში და ყველას დაანახვა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ფეხბურთი. „ასეთი ტრიუმფალური ეპოქა, წლების განმავლობაში გამარჯვებების სერიები, არასდროს განმეორებულა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მეტიც, გამიჭირდება, დავასახელო სხვა მსგავსი ქართული გუნდური წარმატების მაგალითი საქართველოს ახალი ისტორიიდან. ახალკაცის „დინამო" იყო განსაკუთრებული," – ასე იხსენებს ნოდარ ახალკაცს „დინამოს" გუნდის ფიზიოთერაპევტი ანზორ გაბიტაშვილი. ახლა კი, დაპირებული ექსკლუზიური ინტერვიუ უმცროს ნოდარ ახალკაცთან.**

# რის გამო საყვედურობდნენ ნოდარ ახალკაცს, რას ჭორაობდნენ მასზე და რა ინციდენტი მოუხდა მას დიუსელდორფში 13 მაისის მატჩზე

**– მინდა, მამაზე გვესაუბროთ, რომლის დროსაც „დინამოს" სახელი ქუხდა. როგორ ახერხებდა ამას ბატონი ნოდარი, რა პრინციპით მიდიოდა მაშინ გუნდში მუშაობა და რატომ უპირისპირდებოდნენ ნოდარ ახალკაცს? როგორც ჩანს, ეს იყო მიზანმიმართული შავი პიარ-კამპანია.**

– მიუხედავად 1979 წელს საკავშირო თასის მოპოვებისა, ზოგიერთმა პარტიულმა ფუნქციონერმა ნოდარის გუნდიდან გადაყენება მოითხოვა იმ მიზეზით, რომ „დინამომ" ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა. წერილი მთავრობაში შეიტანეს დასამტკიცებლად. იმდროინდელმა პირველმა პირმა წერილი ბოლო მომენტში დახია და ნოდარი გუნდში დატოვეს. რაღაცით მაინც რომ გაემწარებინათ, საკავშირო თასის მომგები ნოდარ ახალკაცი საქართველოს 10 საუკეთესო მწვრთნელთა სიაში არ მოახვედრეს, თუმცა, მამა ასეთ უსუსურ ინტრიგებზე არც კი რეაგირებდა.

**– ეს, თუ არ ვცდები, დიუსელდორფს უკავშირდება.**

– 1981 წელს, გამარჯვებული „დინამო" დიუსელდორფიდან მოსკოვში რომ ჩაფრინდა, აეროპორტში საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა, მილოცვის მაგივრად მამას წერილი დაახვედრა, რომელშიც მას საყვედურს უცხადებდნენ პირად საქმეში შეტანით იმის გამო, რომ გუნდი „ადიდასის" ფორმით ათამაშა. მამას ვარაუდით, ამ საყვედურის ნამდვილი მიზეზი სხვა იყო – დიუსელდორფში შეკრებილი „დინამოს" გულშემატკივრები წითელი საბჭოთა დროშის ნაცვლად „დინამოს" ცისფერ-თეთრ დროშას აფრიალებდნენ, რაც კომუნისტური პარტიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს ნოდარის პირველი და ერთადერთი საყვედური არ ყოფილა. ერთხელ, მოსკოვში თამაშის დროს, გუნდები შესვენებაზე რომ გადიოდნენ, მამამ გაიგონა, ერთ-ერთმა მსაჯმა მეორეს როგორ უსაყვედურა – ამ შავტრ... ქართველებს რატომ არ ახრჩობო. ამ მსაჯს ისეთი დღე აყარა, ძლივს გააშველეს.

1985 წელს იგი მეორედ დააბრუნეს გუნდში, სადაც, წარუმატებელი თამაშების ფონზე (სამი ფრე და ექვსი წაგება), ძალიან არეულ-დარეული სიტუაცია იყო შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ მამა გუნდში მოსკოვის „სპარტაკთან" თბილისში 3 სექტემბერს გასამართ მატჩამდე, ცხრა დღით ადრე მივიდა, მაინც მოახერხა გუნდის ძირეული გარდაქმნა და იმ წელიწადს გუნდი გავარდნას გადაურჩა. მომავალ სეზონში კი მამამ „დინამო" ხუთეულში და, შესაბამისად, „უეფას" თასზე გაიყვანა. ოთხი თამაში რომ იყო დარჩენილი სეზონის დამთავრებამდე, ისევ, მიუხედავად წარმატებული სეზონისა, მამა გუნდიდან გაათავისუფლეს.

**– რატომ ხდებოდა ასე, რა ახსნა ჰქონდა ამ ყველაფერს? მახსოვს, რაღაც ჭორებიც მიდიოდა მასზე.**

– გეტყვით. აი, ასეთი ალოგიკური გადაწყვეტილების გასამართლებლად სასაცილო შავი პიარ-კამპანია იქნა წამოწყებული. დაუჯერებელი ჭორები გაავრცელეს, რომ, თურმე, მამა უნივერსიტეტში ხალხს აწყობდა და ამაში ფულს იღებდა; რომ „დინამოს" დიღმის საწვრთნელი ბაზიდან ფეხბურთელებისთვის



მამა საკუთარი „შვილების" მოწინააღმდეგე ბანაკში ყოფნას ვერ ეგუებოდა

განკუთვნილ თაფლს ყიდდა! მამას მეგობრებს მილიციაში იბარებდნენ და დაჭერით ემუქრებოდნენ, თუ ნოდარზე ცუდს არ იტყოდნენ; ხან, მამას მიერ ჯაფარაულში აშენებული სახლის შესამოწმებლად კომისიებს აგზავნიდნენ, იქნებ დარღვევები აღმოეჩინათ, ხანაც, ამ გაურემონტებელ სახლში (ჭავჭავაძეზე) ლიფტებსა და მარმარილოს ეძებდნენ, მაგრამ, დასაჭერ მიზეზს ვერ პოულობდნენ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საქმეში ქვეყნის პირველი პირი ჩაერია და მამას წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია შეაჩერა. „დინამოდან" წამოსვლიდან შემდგომი 4 წელიწადი მამას მწვრთნელად აღარ უმუშავია. რომ არა მისი სამეგობრო წრე, ამ წლების გადატანა, როგორც პირადად მისთვის, ასევე, მთელი ოჯახისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

**– რას ამბობდა მამა ამ ყველაფერზე ოჯახში? ფიქრობდა თუ არა, ჩამოშორებოდა საქართველოში სამწვრთნელო საქმიანობას და სადმე სხვა ქვეყანაში წასულიყო, თუ, რაში ხედავდა გამოსავალს?**

– უამრავი შემოთავაზება ჰქონდა სხვა გუნდებიდან – რუსეთიდან, ყაზახეთიდან, საბერძნეთიდან და იმ დროისთვის არნახულ ხელფასს სთავაზობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთულ სიტუაციაში იმყოფებოდა, მამამ ამ შემოთავაზებებზე უარი თქვა. მეგობრები სულ სთხოვდნენ, დათანხმებულიყო, მაგრამ, მამას პოზიცია მტკიცე და უცვლელი იყო. ის პასუხობდა, რომ, რაც დასამტკიცებელი ჰქონდა, „დინამოში" დაამტკიცა და, სხვა ქვეყანაში ისეთ გუნდს არ გააკეთებდა, რომელიც მის „დინამოს" დაამარცხებდა და დაამცირებდა.

1990 წლის 15 თებერვალს მამას ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. ამ დღეს ჩატარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. მთავარი საკამათო საკითხი სწორედ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა გახდა. კამათმა რამდენიმე საათს გასტანა. ბოლოს, დარბაზმა მოითხოვა: ნოდარ ახალკაცი, ქართულ ფეხბურთში ყველაზე დიდი წარმატების მომტანი, აქ არის და, მისი აზრიც მოვისმინოთო. უაღრესად განათლებულ ნოდარ ახალკაცს საოცარი გავლენის მოხდენა შეეძლო აუდიტორიაზე. მისი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა ერთ წელიწადში გარდაუვალი იყო და საქართველოს დღესვე უნდა დაეწყო დამოუკიდებელი ფეხბურთის მშენებლობა. მამას მიერ მოყვანილი არგუმენტები ყრილობის მონაწილეებმა აიტაცეს და მამა პრეზიდენტად იქნა არჩეული. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შექმნა და საბჭოთა ჩემპიონატიდან გამოყოფა პირველი პრეცედენტი გახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე... იმდროინდელი მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩაეშალა ეროვნული ჩემპიონატი, თუმცა, არაფერი გამოუვიდა. ახლად შექმნილმა ფედერაციამ საბანკო ანგარიში რომ გახსნა, პირველი თანხა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ჩაურიცხა. ნოდარი დარწმუნებული იყო, რომ პატრიარქის თანადგომას ისეთი დიდი ძალა ჰქონდა, რომ ფედერაციის „წაქცევა" შეუძლებელი იქნებოდა. მამა ყოველთვის ამბობდა, რომ ილია მეორეს დიუსელდორფში თასის მოპოვებაშიც აქვს დიდი წვლილი შეტანილი – მან მხარდაჭერის დეპეშა გაუგზავნა გუნდს, რომელიც მამამ მინდორზე გასვლის წინ წაუკითხა ფეხბურთელებს.

**– როდესაც ნოდარ ახალკაცს ახსენებენ, როგორც ჟურნალისტს, მიჩნდება სინანულის გრძნობა, რომ პირადად არ ვიც-**

(გაგრძელება 73-ე გვერდზე)

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რას შველის ციგუნ-მასაჟი?

**ამ საკითხზე ჩვენ ვესაუბრეთ ციგუნ-თერაპიის სპეციალისტს, პროფესიონალ მასაჟისტსა და ესთეტიკოსს ლატვიიდან, ქალბატონ ზანდა კირსეს. ზანდა კირსე ბალტიური ციგუნ-ასოციაციის წევრია და ამ სფეროში 10-წლიანი პროფესიული გამოცდილება აქვს. ამჟამად ის მასაჟებს აკეთებს ესთეტიკური მედიცინის ცენტრ Filorga-ში.**

**მოკლედ სპეციალისტის შესახებ:**

**ციგუნ-მასაჟი მან შეისწავლა ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტთან: იგორ კისურინთან (მოსკოვი) და ციგუნ-თერაპია კი – ვიტასთან (ბალტიური ციგუნ-ასოციაცია). ზურგის ტიბეტურ მასაჟსა და სახის მარეგინერებელ, გამამკვრივებელ მასაჟ Ayurvedugarshan-ის ხელოვნებას ის მაღალი კლასის ტრენერთან, დანიელა რენეცთან (გერმანია) დაეუფლა. 2010 წელს კონკურსზე 2010, რომელიც ორგანიზებული იყო მსოფლიო მკურნალების ლიგა „აკვილონას“ მიერ, დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომით, როგორც მაღალპროფესიონალი სპეციალისტი.**

**– ქალბატონო ზანდა, რა არის ციგუნ-მასაჟი?**

**ზანდა კირსე**: ციგუნ-მასაჟის სისტემა დაფუძნებულია ტრადიციულ ჩინურ მედიცინაზე, ანუ ცი ენერგეტიკის ურთიერთკავშირზე, რომელიც მიედინება მერიდიანებში (მხედველობაში მაქვს ორგანიზმის ენერგეტიკული არხებისა და ბიოლოგიურად აქტიური წერტილების სისტემა). ციგუნ-მასაჟი მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული ევროპული მასაჟებისგან. მისი მსვლელობისას, ძირითადად, გამოიყენება წრიული და უსასრულობის დინამიკური მოძრაობები, ვიბრაციები და კიდევ სხვა მოძრაობები. მასაჟის ტექნიკა დაფუძნებულია 5 ელემენტის თეორიაზე: ცეცხლი – ჩქარი ვიბრაცია, მიწა – მკვრივი სტატური პრესურა, ხე – დინამიკური გადასმები, ლითონი – წრიული მოძრაობები, წყალი – მდორე გადასმები. ციგუნ-მასაჟის დროს ჩვენი ორგანიზმის 12 მერიდიანი აქტივირდება და თავისუფლდება ენერგეტიკული და ფიზიკური ბლოკებისაგან, რაც ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების გამოდევნას, ნივთიერებათა ცვლის ჰარმონიზაციასა და იმუნიტეტის ზრდას.

**– ალბათ, ეს აქტუალურია გახდომისთვის? ზამთრის შემდეგ, ყველას გვინდა, ფორმაში ჩადგომა და ზედმეტი წონისგან გათავისუფლება.**

– ნამდვილად ასეა. ზოგჯერ ადამიანს გახდომა სურს, თავს იკლავს დიეტებით, მაგრამ წონა ადგილიდან არ იძვრის. ენერგეტიკული და ფიზიკური ბლოკების მოხსნა და შლაკების გამოდევნა ეხმარება წონის კლებას, ხელს უწყობს წონის ნორმალიზებასა და ტანის მოცულობის შემცირებას. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის ჰორმონული სტატუსი, შინაგანი დაავადებები. ეს საუბრის ცალკე თემაა, მაგრამ მინდა, აღვნიშნო, რომ ციგუნ-თერაპია ყველა შემთხვევაში მისაღებია, როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელი ნაწილი. ის ახანგრძლივებს ცხოვრებას, აწყნარებს რა ნერვულ სისტემას.



**– ესე იგი, ციგუნი ადამიანს სტრესების დროს შველის?**

– აუცილებლად. ხსნის რა ფიზიკურ დაძაბულობასა და დაღლილობას, ხსნის ორგანიზმის ენერგეტიკულ და ფიზიკურ ბლოკებს, აგრეთვე, შინაგან ორგანოებსა და სისტემებს მატებს ახალ ენერგიას (გულსისხლძარღვთა სისტემა, ძვალ-კუნთოვანი აპარატი და სხვა). ამავე დროს, მასაჟის მსვლელობისას, ადამიანი განიცდის სრულ რელაქსაციას.

**– რამდენი ხანი გრძელდება მასაჟი და რამდენი მასაჟია საჭირო, რომ ეფექტი მივიღოთ?**

– ციგუნ-მასაჟის სეანსი გრძელდება 1,5 საათი. ციგუნ-თერაპიის დინამიკური კურსი შეადგენს 10 პროცედურას, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ტარდება, კონკრეტულად: პირველ კვირას – 4 სეანსი, შემდეგი 3 კვირა – კვირაში 2 სეანსი.

**– ადვილია ციგუნ-მასაჟის შესწავლა?**

– ადვილია ზღაპრების მოყოლა *(იცინის)*. ციგუნ-თერაპიის შესწავლას კი დაფიქრებული მიდგომა სჭირდება. მე სიამოვნებით გავუზიარებ ქართველ კოლეგებს ჩემს გამოცდილებას, თუ მათი მხრიდან დაინტერესება იქნება.

**– დიდი მადლობა, ქალბატონო ზანდა ინფორმაციისთვის და ბოლო კითხვა: სად მოგაკითხოთ?**

– მადლობა თქვენ. ცენტრი „ფილორგა“ მდებარეობს ჭავჭავაძის №37-ში. შეგიძლიათ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 222-77-44 ან ინტერნეტით – „ფეისბუქზე" გვაქვს გვერდი Filorga Georgia. ნახვამდის.

# რა გაანდო გელა ჩარკვიანს ამერიკელმა ასტრონავტმა, რომელმაც „ღმერთი ნახა" და სად „მოათავსა" მან წარსული

**გელა ჩარკვიანი აქტიურად აღარ ჩანს საზოგადოებრივ ასპარეზზე – როგორც თავად ამბობს, მისი ასაკისთვის შესაფერისი ცხოვრება აქვს. მას შემდეგ, რაც საკუთარი წარსული „ფაილში" მოათავსა, ყველა პასუხისმგებლობისგან გაითავისუფლა თავი. ცნობილ მამაზე, რომელმაც განსაზღვრა ბევრი რამ, მეფეზე, რომელსაც ყველგან ხვდება, წუხილზე, რომელიც სიმძაფრეს არ კარგავს – გელა ჩარკვიანი ჩვენს ინტერვიუში თავად გიამბობთ.**

**გელა ჩარკვიანი**: ვცხოვრობ ისე, როგორც შეეფერება ჩემს ასაკს – ყველაფრისგან გათავისუფლებული ვარ. ეს ასაკის ყველაზე კარგად განმსაზღვრელი დეფინიციაა, თუმცა, არსებობს სხვა დეფინიციებიც, მათ შორის ის, რომ ყველა შეკითხვაზე იცი პასუხი, მაგრამ, უკვე არავინ აღარ გეკითხება. როცა შენი ცხოვრება მთლიანად განვლილი გაქვს და, მას, რაც იყო, ვერავინ წაგართმევს; როცა წინა ცხოვრება „ფაილში" დევს, უკვე გათავებულია ყველაფერი.

**– როგორც ვიცი, კვირის სამი დღე უმცროს შვილიშვილზე ზრუნავთ, უვლით, ასე რომ, სულ გათავისუფლებულს, როგორც თავად უწოდებთ საკუთარ თავს, არ ჰგავხართ.**



ჩვენ ყველა სადღაც მივდიოდით, ჩამოვდიოდით, ნანა კი იყო ლუზა, რომელიც აჩერებს გემს

– ეს ერთადერთი პასუხისმგებლობაა, თანაც, ძალიან სასიამოვნო, რაც მე მაკისრია. ირაკლი აღარ არის, ნანას აღარ ჰყავს მამა. მართლია, მას ჰყავს დედა და ბებია, რომლებიც მისთვის ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ, თუ არსებობს ბაბუა, მან აუცილებლად უნდა გააკეთოს ბავშვისთვის რამე. შვილიშვილი კიდევ უფრო სხვა განცდაა, ვიდრე შვილი; სიყვარული ორივე შემთხვევაში ერთნაირია, მაგრამ, ახალგაზრდა ასაკში ბავშვი მშობლისთვის, ასე თუ ისე, ქმნის სიძნელეებს, ბაბუისთვის კი შვილიშვილი არის უფრო „სათამაშო", რომელიც ძალიან გიყვარს და, გინდა, ყველაფერი გაუკეთო. ბავშვი მომყავს პარასკევს და ჩემთან რჩება სამი დღე. ეს ის შემთხვევაა, როცა საკუთარი მანქანით ვსარგებლობ და საჭესთან ვჯდები, სხვა დროს ან ტაქსით დავდივარ, ან მეტროს ვამჯობინებ. მეტრო ძალიან მიყვარს, იმიტომ, რომ ის მამაჩემის სახელთან არის დაკავშირებული. სტალინს მამამ მოაწერინა ხელი დადგენილებაზე, რომელიც შემდეგ ვერავინ ვერ შეცვალა. იგივე განცდა მაქვს, როცა გავდივარ ვაკის პარკში, თბილისის ზღვაზე, რადგან, მათი შექმნის იდეებიც მამას ეკუთვნოდა.

**– ალბათ, მამა იყო ის ადამიანი, რომელმაც განსაზღვრა თქვენი ცხოვრების გზა.**

– ბუნებრივია, მშობლების ცხოვრება განსაზღვრავს შენს ცხოვრებას. როცა იბადები გარემოში, სადაც ყველა გეფერება, გიღიმის და საკუთარი თავი მსოფლიოს ცენტრი გგონია, ამას დადებითი ფაქტორებიც ახლავს და უარყოფითიც. როცა მე დავიბადე, მამა უკვე იყო „ცეკას" პირველი პირი. ჩვენ, შვილებს, გვიწევდა სხვადასხვა ღონისძიებაზე დასწრება, ხშირად სამთავრობო ლოჟაშიც კი. ძალიან პატარა ასაკიდან მახსოვს ლეგენდარული ბორის პაიჭაძე. მოსკოვში ვიყავით ჩასულები – თბილისის „დინამოს" მოსკოვის „დინამოსთან" უნდა ეთამაშა. ფსიქოლოგიურად ყოველთვის უჭირდათ ჩვენებს მოსკოვის „დინამოსთან" თამაში. მახსოვს, მთელი გუნდი მოვიდა საქართველოს წარმომადგენლობაში. 8 წლის ვიყავი, ხელში ტენისის პატარა ბურთი მეჭირა. მახსოვს, ფეხბურთელები რომ შემოვიდნენ, გაიოზ ჯეჯელავას დავუგდე ეს ბურთი. მეორე დღეს სტადიონზე წავედით. ბერიაც იქ იყო. ნახევარი საათი დაესწრო თამაშს, 2:0 ვაგებდით, ადგა და წავიდა – ჩვენი მარცხის შერცხვა. დედაჩემი ძალიან მკაცრი ქალი იყო და სულ გვეუბნებოდა შვილებს: იცოდეთ, ეს ყველაფერი შემთხვევითობააო. იმ დროს მართლაც ასე იყო – დღეს იყავი ვიღაც, ხვალ კი, შესაძლოა, ან დაეხვრიტე, ან ციმბირში ამოგეყო თავი. ცხოვრების ერთ-ერთი მთვარი მახასიათებელიც ხომ ესაა – დიდება წარმავალია. მით უმეტეს, ბავშვს არ გაქვს გაგება, რა არის სამყარო, ცხოვრება; ასე რომ, 13 წლამდე მეც მეგონა საკუთარი თავი მსოფლიოს ცენტრი ***(იცინის).*** მამა გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ჩვენ საცხოვრებლად მოსკოვში გადავედით და ხუთი წელი იქ ვიცხოვრეთ, იქ დავამთავრე სკოლა. მამაჩემს ძალიან უნდოდა, რომ არქიტექტორი გამოვსულიყავი, რადგან, კარგად ვხატავდი და, თან, ეს მისი ოცნებაც იყო. „გეპეიში" ვსწავლობდი არქიტექტურულზე, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო და უცხო ენების ინსტიტუტში გადავედი. პარადოქსია, რომ საქართველოში უცხო ენათა ინსტიტუტი შეიქმნა 1949 წელს, როცა აქ უცხოელების ჭაჭანება არ იყო, არ ჩამოდიოდნენ დიპლომატები. სხვათა შორის, ამ ინსტიტუტის შექმნის იდეაც მამას ეკუთვნოდა, მას და ვლადიმერ მაჭავარიანს, ვინც იყო ამ ინსტიტუტის პირველი რექტორი. მე მახსოვს კიდეც მათი საუბარი ჩვენს სახლში: შეიძლება, ეს ენა ვერ გამოიყენონ სამსახურში, მაგრამ, ინსტიტუტში ისწავლის ბევრი ქალი, რომლებიც შეძლებენ, შვილებს სახლში ასწავლონ ინგლისურიო. ეს მართლაც ასე აღმოჩნდა მომავალში.

**– იმ „ფაილში", რომელშიც თქვენი წარსული მოათავსეთ, ყველაზე ძვირფასი და ღირებული რა არის?**

– ასე არ მაქვს დალაგებული, რა უფრო ძვირფასია, რა უფრო ღირებული; ასეთი ბევრი რამ არის. არ ვუჩივი ჩემს ცხოვრებას – მე მქონდა კარგი ცხოვრება, თუ არ ჩავთვლით ბოლო წლების ტრაგედიებს. რაც მომინდომებია, ყველაფერი მქონდა. მინდოდა ოჯახური ბედნიერება და მოსიყვარულე ცოლი მყავდა; მინდოდა ლამაზი და ნიჭიერი შვილები – ესეც ამისრულდა და ეს უკვე ყველაფრის საფუძველია.

**– თქვენ როგორი მამობა გაუწიეთ ირაკლი ჩარკვიანს, თქვენ რაში განსაზღვრეთ მისი ცხოვრების გზა?**

– ირაკლის თავიდანვე ვაძლევდი სრულ შემოქმედებით თავისუფლებას და ყოველთვის ვაძლევდი სტიმულს მის შემოქმედებით უნარს. როცა ადამიანი ირჩევს რომელიმე შემოქმედებით სფეროს – მუსიკას, პოეზიას და ასე შემდეგ. იდეების გენერირებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მათი შერჩევა, რაც უკვე გემოვნების საკითხია. მე ვეთამაშებოდი სპეციალურ თამაშებს, მაგალითად, რითმობანას, პარადოქსობანას. მაგრამ, მარტო თამაში არ გიშველის, თუ ნიჭი არ გაქვს; ირაკლი ძალიან ნიჭიერი იყო, ამას გარდა, სახლშიც ასეთი ატმოსფერო გვქონდა – სამსახურიდან მოსული ხშირად ვიჯექი როიალთან, დროდადრო ლექსს ვწერდი, ირაკლი ამ ყველაფერს თავისი თვალით ხედავდა და ფიქრობდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. სხვა მხრივ, არც მე და არც ჩემი მეუღლე შვილების ცხოვრებაში არ ვერეოდით. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ყოველი ადამიანის არჩევანი მისი საკუთარი არჩევანია და, თუ ამაში ხელს შეუშლი, დაღუპავ მას. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ირაკლი იყო პიროვნება, რომელიც ქმნიდა ნამდვილ, კარგ და რთულ ხელოვნებას, სხვათა შორის, ყველა

(გაგრძელება 73-ე გვერდზე)

## ხათუნა ლომსაძის მონატრება



18 ივნისი – დღე, რომელსაც შენი მოლოცვით ვიწყებდით, ეს დღე ხომ შენი დაბადების დღეა, ჩემო საყვარელო ხათუნა! ახლა კი ცრემლით, დარდითა და გულისტკივილით ვხვდებით ამ თარიღს. უკვე მესამე დაბადების დღეა, რაც ჩვენთან აღარ ხარ.

როგორ ხარ, ხათო? მჯერა, რომ უფალმა შენი ქმარ-შვილის მფარველ ანგელოზად მიგიხმო. ულამაზესია შენი სამყარო, რომელშიც შენ იმყოფები. დღემდე ჩემი საფიცარი ხარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩემო უკვდავებაში გადასულო შვილო, მე კი ვიცოცხლებ შენთან შეხვედრის მოლოდინში.

ღმერთს ებარებოდე და ჩემგან დანთებული სანთლები გინათებდნენ გზას მარადისობისკენ. მიყვარხარ და უზომოდ მენატრები... ძალიან მიჭირს უშენოდ...

**თვალცრემლიანი დედაშენი**

# გაატარე ზაფხული ზღაპრულ სამყაროში „პეგას ტურისტიკთან“ ერთად

*ცხელი ზაფხული და სასიამოვნო დასვენება ყველა ადამიანისთვის სასურველია, განსაკუთრებით, თუ მას კომფორტულ გარემოში გაატარებს. ზოგი თავისივე ქვეყანაში დასვენებით კმაყოფილდება, ზოგისთვის კი უფრო სასურველია, კუთვნილი შვებულება სხვა ქვეყანაში გაატაროს და მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს. თუ ჯერ კიდევ არ გაგიკეთებიათ არჩევანი და ფიქრობთ, სად გაემგზავროთ, ამაში ჩვენი რესპონდენტი, „Pegas Touristik Georgia -ს“ გაყიდვების სამსახურის უფროსი, სალომე ბერაია ნამდვილად დაგეხმარებათ. „Pegas Touristik“-ის მეშვეობით, უკვე უამრავმა ადამიანმა გამოსცადა რა არის ნამდვილი დასვენება და სრული კომფორტი, რაც მოგზაურობის დროს აუცილებელია. კომპანია „პეგას ტურისტიკი“ 1994 წელს რუსულ ბაზარზე შეიქმნა და მისი 100-პროცენტიანი წილის მფლობელი თურქი ბიზნესმენია. „პეგას ტურისტიკი“ 23 მიმართულებით ახორციელებს რეისებს, აქვს საკუთარი ინფრასტრუქტურა, სერვისები და ასევე, საკუთარი ავიაკომპანია Nordwind Airlines. რაც შეეხება „პეგას ტურისტიკის“ საქართველოს ბაზარზე მოღვაწეობას და ზაფხულის სეზონთან დაკავშირებულ სიახლეებს ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.*



სალომე ბერაია: ქართულ ბაზარზე 2013 წლიდან ვართ. დავიწყეთ პირდაპირი ჩარტერული რეისების შესრულება ანტალიის მიმართულებით და თურქეთის რეგიონი ავითვისეთ. შემდეგ დავამატეთ დუბაის მიმართულება, ასევე, ეგვიპტე, რომელიც მოიცავს ხურგადასა და შარმ-ელ-შეიხს – ორივე საკურორტო ზონაა. 2014 წლის ზაფხულის სეზონის სიახლე კი კუშადასის მიმართულებაა, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე.

**– რამდენი დღე-ღამე შედის დამსვენებლის განკარგულებაში?**

– რეისებიდან გამომდინარე, ჩვენ მათ ვთავაზობთ: 7 ღამესა და 8 დღეს, ან 14 ღამესა და 15 დღეს. მერე უკვე იზრდება 28 დღემდე და ასე შემდეგ. 10-დღიანი ტურების საშუალება ჯერჯერობით, ფრენებიდან გამომდინარე, არ არის.

**– რა შედის დამსვენებლის განკარგულებაში?**

– „პეგას ტურისტიკი“ არის ტურ-ოპერატორი, რომელიც ქმნის პროდუქტს და შემდეგ უკვე საქართველოში არსებულ ყველა სააგენტოს აწვდის. ტურისტულ სააგენტოში მისულ ტურისტს, უკვე სააგენტო აწვდის გამზადებულ პაკეტს, სადაც შედის: პირდაპირი ავიაბილეთი, იმ სასტუმროში განთავსება, რომელსაც თვითონ მგზავრი ირჩევს. პაკეტში, ასევე, შესულია სამოგზაურო დაზღვევა და ტრანსფერი – აეროპორტიდან სასტუმრომდე და პირიქით – სასტუმროდან აეროპორტამდე. ეს არის მთლიანი, სრულიად შეკრული პაკეტი. ფასები ბალანსირდება სეზონის მიხედვით და სასტუმროებიდან გამომდინარე. გვაქვს გაყიდვების ძალიან გამარტივებული ონლაინ-სისტემა, სადაც თავად ტურისტს შეუძლია, დაათვალიეროს სასურველი სასტუმრო, გაეცნოს ფასებს და უკვე მომზადებული ინფორმაციით მიმართოს ტურისტულ სააგენტოს. ჩვენი აუცილებელი პირობაა, ტურები ტურისტულმა სააგენტოებმა იმავე ფასში გაყიდონ, რაც ჩვენს ვებ-გვერდზეა განთავსებული.

**– რამდენი ხნით ადრეა შესაძლებელი საგზურის დაჯავშნა?**

– ანტალიის ჯავშნები გავხსენით ზუსტად 2013 წლის დეკემბერში. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია, დეკემბერში დაიგეგმოს მომავალი წლის ზაფხულის დასვენება. ადრეული ჯავშნის განხორციელების შემთხვევაში, ტურისტი სარგებლობს 45 პროცენტამდე ფასდაკლებით და ზოგავს საკუთარ ბიუჯეტს. ქართულმა ბაზარმა საკმაოდ კარგად აიტაცა ეს მეთოდი, ადრეულმა ჯავშნებმა თურქეთის მიმართულებით ნადვილად გაამართლა.

**– ადრეული ჯავშანი ძალიან კარგია, მაგრამ რაც შეეხება მინიმალურ დროს, რამდენი დღით ადრეა შესაძლებელი ჯავშნის გაკეთება?**

– არანაირი შეზღუდვები არ გვაქვს. თუ ბორტზე ადგილია, გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრეც შესაძლებელია დასვენების დაგეგმვა.

**– რომელი ავიახაზები გემსახურებათ?**

– ჩვენი პარტნიორია თურქეთის ავიახაზები. თურქეთის მიმართულებით, ანტალია იქნება ეს თუ კუშადასი, ყველა რეისს ვასრულებთ „თურქიშ ეარლაინსით.“ მინდა, ისიც გითხრათ, რომ თურქეთში გასამგზავრებლად არ არის საჭირო პასპორტი, ამ შემთხვევაში, აიდიბარათიც საკმარისია.

**– მინიმალური ფასი რამდენია პაკეტის შესაძენად, მაგალითად, კუშადასში?**

– მინიმალური ფასი ერთ ადამიანზე, იწყება 379 დოლარიდან.

**– ბავშვების დასვენებას რაც შეეხება, ფასები როგორია?**

– ეს გამომდინარეობს ინდივიდუალურად, სასტუმროს მიხედვით. ამ საკითხს განსაკუთრებით თურქეთში აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, არის სასტუმროები, სადაც 11 წლამდე ბავშვი უფასოა, არის სასტუმროები, სადაც ლავირება ხდება 6 წლამდე, ხოლო 6-დან 12 წლამდე, უკვე სხვა ფასია. 2 წლამდე ბავშვისთვის კი ფრენაც უფასოა.

**– მართალია, ანტალია ძალიან პოპულარულია ქართველი ტურისტებისთვის, თუმცა მას, როგორც ჩანს, მალე ჯანსაღ კონკურენციას გაუწევს კუშადასი. მათთვის, ვინც ფიქრობს იქ გამგზავრებას, რას ეტყვით, რით არის გამორჩეული?**

– კუშადასი ძალიან კარგ ადგილზეა, მოსახერხებელი მდებარეობა აქვს და საინტერესოა ისტორიული ექსკურსიებისთვის. ვგულისხმობ, უძველეს ქალაქ ეფესოს, რომლის მონახულებაც ნებისმიერ ტურისტს შეუძლია. ასევე. ძალიან მნიშვნელოვანია, წმინდა ღვთისმშობლის სახლი, რომელსაც უამრავი ლეგენდა უკავშირდება. გადმოცემების თანახმად, ეს არის ადგილი, სადაც ღვთისმშობელი გარდაცვალებამდე, ბოლო 7 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. იქ არის სურვილების კედელი, სადაც მომლოცველს საშუალება აქვს, ჩაიფიქროს სურვილი, დაწეროს და მიამაგროს კედელზე. იქვეა, წმინდა წყალი. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, თუ ამ წყალს დალევ, 7 წლის ცოდვები ჩამოგერეცხება. ეს იმიტომ, რომ როგორც უკვე გითხარით, ლეგენდის თანახმად, ღვთისმშობელი სწორედ 7 წლის განმავლობაში ცხოვრობდა იმ ტერიტორიაზე. ასევე ტურისტს შეუძლია, მოინახულოს უამრავი, არქიტექტურით გამორჩეული საინტერესო თურქული სოფელი. ღვინის ტურებისთვის კი ძალიან საინტერესო სოფელია შირინჯე, სადაც სპეციფიკური გემოს ღვინოს ამზადებენ. ეს ტურისტებს ძალიან იზიდავს. ულამაზესი დასახლებაა – ქალაქი ალაჩათი, თავისი გამორჩეული არქიტექტურით. ვიწრო ქუჩებითა და რესტორნების მრავალფეროვნებით ძალიან ბევრ ტურისტს იზიდავს. ასე რომ, საკმაოდ ხალხმრავლობაა კუშადასის რეგიონში, როგორც აქტიური, ისე პასიური დამსვენებლებისა. აქტიური დასვენების მოყვარულებს, შეუძლიათ ძალები მოსინჯონ windsurfing-შიც, გამოცდილი ინსტრუქტორი დაგეხმარებათ დაეუფლოთ სპორტის ამ სახეობას. კუშადასი ყველანაირი გემოვნების ადამიანის მოთხოვნას აკმაყოფილებს. ასე რომ, ვისაც გსურთ, სასიამოვნოთ გაატაროთ ზაფხულის დასვენების დღეები, დრო აღარ დაკარგოთ და ისარგებლეთ „პეგას ტურისტიკის“ – ტურ-პაკეტებით www.pegast.ge.

**მარიკა ხიდურელი**



# რა თანხას ხარჯავს განათლებაში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ვაჟი

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი 1971 წელსაა დაბადებული თბილისში. მისი ოფიციალური ბიოგრაფია არ იძებნება, თუმცა მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2013 წლით თარიღდება, რომელიც თეიმურაზ მღებრიშვილმა შეავსო, როგორც შსს-ის სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფროსმა. ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე – 1970 წელს დაბადებული, – ნანა ფეიქრიშვილი და 1992 წელს დაბადებული ვაჟი – ლაშა მღებრიშვილი. ოჯახის ერთადერთი უძრავი ქონებაა თბილისში, გლდანის მეხუთე მიკრორაიონში მდებარე საცხოვრებელი ბინა (100 კვადრატული მეტრი ფართობის), მასვე ეკუთვნოდა მსუბუქი ავტომანქანა „მერსედესი". სამაგიეროდ, ნანა ფეიქრიშვილს დეპოზიტი აქვს გახსნილი ბანკში, რომელზეც 7 000 აშშ დოლარს ინახავს. მასვე ჰქონდა ნაღდი ფული დეკლარაციის შევსების დროს – 20 000 აშშ დოლარი.



2012 წლის განმავლობაში ნანა ფეიქრიშვილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატორად მუშაობდა და მისმა წლიურმა შემოსავალმა 8 000 ლარი შეადგინა. 2012 წელს თეიმურაზ მღებრიშვილმა, როგორც შსს-ის დაცვის პოლიციის გმს-ს ინსპექტორმა, 12 000 ლარი აიღო.

2012 წელს თეიმურაზ მღებრიშვილმა 300 000 ლარი მიიღო ნაკვეთის გასხვისების შედეგად და იმავე წელს 3 500 ლარის ოდენობის სესხი აიღო. 2012 წელს გასავალი ლაშა მღებრიშვილსაც ჰქონდა – სწავლის საფასური 6 000 ლარის ოდენობით.

2014 წელს შევსებულ დეკლარაციაში ბ-ნი მღებრიშვილის ოჯახის წევრთა რაოდენობა უცვლელია, ისევე, როგორც უძრავი ქონების ოდენობა. თუმცა ავტომანქანა უკვე ლაშა მღებრიშვილსაც ჰყავს – CL 600. ნანა ფეიქრიშვილს ისევ აქვს დეპოზიტი ბანკში და ნაღდი ფული – 20 000 აშშ დოლარის ოდენობით.

2013 წლის განმავლობაში ნანა ფეიქრიშვილი ისევ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატორი იყო – წლიური 8 000-ლარიანი შემოსავლით. თეიმურაზ მღებრიშვილმა კი 2013 წლის განმავლობაში, როგორც შსს-ის სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა, 48 000 ლარი მიიღო. ლაშა მღებრიშვილს სწავლის ხარჯი 2013 წელსაც ჰქონდა, ოღონდ უფრო მეტი – 12 000 ლარი.

იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას, თუ რა შემოსავალს მიიღებს ბ-ნი მღებრიშვილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის პოსტზე, თვალი გადავავლოთ 2010-დან 2013 წლამდე სდცს-ის უფროსის თეიმურაზ ჯანაშიას ბოლო ფინანსურ დეკლარაციას, რომელიც მან 2013 წელს შეავსო, როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა.

ის 1969 წელსაა დაბადებული და არ არის დაოჯახებული. ის ფლობს: 1 500 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს კოტორაანთკარში, 800 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთს გარდაბანში და არასაცხოვრებელ ფართს თბილისში, წერეთლის გამზირზე (112 კვადრატული მეტრი). ასევე, აქვს 10 000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე მაჯის საათი და ორი ანაბარი, რომლებზეც, შესაბამისად, 23 500 აშშ დოლარსა და 13 055 ევროს ინახავს. დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდი ფულის სახით, ჰქონდა 12 500 ლარი.

2012 წლის განმავლობაში, როგორც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა, ხელფასის სახით, 89 329 ლარი აიღო.

2012 წელს თეიმურაზ ჯანაშიას, სავარაუდოდ, აჩუქეს, თან ერთ ლარად საცხოვრებელი ბინა თბილისში, გაგარინის ქუჩაზე, ასევე, საცხოვრებელი ბინა ბათუმში ნურეთინ ჩარმიქლის ქუჩაზე.

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ ვერ შედგება სრულყოფილ პიროვნებად ღარიბ ოჯახში გაზრდილი ბავშვი და როგორ უნდა წავახალისოთ ის, რომ ბედნიერი გაიზარდოს

(მე-10 გვერდიდან)

**ცენტი ცხოვრობს სიღარიბეში. რას ნიშნავს ეს? როდესაც ისედაც ძალიან ცოტაა 16 წლამდე ასაკის მოსახლეობა, თუ მათი მესამედი განწირულია და ღირებულს ვერაფერს შექმნის, გვრჩება სახელმწიფოს აშენების ადამიანური რესურსი?**

– ეს ადამიანები, ფაქტობრივად, არაადამიანურ სიტუაციაში არიან. მათ არ აქვთ საშუალება, გამოხატონ საკუთარი თავი, როგორც ნორმალურმა ადამიანებმა. ეს ძალიან დიდი პროცენტია და თუ შევედარებით დასავლეთის უზრუნველყოფილ ქვეყნებს, იქ ასეთი გარიყული ადამიანები მაქსიმუმ 2-3 პროცენტია. ზოგადად, ნებისმიერ საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ საკუთარ კეთილდღეობაზე, არიან ნარკომანები, ლოთები, ანუ ასეთი სუბკულტურაც არის, მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ ჩვენთან ასეთ სუბკულტურაში შეიძლება, მოხვდეს ეს 27 პროცენტი.

**– გამოდის, რომ ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებას, არ შეგვიძლია, შევუქმნათ პირობები აი, ამ 27 პროცენტს, მაშინ რისთვის გვჭირდება ან ტერიტორიული მთლიანობა ან რეფორმები, ან ინფრასტრუქტურა, თუ იმ ევროსტანდარტებით დაგებულ გზებზე მოსიარულეები არ გვეყოლა? როგორც საზოგადოებას, როგორ გვახასიათებს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენი მომავალი თაობის 27 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეშია?**

– ეს არის ტრაგედია და ჩვენზე მეტყველებს, ალბათ, ყველაზე უფრო უარყოფითად. თუ მეტაფორულად შევადარებთ, გარემო, ბუნება, სადაც არის წყალი, მზე, ჰაერი, იძლევა საშუალებას, გაიხარონ მცენარეებმა. ამ მხრივ, ჩვენი სოციალური გარემო შეიძლება, შევადაროთ უდაბნოს, სადაც არაფერი გაიხარებს. ხე არ აყვავდება, ყვავილი არ გაიშლება, იმდენად უნაყოფოა. იქ არაფერი ხარობს და იქიდან უნდა წახვიდე, რადგან საცხოვრებლად არ ვარგა და ჩვენ ვხედავთ კიდეც, თუ როგორ გარბიან ქვეყნიდან ახალგაზრდები თუ შრომისუნარიანი ადამიანები.

**– ჯერჯერობით გარბიან იმიტომ, რომ აქ ფული გამოაგზავნონ.**

– დიახ, რომ ამ უდაბნოში გამოაგზავნონ ფული, მაგრამ არ ვიცი, ეს რამდენ ხანს გაგრძელდება. ეკონომიკაზეც არის დამოკიდებული, პოლიტიკურ მდგომარეობაზეც და ფსიქოლოგიაზეც, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენი მდგომარეობა ასეთია: აქ, ფაქტობრივად, არის უდაბნო და ეს არ არის გარემო, სადაც ადამიანები ახერხებენ თავიანთი პოტენციალის გახსნას და გაძლიერებას. ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული დგას ეს პრობლემა ჩვენთან. საუკუნეზე მეტი გავიდა და ჩვენ ვერ მოვახერხეთ, ჩამოგვეყალიბებინა ნორმალური სახელმწიფო, რომელიც ადამიანის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ძნელია პროგნოზის გაკეთება, თუ რა შეიძლება, იყოს უახლოესი წლების გამოსავალი. ვინ უნდა იზრუნოს ამაზე? წესით, მთავრობამაც, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, მოდიან მთავრობები, რომლებიც ფიქრობენ საკუთარ ან საკუთარი პარტიის კეთილდღეობაზე. საკუთარ, კერძო თუ პარტიულ ინტერესებზე ზრუნვას უფრო ახერხებენ, ვიდრე საზოგადოებაზე. განვითარებულ ქვეყნებში ამაზე ზრუნავენ მთავრობაც და ინდივიდუალური პიროვნებებიც. ჩვენს რეალობაში არც ერთია და არც – მეორე.

**– ჩვენი განათლების სისტემა არ უზრუნველყოფს, ნიჭიერმა, მაგრამ ხელმოკლე ახალგაზრდამ მიიღოს განათლება, რაც ნიშნავს, რომ, თუ დაიბადე ღარიბი, მოკვდები ღარიბად, მიუხედავად შენი პოტენციალისა. თუმცა ინდივიდუალიზმი ბავშვში შეიძლება, ჩაკლას ოჯახურმა გარემომაც. რას ურჩევთ მშობლებს, რა სიტყვები გამოიყენონ ბავშვებთან მიმართებაში, როგორ შეაფასონ მათი წარმატებები თუ წარუმატებლობები?**

– ეს ის სფეროა, სადაც შემოდის ფსიქოთერაპიული ურთიერთობები: რა უწყობს ხელს პიროვნების განვითარებას. სილატაკის დონეზე ასეთი ურთიერთობები არ იქმნება და ამიტომ ეს გარემო არც აქვს ბავშვს.

**– ანუ ლატაკ ოჯახში გამორიცხულია ბავშვის წახალისება? მშობელი, რაც უნდა შეუძახოს შვილს, მაინც ვერაფერს გახდება?**

– დიახ. ადამიანური გარემოს მახასიათებელია უპირობო მიმღებლობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ის უყვართ.

**– მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს.**

– დიახ, უყვართ იმიტომ კი არა, რომ ჭკვიანია, იმიტომ კი არა, რომ ნიჭიერია, არამედ უყვართ ამისგან დამოუკიდებლად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. ის უყვართ არა იმიტომ, რომ რაღაცას აკეთებს, ის უყვართ, როგორც უბრალოდ, საყვარელი არსება. ამის შეგრძნება ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც მისი განცდების ესმით – ამას უწოდებენ ემპათიას – როდესაც ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის მისი განცდები გასაგებია. ასეთ ემპათიურ გარემოში ადამიანები გაცილებით უფრო თამამად გამოხატავენ საკუთარ თავს, საკუთარ რესურსებს, ნიჭსა და შესაძლებლობებს. ეს ძალიან ჰუმანური გარემოა. მაგრამ ჩვეულებრივ, ეს არ ხდება სილატაკის გარემოში. ამიტომ ასეთ გარემოში ადამიანი ვერ აღიქვამს საკუთარ თავს ისეთად, როგორიც არის. როდესაც გარემო მას ეუბნება, აგრძნობინებს, რომ შენ ხარ ცუდი, ამას ძალიან მარტივად აიტაცებს ხოლმე ბავშვი და თავადაც როგორც საკუთარი თავის, ისე გარემოს მიმართ ანალოგიური აზრები უჩნდება, რაც დამღუპველია. ეს ქმნის მტრობას, მიუღებლობას, დაპირისპირებას. ძალიან ცუდი შედეგი შეიძლება, მოიტანოს ასეთმა აღზრდამ. ასეთ გარემოში ადამიანები, როგორც წესი, მიმართავენ ნარკოტიკებს, ალკოჰოლს, რომ გაემიჯნონ, დაივიწყონ ის ურთიერთობები, რაც მათ გარშემოა.

**– და ეს უქმნის საფრთხეს დანარჩენ საზოგადოებასაც.**

– რა თქმა უნდა, საკუთარი თავით უკმაყოფილება აისახება საზოგადოებაზეც. ასეთი ადამიანი საზოგადოების მიმართაც მტრულადაა განწყობილი; ადამიანი, რომელიც არ ზრუნავს საკუთარ თავზე, არ ზრუნავს არც სხვაზე, არც საზოგადოებაზე. ეს მდგომარეობა გადამდებია.

**ნინო ხაჩიძე**

# ინტიმური საუბრები

## არ ვიცი, დედას როგორ დავეხმარო

ჩემი მშობლები რომ შეუღლდნენ, დედა 17 წლის იყო (იმ წელს დაამთავრა სკოლა), მამა კი – 36-ის.

დედა ობოლი იყო და ბებიამ გაზარდა. თბილისის გარეუბანში ცხოვრობდნენ პაწაწინა ბინაში. მართალია, მატერიალურად ძალიან უჭირდათ, მაგრამ, ბებია, შეძლებისდაგვარად, არაფერს აკლებდა თავის ერთადერთ შვილიშვილს. თან, კარგად კერავდა და ძველი ტანსაცმლიდან ისეთ კაბებს უკერავდა, ლამის ყველაზე კარგად ჩაცმული დაჰყავდა. დედა ისეთი ლამაზი გოგო ყოფილა, ქუჩაში რომ გაივლიდა, ხალხი ჩერდებოდა და თვალს აყოლებდა. მომწონებელიც და ხელის მთხოვნელიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ ბებია სულ ხელჩაკიდებული დაჰყვებოდა ყველგან – როგორც თვითონ ამბობდა, ეშინოდა, ვინმე უბედურსა და უვარგისს არ გადაჰყროდა.

სკოლა რომ დაამთავრა, დედაჩემმა საბუთები უმაღლეს სასწავლებელში შეიტანა და პირველ გამოცდაზე რომ გავიდა, იქ ნახა მამამ პირველად. თვითონ უკვე ზრდასრული კაცი იყო, როგორც იტყვიან, ერთი ცხოვრება უკვე გამოვლილი ჰქონდა და ოჯახის შექმნაზეც სერიოზულად ფიქრობდა. დედაჩემი რომ უნახავს გამოცდაზე, იმის მერე მოსვენება დაუკარგავს. შემდეგ გამოცდებზეც მისულა, პირადად გასცნობია და გამოცდების დამთავრების შემდეგ სიყვარულიც აუხსნია. დედაჩემი ძალიან გამოუცდელი და გულუბრყვილო გოგო იყო, თავბრუ დაახვია სიმპათიური და შეძლებული მამაკაცის ყურადღებამ და თვითონაც შეუყვარდა. ბებიამისმა სასიძო რომ გაიცნო, მოეწონა და თანხმობაც უთხრა, მაგრამ გააფრთხილა: ჩემი ობოლი გოგო არ დამიჩაგრო, თორემ არ გაპატიებო. მამასაც პირობა მიუცია, ხელისგულზე ვატარებო და, მოკლედ, დაქორწინებულან.

მამაჩემი, თურმე, მართლა დედოფალივით აცხოვრებდა დედას იმ გაგებით, რომ არაფერს აკლებდა, ყველგან დაჰყავდა. მოსამსახურეებიც კი აუყვანა, რომ სახლის საქმეებით არ დაღლილიყო. ცალკე მანქანა უყიდა და მძღოლი მიუჩინა. აცმევდა უმაღლეს დონეზე, მის მეგობრებსაც თან ჰყვებოდა და ბებიასაც დიდ პატივს სცემდა (ეხვეწებოდა კიდეც, ჩვენთან იცხოვრეო, მაგრამ, რადგან ბებიამ კატეგორიული უარი უთხრა, ის პატარა ბინა გააყიდვინა, სამაგიეროდ კი თავის სახლთან ახლოს უყიდა ოროთახიანი ბინა და ყველანაირად აქცევდა ყურადღებას). მოკლედ, ერთი შეხედვით, დედაჩემი უბედნიერესი ქალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ყველაფერს ჩრდილავდა მამაჩემის ავადმყოფური, ზღვარს გადასული ეჭვიანობა, რის გამოც დედა ძალიან გამწარებული, დამცირებული და შეზღუდული იყო. ეს შეზღუდვები და აკრძალვები კი მამამ იმით დაიწყო, რომ პირველი კურსის დახურვის შემდეგ, ცოლს თავი დაანებებინა სწავლაზე მერე კი გამოუცხადა: მე ბევრი შვილი მინდა და ჩემი შვილები დედამ უნდა გაზარდოსო. დედა მერე, წლების შემდეგ მიხვდა, ბევრი შვილი ერთგვარი „ხერხი“ იყო საიმისოდ, რომ სულ სახლში მჯდარიყო. ავადმყოფურად ეჭვიანი კაცის „გათვლებით“, ქალს, რომელიც ყოველ წელიწადს მუცელგამობერილი ივლის, „გვერდზე გასახედად“ არ ეცლება. მოკლედ, ამ მოტივით, დედაჩემს ცხრა წელიწადში შვიდი შვილი გააჩენინა. მართალია, დამხმარე ქალი აუყვანა, მაგრამ დედა მაინც ისე იღლებოდა, ფეხზე დგომა უჭირდა და წესიერად ქმრისთვისაც ველარ იცლიდა, რომ ყურადღება მიექცია. ამიტომ, მამაჩემმა თვითონ დაიწყო გარე-გარე სიარული და ერთ დღესაც, ვიღაც ახალგაზრდა მეძავის გამო მიგვატოვა, სახლიდან წავიდა. მართალია, სახლი და მანქანა ჩვენ დაგვიტოვა და ფულსაც გვიგზავნიდა, მაგრამ, თვეში ერთხელაც აღარ მოდიოდა ჩვენს სანახავად. ერთხელ ქუჩაში შეგვხვდა მე და დედას და მაშინ უთხრა, შენგან იმიტომ წავედი, სოფლელ „დომრაბოტნიცას“ დაემსგავსე და შენთან ურთიერთობა საინტერესო აღარ არისო.

ჩვენი მიტოვებიდან ორი წლის შემდეგ, მამა დაბრუნდა და დედას ეხვეწა, მაპატიე და შემირიგდიო, მაგრამ დედა არ შეურიგდა. ჩვენ უკვე დიდები ვიყავით და ყველაფერში ვეხმარებოდით, მაგრამ მამა მაინც გვაკლდა. ბოლოს, ჩვენი თხოვნის შემდეგ, დედა მაინც შეურიგდა მამას და ახლა ყველა ერთად ვცხოვრობთ. მამა აღარ ეჭვიანობს და ცდილობს, დედას გული მოიგოს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდის. ვგრძნობ, რომ დედასთვის მამაჩემი აღარ არსებობს როგორც პიროვნება, როგორც მამაკაცი, მაგრამ, ჩვენი ხათრით ხმას არ იღებს და თავისთვის ჩუმად იტანჯება. ძალიან მინდა, დედას ცოტათი მაინც მოვუბრუნო გული მამაზე, მაგრამ, არ ვიცი, ეს როგორ გავაკეთო.

**მაშო, 17 წლის.**

## ჩემმა ძმამ თავისი სიყვარული დაიცვა

ჩემს ძმას, ნოდიკოს, ჰყავდა შეყვარებული და დაქორწინებასაც აპირებდნენ. მერე კი ისე მოხდა, ნოდიკო ჯარში წავიდა და ქორწილი ორი წლით გადადეს. მაიამ პირობა მისცა, რომ დაელოდებოდა, მაგრამ, ერთი წლის შემდეგ ვიღაც მდიდარი ბიჭი გამოჩნდა და მშობლებმა აიძულეს, თანხმობა ეთქვა. გოგოს რომ არ გადაეფიქრებინა, ოჯახმა ქორწილი დააჩქარა და ბედის ირონიით, სწორედ იმ დღეს, როცა ქორწილი იყო დანიშნული, ნოდიკო შვებულებით ჩამოვიდა. მან არაფერი იცოდა მაიკოს გათხოვების შესახებ. ერთი საათის მოსულიც კი არ იყო, მის სანახავად წასვლა რომ დააპირა და მხოლოდ მაშინ უთხრა ბებიამ, დღეს მაიას ქორწილია და იქ ნუ წახვალო. ჩემს ძმას ხმა არ ამოუღია, რამდენიმე წუთი ჩუმად იჯდა, მერე ადგა და სახლიდან გავარდა. ჩვენ გვეგონა, ბიჭებთან წავიდა გულის გადასაყოლებლად, ის კი, თურმე, მაიას სახლში მივიდა. სიძე და მაყრები ჯერ არ იყვნენ მისულები. ნოდიკო რომ დაინახა, მაიას მამა წინ გადაუდგა და სახლში არ უშვებდა, მაგრამ, ჩემმა ძმამ უთხრა: ნუ გეშინია, აყალმაყალს არ ვაპირებ, მხოლოდ ერთი კითხვა უნდა დავუსვა მაიას და მერე უკან დავბრუნდებიო. ოჯახი, იმის შიშით, რომ რამე უბედურება არ მომხდარიყო, დათანხმდა. ოღონდ, მაიას მამამ უთხრა, მეც უნდა წამოგყვე, უჩემოდ ჩემს შვილთან არ დაგალაპარაკებო. გამოიყვანეს უკვე საპატარძლოდ გამოწყობილი, აცრემლებული მაიკო და ჩემმა ძმამ ჰკითხა: არაფერს გაძალებ და არაფერს გავალდებულებ, ოღონდ გულწრფელად მითხარი, გიყვარს თუ არა შენი საქმრო და შენი სურვილით მიჰყვები თუ არაო. მაია ხმამაღალი ტირილით გამოიქცა ნოდიკოსკენ, ჩაეხუტა და უთხრა, მარტო შენ მიყვარხარ, და თუ იმ კაცს გამაყოლეს ცოლად, მთელი ცხოვრება უბედური ვიქნებიო. მაშინ, წამოდი ჩემთან და ჩემი ცოლი გახდიო, – უთხრა ნოდიკომ. მაია მაშინვე შევარდა თავის ოთახში, სასწრაფოდ გამოიცვალა ტანსაცმელი, გამოვიდა და გაოგნებულ მშობლებს უთხრა: მაპატიეთ, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცევიო, – და ჩემს ძმას გამოჰყვა სახლში.

ხომ წარმოგიდგენიათ, იქ რა მოხდებოდა. სასიძო რომ მივიდა მაყრებით და პატარძალი აღარ დახვდა, მოგვიცვივდნენ სახლში და ისეთი ამბავი ატყდა, კინაღამ ერთმანეთი დახოცეს კაცებმა. მაგრამ, მთელი სოფლის ბიჭები ნოდიკოს დაუდგნენ გვერდში და, როგორც იქნა, მოიგერიეს გაწბილებული სასიძო და მისი ხალხი.

მართალია, მაიას კარგა ხანს აღარ ელაპარაკებოდნენ მშობლები, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი მოგვარდა. ახლა კი ჩემს ძმასა და რძალს უკვე ორი შვილი ჰყავთ – ტყუპი ქალ-ვაჟი და ძალიან ბედნიერები არიან.

**მარიკა, 22 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# რას ეწირება ნათია გამცემლიძის ზაფხული და ვისთან გაატარა მან საუკეთესო წლები

**„მაესტროს" ტელესახე ნათია გამცემლიძე სამწლიანი ტაიმაუტის შემდეგ ტელეეკრანს წინასაარჩევნო თოქ-შოუთი დაუბრუნდა, თუმცა ამჯერად მცირე ხნით. ნათია ახალი პოლიტიკური გადაცემის სამზადისშია, რომელიც ახალ სატელევიზიო სეზონს გახსნის. შესაბამისად წინ ცხელი ზაფხული ელის. აუხდენს თუ არა ეს გადაცემა მამუკა ღლონტს წინასწარმეტყველებას, რაც მან ახალბედა ტელესახისთვის არ დაიშურა წლების წინ, ამას მომავალი გვიჩვენებს, დღევანდელ ინტერვიუში კი ნათია იმ ემოციებზე გვესაუბრება, რაც ამ ტელევიზიასთან აკავშირებს და იმასაც გვიმხელს, თუ ვინ არის მისი ყველაზე ერთგული და სანდო მედიაექსპერტი.**

**ნათია გამცემლიძე:** „მაესტროს" სამწლიანი ტაიმაუტის შემდეგ დავუბრუნდი, თუმცა, ბოლო ერთი წელი არ ვჩანდი ტელეეკრანზე. თოქ-შოუს გაკეთება და ეკრანზე ჩემი გამოჩენა ძალიან სწრაფად გადაწყდა. როცა მითხრეს, რომ სჭირდებოდათ დამატებითი პოლიტიკური თოქ-შოუ, რომლის წამყვანიც მე უნდა ვყოფილიყავი, ფიქრის საშუალებაც არ მომცეს, მიღირდა თუ არა ამხელა პაუზის შემდეგ ტელეეკრანზე დაბრუნება, თანაც – წინასაარჩევნოდ. ასეთი ფორმატის გადაცემას ბევრი დაძაბულობა ახლავს – დაძაბულია რესპონდენტიც, დაძაბული ხარ შენც, თუმცა, მაინც მივიღე გადაწყვეტილება. დებატის ფორმატში გადაცემის წაყვანა არ არის მარტივი. „სუბიექტური აზრი," რომელიც მე მიმყავდა ბოლოს შალვა რამიშვილთან ერთად, იყო სხვა ფორმატი. იმის მიუხედავად, რომ შალვა ჩემგან რადიკალურად განსხვავებული წამყვანია, ვფიქრობ, რომ ჩვენი ტანდემი შედგა. „სუბიექტური აზრი" ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პროექტია ჩემს კარიერაში. იმის მიუხედავად, რომ ყველა ჩემს გადაცემას ძალიან კრიტიკული თვალით ვუყურებ, თითოეული მათგანი დღეს ძალიან კარგად მახსენდება.



სასოწარკვეთილი წავედი „ქართული ოცნების" ოფისში, რომ „დაკარგული" სტუმრები დამებრუნებინა

**– როგორია შენი, როგორც თოქ-შოუს წამყვანის პროფესიული სტანდარტი მას შემდეგ, რაც ტელეეკრანს დაუბრუნდი?**

– მე მიმყავდა პოლიტიკური გადაცემა ექვსი წლის წინ, ეს იყო რადიო „უცნობის" პროექტი. მაშინ ასაკით პატარა ვიყავი და, შესაბამისად, მგონია, რომ ბევრი რამ მეპატიებოდა, მაშინ ვერც ვხვდებოდი ბევრ რამეს. ახლა გააზრებულად, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვუდგები გადაცემას. დღეს ჩემთვის მთავარია, მაყურებელმა არ დაინახოს, რომ რომელიმე თემაში არაკომპეტენტური ვარ. რასაკვირველია, შეუძლებელია, ზედმიწევნით სრულყოფილად ერკვეოდე ყველა იმ საკითხში, რაზეც, შეიძლება, რესპონდენტი საუბრობდეს, მაგრამ, გადაცემაზე მუშაობის დროს ყველაფერს ვაკეთებ, რომ მე თვითონ მქონდეს სრული ინფორმაცია იმ საკითხის შესახებ, რაზეც შეკითხვებს ვსვამ. ჩემი, როგორც წამყვანის მანერაზე გეტყვით, რომ, რატომღაც, ეთერში ვიღიმები – ეს თავიდანვე ასე იყო. მოვისმინე კრიტიკოსი მაყურებლის შეფასება: ეს გოგო იღიმება და მისი ღიმილი ცინიკურიაო, თუმცა, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ, პირიქით, ეს არის პოზიტიური. ყოველთვის ვცდილობ, გავითვალისწინო მაყურებლის აზრი, შეფასებები, მაგრამ, ამას ვერ შევცვლი, ეს არის ჩემი ბუნებრივი სტილი. არის აქცენტი იმაზეც, რომ მაქვს ემოციური ეთერი და ვსაუბრობ ხმამაღლა, ესეც ჩემი სტილიდან გამომდინარეობს. მქონია აკადემიური ეთერებიც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ისეთ ოპონენტებს შორის, რომლებიც ძალიან ხმამაღალი განცხადებებით გამოირჩევიან. ეთერშიც კი ვფიქრობ, რა უნდა გავაკეთო, რომ გადაცემა იყოს საინტერესო და მაყურებელმა სხვა არხზე არ გადართოს. დღეს ძალიან რთულია პოლიტიკური თოქ-შოუს აწყობა, იმის მიუხედავად, რომ ჩემთან მუშაობს ძალიან კარგი პროდიუსერების ჯგუფი. ხანდახან ჩვენც ალმოვჩნდებით ხოლმე ცაიტნოტში – ის იმასთან არ ჯდება ეთერში, ამას სხვა პრობლემა აქვს და ხშირად ვდგებით ასეთი ტექნიკური პრობლემების წინაშე. ამას წინათ მქონდა ასეთი შემთხვევა: როგორც იქნა, ავაწყვეთ არასაპარლამენტო ოპოზიციისა და მმართველი გუნდის დებატი, მაგრამ, გადაცემამადე რამდენიმე საათით ადრე სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ ვერ მოდიან. მე მივხვდი, რომ ეს იყო მმართველი გუნდის პიარის გადაწყვეტილება. მაშინვე ჩავსხედით მე და ჩემი პროდიუსერი მანქანაში და წავედით „ქართული ოცნების" ოფისში. ვიყავი აბსოლუტურად სასოწარკვეთილი. დიდი ამბების შემდეგ, როგორც იქნა, მივაღწიეთ იმას, რომ ეთერი არ ჩავარდნილიყო და „დაკარგული" სტუმრები დამებრუნებინა.

**– ბოლო პერიოდში „მაესტრო" განსაკუთრებით მწვავე პოზიციით გამოირჩევა და, შესაბამისად, არის კრიტიკა, რომ აკადემიური და გამოცდილი ჟურნალისტებიც კი გამოვიდნენ „ჩარჩოდან". როგორია შენი დამოკიდებულება ამის მიმართ?**

– ამ კრიტიკას ვერ დავეთანხმები, პირიქით, ჩვენ მთელი ცხრა წლის განმავლობაში მართლა ბეწვის ხიდზე გავდიოდით – კამერებს უმტვრევდნენ ჩემს კოლეგებს, უსწორდებოდნენ ფიზიკურად, ტელევიზიაში ბომბიც კი შემოგვიგდეს. ჩემი მეგობრები და კოლეგები შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს. ამ ყველაფრის შემდეგ, თუ ვინმეს ჰქონდა მოლოდინი, რომ დღეს ხელისუფლების ქება-დიდებას დავიწყებდით, ეს არის მცდარი. ჩვენ ყველამ ერთად ვნახეთ, რა მოიტანა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიამ" და, არა მგონია, რომ ვინმეს ქება კარგი და საინტერესო იყოს ჩვენი მაყურებლისთვის. მე ძალიან მადლობელი ვარ თინა ხიდაშელის, რომელმაც თქვა: „მაესტროს" ვალი არ არის, მე მაქოს და მადიდოს, პირიქით, მისი ვალია, გაგვაკრიტიკოს პოლიტიკოსები, თუ რამეს დავაშავებთო. იმის მიუხედავად, რომ დღეს მოქმედი ბევრი პოლიტიკოსი ჩვენთან ერთად იდგა ქუჩაში, როცა მედიის უფლების დაცვაზე იყო საუბარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვაკრიტიკოთ ისინი, თუ რეალობა კრიტიკას მოითხოვს. ჩემთვის „მაესტრო" იმდენად მნიშვნელოვანი და ძვირფასი თემაა, რომ მასთან დაკავშირებულ ხმებს იოლად ვერ აღვიქვამ. „მაესტროსთან" ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს, მქონია ძალიან სერიოზული შემოთავაზებები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალბედა ვიყავი და, ალბათ, არც ვიმსახურებდი ამ შემოთავაზებებს. მე გავუძელი ამ ცდუნებებს იმ პერიოდში, როცა „მაესტროს" ურთულესი წლები ჰქონდა. ტელევიზია ოთხ კედელში, მწირი ტექნიკური შესაძლებლობებით მუშაობდა. რადიო „უცნობისა" და გია გაჩეჩილაძის დამსახურებაა, რომ მე ქართულ ტელესივრცეში გამოვჩნდი. გია გაჩეჩილაძემ და ბასა ჯანიკაშვილმა განსაზღვრეს ჩემი გზა, როცა „მაესტროსთან" ერთად ძალიან საინტერესო პროექტის განხორციელება დაიწყეს და მე შემომთავაზეს, ვყოფილიყავი ამ პროექტის წამყვანი. ეს იყო რისკიანი ექსპერიმენტი – მე არანაირი გამოცდილება არ მქონდა, ჩართვების გარდა და, ცუდად რომ გამომსვლოდა, ჩემზე, უცნობ სახეზე, არავინ არ იტყოდა არაფერს, მათზე კი იტყოდნენ, ამ გამოცდილ და ნიჭიერ ხალხს ეს როგორ დაემართათო. მახსოვს, პირველი გადაცემის შემდეგ მამუკა ღლონტმა მითხრა, შენ დიდი მომავალი გაქვს სატელევიზიო სივრცეშიო *(იცინის)*. ჩემს სატელევიზიო კარიერაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით მამუკა ღლონტს, მაკა ასათიანს, მთელ ამ გუნდს; რომ არა მათი და ამ ტელევიზიის მხარდაჭერა, მე, ალბათ, ვერ შევძლებდი ბევრი რამის გაკეთებას.

**– როგორ გადაიტანე ტაიმაუტი, როცა არ იყავი ტელევიზიაში?**

– ის პერიოდი ძალიან ცუდად გადავიტანე. სამ წელიწადში ორი შვილი გავაჩინე. მეორე შვილი გავაჩინე თუ არა, ორ-სამ თვეში გავედი სამსახურში. რასაკვირველია, საეთეროდ ვიზუალურად არ ვიყავი მზად, ამისთვის სამთვიანი სასტიკი შიმშილი და მომატებული კილოგრამების მოშორება დამჭირდა. ჩემი რეჟიმიდან გამომდინარე, ვარჯიშს ვერ ვახერხებდი და დიეტას მივენდე. წლების განმავლობაში ძალიან აქტიური რეჟიმი მქონდა, ჩემი ოჯახის წევრებს ვერ ვხედავდი ისე ხშირად, როგორც რადიო „უცნობისა" და „მაესტროს" თანამშრომლებს. მათთან ერთად გაიარა ჩემმა საუკეთესო წლებმა. როცა შევქმენი ოჯახი და გამიჩნდა შვილები, ძალიან გამიჭირდა ძველ რეჟიმში დაბრუნება. დღეს ჩემი ოჯახის წევრები ძალიან მიწყობენ ხელს. ეთერის დღეს დილის 10 საათიდან ღამის პირველ საათამდე სამსახურში ვარ, ამ ორ დღეს თავი მაქვს გადადებული, მაგრამ, ეს ყველას ესმის – იციან, რომ ჩემი საქმე ძალიან მიყვარს. სულ ვცდილობ, ისე გადავანაწილო დრო, რომ დავიცვა ბალანსი, არ მოვაკლო ყურადღება ბავშვებს, მაგრამ, ეს ხან გამომდის, ხან – არა.

**– მეუღლე ამ რეჟიმს მშვიდად იღებს?**

– როცა მითხრეს, გადაცემა უნდა წაიყვანოო, ორი წუთით გავედი ოთახიდან, დავურეკე ჩემს მეუღლეს და ვუთხარი, უარს ვერ ვამბობ, უნდა დავთანხმდე-მეთქი. ლევანს გაეცინა. ის გაგებით ეკიდება ჩემს დატვირთულ რეჟიმს, თუმცა, ქართულ მედიასივრცეში დიდად ჩახედული არ არის. სხვათა შორის, როცა ვამთავრებ გადაცემას, პირველი, ვისი აზრიც მაინტერესებს და ვისაც ვურეკავ, არის ჩემი მამამთილი, მასზე კომპეტენტური მე-

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

# ხშირად დასმული კითხვები და მათზე პასუხები

## 1. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა საქართველოს ეკონომიკურმდგომარეობაზე?

საქართველოს ნახავს მნიშვნელოვან სარგებელს ახალი სავაჭრო შესაძლებლობებითა და მსოფლიოს უდიდეს ბაზართან მარტივი წვდომით. გაიზრდება უცხოური ინვესტიციები, ქართული პროდუქციის ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და ექსპორტი. შედეგად შეიქმნება ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები, აიწევს ცხოვრების დონე.

## 2. შეძლებენ თუ არა ქართული კომპანიები ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების დაკმაყოფილებას?

ევროკავშირის სტანდარტებზე გადასვლა განხორციელდება ეტაპობრივად, რამდენიმე წლის განმავლობაში. მწარმოებლების ხარჯები რეალურად იქნება ინვესტიცია უკეთესი პროდუქციის გამოსაშვებად, რაც მომავალში დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცევა. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს შესაბამისი რეფორმების განხორციელებაში.

## 3. გამოიწვევს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოდან შრომითი რესურსების გადინებას?

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას მიგრაციასთან დაკავშირებულ სფეროებში რეფორმების განხორციელების შემდეგ. უვიზო მიმოსვლა არ აძლევს საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირის ქვეყნებში მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების უფლებას.

## 4. წარმოადგენს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმება საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების გარანტიას?

შეთანხმება ღიად ტოვებს და ამავე დროს არ გამორიცხავს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების საკითხს. შეთანხმებაში აღიარებულია ქვეყნის ევროპული მისწრაფებები და არჩევანი. ხაზგასმულია, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა. შეთანხმება შეუქცევად ხასიათს აძლევს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს.

## 5. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოს კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე?

ევროკავშირის სიძლიერე და მიმზიდველობა სწორედ მის კულტურულ მრავალფეროვნებაშია. ევროკავშირი ეხმარება წევრ ქვეყნებს კულტურული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში ქართული კულტურული მიღწევებისა და უნიკალურობის პოპულარიზაციას.

## 6. უქმნის თუ არა საფრთხეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება მართმადიდებლობას და დაკნინდება თუ არა ქართული ეკლესიის როლი?

შეთანხმება ეფუძნება საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნების ისეთ საერთო ისტორიულ და ქრისტიანულ ღირებულებებს, როგორიცაა შემწყნარებლობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და თანასწორობა. ხსენებული საფრთხეები არ შექმნილა ევროკავშირის წევრ მართმადიდებლურ საბერძნეთში, კვიპროსში, რუმინეთსა და ბულგარეთში.

## 7. აიძულებს თუ არა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, დაუშვას ერთსქესიანთა ქორწინება?

ერთი სქესის ადამიანთა ქორწინება არ წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების ან ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნას. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა არ ცნობს მსგავს ქორწინებას და მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ის კონსტიტუციით არის აკრძალული.

## 8. შეუშლის თუ არა ხელს საქართველოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან?

საქართველოს რჩება შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს საკუთარი სავაჭრო პოლიტიკა. შეთანხმება აძლევს საქართველოს საშუალებას შეინარჩუნოს და განავრცოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

## 9. ხომ არ გართულდება ევროკავშირის არა-წევრ ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტი?

ქართული კომპანიები, რომლებიც ევროკავშირის არა-წევრი ქვეყნების ბაზრისთვის აწარმოებენ პროდუქციას, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც შეძლებენ ექსპორტის დაუბრკოლებლად განხორციელებას.

## 10. ნიშნავს თუ არა ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელება, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე უარის თქმას?

შეთანხმების მიხედვით ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის აქტიურ ჩართვას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. შეთანხმება ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მისი გამოყენება ოკუპირებულ რეგიონებში დაიწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა შეძლებს ამ ტერიტორიებზე მის განხორციელებას.



# რა უკიდურესობამდე შეიძლება მიიყვანოს ქალი მამაკაცის ყურადღებამ

**ქალების უმრავლესობა მამაკაცის მხრიდან უყურადღებობას უჩივის – ძალიან ბევრ წყვილს ურთიერთობაში პრობლემა სწორედ ამის გამო უჩნდება. მამაკაცები ბრალს სდებენ ქალებს იმაში, რომ ზედმეტად პრეტენზიულები, ჭირვეულები და მომთხოვნები არიან, ხოლო ქალებს მუდმივად ყურადღების მოთხოვნილება აქვთ. ამაში არაფერია არაბუნებრივი – ქალს შინაგანად აქვს სურვილი, მასზე ვიღაც ზრუნავდეს, უვლიდეს და ანებივრებდეს... თუმცა, არსებობენ სხვანაირი ქალებიც, რომლებსაც მამაკაცის ყურადღება არაფერში სჭირდებათ და პრობლემებიც კი ექმნებათ ამის გამო...**

ირინა *(27 წლის):* ზოგჯერ გულწრფელად მეცოდებიან მამაკაცები. გაუგებარია, ვინ დაარქვა მათ „ძლიერი სქესი". აბსოლუტურად უსუსურები არიან, როცა საქმე ლოგიკას და აზროვნებას ეხება. მარტო მუშტებზე იყურებიან და ეს ჰგონიათ გამოსავალი. ძალიან ადვილია მათ გრძნობებზე თამაში. პრინციპში, ასეც უნდა მოიქცე, იმიტომ რომ, როცა გულწრფელი ხარ და სიყვარულს არ მალავ, კაცს ეს თავში უვარდება. თქვენც ხომ იცით, რამდენი ქალია უბედური იმის გამო, რომ, მეუღლე თუ შეყვარებული საკმარის ყურადღებას არ აქცევს. შეყვარებულობის პერიოდში კიდევ რა უშავთ, მაგრამ, საკმარისია, ცოლად დაიგულონ, რომ საერთოდ „ფეხებზე" იკიდებენ – ეს არის ფაქტი, რომელზეც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს.

**– ამაში ქალებიც ხომ არ არიან დამნაშავენი?**

– მე რომ ახლა ეს ვთქვა, ანუ დაგეთანხმოთ, მამაკაცები მაშინვე სიხარულით აიტაცებენ და ნიშნსაც მოგვიგებენ: დიახაც, თქვენი საქციელის გამო ვხდებით გულგრილები და უყურადღებოებიო. არადა, თავად ვერ გაუგიათ, რა უნდათ. ძნელად შეხვდებით კაცს, რომელმაც იცის, როგორ გაუგოს ქალს.

**– ქალმა იცის, როგორ გაუგოს კაცს?**

– უმრავლესობამ იცის, დამიჯერეთ. თუ ვინმე ვერ აკეთებს ამას, ეს უკვე მისი სისულელის ბრალია. იმიტომ, რომ კაცი ქალთან შედარებით უმარტივესი არსებაა. რა უნდა მის გაგებას და მერე დაბნევას?! – არაფერი. მთავარია, მოინდომო და შენს ჭკუაზე ატრიალებ. მე უკვე ვიცი, ეს როგორ კეთდება. სანამ კაცთან გულწრფელი ვიყავი, ის ჩემს მანიპულირებას ცდილობდა. არ ვიყავი არც ბედნიერი და არც კმაყოფილი.

**– ურთიერთობა უნდა იგებოდეს გულწრფელ დამოკიდებულებასა და ნდობაზე – მხოლოდ ამ შემთხვევაშია ის მყარი.**

– არ დაიჯეროთ ეგ სულელური სტერეოტიპი. ჩვენ, ადამიანებს, ყველა ვარიანტში გვიწევს თამაში და ამის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება. ბოლომდე გულახდილი საკუთარ თავთან არ ვართ და პარტნიორთან როგორ ვიქნებით? სულ ხდება რაღაც ისეთი, რისი დამალვაც გიწევს. დამეთანხმეთ, რომ ასეა. საკმარისია, კაცს ბოლომდე გაეხსნა, რომ მაშინვე დაკარგავს ინტერესს შენ მიმართ – ასეთები არიან და ვერაფერს იზამ. იმდენი ჩემი ახლობელი ქალი მინახავს ზედმეტი გულწრფელობის გამო ატირებული, რამდენიც გინდათ. წელიწად-ნახევარი მეც ნერვებს მიშლიდა ჩემი ქმარი, ლამის ფსიქიკურ აშლილობამდე მიმიყვანა. ჯერ აჩრდილივით დამდევდა უკან, მერე კი როცა ჩემგანაც მიიღო პასუხი გრძნობაზე, აიშვა – დღეები გავიდოდა, არ დამირეკავდა.

**– მაინც გაყევით ცოლად?**

– დიახ, იმიტომ, რომ მის გარეშე ცხოვრება ველარ წარმომედგინა. თვითონაც მეუბნებოდა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთო, თუმცა, ელიმებოდა, როცა უყურადღებობაზე ვწუწუნებდი. ცოლად იმ აზრით არ გავყოლივარ, რომ „გადავაკეთებდი". უბრალოდ, იმას ვფიქრობდი, მის გვერდით ვიქნები და მეტი აღარაფერი მენდომება-მეთქი. არ ყოფილა ასე. გვერდით მყოფი ადამიანისგან უფრო გინდა, თურმე, ყურადღება და

**საკმარისია, კაცს გაეხსნა, რომ მაშინვე დაკარგავს შენ მიმართ ინტერესს – ასეთები არიან, ვერაფერს იზამ**

განებივრება... გათხოვების შემდეგ უარესი დამემართა – ქმრისგან უყურადღებობა უფრო მძიმე ყოფილა. ლამის დეპრესიაში ჩავვარდი. მიშველა იმან, რომ ჩემს ცხოვრებაში მოულოდნელად გამოჩნდა მამაკაცი, რომელმაც ყურადღებით ლამის დამახრჩო. შემთხვევით გავიცანი ჰიპერმარკეტში. ქმრის სიცივით გულნატკენს, ბოლო დროს ჰობი გამიჩნდა – ჩემთვის ახალი ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ნივთების ყიდვა – ამით ვირთობდი და ვინუგეშებდი თავს. ჰოდა, კაბას ვისინჯავდი, მამაკაცის აღფრთოვანებული მზერა რომ ვიგრძენი. მივიხედე, საკმაოდ სიმპათიური, ასე, ორმოც წლამდე ასაკის კაცი მიღიმოდა. ძალიან გიხდებათ. რომ არ იყიდოთ, დანაშაული იქნებაო. ძალიან მესიამოვნა. იმდენი ხანი იყო, არ მღირსებია ქმრისგან კომპლიმენტი, რომ ფრთები შემასხა ამ ელემენტარულმა ყურადღებამ. ყავაზე დამპატიჟა. მაშინვე დავთანხმდი. ჩავთვალე, რომ ცუდს არაფერს ვაკეთებდი. პირიქით, ვიფიქრე, რომ ფლირტი სხვა კაცთან, ჩემი და ჩემი ქმრის ურთიერთობას მხოლოდ წაადგებოდა.

**– კარგად ვერ გავიგე...**

– გეტყვით. მამაკაცის ყურადღება ქალისთვის ჟანგბადივით არის – უფრო თავდაჯერებული ხდება, რაც სიხარულით ავსებს და ცხოვრება უხალისდება. რობოტები ხომ არ ვართ, რომ ელემენტარული სითბო არ გვჭირდებოდეს! ყოველ დილით მომდიოდა მესიჯი – ბედნიერ დღეს მისურვებდა; საღამოს კი – ძილი ნებისას. მე უკვე ამ მესიჯების მოლოდინით ვცხოვრობდი და გათენება მიხაროდა. თუ ვხვდებოდით, აუცილებლად ჰქონდა ჩემთვის საჩუქარი – პატარა სუვენირი, ვარდი ან ძვირფასი სუნამო. ამ ყველაფერს ისე ლამაზად და ბუნებრივად აკეთებდა, უკვე ყველაფრისთვის ვიყავი მზად, ოღონდ კი ეს ურთიერთობა არ დამეკარგა.

**– თქვენს თაყვანისმცემელს ჰყავდა მეუღლე?**

– არა, გაშორებული იყო. მე არ დავინტერესებულვარ, რა იყო მისი ოჯახის დანგრევის მიზეზი – სერიოზულად არ ვფიქრობდი მასთან ურთიერთობაზე.

**– ქმარიც გინდოდათ შეგენარჩუნებინათ და საყვარელიც?**

– ის არ იყო ჩემი საყვარელი, თუმცა, თუ თვითონ გამოთქვამდა სურვილს, მე საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა, ვაღიარებ. მაგრამ, მართლა ძალიან დელიკატური და წინდახედული იყო.

**– იცოდა, რომ გათხოვილ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა?**

– დიახ, რა თქმა უნდა, მე არ დამიმალავს მისთვის. მართლა არ მინახავს ასეთი ყურადღებიანი კაცი. ამხელა დოზით ყურადღება არასდროს, არავისგან მიგრძნია. ისეთი ფრთაშესხმული დავდიოდი, ქვეყანა ჩემი მეგონა. გავლაღდი და გავხალისდი. ჩემმა ქმარმაც კი იგრძნო, რომ შევიცვალე და ეჭვის თვალით დამიწყო ყურება.

**– თქვენს თაყვანისმცემელთან გქონდათ ქმარზე საუბარი? ანუ, იმაზე, რომ უყურადღებო იყო და ამით პრობლემას გიქმნიდათ?**

– არც ერთხელ. გაგიკვირდებათ, მაგრამ, მასთან ქმარს საერთოდ არ ვახსენებდი. ერთმანეთის გვერდით ისე კომფორტულად ვგრძნობდით თავს, რომ ორივე ვერიდებოდით საუბარს უსიამოვნო თემებზე.

**– ქმარი უსიამოვნო თემაა?**

# როგორ იპოვა გროზნოში მცხოვრებმა კაცმა თავისი ჯარის მეგობარი საქართველოში და სად აპირებენ ისინი შეხვედრას

***45 წლის ალიკ მუსას ძე ტოვსულტანოვი ეძებდა 44 წლის ზაზა მუმლაძეს.***

**ისტორია**: ვეძებ ჯარის მეგობარს – 44 წლის ზაზა მუმლაძეს. მე და ზაზამ ერთმანეთი ჯარში მსახურობის დროს გავიცანით, მაშინვე დავახლოვდით და ის ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. სამწუხაროდ, ზაზა სამშობლოში დაბრუნებისთანავე დავკარგე. მაქვს ერთად გადაღებული ფოტო. ძალიან გთხოვთ, მაპოვნინოთ ჩემი მეგობარი.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია რუბრიკა „დაკარგულებში", „თბილისელების" №10-ში (10.03.14-16.03.14) დაიბეჭდა. აღსანიშნავია, რომ ზაზა მუმლაძე იმ დღესვე ვიპოვეთ, მაგრამ, დაკარგული მეგობრის პოვნა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ალიკ ტოვსულტანოვთან მისი დაკავშირება. ზუსტად ორი თვე მოუწია ნაპოვნ ზაზას ლოდინი, სანამ ის ჯარის ამხანაგს დაუკავშირდებოდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ განმცხადებელმა, ანუ, ალიკ ტოვსულტანოვმა ტელეფონის ნომერი შეიცვალა და მისი მოძებნა თითქმის ხელახლა დამჭირდა. დანარჩენს კი მკითხველი ინტერვიუებიდან თავად შეიტყობს.

***ინტერვიუ ნაპოვნ ზაზა მუმლაძესთან:***

**– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ ჩეჩნეთიდან გეძებდნენ? თავად თქვენ თუ ეძებდით ჯარის მეგობარს?**

– როდესაც სტატია წავიკითხე, ძალიან გამიხარდა, რადგან, მე და ალიკა მართლაც ვმეგობრობდით. მეც მინდოდა ალიკას პოვნა და მასთან დაკავშირება, მაგრამ, მისი მოძებნა არ მიცდია – არ ვიცოდი, ეს როგორ უნდა მომეხერხებინა. ალიკამ მაჯობა და პირველმა გადადგა ეს ნაბიჯი. როგორც გავიგე, მან თავისი განაცხადი „ჟდი მენიას" სამძებრო საიტზე განათავსა, საიდანაც ეს ამბავი თქვენ გადმოგიგზავნეს. „ჟდი მენიას" თავისი წესები ჰქონია და მე კარგახანს მომიწია ლოდინი, სანამ ისინი გადაწყვეტდნენ ჩვენი ისტორიის ბედს. თქვენ რომ ისინი არ აგეჩქარებინათ, ალბათ, დღესაც მოლოდინის რეჟიმში ვიქნებოდი. ამას დაემთხვა ის გარემოებაც, რომ ალიკამ შეცვალა თავისი ტელეფონის ნომერი და ვერ ვუკავშირდებოდი. მადლობელი ვარ თქვენი, რომ მეგობართან დამაკავშირეთ ყველა დაბრკოლებისა და სირთულის მიუხედავად. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეგობარი, რომელიც ბოლოს 1987-1988 წლებში ვნახე, კვლავ ჩემ გვერდითაა, ანუ, ჩვენ უკვე გვაქვს ერთმანეთთან კავშირი და ახლო მომავალში ერთმანეთს ვნახავთ კიდეც, რადგან, ალიკა საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს.

***ინტერვიუ ალიკ ტოვსულტანოვთან.***

**– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ თქვენი მეგობარი ნაპოვნია?**

– იმ მომენტში, როდესაც დამიკავშირდით და ეს ამბავი მითხარით, ქუჩაში ვიყავი და, ისე დავიბენი, არ ვიცოდი, რა მექნა. ძალიან გამიხარდა, ზაზა რომ მაპოვნინეთ. სამწუხაროდ, სანამ ბელორუსიაში ვცხოვრობდი, გარდამეცვალა ჯარის ორი მეგობარი. მათ ზაზაც იცნობდა, რადგან, ჩვენ ყველანი ვმეგობრობდით. მაგრამ, მე ვიპოვე კიდევ ერთი ჩვენი საერთო მეგობარი ჯარიდან, რომელთან ერთადაც ვგეგმავ ახლო მომავალში საქართველოში ჩამოსვლას და ზაზას პირადად მონახულებას. ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრა ზაზას ოჯახში მოხდება. დიდი ბედნიერებაა ჩემთვის მისი პოვნა. უკვე ამდენი წელია გასული, რაც ჯარი მოვიხადეთ, მაგრამ, ზაზა დღემდე ჩემი საუკეთესო მეგობარია და ის არც ერთი წუთით არ დამვიწყებია. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთ მოკლე დროში ერთმანეთს ვიპოვიდით – ბოლოს ხომ ერთმანეთი ფრენის ბატალიონში, როსტოვის მხარის ქალაქ ბატაისკში, 1987-1988 წლებში ვნახეთ. ახლა შეხვედრას ვგეგმავთ. საქართველოს ყოველთვის ვაფასებდი და შორიდან მიყვარდა თქვენი სამშობლო. იმედი მომეცა, რომ ჩამოვიდე და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ. ჩემი აზრით ჩეჩნები და ქართველები ვგავართ ერთმანეთს, უბრალოდ, რელიგიური მრწამსი გვაქვს განსხვავებული. პოლიტიკოსთა ოინებს კი, მიმართულს ჩვენი დაშორებისკენ, არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები. 20 ივნისს ჩამოვდივარ საქართველოში და, როგორც იქნა, ამდენი წლის შემდეგ შევხვდები ჩემს მეგობარს. დიდ მადლობას გიხდით იმისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

# ყურადღება არ მღირსებია ჩემი ქმრისგან და ფრთები შემასხა ელემენტარულმა კომპლიმენტმა. მგრემე დავთანხმდი შეხვედრაზე

– აბა, რა! ის ხომ ბარიერი იყო ჩვენ შორის. თქვენ ფიქრობთ, რომ ის კაცი ვერ ხვდებოდა, მისი ყურადღებით განებივრებული და თავბრუდახვეული, რაზე ვიყავი წამსვლელი? სულელი ნამდვილად არ იყო, პირიქით, ასეთი მიხვედრილი, მგრძნობიარე, ფაქიზი ადამიანი ქალიც არ მინახავს, არათუ კაცი. საათობით შეეძლო, ჩემთვის მოესმინა. სიზმარიც რომ მომეყოლა, რაღაც აბდაუბდა, მაინც წარბშეუხრელად მისმენდა და უსიტყვოდ მეალერსებოდა ხელზე.

**– არ ფიქრობთ, რომ ბოროტად იყენებდით მის კეთილგანწყობას თუ გრძნობას? რეალურად ხომ ვერაფერს მისცემდით მას? ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?**

– დიახ, ვხვდები. მაგრამ, ის არაფერს ითხოვდა, თორემ, როგორც უკვე გითხარით, უფრო ახლო ურთიერთობისთვისაც მზად ვიყავი. გულის ფორმის ბეჭედი რომ მაჩუქა, ვიგრძენი, რომ ქმრის მიმართ ჩემი დიდი გრძნობისგან ნამცეცებიღა იყო დარჩენილი და ამან შემაშინა. ანუ, ზუსტად ისე შემაშინა ამ კაცის მხრიდან დიდმა ყურადღებამ, როგორც ჩემი ქმრის უყურადღებობა მაშინებდა. მივხვდი, რომ ის აშკარად არ ცდილობდა ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენას – არ სჭირდებოდა ეს, რადგან, ჩვენი ურთიერთობა სუფთა იყო და უანგარო, ძალდაუტანებელი და მხოლოდ სიხარულის მომტანი.

**– თქვენ რა იცით, რომ თქვენგან უფრო მეტის მიღების სურვილი არ ჰქონდა?**

– ვიცი. მითხრა, მე არაფერს დაგაძალებ, მაგრამ, თუ შეგიყვარდები და გადაწყვეტ, რომ ქმრისგან წამოხვიდე, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი და შენი ბედნიერებისთვის ყველაფერს გავაკეთებდიო.

**– მაინც ვერ მიატოვეთ ქმარი?**

– ვერა. არ ვიცი, რატომ არ გადავდგი ეს ნაბიჯი. შემეცოდა? – შეიძლება, ასეც იყო. ყოველ შემთხვევაში, როცა არჩევნის წინაშე დავდექი, ქმართან დარჩენა ვამჯობინე და ჩემს არაჩვეულებრივ თაყვანისმცემელს სამუდამოდ დავემშვიდობე. მძიმე გადაწყვეტილება იყო, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ სამართლიანი. მაინც რაღაც მოვალეობას ვგრძნობდი ქმრის წინაშე. ასე ხელაღებით ვერ დავანგრევდი ოჯახს. არ ვიცი, ამ ურთიერთობით მიღებული „დოპინგი" რამდენ ხანს მეყოფა. თუმცა, ვიტყვი იმასაც, რომ ჩემი ქმარი რაღაცნაირად გააქტიურდა – ისეთი უყურადღებო და გაფანტული აღარ არის. ვნახოთ, რა იქნება. თორემ, მისგან წამოსვლას ყოველთვის მოვასწრებ. ვიტყვი იმასაც, რომ ქმრების უყურადღებობა ცოლებისთვის სერიოზული პრობლემაა და, შეიძლება ითქვას, ძალადობის ერთგვარი ფორმაც.

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ბოლო დროს ვამჩნევ, რომ ჩემს ქმარს ახალგაზრდა გოგონებისკენ გაურბის თვალები. ძალიან გამოიცვალა. ორმოცდახუთი წლის არის და თინეიჯერი ბიჭივით ცანცარებს. საშინელი საყურებელია. სასაცილო და გამაღიზიანებელი, მაგრამ მე უკვე აღარ მეცინება. ეტყობა, მიიჩნევს, რომ მეტისმეტად ბებერი ვარ მისთვის. როგორ მოვიქცე, არ ვიცი. იმ ტიპის არ ვარ, ჩუმად ავიტანო შეურაცხყოფა. როგორ შევინარჩუნო ოჯახი და რა მოვუხერხო ჩემი ქმრის „ჭაბუკურ ალტკინებას"?**

**გამოხმაურება**: საშუალო ასაკი მამაკაცების უმრავლესობას მძიმედ გადააქვს. კარგავენ კეთილგონიერებას, საღი განსჯის უნარს და მზად არიან, ქვეყანას დაუმტკიცონ, რომ ჯერ კიდევ ფორმაში არიან თუნდაც ამისთვის სისულელეების ჩადენა და ქორწინების სასწორზე დადება გახდეს საჭირო. თუ გსურთ ოჯახი შეინარჩუნოთ, მეტი ყურადღება და სიფხიზლე გმართებთ. შესთავაზეთ სიახლე. არ მოიქცეთ ისე, როგორც ყოველთვის იქცეოდით მასთან ურთიერთობაში. იზრუნეთ სტილზე, გარეგნობაზე. არ მოაწყოთ ქარიშხალი ცარიელ ჭიქაში, მაგრამ არც მოდუნდეთ. ქმარმა უნდა იფიქროს, რომ შეიძლება, ცოლი „ტვირთია", მაგრამ ძვირფასი ტვირთი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ზიდოს!

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

# ვინ არ აძლევს არასდროს ეჭვიანობის საბაბს ნათია წიწილაშვილს და რატომ არ ვარდება ის დეპრესიაში

**სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" მაყურებელს კვლავ ანებივრებს ახალი პერსონაჟებითა და მათი ისტორიებით. მიმდინარე სეზონში სერიალში გამოჩნდა ახალი ოჯახი, რომლის ერთ-ერთი წევრი თამთა, დღეს ჩვენი რესპონდენტია. ნათია წიწილაშვილი მაყურებელმა ჯერ კიდევ წლების წინ გაიცნო. მონაწილეობდა სერიალში „ჩიფსების თაობა," შემდეგ „ჩვენი ოფისი." ასევე გადაღებულია „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს" ორივე ფილმში. მართალია ნათია საკმაოდ დიდ ხანს არ ჩანდა ეკრანზე, თუმცა როგორც თავად აღნიშნა საუბრისას, ის ამ დროის განმავლობაში სულ მუშაობდა.**

**– საკმაოდ დიდი ხანი არ ჩანდი ეკრანზე. ახლა კი სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" გამოჩნდი. თამთას როლს ასახიერებ, რომელიც ცოტა საწყალი და თითქოს დაჩაგრული რძალია ოჯახში.**

– საწყალი, მაგრამ მთალად საწყალიც არ არის. უბრალოდ თავისი უტაქტო საქციელით ცდილობს პროტესტი გამოხატოს ორი მიგერა დედამთილის მიმართ. როგორც ვხვდები, თამთა საკმაოდ კარგად აღზრდილი გოგოა და არა უზრდელი და უტაქტო, როგორიც სერიალში ჩანს. რადგან არ ეძლევა საშუალება სიტყვიერად დააფიქსიროს თავისი აზრი, ან შეეპასუხოს „დედამთილებს," ამიტომ დივანზე დახტომებით და მსგავსი ქცევებით გამოხატავს პროტესტს.

**– რა ხდებოდა შენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც სერიალი „ჩვენი ოფისი" დამთავრდა?**

– მე და გიორგი (მეუღლე) რამდენიმე თვე რადიო „ქალაქში" ვმუშაობდით, მერე პარიზში ვიყავი. Vineyardfilms-თან ვთანამშრომლობდი, სამ რეკლამაზე ვიმუშავე, რომლებიც უცხოეური ბაზრისთვის დამზადდა. ეკრანზე არ ვჩანდი, თორემ ისე სულ ვმუშაობდი.

**– „ჩემი ცოლის დაქალებში" შენს გამოჩენას რაც შეეხება?**

– სერიალის პროდიუსერმა, გიორგი ნაზარიშვილმა დამირეკა და შემომთავაზა თამთას როლი. სიამოვნებით დავთანხმდი – ვის არ უნდა ასეთ პოპულარულ სერიალში მონაწილეობა?!

**– მაყურებელს კარგად ახსოვს ის სერიალები, რომლებიც წლების წინ გადიოდა ეთერში – ეს იყო „ჩიფსების თაობა" და „ჩვენი ოფისი." მაყურებელს, ასევე, კარგად ახსოვს შენი გათხოვებაც – დაქორწინდი გიორგი კალანდაძეზე, რომელიც სერიალშიც შენს ქმარს თამაშობდა.**

– კი, ასეა, მაგრამ ეს იმან არ გამოიწვია, რომ, რადგან სერიალში ვთამაშობდით ცოლ-ქმარს, ამიტომ შეგვიყვარდა ერთმანეთი. პირველი წელი საერთოდ არანაირი კონტაქტი არ მქონია გიორგისთან, მხოლოდ „გამარჯობა-ნახვამდის" ფარგლებში ვიყავით. მეორე წელს დავმეგობრდით, მერე ერთმანეთი შეგვიყვარდა და მერე დავოჯახდით. ეს ყველაფერი, უბრალოდ, დამთხვევა იყო, მეტი არაფერი.

**– დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებელი ადრეც და ახლაც გცნობს.**

– ჩემს პერსონაჟს (თამთას) ყველა გულშემატკივრობს. რას გიშვრება ეს საშინელი ოჯახიო, – მეუბნებიან. რაღაც მომენტში, მეგონა, რომ ჩემი ძველი პერსონაჟი, ნინი ემახსოვრებოდა მაყურებელს, მაგრამ, თამთამ ნინი კარგად ჩაანაცვლა.



არ გავყვებოდი ცოლად გუგასნაირ ბიჭს. თუ გავყვებოდი და ასეთი დედამთილები მეყოლებოდა, არ გავჩუმდებოდი და რაღაცას აუცილებლად ვიტყოდი. მე მაინც მგონია, რომ თამთასთან არანაირი კავშირი არ მაქვს

**– რით ჰგავხართ შენ და თამთა ერთმანეთს და რით – არა?**

– თამთასნაირად არ გამოვთქვამდი პროტესტს, არ გავყვებოდი ცოლად გუგასნაირ ბიჭს. თუ გავყვებოდი და ასეთი დედამთილები მეყოლებოდა, არ გავჩუმდებოდი და რაღაცას აუცილებლად ვიტყოდი. მე მაინც მგონია, რომ თამთასთან არანაირი კავშირი არ მაქვს. გოგო, რომელიც ყველაფერს ყლაპავს, ფეხებზე ჰკიდია რას ეუბნებიან და მხოლოდ მაშინ გამოხატავს აღშფოთებას, როცა ეუბნებიან, რომ სანზონელია, ჩემთვის ცოტა არარეალურია. ის ვითომ „მოსვეცკო," მაგრამ, ალბათ, რაღაც დოზით ცოტა გოიმია.

**– რაც შეეხება შენს რეალურ ოჯახს? მული არა მხოლოდ სერიალში გყავს...**

– სერიალისგან განსხვავებით, რეალურ ცხოვრებაში, ორი მული მყავს, ორივესთან ვმეგობრობ და რძალ-მულის ურთიერთობა ნამდვილად არ გვაქვს. ასევე, ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს დედამთილთან – რაც მთავარია, ძალიან ახლოს ვართ. როგორც დედაჩემს დაველაპარაკები, ისევე ველაპარაკები ჩემს დედამთილსაც და, ზუსტად ისე ვარ ჩემს მულებთან, როგორც ჩემს დასთან. მოკლედ, რეალურ ოჯახში არც დორა მყავს, არც ლალა და არც ანკა. პირადად მე ისეთი ოჯახი, როგორიც სერიალში მაქვს, არ მინახავს. თუმცა, ალბათ, მთლად დორას და ლალასნაირი არა, მაგრამ, არანაკლები დედამთილები მართლაც არიან.

**– გიორგისთან ერთად ისევ თუ ისურვებდი სერიალში თამაშს?**

– უარს ნამდვილად არ ვიტყოდი, ალბათ საინტერესო იქნებოდა. გააჩნია პერსონაჟებსა და სცენარს.

**– ეგვიპტიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნდი. ვისთან ერთად ისვენებდი?**

– ჩემს მულთან, დედაჩემთან და დაქალთან ერთად ვიყავი დასასვენებლად. გავერთეთ და ძალიან კარგად დავისვენეთ. ახალი ძალებითა და შემართებით რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი თბილისში.

**– ბავშვი რა ხნის არის?**

– 2 წლის და 7 თვის.

**– როგორი დედა ხარ?**

– ფეთიანი დედა არ ვარ. ზოგადად, პანიკურ მდგომარეობაში არ ვვარდები, პირიქით, საჭირო მომენტში გონება მინათდება და ზუსტად ვიცი, რა უნდა გავაკეთო და ბავშვთან მიმართებაშიც ასევე ვარ. ერთხელ, ჩემ თვალწინ წაიქცა და შუბლზე მეორე შუბლი დაედო, მაგრამ, არ ჩავვარდნილვარ პანიკაში, მაშინვე რეაგირება მოვახდინე. სხვათა შორის, ცოტა მკაცრი დედაც ვარ, რადგან, ვფიქრობ, რომ ესეც საჭიროა. მართლა კარგი დედა ვარ და საკუთარ თავს ყოველთვის ობიექტურად ვაფასებ.

**– ეჭვიანი ხარ?**

– ეჭვიანი არც გიორგის და არც მეგობრების მიმართ არ ვარ, არც გიორგია ეჭვიანი. მას ხუთი თითივით ვიცნობ, ზუსტად ვიცი, რა მომენტში რას იფიქრებს, რას გააკეთებს, რას გადაწყვეტს და ასე შემდეგ და, აქედან გამომდინარე, არ მაქვს საბაბი, რამეზე ვიეჭვიანო.

**– რაზე არ იტყვი არასდროს უარს?**

– სანამ ფაქტის წინაშე არ დავდგები, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, არ ვიცი.

**– როცა პროფესიას ირჩევდი, ოჯახში კიდევ გყავდა ვინმე მსახიობი?**

– არა.

**– რატომ გადაწყვიტე მსახიობობა?**

– ორი წლით უფროსი და მყავს. 9 კლასი რომ დაამთავრა, კოლეჯში ჩააბარა სარეჟისორო ფაკულტეტზე. ალბათ, ჩემზეც იმოქმედა ამ ყველაფერმა. მე რეჟისორობა არ მინდოდა და, ამიტომ, 9 კლასის დამთავრების შემდეგ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე კოლეჯში. სხვათა შორის, ყველაზე ბეჯითი მოსწავლე ვიყავი. რომ ვამთავრებდი, ზუსტად მაშინ გამოცხადდა ქასთინგი სერიალიზე „ჩიფსების თაობა." მაშინ 16-17 წლის ვიყავი. ამიყვანეს და მათთან რამდენიმე წელი ვიმუშავე.

**– ხშირად გიმართლებს?**

– რაღაც-რაღაცეებში მიმართლებს ხოლმე, თუმცა, ხანდახან პირიქითაც ხდება.

**– როცა არ გიმართლებს, შენც სხვებივით დეპრესიაში ვარდები?**

– ჩემი აზრით, დეპრესიაში სუსტი ადამიანები ვარდებიან, მე კი ასეთი ნამდვილად არ ვარ. იმედგაცრუება ხასიათზე კი მოქმედებს, მაგრამ, დეპრესიაში ამის გამო არ ვვარდები. ცხოვრებაში ხან აღმართია, ხან – დაღმართი, ვერაფერს იზამ.

**მარიკა ხიდურელი**

**სულ მალე „იურმალის" კიდევ ერთი კონკურსი აიღებს სტარტს. წელს საქართველოს საკმაოდ საინტერესო რეპერტუარით წარადგენს ნუცა ბუზალაძე. მისი ნიჭისა და მონდომების გამო, გვერდში ისეთი ადამიანები დაუდგნენ, როგორებიც არიან ლელა წურწუმია და კახა მამულაშვილი. სწორედ მათ ითავეს ნუცას წარდგენა იურმალადან ჩამოსული კომპეტენტური პირების წინაშე, რომლებიც რაღა თქმა უნდა, იმისთვის ესტუმრენ საქართველოს, რომ თავისი არჩევანი გაეკეთებინათ, თუ ვინ წარადგენდა წელს ჩვენს ქვეყანას იურმალაზე. ჩვენი რესპონდენტია კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა, რომლისგანაც უფრო დეტალურად გავიგებთ თუ როგორ მიდის კონკურსისთვის მზადება. ასევე, შევეხებით სხვა თემებს, რომელიც მკითხველისთვის საინტერესო იქნება**

# რის გამო გაიხადა მაისური კონცერტის დროს კახა მამულაშვილმა და ვინ შეიყვანა ლელა წურწუმია „შავ სიაში"

**– ბოლო პერიოდი სერიოზულად ხარ ჩართული „იურმალას" კონკურსის სამზადისში. ამის შესახებ მოგვიყევი.**

– იურმალიდან ჩამოვიდნენ, კომპეტენტური პირები, რომლებსაც ნუცა ბუზალაძე წარვუდგინეთ. ნუცა მათ ძალიან მოეწონათ და მასზე შეაჩერეს არჩევანი. ძალიან ბევრი სიმღერა გავგზავნეთ, განსაკუთრებით – ქართული ტურისთვის. იყო რუსა მორჩილაძის, ლილიკო ნემსაძის, რომა რცხილაძის, ნინო ქათამაძისა და მიშა მდინარაძის სიმღერები, მათ კი არჩევანი მიშა მდინარაძის „თოლიებზე" გააკეთეს. მოკლედ, რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ დაამტკიცეს ის სიმღერები, რომლესაც ნუცა კონკურსზე იმღერებს. ესენია, ჯესი ჯეის ერთ-ერთი სიმღერა; ასევე, მაია კაჭკაჭიშვილის სიმღერა, ხოლო, რაც შეეხება ქართულ ტურს, მიშა მდინარაძის სიმღერას – „თოლიები," ნუცა სოფო ხალვაშთან ერთად შეასრულებს. ჩვენ „იურმალაზე" იმისთვის მივდივართ, რომ ჩვენი ქვეყანა ვასახელოთ. პირველ ყოვლისა, რაც მთავარია, ნუცამ ძალიან კარგად უნდა იმღეროს. წელს კონკურენცია ძალიან ძლიერია, ვნახოთ რა იქნება. იმედი მაქვს, ნუცა ისევე გვასახელებს, როგორც „ჯორჯიამ" გვასახელა.

**– დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ასეც იქნება. ახლა კი, მინდა, იმ თემას შევეხო, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რამდენიმე თვის წინ „პირველი რადიოს" პირდაპირ ეთერში განაცხადე, რომ ლელა წურწუმია „შავ სიაშია," რის გამოც, უკვე წლებია, რუსეთში ვერ მიემგზავრება. ამ ეტაპზე რა ხდება, არის რამე სიახლე?**

– ჯერჯერობით იგივე სიტუაციაა, არაფერი შეცვლილა. მგონი, უკვე გავდივართ ბოლოში – ინფორმაციულ ვაკუუმს ვხსნით და, ბოლო-ბოლო, გავიგებთ, ვისი გაკეთებულია ეს ამბავი. ხომ იცი, ყველაფერი საბოლოოდ მაინც ირკვევა. ის კი არ არის მთავარი, რომ ლელამ რუსეთის საზღვარი უპრობლემოდ გადალახოს – სულ აღარ გვინდა იქ წასვლა, უბრალოდ, მიზეზი მინდა გავიგო თუ რა საშიშროებას წარმოადგენს რუსეთისთვის ლელა წურწუმია.

**– ამ ეტაპზე რა ხდება ლელას შემოქმედებაში? ბოლოს ის პროექტში „ორი ვარსკვლავი" ვიხილეთ წამყვანის ამპლუაში. სხვას რას გვეტყვი?**

– გარდა იმისა, რომ ლელას პრივატული კონცერტები აქვს, მთლიანად გადართულები ვართ ნუცას ამბავზე და ბოლომდე „იურმალის" სამზადისში ვართ ჩართულები. ვმუშაობთ რეპერტუარზე. ვოკალში ნუცას ნუცა ჯანელიძე ამზადებს. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მაია ყიფიანს, რომელიც ძალიან გვეხმარება. მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა ვერ ჩამომიყალიბდა ადამიანთან, რომელიც იურმალიდან მომამაგრეს. მეილის საშუალებით ვეხმიანებოდით ერთმანეთს და დროში საკმაო აცდენა მოხდა. საბედნიეროდ, მაიამ ეს ყველაფერი მოაგვარა და ის დაკავდა ამ მოლაპარაკებებით. ძალიან გვეხმარებიან, ასევე, ნინო ქათამაძე, რუსა მორჩილაძე, ნუცა ჯანელიძე, მაია კაჭკაჭიშვილი, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, მადლობა ყველას, ვინც გვეხმარება და ვინც აწი დაგვეხმარება.

**– მას შემდეგ, რაც დუეტი „ჯორჯია" გამოვიდა „იურმალაზე", არავინ წარგიდგენიათ.**

– მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ, ჩვენ ნამდვილად არ გვიაქტიურია. ნუცას რაც შეეხება, მართლა ძალიან ნიჭიერი გოგოა და, იმედი გვაქვს, თავის სიტყვას იტყვის. ნუცა დიდი ხანია, ლელას თვალთახედვის არეშია, რადგან, მის ოჯახთან ახლოს ვართ. მისი პირველი ნაბიჯები სცენაზე ლელას უკავშირდება. ლელამ მისცა მას რჩევა, „ნიჭიერში" მიეღო მონაწილეობა; შემდეგ, როდესაც ბერას სტუდიაში გამოცხადდა ქასთინგი პროექტზე „ერთი ერთში", ანკეტის შევსებაც ურჩია და ნუცა ამ პროექტშიც აიყვანეს. მართლა ძალიან ნიჭიერი გოგოა, თან, იმდენად შრომისმოყვარე და მიზანდასახული ადამიანია, სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა მის გვერდში დგომა.



**მარიხუანის ლეგალიზაციის მომხრე არ ვარ, მაგრამ, ვარ დეკრიმინალიზაციის მომხრე მარტო იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, მართლა ძალიან მძიმე მუხლებია განსაზღვრული**

**– მკაცრი მენეჯერი ხარ?**

– ჩემს საქმეში უკომპრომისო ვარ, სხვანაირად არ გამოვა. არ მესმის მეგობრული ურთიერთობები საქმეში. ნუცამაც იცის ეს და, თავიდანვე ვუთხარი, რომ ჩემთან და ლელასთან ურთიერთობა იოლი არ იქნებოდა. ზარმაცი ნამდვილად არ არის; ძალიან კარგად იცის, რა უნდა, არის ძალიან შრომისმოყვარე და, სამსახიობო ოსტატობაც დიდი დოზით აქვს, რაშიც, „ერთი ერთში" რომ გადიოდა, მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ფაქტობრივად, ნუცა კარგი მასალაა იმისთვის, რომ კონკურსზე წაიყვანო.

**– პროექტ „ორ ვარსკვლავსაც" მინდა შევეხო, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ლელა იყო: ერთ-ერთ ტურზე, ყველასთვის მოულოდნელად, დარბაზში ადექი და მაისური გაიხადე, ზურგზე კი 10 ქულა გეწერა. ამას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა: ზოგმა მოგიწონა საქციელი, ზოგმა – არა. საიდან წამოვიდა ეს აზრი?**

– საერთოდ, ჩემი აზრით, „ორ ვარსკვლავს" დრაივი აკლდა, უფრო მეტი სანახაობრიობა, შოუ სჭირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თეონა კონტრიძე ავსებდა შოუს ელემენტებით „ორ ვარსკვლავს." იმ დღეს ორ ტურად იყო კონცერტი გაყოფილი: პირველ ტურში ქართულად მღეროდნენ, მეორეში – უცხოურად. პირველ ტურში რომ ვიჯექი, ვერ მივხვდი, რისთვის ვიჯექი, მარტო ქულების დაწერა ხომ არ იყო მთავარი. ვუყურებდი მონაწილეებს და ვფიქრობდი, ისეთი რა გამეკეთებინა, რომ გამომეცოცხლებინა ისინი. უცებ გამახსენდა, რომ თეონას ამ წყალბურთელების ზურგებზე გართულება ჰქონდა. შესვენებაზე საგრიმიოროში გავვარდი და ვიკითხე, ჩემი ჩანაფიქრის განხორციელება თუ შემეძლო. თანხმობა რომ მივიღე, ზურგზე 10 ქულა დავაწერინე და დარბაზში დავბრუნდი.

**– ეს არ იცოდნენ ჟიურის წევრებმა?**

– არა, საერთოდ არავინ არ იცოდა. ვინმეს რომ გაეგო, ასეთი სანახაობა და რეაქცია აღარ გამოვიდოდა. თან, ვფიქრობდი, მიშას რომ არ გაეხადა სცენაზე მაისური რა უნდა მექნა – ცოტა მორცხვი ბიჭია და ამიტომ არ მქონდა იმედი. მერე წყალბურთელებს გავხედე, რომლებიც მიშას საგულშემატკივროდ იყვნენ მოსული. მიშას თაობა, რომლებსაც მეც ვიცნობ, სპორტულ შეკრებაზე იყვნენ წასული, ამიტომ, იმ დღეს ახალგაზრდული ნაკრები იყო მოსული მწვრთნელთან, ირაკლი კიკალიშვილთან ერთად, რომელსაც კარგად ვიცნობ. მოკლედ, სიმღერის დასრულების შემდეგ მიშამ მართლა არ გაიხადა, ახალგაზრდებს ვთხოვე, დახმარება გაეწიათ, რათა მაღალი ქულა დამეწერა და მათაც გაიხადეს, რომლებსაც მერე არც მე ჩამოვრჩი. ამ დროს ლელა სცენიდან მიყვიროდა – რას შვრებიო, სანამ მიხვდებოდა რას ვაკეთებდი. რაც მთავარია, შოუ გამოვიდა. ბევრმა კი გაიცინა, მაგრამ, ზოგმა კრიტიკულად შეხედა ჩემს საქციელს.

**– ლელა რომ კარგი, ჯანსაღი იუმორით არის ცნობილი, ვიცით, მაგრამ, თურმე, არც შენ ჩამოუვარდები.**

– მთლად ლელასნაირად ვერ, მაგრამ, იუმორს ჩამოშორებული ნამდვილად არ ვარ. საერთოდ, ჩემი აზრით, იუმორის გრძნობა ადამიანებში ურთიერთობებს ახანგრძლივებს და უფრო საინტერესოს ხდის.

**– მინდა, ბოლო დროს საკმაოდ აქტუალური თემის შესახებაც გკითხო: მართალია, მარიხუანის მომხმარებელი არ ხარ, მაგრამ, როგორია შენი პოზიცია მისი ლეგალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის შესახებ?**

– პირველად ვიყავი, სხვათა შორის, მაგ აქციაზე. დასამალი რა მაქვს, გარშემო ბევრია მარიხუანის მომხმარებელი. მე პირადად, მარიხუანას კი არა, სიგარეტსაც არ ვეწევი. საერთოდ, დალევის დროს აგრესია უფრო მეტია, ვიდრე მოწევის დროს. მე არ ვარ მარიხუანის ლეგალიზაციის მომხრე, მაგრამ, ვარ დეკრიმინალიზაციის მომხრე მარტო იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, მართლა ძალიან მძიმე მუხლებია განსაზღვრული. ვიღაცას ცოტა მოსაწევს თუ უპოვიან, ვფიქრობ, ის არ უნდა დაიჭირონ, უბრალოდ, შეიძლება, მინიმალური ჯარიმა დაუწესო და გადაახდევინო. „ბარიგები" – კი ბატონო, შეგვიძლია ვდიოთ და მაქსიმალურად დავსაჯოთ. აქციაზეც მხოლოდ იმის გამო მივედი, რომ, მინდოდა, ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია დამეფიქსირებინა.

**– ახლა ვხვდები, როგორ გაუმართლა ლელას: არც ეწევი, არც სვამ, არც მარიხუანას მოიხმარ და ასე შემდეგ, მოკლედ ნამდვილი კარგი და კომფორტული მეუღლე ხარ. ლელა როგორი მეუღლეა, რთული თუ – პირიქით?**

– ლელა ჩემი ძალიან მაგარი მეგობარია. ადამიანები ერთმანეთს ერთი შეხედვით რომ უგებენ, ეს ძალიან მაგარია და ცოლ-ქმრის ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი. ყოველთვის ვცდილობთ, ჩვენი ურთიერთობა მრავალფეროვანი, საინტერესო და სიურპრიზებით სავსე იყოს. თუმცა, ლელა დამყოლი ნამდვილად არ არის.

**მარიკა ხიდურელი**

**შეიძლება ითქვას, დღეს ქრისტიანები ცოტანი არიან ამქვეყანად, უფრო ნაკლები, ვიდრე ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ყველანი უღირსნი ვართ ქრისტიანის წოდებისა და, არ შეგვიძლია, ვთქვათ, თუ ვინ აღმოჩნდება ქრისტიანი ბოლო სამსჯავროზე. ვინ არიან სინამდვილეში ქრისტიანები, როგორ უნდა აქციონ მათ საკუთარი სახლი მცირე ეკლესიად, გახდნენ შინაგანად მონაზვნები – ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# არსებობს თუ არა ადამიანებს შორის სულიერი ნათესაობა და რა იწვევს ოჯახის წევრების უფრო მეტ დაახლოებას

– ცნება „ქრისტიანი“ ნიშნავს იმ ადამიანს, რომელიც იესო ქრისტეს ღმერთკაცად აღიარებს, ან რაღაც უფრო მეტს. განსხვავება მაღიარებლებსა და არამაღიარებლებს შორის, შეიძლება, არც კი არსებობდეს, რამეთუ, ამის თქმაც კი შემზარავია. ეშმაკებსაც კი არ ძალუძთ, თავი აარიდონ ღმრთის ძის აღიარებას. მარკოზის სახარებაში უწმინდური სულებიც აღიარებდნენ იესო ქრისტეს ღმრთის ძედ, ხოლო, „საქმე სამოციქულოთაში“ მოთხრობილია, თუ როგორ აღიარეს ბოროტმა სულებმა ქრისტეს მოციქულთა სახელები, როდესაც თავს დაესხნენ მღვდელმთავარ სკევას შვილებს. სატანამ კარგად იცის წმიდა წერილი – ჩვენ ეს უფლის გამოცდის მაგალითზე ვიხილეთ; იმ ხალხმაც ძალიან კარგად იცოდა წმიდა წერილი, ვინც ქრისტე ჯვარს აცვა. უამრავი მორწმუნეა, ისეთივე რწმენით რომ სწამთ, ღმრთის სიყვარულის გარეშე და, არ ძრწიან არც ანგელოზებრივის წმიდა სიხარულის და არც დემონური მოსალოდნელი ტანჯვის შიშის ძრწოლით. მონაზვნობა სწორედ ძრწოლაა ღმრთის წინაშე, ანგელოზებრივი, წმიდა ძრწოლა გულისა და სულისა. ეს ძრწოლა, შესაძლებელია, ყველა ქრისტიანს გააჩნდეს და, ასევე, ყველას შეუძლია, იყოს მონაზონი თავის გულში. ეს კარგად ჩანს წმიდანთა ცხოვრებაში საეკლესიო ისტორიიდან. დავით წინასწარმეტყველს არაერთი ცოლი ჰყავდა, მაგრამ, მონაზონი იყო, ღვთის ძრწოლა გააჩნდა და, თანაც, ისეთი, რომ მეუდაბნოეთა ყველაზე საყვარელი მოძღვარი გახდა, უდიდესი ბერი მთელი სამონაზვნოსთვის.

**– რა უნდა გააკეთონ მათ, ვისაც ზეციური ცხოვრება ენატრება და სურს, დიდი სიყვარული გააჩნდეს მაცხოვრის მიმართ?**

– მათთვის სამი გზა არსებობს: პირველი – გზა შავი მონაზვნობისა – შემოსვა სამოსელით, რომელიც არის ამა სოფლის გარეგნული გამოცალკევება; მეორე – თეთრი მონაზონობის გზა – მხოლოდ საკუთარი გულის შემოსვაა ამ გამოცალკევების სამოსელით, ყველა სხვა ადამიანის ცხოვრებისეული ფორმის შენარჩუნებით და, მესამე – ჩამოშორება ეკლესიის ერთიანობისგან, მისგან გამოყოფა ამა თუ იმ საბაბით – გზა ნაკლები სიყვარულისა სულიერი ძიების მიმართ და, ესე იგი, ღმერთის მიმართაც. თვით უფალმა საკუთარ ყოვლადწმიდა ხატებაში დაამკვიდრა თავისი ერთგულების ეს გზები, მან თავად შეითვისა ისინი გულში; ღვინოსაც იღებდა და, ჭამდა, რასაც სხვები ჭმდნენ. მოციქულები უკვე იყვნენ წმიდა თეთრი მონაზვნები: პეტრე მოციქული – ცოლიანი და პავლე მოციქული – უცოლო. თუ ადამიანები თეთრმონაზვნური მორჩილებით უფალ იესო ქრისტეს შევუდგებით, ეს იქნება წმიდა და სრულფასოვანი მოპოვება საკუთარი თავისა, მისი ჭეშმარიტი ღირებულების გაცნობიერება კი მხოლოდ საკუთარი სიგლახაკის სიღრმისეულ განცდაშია შესაძლებელი; ხორციელი ცხოვრების, ხორციელი ზრახვების მარცვალი კვდება და აღმოჩენდება სულის მრავალმარცვლოვანი ახალი თავთავი. ამას კი თავად იესო ქრისტე აკეთებს, ჩვენი მხრიდან მხოლოდ სიყვარულის ნაპერწკალია საჭირო. საერთოდ, მონაზვნობა არის მართლმადიდებლური ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა კი არის ცხოვრების მოწყობისა და რწმენის ზუსტი შესაბამისობა ადამიანსა და შემოქმედს შორის დადებულ ახალ აღთქმასთან – სახარებისეულ გამოცხადებასთან. ეს ნათლად მეტყველებს ადამიანების სულების ნათესაობაზე, ქმნილებათა ერთიანობით ჩვენს ორგანულ კავშირზე. ეს შეკავშირება ჩვენ მთელი სისავსით უნდა განვიცადოთ და გავაცნობიეროთ. ყოველი სული ერთმანეთისგან განსხვავდება სახით, რამეთუ სახე სულის განუმეორებელი ხატებაა, მაგრამ, ყოველი მათგანი ღმერთიდან გამოვიდა და მასთან მიდის სამსჯავროზე. ერთია სჯული, ერთია სიყვარული, ერთია მეუფება, ერთია მეუფე და ერთია ძრწოლა გულში, ძრწოლა რწმენისა, მშვიდი სასოებისა, გონებისა, სიცხადისა, მეცნიერებისა და ძალისა.



**ნაკურთხი წყლის მიღება სასიკეთოა როგორც სულისთვის, ასევე, ხორცისთვისაც; ამიტომ, უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი დღე სეფისკვერისა და ნაკურთხი წყლის მიღებით დავიწყოთ**

**– მამაო, ბევრს აქვს სურვილი, რომ საკუთარი სახლი აქციონ მცირე ეკლესიად. როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში?**

– იმისთვის, რომ საკუთარი სახლი მცირე ეკლესიად ვაქციოთ, ძალზე მნიშვნელოვანია საღმრთო წიგნების კითხვა და საეკლესიო გალობა. ძალიან კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრები დღეში ერთ საკითხავს მაინც წაიკითხავენ სახარებიდან, ერთსაც – სამოციქულოდან. შეიძლება ცალ-ცალკე ან ერთად. ლოცვის ერთად კითხვა სულიერად აახლოებს ოჯახის წევრებს, ამცირებს კონფლიქტის შესაძლებლობას. იმისთვის, რომ ოჯახი ეკლესიის ნაწილად იქცეს, აუცილებელია მისი წევრების ჩართვა ეკლესიური ცხოვრების რიტმში. ოჯახის წევრები ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე უნდა დაესწრონ საეკლესიო მსახურებას, შეძლებისამებრ ხშირად ეზიარონ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, აგრეთვე, ხშირად აღიარონ ცოდვები მოძღვრის წინაშე, შეუკვეთონ პარაკლისები და პანაშვიდები, სახლი ღვთისმსახურს აკურთხებინონ. ქრისტიანის სახლის საუკეთესო მორთულობა – ხატია, შესაბამისად, ხატი, ჯვარი და წმიდა გამოსახულებანი ყველა ოთახში უნდა იყოს, მაგრამ, კარგია, თუ გამოიყოფა ერთი სპეციალური ადგილი სახლში, სადაც ოჯახი სალოცავად შეიკრიბება. როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, ქრისტიანები დღის განმავლობაში აუცილებლად უნდა კითხულობდნენ ფსალმუნს. წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს, რომ უმჯობესია, მზემ არ გამოსცეს ნათელი, ვიდრე იმ დღეს ქრისტიანმა ფსალმუნი არ წაიკითხოს. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ქრისტიანად ძნელად თუ იწოდება ადამიანი, რომელიც დილა-საღამოს, საზრდელის მიღების წინ და შემდეგ, ლოცვებს არ კითხულობს. რაც შეეხება აღმოსავლეთით ლოცვას, ეს წესი, სხვა მრავალთან ერთად, წმიდა მოციქულებისგან მომდინარეობს. ეს იმიტომ შემოიღეს, რომ ჩვენი უფალი იესო ქრისტე, ან, როგორც მას ხშირად უწოდებენ – „მზეი სიმართლისა“ – აღმოსავლეთიდან აღმობრწყინდა. წინასწარმეტყველებაში ის ხშირად „აღმოსავლად“ მოიხსენიება; ნიშანდობლივია ისიც, რომ ედემის ბაღიც სწორედ აღმოსავლეთით მდებარეობდა; მაცხოვრის მოსვლასაც სწორედ აღმოსავლეთიდან ველით, ამიტომ, აღმოსავლეთისკენ მიბრუნება მაცხოვრის მუდმივი მოლოდინის ნიშანია. ლოცვების რაოდენობა და წაკითხვის სიხშირე, სასურველია, ჩვენი ძალებისა და დროის შესაბამისად შევარჩიოთ და აუცილებლად შევათანხმოთ სულიერ მოძღვართან.

**– მამაო, რა დანიშნულება აქვს სეფისკვერს და რატომ ვიღებთ ხოლმე მას ეკლესიაში ზიარების ან წირვის დასრულების შემდეგ?**

– „სეფე კვერი“ – „რჩეული პური“ – არის სიმბოლო ეკლესიის ერთიანობისა. წირვის შემდეგ სეფისკვერი იყოფა და ურიგდება მორწმუნეებს, ნიშნად მათი ერთიანობისა და ურთიერთთანაზიარობისა ეკლესიის წიაღში. სეფისკვერი უნდა მივიღოთ უზმოზე, ლოცვის შემდეგ. მისი მიღება შეიძლება როგორც ტაძარში, ასევე, სახლში. კარგია, თუკი საზრდელის მიღებამდე სწორედ სეფისკვერსა და ნაკურთხ წყალს ვიხმევთ. ცნობილია, რომ მდინარე იორდანეში ჩასვლისთა და ნათლისღებით უფალმა თავად წყლის ბუნება განწმინდა. ამიტომ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში წყალმა უდიდესი მნიშვნელობა და დანიშნულება შეიძინა. ნაკურთხი წყლის მიღება სასიკეთოა როგორც სულისთვის, ასევე ხორცისთვისაც, ამიტომ, უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი დღე სეფისკვერისა და ნაკურთხი წყლის მიღებით დავიწყოთ. სანთელი კი, ზოგადად, გამოხატავს ჩვენი გულის სითბოსა და სიყვარულს ღმერთისადმი. სანთლის ცვილი კეთილი საქმეების, ხორციელ და სულიერ შრომათა სახეა; პატრუქი – რწმენისა. ჩვენი გათვითცნობიერებული რწმენა, სწორად შეხამებული საქმეებთან, ღმერთის მადლით, ადამიანს ზეცაში აიყვანს. რაც შეეხება კანდელს, ის არის სიმბოლო ზეციური ნათლისა, რამდენდაც, სასუფეველში მყოფი წმიდანები ზეციური ნათლით არიან მოსილნი, მათ ხატებსაც, აქ, დედამიწაზე, მუდამ ნივთიერი ნათელი უნდა ეფინებოდეს, როგორც ზეციური ნათლის სიმბოლო. ღმერთის წმიდანებიც ზეცაში მარადიულ ნათელში არიან და, ამიტომ, მათი წმიდა გამოსახულებაც უნდა განათდეს. ძველ აღთქმაში მკაცრი მოთხოვნა იყო იმაზე, რომ ღმერთის ტაძარში ცეცხლი ყოველთვის ყოფილიყო ანთებული. სიწმიდეების წინაშე კმევა კი სიმბოლოა ჩვენი გულმხურვალე ლოცვისა, რომელიც საკმევლის ბოლივით ადის ღმერთთან. ის არის, ასევე, ხილული ნიშანი სულიწმიდის კეთილსურნელებისა. საკმეველი სიმბოლოა ქრისტეს შინაგანი ლოცვისა და სულიერი განცდისა; ნახშირი – ჩვენი წმიდა მართლმადიდებლური აღმსარებლობისა; საცეცხლური – დედა ეკლესიისა. ქრისტიანები ჩვენი გულის ნადებს (საკმეველი ) „ვდებთ“ მადლით აღსავსე სარწმუნოებაზე (ნახშირი) და მოგვაქვს ეკლესიაში (საცეცხლური), რომელიც მორწმუნეთა ლოცვებს ღმერთის საყდრამდე აღამაღლებს. რაც შეეხება ტაძარში კმევას, მას სხვადასხვა მღვდელმოქმედების დროს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორი გულმოდგინებითაც მოვეკიდებით თითოეულ საქმეს, რომელიც ღმერთს უკავშირდება, ასეთივე კეთილგანწყობით გვიპასუხებს უფალი და, პირიქითაც, ჩვენი დაუდევრობისა და სიწმიდეებისადმი ზერელე მოპყრობისთვის მკაცრად ვაგებთ პასუხს საშინელ სამსჯავროზე, რისგანაც ღმერთმა ყველა დაგვიფაროს, შეგვიწყალოს და გვაცხოვნოს.

**ნათია უტიაშვილი**

# მამა პაისი მთაწმინდელის სასწაულები

მრავალი სასწაული აღესრულება ღირსი პაისი მთაწმინდელის მიერ მისი გარდაცვალების შემდგომაც. მამა პაისი განსაკუთრებულად შეეწევა ონკოლოგიური სნეულებებით დაავადებულებსა და ეშმაკეულებს. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მამა პაისს სასწაულებრივად გადაურჩენია ადამიანები საგზაო ავარიებისა და უბედური შემთხვევების დროს. ღირსი მამის გამოცხადებები უნახავთ საავადმყოფოებში. მამა პაისის პირადი ნივთები სასწაულმოქმედებენ და კეთილსურნელებას გამოსცემენ.

* თესალონიკის მახლობლად მდებარე სოფელ ნეა მიხანიონში მოღვაწეობს დეკანოზი ქრისტოს ცანდალისი, 9 შვილის მამა, მისი ექვსი წლის ვაჟი სიკვდილს სწორედ მამა პაისიმ გადაარჩინა.

„ბავშვები სახლის სახურავზე აძვრნენ და განათების „შახტის" გახსნილ „ლუკზე" გადახტომას ცდილობდნენ. ჩემმა 6 წლის ვაჟმა, რომელსაც მეტყველების განვითარების შეფერხება ჰქონდა და ჯერ კიდევ არ ლაპარაკობდა, ასევე მოინდომა გადახტომა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და „შახტაში" ჩავარდა. ასე გადმოვარდა იგი მეოთხე სართულიდან. გულმოკლულმა გამოვხსენი „შახტის" კარი და საზარელი სანახაობისთვის მოვემზადე. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც შიშისგან გაფითრებული, ცოცხალი და უვნებელი ბავშვი აღმოვაჩინე. მაშინვე საავადმყოფოში გავაქანე. ბავშვი ექიმებმა გულდასმით გასინჯეს, მაგრამ არათუ მოტეხილობა, ნაკაწრიც ვერსად უპოვეს.

ყველასთვის ცხადი იყო: მოხდა სასწაული. ვიფიქრე, რომ ჩემი შვილი გადაარჩინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულებრივმა ხატმა, რომელიც ჩვენი სოფლის ტაძარშია დაბრძანებული. ბავშვი ხატთან მივიყვანე და ვკითხე: „მან გადაგარჩინა?" „არა" – მიპასუხა ბიჭუნამ და მამა პაისი მთაწმინდელის სურათზე მიმითითა".

* კვიპროსის ქალაქ პათოსის მცხოვრები, ბატონი ნიკოლაოს ქსინარისის ნაამბობი:

„პროფესიით სანტექნიკოსი ვარ. 1997 წლის ივლისში ერთ სახლში ვმუშაობდი. სამუშაო რომ დავასრულე, უკვე შებინდებული იყო. ინსტრუმენტებს მანქანაში ვაწყობდი. მანქანის გვერდით მავთული ეკიდა, მისი ერთი მხარე ორიოდე სანტიმეტრით მოღუნული იყო კაუჭისებურად. სიბნელეში ვერ შევნიშნე და თვალით წამოვეგე. ჩემს ყვირილზე სახლის პატრონი გამოვარდა და მავთულის თვალიდან გამოღება განიზრახა. მე არ დავანებე და ვთხოვე, უბრალოდ, გადაეჭრა მავთული და საავადმყოფოში წავეყვანე. ვიდრე ის ინსტრუმენტს ეძებდა, მწარედ ვტიროდი, დაბრმავების მეშინოდა – ვფიქრობდი, რა ეშველებოდა ჩემს სამ შვილს! ამ დროს ჩემ წინაშე შავ ანაფორმაში შემოსილი სუსტი კაცი აღიმართა. როდესაც ის დავინახე, პირჯვარი გადავიწერე. უცებ შემამცივნა. ვიგრძენი, როგორ შეეხო ჩემს ლაწვს და თავი ზემოთ ამიქაჩა. იმ წამს მავთული თვალიდან ამომვარდა.

როდესაც სახლის პატრონმა მავთულის გადასაჭრელად ინსტრუმენტი მოიტანა, მისი საჭიროება უკვე აღარ იყო. საავადმყოფოში მიმიყვანეს. ექიმებმა თვალი გამისინჯეს. ყოველივე დაწვრილებით ვუამბე, მაგრამ არ დამიჯერეს. პირდაპირ თვალის გუგაზე ნაიარევის კვალი მეტყობოდა. ექიმებმა მალამო მომცეს და 3-4 დღე თვალახვეული სიარული მირჩიეს.

მეორე დღეს ერთ მაღაზიაში ჩემი გადამრჩენელი ბერის ფოტო შევნიშნე. გამყიდველს ამ ადამიანის ვინაობა ვკითხე და ასე შევიტყვე, რომ იგი ბერი პაისი მთაწმინდელი ყოფილა. გამყიდველს ნებისმიერ თანხას ვთავაზობდი, ოღონდაც ჩემთვის ეს ფოტო მოეყიდა. ამის სანაცვლოდ მან მამა პაისის შესახებ წიგნი მაჩუქა. ეს წიგნი იმავე დღეს წავიკითხე. ახლა კი სულ მანქანაში მიდევს, როგორც ჩემი მფარველი სიწმინდე".

## მამა პაისიმ სიმსივნით დაავადებული განკურნა

ერთი მორწმუნე ქალბატონის მონათხრობი:

„ჩემს დას სარძევე ჯირკვლის კიბო დაუდგინეს. სასოწარკვეთილებაში იყო. აღარ ვიცოდი, რით მენუგეშებინა. გამახსენდა, რომ ჩემს მეგობარ ფილიცას სახლში უდიდესი საუნჯე – მამა პაისის ნაქონი შარფი ჰქონდა. მასთან მივედი და შარფი ჩემი დისთვის ცოტა ხნით გამოვითხოვე. დამ შარფი გულში ჩაიკრა, ხატებთან მივიდა და ლოცვა დაიწყო. 4-5 დღის შემდეგ მას განმეორებით გაუკეთეს რენტგენოგრამა. სიმსივნის კვალიც კი გამქრალიყო! მამა პაისის უდიდესი მადლი აქვს ღვთისაგან!"

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რას ნიშნავს სულით მცონარობა?**

**პასუხი**: ეს არის ლოცვის დაზარება, საკუთარი გულისთქმის მიმართ უყურადღებობა, საკუთარ ცოდვათა გამო ცრემლის არდენა, უკეთურ აზრთა და გრძნობათა აღუკვეთლობა.

**კითხვა: ჩემმა შვილმა უკვე რამდენჯერმე იპოვა ჯვარი, მათ შორის, ოქროსიც. ეს რამეზე ხომ არ მიანიშნებს?**

**პასუხი**: გირჩევთ, მსგავს შემთხვევებს ნუ მიაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას და ნუ მიიჩნევთ თქვენს შვილს გამორჩეულად. ჩვეულებრივად შეხვდით ასეთ შემთხვევებს. ეს არაფერზე არ მიანიშნებს.

**კითხვა: მინდა სასულიერო განათლება მივიღო. რა წინაპირობაა ამისთვის საჭირო?**



**პასუხი**: სასიხარულოა, რომ ასეთი სურვილი გაგიჩნდათ. რელიგიური ცოდნის გაღრმავება არა მხოლოდ უფალთან დაგაახლოვებთ, არამედ საერო ყოფის სიმძიმესაც გაგიიოლებთ. ასეთი სურვილი ადამიანში უფლის ნებით იბადება, თუმცა, მხოლოდ სურვილი არ კმარა... სანამ სასულიერო სემინარიაში ჩააბარებდეთ, უნდა მოემზადოთ. ეს ნიშნავს, რომ უნდა იცხოვროთ ეკლესიურად, სულიერად იყოთ მზად საღვთო მცნებების მოსასმენად და შესასწავლად. უნდა გყავდეთ მოძღვარი, რომელსაც ეცოდინება თქვენი ცხოვრების წესის შესახებ და რეკომენდაციებს მოგცემთ სასულიერო სემინარიაში ჩაბარებისთვის.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ბავშვი მოვნათლო მარხვის პერიოდში?**

**პასუხი**: ნათლობის საიდუმლოს შესრულება შეიძლება ნებისმიერ დროს, როგორც მარხვის, ასევე სახსნილო დღეებში. საერთოდ, ბავშვი უმჯობესია, დაბადებიდან მეორმოცე დღეს მონათლოთ.

**კითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უფლისთვის სათნო იყოს ჩემი საქმეები?**

**პასუხი**: თუ სიკეთეს აკეთებ უფლის სადიდებლად, ეცადე, ყოველივე დაფარულად აღასრულო.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## პატრიარქის – ილია მეორის ქადაგებიდან

არავინ გაუკეთებს ადამიანს ისეთ მტრობას, როგორსაც თვითონ ადამიანი უკეთებს საკუთარ თავს.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ამბავი, რომელიც ადრეც მოგიყევით. მოლდავეთში იყო ერთი მქადაგებელი, რომელიც სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ვინც რას აკეთებს, თავის თავს უკეთებს". ერთხელ ერთმა ქალმა კვერები დააცხო, შიგ საწამლავი ჩადო და ამ მოხუცებულ მქადაგებელს მისცა. მქადაგებელმა მადლობა შესწირა დედაკაცს; ცოტა ხნის შემდეგ მასთან ჯარისკაცი მივიდა და ჰკითხა: „საჭმელი ხომ არაფერი გაქვს?" მოხუცს კვერები გაახსენდა, რომელთა შეჭმა ვერ მოასწრო და მას გაუწოდა: აი, სწორედ ახლა მომიტანეს ეს პურები და მიირთვიო. ჯარისკაცმა გამოართვა, შეჭამა და მოიწამლა. ეს ჯარისკაცი აღმოჩნდა შვილი იმ ქალისა, რომელმაც მოწამლული კვერები დააცხო. აი, ასე განაგო უფალმა: ის უბედურება, რომელიც სხვისთვის უნდოდა, საკუთარ თავსვე გაუკეთა.

## მიცვალებულთათვის ლოცვისა და მოწყალების გაცემის მნიშვნელობისთვის

ათონელ სქემოსან ბერს სერაფიმეს ამგვარი ხილვა ჰქონდა: მან იხილა ორი ანგელოზი, რომელთაც ჯოჯოხეთიდან ადამიანის სული აღმოიყვანეს. იგი თხემიდან ტერფამდე ნახშირივით შავი და შებორკილი იყო. როგორც კი მას ანგელოზნი შეეხნენ და ხუნდები შეხსნეს, მისი სიშავეც მეყსეულად გაქრა – შეიქნა ისეთი ნათელი და სუფთა, როგორც ანგელოზი. ამის შემდეგ ანგელოზებმა ის სპეტაკი სამოსით შემოსეს.

დასასრულს, ანგელოზებმა ბერს ხილვის მნიშვნელობა ასე განუმარტეს: მათ ჯოჯოხეთიდან ცოდვილი სული აღმოიყვანეს, რომელსაც ცოდვების გამო ღმერთმა ჯოჯოხეთში ტანჯვა მიუზღო. მაგრამ, შემდეგ შეიწყალა მისი მშობლების დაუღალავი ლოცვისა და მის სახელზე მოწყალების გაცემის გამო.

***

ერთ მონასტერში ორი ძმა მოღვაწეობდა. როდესაც ერთ-ერთი გარდაიცვალა, მეორე ძლიერ წუხდა, რადგან მიცვალებული დიდი მოღვაწე არ ყოფილა. იგი ლოცვად იდგა და დღედაღამ უფალს ევედრებოდა, განეცხადებინა მისთვის გარდაცვლილი ძმის ხვედრი. უფლის ანგელოზმა მას აუწყა, რომ ვერცხლისმოყვარეობის გამო, მის დედმამიშვილს დიდი სასჯელი ელოდა. ძმამ ეს ხილვა მონასტრის საძმოს გაუმხილა. ბერებმა გარდაცვლილის სენაკი დაათვალიერეს და იქ დამალული ოქრო-ვერცხლი იპოვეს. მაშინ ძმა ქალაქში გავიდა და ეს საუნჯე ღარიბ-ღატაკებს დაურიგა. იმ ღამით მას კვლავ ჰქონდა ხილვა. მისი განსვენებული ძმისთვის ბოროტ სულებს ხელი ჩაევლოთ და ნათლის ანგელოზებს ედავებოდნენ. ანგელოზნი მოითხოვდნენ, რომ მოწყალების გაცემის გამო მათთვის ბერის სული გადაეცათ. ბოროტი სულნი კი ცხაობდნენ – მოწყალება მან კი არა, მისმა ძმამ გაიღოო. ამ საუბარში ბერი ჩაერთო და განაცხადა: ეს მოწყალება მე ჩემი გარდაცვლილი ძმის სახელზე გავეციო. ამ სიტყვების მოსმენისთანავე ბოროტი სულნი გაქრნენ და მიცვალებული ძმა ანგელოზებმა აიტაცეს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ლიონელ მესი – არგენტინის იმედი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე

*2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინელები და ამ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების თაყვანისმცემლები მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდ იმედებს პლანეტის ბოლო წლების საუკეთესო ფეხბურთელზე, ლიონელ მესიზე ამყარებენ. სწორედ ის მიაჩნიათ დიადი დიეგო მარადონას მემკვიდრედ, რომელმაც არგენტინას ნანატრი, მესამე მსოფლიო ჩემპიონატი უნდა მოაგებინოს.*



* ლიონელ მესის ფესვები იტალიიდან მოდის. მისი წინაპარი, ანჯელო მესი, 1883 წელს გადასახლდა იტალიური ანკონადან არგენტინაში. თავად მესი კი დაიბადა 1987 წელს, არგენტინის სიდიდით მესამე ქალაქში, როსარიოში, არგენტინის ერთ-ერთ ინდუსტრიულ ცენტრში, სადაც მესის გარდა არგენტინული ფეხბურთის ახალი თაობის არაერთი წარმომადგენელია დაბადებული: ანხელ დი მარია, ეზეკილ ლავეცი, ეზეკილ გარაი. ლეო საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახში იზრდებოდა, მამამისი, ხორხე, ჩვეულებრივი მუშა იყო, ხოლო დედა – სელია ოჯახისგან თავისუფალ დროს დამლაგებლად მუშაობდა.

* ხორხე მესი, გარდა იმისა, რომ მუშა იყო, თავისუფალ დროს პატარა ბიჭებს ფეხბურთში ავარჯიშებდა და სწორედ სამოყვარულო გუნდ „გრანდოლში" დაიწყო 5 წლის ლეოს კარიერა. 8 წლის ასაკში ლეო იმდენად გამოირჩეოდა თანატოლებისგან ფეხბურთის თამაშით, რომ ხორხემ ის „ნიუელს ოლდ ბოიზის" აკადემიაში შეიყვანა, რომელიც მათი სახლიდან 60 კილომეტრით იყო დაშორებული და ლეოს ხშირად მარტოც კი უმგზავრია მატარებლით, რათა აკადემიაში მისულიყო.

* 11 წლის ასაკში ლეოს სერიოზული პრობლემა გაუჩნდა: ფეხბურთის მომავალ ვარსკვლავს დიაგნოზად სიმაღლეში ზრდის ჰორმონის დეფიციტი დაუდგინეს, რომლის მკურნალობა დიდ თანხებს მოითხოვდა (სხვადასხვა მონაცემებით, 700-1 000 დოლარს თვეში), რისი საშუალებაც ლეოს ოჯახს არ გააჩნდა. არც მისი ნიჭით დაინტერესებული არგენტინული კლუბები აპირებდნენ პატარა ბიჭში ფულის ჩადებას და, რომ არა კარლეს რექსაჩი, „ბარსელონის" სპორტული დირექტორი, რომელმაც მესის ნიჭი დაინახა, შესაძლოა თანამედროვე ფეხბურთს არც ჰყოლოდა დიდი „ათიანი" – ლეო მესი. უნდა ითქვას, რომ ლეოს კატალონიაში გადასვლაში დიდი როლი მისმა ნათესავებმა ითამაშეს, რომლებიც ესპანეთში ცხოვრობენ. ცნობისთვის, ლეო მესის ამჟამინდელი სიმაღლე 169 სანტიმეტრია.

* „მე ვხედავ ფეხბურთელს, რომელიც დაიკავებს ჩემს ადგილს არგენტინულ ფეხბურთში," – ეს სიტყვები, არც მეტი, არც ნაკლები, ლეო მესის კერპსა და მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, დიეგო მარადონას ეკუთვნის. თანამედროვე არგენტინულ ფეხბურთში ლეო მესი უპირველესი ვარსკვლავია, რომელსაც ჯერაც არ უთქვამს თავისი სიტყვა ეროვნულ ნაკრებში.

## სადილი უორენ ბაფეტთან 2,17 მილიონი დოლარი დაჯდა

სადილი ამერიკელ ინვესტორ მილიარდერთან ინტერნეტ-აუქციონ eBay-ზე, 2,17 მილიონ დოლარად გაიყიდა. გამარჯვებული სინგაპურელი ენდი ჩუა გახდა. აუქციონი 5 დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. განაცხადი 121-მდე მონაწილემ შეიტანა, ბოლომდე კი მხოლოდ 12 შემორჩა.

გასულ წელს ბაფეტთან ტრაპეზი 1 მილიონ დოლარად შეფასდა. რეკორდი 2012 წელს დაფიქსირდა, როდესაც გამარჯვებულმა 3,5 მილიონი დოლარი გადაიხადა. წლევანდელი შედეგი კი აქციის ჩატარების ისტორიაში მეოთხე ადგილზეა.

სადილი ნიუ-იორკის ერთ-ერთ პრესტიჟულ, მანჰეტენზე მდებარე რესტორან Smith & Wollensky-ში გაიმართება. 83 წლის უორენს შეუძლია, ტრაპეზზე კიდევ 7 ადამიანი მიიწვიოს.

ჟარნალ „ფორბსის" მიხედვით, ბაფეტი მილიარდერების რეიტინგში მე-3 ადგილზეა, ხოლო, პლანეტაზე ყველაზე გავლენიანი პირთა შორის – მე-13 ადგილზე. 30 აპრილის მონაცემებით, მისი ქონება 65,9 მილიარდი დოლარია, რაც, ანდერძით, მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება. ახლაც, საქველმოქმედო აუქციონებიდან შემოსული მთელი თანხა Glide Foundation-ის ფონდში ირიცხება, რომელიც გაჭირვებულთათვის სამედიცინო დახმარებასა და 1 მილიონამდე ულუფა უფასო საჭმლის გაცემას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ Glide Foundation მილიარდერის გარდაცვლილი მეუღლის, სიუზან ტომპსონ-ბაფეტის საყვარელი საქველმოქმედო ფონდი იყო.

უორენ ბაფეტი საკულტო ფიგურაა როგორც ამერიკელი, ისე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ინვესტორებისთვის. მას გამჭრიახობის გამო „ომახიელ ორაკულსაც" უწოდებენ. ინვესტორმა გაი სპირმა, რომელმაც ბაფეტთან 2007 წელს ისადილა, წიგნიც კი გამოსცა იმის შესახებ, თუ როგორი დადებითი გავლენა მოახდინა მის ინვესტიციებზე პლანეტაზე ყველაზე ქველმოქმედ მილიარდერთან საუბარმა.

## ირინა შეიკის დებიუტი დიდ კინოში

ცნობილმა სუპერმოდელმა და კრიშტიანუ რონალდუს მეგობარმა გოგომ, ირინა შეიკმა, ჰოლივუდურ ბლოკბასტერში მიიღო მონაწილეობა. სულ მალე კინოეკრანებზე გამოვა მითოლოგიურ მოტივებზე გადაღებული ფილმი – „ჰერაკლე", სადაც ირინა შეიკთან ერთად მთავარ როლს მძაფრსიუჟეტიანი ფილმების ვარსკვლავი დუეინ ჯონსონი ასრულებს. ფილმში ირინა შეიკის რამდენიმე პიკანტური სცენაა, სადაც ლამაზმანი სრულიად შიშველი გამოჩნდება. ცნობისთვის, ირინა ზევსის შვილის, ჰერაკლეს მეუღლის – მეგარას როლს ასრულებს.

## „ნაციონალური ასოციაციის" წლის 15 საუკეთესო მოთამაშე

მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულმა საკალათბურთო ტურნირის ორგანიზატორმა, „ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციამ," სეზონის 15 საუკეთესო მოთამაშე გამოავლინა. პირველ ხუთეულში მოხვდნენ: კრის პოლი, ჯეიმს ჰარდენი, კევინ დიურანტი, ლებრონ ჯეიმსი და ჰოაკიმ ნოა. მეორე ხუთეულის წევრები არიან. სტივ კარი, ტონი პარკერი, კევინ ლავი, ბლეიკ გრიფინი და დუაიტ ჰოვარდი. მესამე ხუთეული: დემიენ ლილარდი, გორან დრაგიჩი, პოლ ჯორჯი, ლამარკუს ოლდრიჯი და ელ ჯეფერსონი.

## შარაპოვას ახალი ფოტოსესია

აწ დასრულებული „როლან გაროსის" ქალთა გათამაშების ტრიუმფატორმა, რუსმა მარია შარაპოვამ ახალ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. საფრანგეთის ღია პირველობის ხუთგზის გამარჯვებულმა, „კრისტიან ლაბუტენის" ფეხსაცმელსა და „ჯეი არის" კაბაში გამოწყობილმა, თასით ხელში იპოზიორა ფოტოობიექტივების წინაშე, ეიფელის კოშკის ფონზე. მომხიბლავი შარაპოვას ფოტოებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სპორტულ სამყაროში.

## სეპარატისტი გუარდიოლა

მიუნჰენის „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გუარდიოლამ ბერლინში მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში, რომელიც კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნას მიეძღვნა. 43 წლის გუარდიოლა იმითაა ცნობილი, რომ კატალონიის დამოუკიდ-




ებელი სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას უჭერს მხარს. მისი თქმით ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება და არ უნდა იზღუდებოდეს სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ. რეფერენდუმის ჩატარებას კატალონიაში 2014 წლის ნოემბერში გეგმავენ.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# „ფორბსის" 2014 წლის უკრაინელი მილიარდერები

*უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, საინტერესო იქნება, გავეცნოთ უკრაინელი მილიარდერების კაპიტალს, რომელიც ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა.*

### რინატ ახმეტოვი – 12,5 მილიარდი დოლარი

მსოფლიოში ყველაზე მდიდარ უკრაინელს რთული პერიოდი უდგას: მისი კაპიტალი წინა წლებთან შედარებით რამდენიმე მილიარდი დოლარით შემცირდა, ამას დაემატა უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი და, შესაძლოა, მომავალ წელს ახმეტოვი სულაც პირველი ასეულის მიღმა დარჩეს, ამჟამად კი იგი 88-ე ადგილზეა. ახმეტოვი ფეხბურთის მოყვარულია, მისი საკუთრებაა დონეცკის „შახტარი" და 400 მილიონ დოლარად შეფასებული სტადიონი „დონბას-არენა".



### ვიქტორ პინჩუკი – 3,2 მილიარდი დოლარი

პინჩუკი უკრაინის ექსპრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას სიძეა და მილიარდერთა რეიტინგში მას 506-ე ადგილი უკავია. იგი პირველი უკრაინელი მილიარდერია, რომელიც ბილ გეითსის საქველმოქმედო ინიციატივას შეუერთდა და წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონ დოლარს ხარჯავს ქველმოქმედებაში. პინჩუკი „პროდასავლელი ოლიგარქის" სახელით არის ცნობილი. იგი „ევრო-მაიდნის" მხარდამჭერად სახელდება.

### გენადი ბოგოლიუბოვი – 2,3 მილიარდი დოლარი

გენადი ბოგოლიუბოვი პარტნიორ იგორ კოლომოისკისთან ერთად აკონტროლებს საბანკო-სამრეწველო ჯგუფ „პრივატს". ბოგოლიუბოვი იუდეველია და 2012 წელს მან დნეპროპეტროვსკში მსოფლიოში უდიდესი მრავალფუნქციური ებრაული „მენორაჰ-ცენტრი" გახსნა.

### იგორ კოლომოისკი – 2,1 მილიარდი დოლარი

მილიარდერი, რომლის მფლობელობაში არსებული მასმედიის საშუალებები უკრაინულ კრიზისს ოპოზიციის მხრიდან აშუქებდა. ცნობილია კოლომოისკისა და ვლადიმირ პუტინის დაპირისპირების შესახებ. კოლომოისკიმ პუტინი იმპერიალისტად და საბჭოთა კავშირის აღდგენაზე მეოცნებე ადამიანად დაასახელა და საპასუხოდ პუტინმა მას უწოდა „ვიგინდარა, რომელმაც აბრამოვიჩი „გადააგდო".

### იური კოსიუკი – 1,5 მილიარდი დოლარი

ბიზნესსაქმიანობა კოსიუკმა 1991 წელს დაიწყო – ის კიევის საფონდო ბირჟაზე ბროკერი იყო. ამჟამად კოსიუკი „მირონოვის პურპროდუქტების" მფლობელია და, ასევე, დაკავებულია ხორბლის ექსპორტით.

### ვადიმ ნოვინსკი – 1,5 მილიარდი დოლარი

ვადიმ ნოვინსკი პარტნიორ ანდრეი კლიამკოსთან ერთად ფლობს „სმარტ ჰოლდინგ გრუპს" – კომპანიას, რომელიც ახმეტოვის საკუთრებაში არსებული სამთო-მომპოვებელი „მეტინვესტის" 24 პროცენტს აკონტროლებს. ნოვინსკი „რეგიონების პარტიის" წევრი იყო და ვიქტორ იანუკოვიჩის გარემოცვაში გახლდათ.

### პიოტრ პოროშენკო – 1,3 მილიარდი დოლარი

უკრაინის „შოკოლადის მეფედ" წოდებული პიოტრ პოროშენკო „ევრო-მაიდნისა" და უკრაინის ახალი მთავრობის მხარდამჭერია. პოროშენკოს საკუთრებაშია საკონდიტრო კონცერნი „როშენი", რომელიც უგემრიელეს კიევურ ტორტებსაც აწარმოებს.

### კონსტანტინ ჟევაგო – 1,2 მილიარდი დოლარი

ჟევაგოს კაპიტალმა მნიშვნელოვნად იზარალა მადანზე მოთხოვნის დაცემის გამო. იგი ამჟამად ბრაზილიასა და შვეიცარიაში ინვესტირების განხორციელებაზე ფიქრობს. ჟევაგო საფეხბურთო კლუბ „ვორსკლას" მფლობელია. იგი ოჯახთან ერთად ლონდონში ცხოვრობს.

### სერგეი ტიგიპკო – 1 მილიარდი დოლარი

უკრაინული პოლიტიკის ვეტერანი და უმაღლესი „რადას" დეპუტატი სერგეი ტიგიპკო წარსულში უკრაინის ვიცე-პრემიერის თანამდებობას იკავებდა. „პრივატბანკის" ყოფილი დამფუძნებელი ამჟამად მანქანათმშენებლობასა და უძრავ ქონებაში ახორციელებს ინვესტიციებს.

# მხოლოდ ფაქტები

* აღგზნებისგან გამოწვეული მუცლის სპაზმები – ასე ხსნის ინგლისური ეტიმოლოგიური ლექსიკონი სიტყვა Batterfly-ს, რაც 1936 წელს ცურვის სტილს ეწოდა.

* მონოგრამა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს mono – ერთი, gramma – ასო. ასევე, ინიციალი – initialis. ორივე მათგანი თითქმის ერთი მნიშვნელობით გამოიყენება.

* კანადაში იუბილარებს ცხვირზე კარაქს აცხებენ, რომ უბედურება არ მიეკაროს. ირლანდიაში მათ კუთხეში მიიმწყვდევენ და თავს იატაკზე აღებინებენ იმდენჯერ, რამდენი წლისაც გახდა და ერთიც – ბედნიერებისთვის. ძველი რუსული ტრადიციით კი იუბილარებს ყურს უწევენ.

* ჩინელი გამყიდვლის, ლიუ ლინჩაოს სახლი, რომელსაც თან დაატარებს, გამოყენებული ბოთლებით, ეგრეთ წოდებული სკოჩითა და ბამბუკისგანაა დამზადებული და სულ 60 კილოგრამს იწონის. მობილური სახლი პატარაა, თუმცა იქ თაროებიცაა, ცეცხლის დანთება და საკვების მომზადებაც შეიძლება და, რა თქმა უნდა, დაწოლაც.

* პლუტონის ზედაპირის ფართობი დაახლოებით ევროპის ფართობის ტოლია. მისი დიდი ნაწილი ყინულითაა დაფარული და იმიტომ, რომ მზისგან შორსაა, კომეტასავით კუდი არ მისდევს.

* ცხენების მოყვარული ფილიპე მეოთხის ქანდაკება, სავარაუდოდ, პირველი ქანდაკებაა, რომლის სიმძიმის ცენტრი ისეა გათვლილი, რომ ცხენს მხოლოდ ორი საყრდენი წერტილი აქვს.

* ამერიკის ოთხი შტატის: იუტას, კოლორადოს, არიზონას და ნიუ-მექსიკოს საზღვრები ერთ წერტილში იკვეთება და რადგანაც ეს ადგილი უდაბნოა, საზღვრები პირობითად სწორი ხაზებია და ამ წერტილში ჯვრის სახითაა წარმოდგენილი.

* კოკო შანელმა თავისი ცნობილი სუნამო „შანელი №5" 1921 წლის 5 მაისს წარადგინა. ერთი ვერსიით, სახელწოდებაში №5 მან იმიტომ აირჩია, რომ მეხუთე ფლაკონის შიგთავსი მოეწონა, მეორე ვერსიით – 5 მისი საყვარელი რიცხვი იყო, მესამე ვერსია კი – უბრალოდ, 5 მაისი იყო.

* რესტავრაციის შემდეგ, ცნობილი პიზის კოშკის გადახრის კუთხე 27 მინუტით შემცირდა, რაც 45 სანტიმეტრის ტოლია. სრული გასწორება კი, მისადმი ტურისტებს ინტერესს დაუკარგავდა, რაც ქალაქს შემოსავალსაც შეუმცირებდა.

# ლუპიტა ნიონგო – „ოსკარების" გადაცემის ცერემონიალზე აღმოჩენილი ახალი ვარსკვლავი

***კენიელი მსახიობი ლუპიტა ნიონგო ფილმ „მონობის 12 წლის" ეკრანებზე გამოსვლისთანავე გახდა ცნობილი, ხოლო, მასში განსახიერებული როლისთვის მიღებულმა „ოსკარმა" ნომინაციაში – „საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი ქალი მსახიობი," კიდევ უფრო გაამყარა მისი ვარსკვლავური სტატუსი.***

* როლი ფილმში „მონობის 12 წელი" ლუპიტა ნიონგოს კარიერაში სულ რაღაც მესამეა. გარდა ამისა, „ოსკარების" დაჯილდოების ცერემონიალზე ლუპიტა ერთ-ერთ ყველაზე გემოვნებით ჩაცმულ მსახიობად დაასახელეს. „პრადას" თეთრ კაბაში გამოწყობილი შავკანიანი ლამაზმანი ცერემონიალის ნამდვილი მშვენება იყო.

* ლუპიტა ამონდი ნიონგოს მშობლები წარმოშობით კენიიდან არიან, თუმცა, მომავალი მსახიობი მექსიკაში დაიბადა. შვილის დაბადებიდან რამდენიმე ხანში ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა, 16 წლის ასაკში ლუპიტა მეხიკოში დაბრუნდა, სადაც ესპანური ენის შესწავლა დაიწყო.



* ლუპიტას მამა, პიტერ ანიანგ ნიონგო გავლენიანი კენიელი პოლიტიკოსია – ის არის კუსუმას ოლქის სენატორი კენიის დასავლეთში და კენიის დაგეგმარებისა და ნაციონალური განვითარების ყოფილი მინისტრი.

* ლუპიტა არა მარტო მსახიობი, არამედ, სცენარისტი და რეჟისორიცაა. მისი პროდიუსერობით გადაღებული ფილმი ალბინოსების პოპულაციაზე, აფრიკაში სტუდენტური ფილმების ფესტივალზე იყო წარმოდგენილი ჰემფშირის კოლეჯში, სადაც ლუპიტა სწავლობდა. ლუპიტას, ასევე, დამთავრებული აქვს იელის უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი.

* ლუპიტა კომპიუტერული თამაშების ფანატიკოსია. ჯიმი კიმელის შოუში მიწვეულმა ვარსკვლავმა აღიარა, რომ 1999 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, თუმცა, ნაკლებად ახსოვს ეს მოგზაურობა, რადგან, მთელი დღეები სასტუმროს ნომერში იჯდა და „ფაინალ ფენტეზის" თამაშობდა.

* ულტრამოკლე ვარცხნილობა ლუპიტას სავიზიტო ბარათად იქცა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თმის შეჭრა მის გეგმაში არ შედიოდა. იგი სულ გრძელ თმას ატარებდა, რომელსაც სხვადასხვა ფერად იღებავდა, თუმცა, კაბის შერჩევის დროს თმის მოკლედ შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო.

* ლუპიტას არ უყვარს შოპინგი, ამიტომ, მის ჩაცმასა და აქსესუარებზე თავიდან ბოლომდე სტილისტები ზრუნავენ.

* ბავშვობაში ლუპიტას კანთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და დედას მადაგასკარიდან ჩამოჰქონდა სამკურნალო ბალახები. ლუპიტას თქმით, ბალახს ცუდი სუნი ასდიოდა, თუმცა, მკურნალობას შედეგი ნამდვილად ჰქონდა.

*ლუპიტა ნიონგო „მიუ-მიუს" 2014 წლის საგაზაფხულო კოლექციის ერთ-ერთი სახეა ელიზაბეტ ოლსენთან ერთად.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძე**



## რომელ დაავადებაზე მეტყველებს ძილის დარღვევა

თუ ძილთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ, მაშინვე ნუ შეშფოთდებით, რადგან, ამ პრობლემას ორგანიზმი ნელ-ნელა მოაგვარებს, მაგრამ, თუ უძილობა დიდხანს გრძელდება, ეს იმაზე მეტყველებს, რომ სასწრაფოდ უნდა მიაქციოთ სათანადო ყურადღება ჯანმრთელობას.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია, ისწავლოთ სწორად სუნთქვა. სწორად სუნთქვისა და სისხლის სისტემების საშუალებით მარაგდება ჩვენი ორგანიზმი ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით, იწმინდება და ახლდება ის. თუ ფილტვები წესრიგში არ გაქვთ, დღის განმავლობაში ეს თავს იჩენს მთქნარებით, ღამით კი – ძილის სურვილით (ანუ, გეძინებათ, მაგრამ, ვერ იძინებთ). გაამახვილეთ ყურადღება სუნთქვის სისტემაზე, თუ ნორმალურად დაძინებას მხოლოდ გამთენიისას ახერხებთ.

გულის დაავადებაზე მეტყველებს თვალების ქვეშ ჩალურჯებული რკალები, რაც მკვეთრად არის გამოხატული ძილის შემდეგ და დიდხანს არ ქრება. თუ ღამით დაძაბულს გძინავთ, გიწყდებათ სიზმრები, გეუფლებათ სევდა ან შიში, ყურადღება მიაქციეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

თუ საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობა სათანადოდ არ არის მოგვარებული, ეს აისახება ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე, ამის განსაზღვრა კი სწორედ ძილის საშუალებით ხდება.

კუჭის ან საყლაპავი მილის დაავადებას გამცნობთ მშვიდი, მაგრამ ხანმოკლე ძილი. განსაკუთრებით მიხედეთ კუჭს, თუ ძილის შემდეგ ტუჩებზე პატარა ნახეთქები გიჩნდებათ და ყელი გიშუპდებათ; ასევე, თუ გაწუხებთ სხეულის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა.

წვრილი ნაწლავის პრობლემების დროს, ძილში ძლიერდება ოფლიანობა, დილით კისრის დაბუჟება იჩენს თავს, ხოლო ტუჩებსა და პირის ლორწოვან გარსზე ჩნდება ნადები. თუ დაძაბული ძილი გაქვთ, სტრესულ ან ინტიმურ სიზმრებს ხედავთ, ყურადღება მიაქციეთ წვრილი ნაწლავის მდგომარეობას.

თუ მსხვილი ნაწლავი წესრიგში არ გაქვთ, საღამოს ადრიანად მოგერევათ ძილი, დაძინებისას კი მოუსვენრობა შეგაწუხებთ. დილას, შესაძლოა, პირში ცუდი სუნი იგრძნოთ, მთელი დღის განმავლობაში კი სისუსტემ შეგაწუხოთ.

მუდმივი მეტეორიზმიც მსხვილი ნაწლავის დაავადების მანიშნებელია. როცა დღისით ძილის სურვილი გიჩნდებათ და იძინებთ, მაგრამ, შფოთავთ და ვერ ისვენებთ, ყურადღება მიაქციეთ ელენთასა და კუჭქვეშა ჯირკვალს. ამ დროს, შესაძლოა, გაგიჩნდეთ ტკბილზე მოთხოვნილება, დილით გაგაღვიძოთ შემცივნებამ, შეგაწუხოთ ტერფების სიმძიმემ.

თუ დილით შეშუპებას გრძნობთ მუხლქვეშ, ესე იგი, წესრიგში არ გაქვთ ლიმფური და იმუნური სისტემები.

## როგორ მოვიქცეთ საკვებითა და წყლით ინტოქსიკაციის დროს

წყლითა და საკვებით ინტოქსიკაცია მწვავე დაავადებაა, რაც ხასიათდება გულისრევით, ღებინებით, ფაღარათით ან ნევროლოგიური სიმპტომებით. ბაქტერიული კვებითი ინტოქსიკაციის ყველაზე ხშირი გამომწვევია ოქროსფერი სტაფილოკოკებით საკვების დაბინძურება; ასევე, მისი დაბინძურება სალმონელათი, ბაციდუს ცერეუსით, კლოსტრიდიუმ პერფრინგენსით. მაგალითად, საკვები სტაფილოკოკით მაშინ ბინძურდება, როცა მისი მომზადების ან შენახვის წესი დარღვეულია. განსაკუთრებით ეხება ეს საკონდიტრო ნაწარმს, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე ინახება რამდენიმე საათის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, ამ პროდუქტში იქმნება სტაფილოკოკის გამრავლებისთვის კარგი პირობები და ხდება ენტეროტოქსინის წარმოქმნა. სწორედ ეს არის ის ტოქსინი, რომელიც დაავადების განვითარებას იწვევს.

სტაფილოკოკური დაავადების დროს, პირველი ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში იწყება გულისრევა, მუცლის ტკივილი, ფაღარათი, ხანდახან შოკიც კი. ტემპერატურა ოდნავ მომატებულია და ადამიანი თავს ცუდად გრძნობს.

სალმონელა ადამიანის ორგანიზმში საკვებიდან ხვდება, განსაკუთრებით კი – კვერცხიდან, ხორციდან და ისეთი პროდუქტებიდან, რომლებიც სათანადოდ არ არის თერმულად დამუშავებული. ასეთ შემთხვევაში ხდება მასობრივი ინფიცირება.

სალმონელათი დაბინძურებული საკვებით ინტოქსიკაცია უფრო ხშირად ბავშვებში ფიქსირდება. იწყება ღებინება, ტემპერატურის მკვეთრი მატება, საერთო სისუსტე, თავისა და მუცლის ტკივილი, კანის გამოშრობა, მუცლის შებერვა; ასევე, აღინიშნება ფაღარათი, განავალი კი თხელი, ლორწოვანი და ქაფისებურია. ამ დროს ავადმყოფს უცივდება კიდურები, ხშირია გონების დაკარგვა და კრუნჩხვაში ჩავარდნა. ეს სიმპტომები ვითარდება საკვების მიღებიდან 6-46 საათის განმავლობაში.

კლოსტრიდიუმ პერფრინგენსი ფართოდაა გავრცელებული წყალში, ნიადაგში, ადამიანისა და ცხოველის განავალში. სპორები ძალიან ადვილად მრავლდება და ინტენსიურად აბინძურებს საკვებ პროდუქტებს. ეს დაავადება ძირითადად ზაფხულში იჩენს თავს.

კლოსტრიდიებით გამოწვეული მოწამვლა იწყება საკვების მიღებიდან 6 – 12 საათის განმავლობაში. იმატებს ტემპერატურა, აღინიშნება ფაღარათი, ღებინება, მუცლის შეტევითი ტკივილი.

საკვებით ინტოქსიკაციის დროს უნდა მიიღოთ რაც შეიძლება ბევრი სითხე ან გაიკეთოთ გადასხმა და ამით აინაზღაუროთ სითხის დანაკლისი. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება ანტიბიოტიკების მიღება. ამ მხრივ, პროფილაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, უბრალოდ, ზაფხულში აუცილებლად უნდა დაიცვათ საკვების შენახვისა და მომზადების სანიტარიული და ჰიგიენური წესები. მოწამლული ადამიანი სრულ იზოლაციაში უნდა იყოს.

## თევზი და პომიდორი პროსტატის სიმსივნის რისკს ამცირებს

პროსტატის სიმსივნით დაავადების საშიშროება მამაკაცებში ასაკში შესვლისთანავე იმატებს. ექიმები მათ ცხიმიანი თევზის ჭამას ურჩევენ, რადგან, დამტკიცებულია, რომ ცხიმიანი თევზი საგრძნობლად ამცირებს პროსტატის სიმსივნის რისკს.

ის, ვინც თევზს რეგულარულად და ხშირად მიირთმევს, პროსტატის კიბოსგან, პრაქტიკულად, დაზღვეულია.

თევზის ცხიმი მეტად სასარგებლოა, ის შეიცავს ომეგა 3-ის ცხიმოვან მჟავებს.

პროსტატის სიმსივნის პროფილაქტიკისთვის პომიდორიც ძალიან სასარგებლოა. ის ძლიერ ანტიოქსიდანტს, კერძოდ, ლიკოპინს შეიცავს. ოღონდ, გაითვალისწინეთ, ის უმი კი არა, თერმული დამუშავების შემდეგ უნდა მიირთვათ.

თუ მამაკაცი დღეში ექვს ცალ პომიდორს მიირთმევს, შეუძლია, მშვიდად იყოს, რადგან, პროსტატის სიმსივნე მას არასოდეს შეაწუხებს.

## ასაკის მატებასთან ერთად სახსრების პრობლემები იჩენს თავს

ადამიანის მოძრაობას უზრუნველყოფს სახსრები. საკმაოდ ხშირია სახსრებთან დაკავშირებული პრობლემები, მაგალითად, ტრავმა, ართრიტი, რევმატიზმი და ასე შემდეგ. ამ დროს საჭიროა დროული მკურნალობა, რათა აღდგეს დაზიანებული სახსრების ნორმალური ფუნქციონირება.

სახსრების ართრიტს ან რევმატიზმს ძირითადად იწვევს სასუნთქი გზებით ორგანიზმში მოხვედრილი სტრეპტოკოკები. ხშირად, სახსრები აწუხებს მათ, ვისაც ნივთიერებათა ცვლა აქვთ დარღვეული. ისინი ხშირად ავადდებიან ნიკრისის ქარით.

როცა ირღვევა შარდმჟავას ცვლის პროცესი, ეს ნივთიერება გროვდება ორგანიზმში და ილექება სახსრებში, რაც მათ დაზიანებას იწვევს. ამიტომ, თუ სახსრების დაავადება აწუხებდა თქვენს წინაპარს, აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება

კვებას. არ შეზღუდოთ ცილის შემცველი პროდუქტების მიღება და პერიოდულად უნდა გაიკეთოთ ანალიზი შარდმჟავას რაოდენობის გამოსაკვლევად.

სამწუხაროდ, ასაკის მატებასთან ერთად, მრუდდება სახსრები, ხშირად, 35-40 წლის ასაკშიც კი, ადამიანთა უმეტესობა სახსრების ტკივილს უჩივის.

რაც შეეხება ზედმეტ წონას, ის დამღუპველია მენჯ-ბარძაყისა და მუხლების სახსრებისთვის. ამიტომ, გირჩევთ, შეინარჩუნოთ ნორმალური წონა, ივარჯიშოთ, რადგან, ყოველდღიური ვარჯიში ამაგრებს და მოქნილობას სძენს სახსრებს. ასევე, დაგეხმარებათ მასაჟი, ფიზიოპროცედურები, ვიტამინოთერაპია. სახსრებზე განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს B ჯგუფის ვიტამინები.

**შეივსეთ ორგანიზმი ვიტამინებით**

ამ სეზონზე გაქვთ შანსი, ორგანიზმი ვიტამინებით მომარაგოთ. ამისთვის სეზონური ახალი ხილი ნამდვილი მისწრებაა. წვენმა რომ თავისი უნიკალური და სასარგებლო თვისებები შეინარჩუნოს, აუცილებელია, მისი მომზადების წესები დაიცვათ.

სასურველია, ხილი და ბოსტნეული გახეხოთ პლასტმასის სახეხზე (და არა ლითონისაზე), რადგან, რკინასთან შეხება ანადგურებს ვიტამინების ნაწილს, განსაკუთრებით კი – C ვიტამინს. თუ წვენსაწური გაქვთ, კურკიან ხილს ნუ ჩაყრით. ფოთლოვანი ბოსტნეული კი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და შემდეგ გაწურეთ.

ფერმენტები, ვიტამინები და არომატული ნივთიერებები სწრაფად ნადგურდება ჰაერზე, ჟანგბადის ზემოქმედების გამო. ამიტომ, წვენი უშუალოდ მიღების წინ უნდა მოამზადოთ ან შეინახოთ მინის, ფაიფურის ან მომინანქრებულ, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

წვენი უნდა სვათ ნელ-ნელა, პატარ-პატარა ყლუპებით. ცოტა ხნით პირის ღრუში გაიჩერეთ, რათა ნერწყვს შეერიოს – ეს ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ მის მთლიანად შეწოვას.

არ არის საჭირო იმ ხილისა თუ ბოსტნეულის გათლა, რომლისგანაც წვენის გამოწურვას აპირებთ, რადგან, ვიტამინების უმეტესობა სწორედ კანქვეშ ილექება. ასევე, არ არის რეკომენდებული, წვენს დაუმატოთ შაქარი.

**რა უნდა მოიმოქმედოთ კუჭ-ნაწლავის ქრონიკული აშლილობის დროს**

კუჭ-ნაწლავის ქრონიკული აშლილობისას გამოიყენეთ შემდეგნაირად მომზადებული ნაყენი: 2-2 ან 3-3 სადილის კოვზი კრაზანა და ასისთავა წამოადუღეთ 1 ლიტრ წყალში. დალიეთ მთელი დღის განმავლობაში. ეს ნაყენი არის კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის ნატურალური გამანეიტრალებელი. ასევე, მადის მომგვრელი და ნაღვლის გამომყოფი საშუალებაც.

არსებობს კიდევ ერთი უებარი რეცეპტიც, კერძოდ, 1 სადილის კოვზ ასისთავას დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათით თავდახურული, შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ 1 სადილის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის ერთი კურსისთვის დაგჭირდებათ 50 გრამი ასისთავა.

ასისთავა, ასევე, გამოიყენება კუჭის სიმძიმის, კუჭის წყლულისა და ანემიის დროს; აგრეთვე, ღვიძლის დაავადებისას, ნაღვლის არასაკმარისი სეკრეციის, დიაბეტისა და კანზე გამონაყარის სამკურნალოდ.



ასისთავა უებარი წამალ-ნაყენია ძნელად შესახორცებელი ჭრილობების დროს გარედან მოსაბანად. ამისთვის, 1 ან 2 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ასისთავას ხმელი ბალახი, რომელიც აფთიაქებში უკვე ხელმისაწვდომია, ჩაყარეთ 2 ჭიქა ადუღებულ წყალში. თუ გაგიჭირდათ მისი დალევა, შეგიძლიათ, დაატკბოთ შაქრით ან თაფლით. მიიღეთ ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

გაითვალისწინეთ, რომ ასისთავას ყველა პრეპარატი უნდა მიიღოთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ჭიპის არეში ვგრძნობ ყრუ ტკივილს. ჭამის შემდეგ მალე გავდივარ კუჭში და განავალი არის მოუნელებელი. ასევე, ჭამის შემდეგ მეხვევა თავბრუ. როგორც ვიცი, ენტერიტის ნიშნებია, მაგრამ სიცხე არ მაქვს. ვიცავ დიეტას, ვჭამ ფაფებს. საჭიროა თუ არა ასეთ დროს მედიკამენტური მკურნალობა ან რამე გამოკვლევა?**

**პასუხი:** რადგან დიეტის დაცვა საკმარისი არ არის, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მიმართოთ გასტროენტეროლოგს, ჩაიტარეთ გამოკვლევები და დაგენიშნებათ მდგომარეობის შესაბამისი მკურნალობა. თქვენ, სავარაუდოდ, ნაწლავთა დისბაქტერიოზი გაწუხებთ.

**კითხვა: მაინტერესებს, ნაფტიზინმა რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ნაყოფს? მთელი ორსულობა ვიწვეთებ. 33 კვირის ვარ.**

**პასუხი:** ნაფტიზინი არის სისხლძარღვების შემავიწროვებელი საშუალება. მართალია, მას ცხვირში იწვეთებთ, მაგრამ, ის მაინც მოქმედებს სისტემურად, მათ შორის, საშვილოსნო-პლაცენტის სისხლძარღვებზეც და იწვევს საშვილოსნო-პლაცენტური სისხლის მიმოქცევის დარღვევას, რაც, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს ნაყოფის ზრდა-განვითარებაზე. ორსულობის მიმდინარეობის შესაფასებლად მიმართეთ გინეკოლოგს.

**კითხვა: ჩემი შვილი 9 თვისაა და იწონის 9.300 კილოგრამს, მისი სიმაღლე კი 74 სანტიმეტრია. დაიბადა 2.800 კილოგრამი წონაში ხომ არ ჩამორჩება?**

**პასუხი:** თქვენს შვილს არათუ ჩამორჩენა აქვს, არამედ, ალემატება ამ ასაკისთვის საშუალო ნორმალურ მაჩვენებელს.

**კითხვა: მაინტერესებს, საზიანოა თუ არა ქალებისთვის ქირურგიული კონტრაცეფცია, ანუ, სრული სტერილიზაცია (როცა ქალი მეტი შვილის გაჩენას არ აპირებს)? იწვევს თუ არა ეს ჰორმონების ცვლილებებს, გასუქებას, სხვა გართულებებს, სიმსივნის განვითარების რისკსა და ქალური ფუნქციების დაქვეითებას?**

**პასუხი:** მილების გადაკვანძვა ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის და არ იწვევს ჰორმონულ დარღვევებს ან კლიმაქსს, უბრალოდ, აღარ ხდება დაორსულება, ანუ, პროცესი შეუქცევადია და, თუ სამომავლოდ კვლავ მოისურვებთ ბავშვის გაჩენას, ეს შეუძლებელი იქნება.

**კითხვა: მაინტერესებს, ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანში შეიძლება გათხოვება?**

**პასუხი:** ნაკერების მოხსნიდან 2-3 კვირის შემდეგ, თუ რამე სახის ჩივილი არ გექნებათ, შეგიძლიათ, თქვენი გეგმები განახორციელოთ.

**კითხვა: ვარ 14 წლის, პირთან და იღლიაში მაქვს მოყავისფრო ლაქები, რაც დისკომფორტს მიქმნის. ვიწმენდ ლიმონით, თუმცა, არანაირი შედეგი არ აქვს. რით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული?**

**პასუხი:** პიგმენტური ლაქების გაჩენის მიზეზები მრავალფეროვანია: ჰორმონული დარღვევები (ჰიპერთირეოზი, საკვერცხეების დაავადებები); სხვადასხვა მედიკამენტები (ანტიდეპრესანტები, ანტიარითმიულები); არასაკმარისი კვება; ანთებები და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა – ღვიძლის დაავადებები; ფოტოტოქსიკური და ფოტოალერგიული ნივთიერებები, რომლებიც უხვად არის კოსმეტიკურ საშუალებებში; გენეტიკური ფაქტორები; გადამეტებული გარუჯვა. შეგიძლიათ, სცადოთ შემდეგი საშუალებები: 1. სადილის კოვზი ახალი რძე და 1 სადილის კოვზი ღვინის სპირტი კარგად აურიეთ ერთმანეთში, შეიზილეთ ლაქების მიდამოში და გაიჩერეთ მთელი ღამის განმავლობაში. ასე გააკეთეთ რამდენიმე დღე. 2. 1 კოვზი წყალბადის ზეჟანგი და 2 წვეთი ნიშადურის სპირტი კარგად აურიეთ, შემდეგ სწრაფად და თანაბრად წაისვით პრობლემურ ადგილებზე. როგორც კი იგრძნობთ წიწკნას, ჩამოიბანეთ წყლით (ფრთხილად, კანი არ დაიწვათ!).

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# სად შეუვარდა ნიკო ლეკიშვილს მეგობარი ცხენით და როდის დაუშვა ყველაზე დიდი შეცდომა მან

*ბავშვობისა და სტუდენტობის წლები თბილისის ძველ უბანში, პლეხანოვზე, გოფილეტის ბაღში გაატარა, იქ, სადაც ღია ცის ქვეშ სცენა იყო და კონცერტები ტარდებოდა – სუხიშვილების, გიზო გაბისკირიას, ჯანო ბაგრატიონის, „რეროს“, სახელმწიფო ანსამბლის, კამერული ორკესტრის... „თვითონ ქუჩა, პლეხანოვის გამზირი იყო საინტერესო და განსაკუთრებული. აქეთ ერთი ღია კინოთეატრი, იქით – მეორე კინო, მარჯანიშვილის თეატრი, კინოსტუდია. ხელოვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული უბანი იყო და ამ ატმოსფეროში ვიზრდებოდით. რა თქმა უნდა, ხანდახან ჩხუბიც იყო, ისეთი ჩხუბი, რომ მთელი პლეხანოვი გადაკეტილა და აღარც ტრამვაი მოძრაობდა, აღარც არაფერი. პოლიციაშიც მოვხვედრილვარ, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ დროს არ იყო დანისა და იარაღის ტრიალი. თუ ჩხუბი იყო, იყო ჩხუბი, მერე ხვევნა-კოცნა პურმარილი და მეგობრობა მიდიოდა. მე გეტყვით, გოფილეტის ბაღში ვინ იდგნენ: სუხიშვილების ბიჭები, ახალგაზრდა დირექტორები, გია ყანჩელი... იყვნენ ბიჭებიც, რომლებიც რაღაცას აკეთებდნენ, მაგრამ ისინი ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ პლეხანოვზე. მაგარი ბიჭები მარტო პლეხანოვზე კი არა, ვერაზე, მთაწმინდაზე, ყველა უბანში იყვნენ – ცნობილი დამრტყმელები, მაგრამ, სუფრასთან წესი იყო, რომ ვერავინ იჩხუბებდა – სადმე შეხვდებოდნენ და იქ გაარჩევდნენ საქმეს”.*


აჩი არველაძესთან ერთად


მეუღლესთან ერთად

## ალიოშას ბიჭები

სამუსიკო სასწავლებელი მაქვს დამთავრებული და პარალელურად წყალბურთს ვთამაშობდი. პატარა რომ ვიყავი, ვამბობდი, დირიჟორობა მინდა-მეთქი. როდესაც გაივლი ცხოვრების რაღაც მონაკვეთს, მერე ძნელია, წარმოიდგინო, რა უფრო უკეთესი იქნებოდა, გამოსულიყავი – მსახიობი თუ მომღერალი. სულ მსახიობებისა და მუსიკოსების გვერდით ვტრიალებდი. ჩემი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ: გია ყანჩელი, ბიძინა კვერნაძე, ჯანსულ კახიძე, „ქართული ხმების“ ბიჭები. მართალია, ზოგიერთები ჩემზე უფროსები იყვნენ, მაგრამ, ვმეგობრობდით, სულ ქეიფსა და დროსტარებაში ვიყავით. სკოლაში ღონისძიებებზე გამოვდიოდი და ვმღეროდი, ოლიმპიადებზე და ოპერაშიც მიმღერია; მერე „გეპეიში“ დამდევდნენ – იმღერეო, მაგრამ, არ მინდოდა. ბიჭები მივდიოდით, მოვდიოდით, ჩვენ თვითონ ვირთობდით თავს, სხვისი გართობა რად გვინდოდა. ვსწავლობდი ცნობილ რკინიგზის სკოლაში, დირექტორი ალიოშა ცინცაძე იყო. ამ სკოლაში სწავლობდნენ: ნანი ბრეგვაძე, ვაჟა აზარაშვილი, სულხან ნასიძე, გია ყანჩელი. ძალიან ბევრს დავდიოდით ქალაქგარეთ. გადავიკიდებდი გიტარას, ჩავსხდებოდით მატარებელში და მცხეთაში ჩავიდოდით. ავიდოდით ჯვარზე, ზედაზენზე, წავიღებდით საჭმელს, სადმე ტყეში დავსხდებოდით და კარგად მოვულხენდით – ეს სტუდენტობის ბოლომდე გაგვყვა. მეათე კლასში ვიყავი. შუა გაკვეთილზე სამმა ბიჭმა გადავწყვიტეთ, სადმე წავსულიყავით. შევედით სახინკლეში, ორი ბოთლი ღვინო და ხინკალი შევუკვეთეთ. ჭამა რომ დავიწყეთ, ვხედავთ, ჩვენი სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილი და ორი მასწავლებელი შემოვიდნენ. დაგვინახეს, მაგრამ, ხმა არ ამოუღიათ. წავიდნენ და კუთხეში დასხდნენ. ცუდ დღეში აღმოვჩნდით. გაქცევაზე ვართ, გვინდა, სწრაფად წავიდეთ. მიმტანს ვუთხარით, იმათ ჩვენგან სამი ბოთლი ღვინო მიუტანეთო. წამოსვლისას ჩუმად ვკითხეთ, ჩვენზე რამდენიაო. იმ სამი ბოთლისაც გადაიხადეს და თქვენი სუფრისაცო, – გვითხრა. წამოვედით, მაგრამ, მეორე დღეს ხომ უნდა მივიდეთ სკოლაში?! ალიოშა დილის 8 საათიდან კართან იდგა. შევდივართ თავჩაქინდრულები, გვინდა, სწრაფად გავიაროთ. მოტრიალდა და მეუბნება: ლეკიშვილო, ოთხნი ვისხედით და თითო ბოთლის ღირსი აღარ ვიყავით, სამი რომ გამოგვიგზავნეო?! მასწავლებლები ძალიან გვიცავდნენ. ერთხელ, ბიჭები სკოლის წინ ვიდექით. პოლიციამ გამოიარა და განყოფილებაში წაგვიყვანა. ეს ამბავი ალიოშას ყურამდე მივიდა და განყოფილებაში მოვარდა. რა დააშავეთო, – გვკითხა. სულ ტყუილა დაგვიჭირეს-მეთქი. იცოდა, რამე რომ მომხდარიყო, არ დავმალავდი და ვეტყოდი. იმან იმათ დღე აყარა?! – რა ნამუსით დაიჭირეთ ეს ბავშვებიო, – ერთი ამბავი აუტეხა. არადა, მართლა არაფერი დაგვიშავებია: მე



ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

გარეთ ვიდექი, ჩემი მეგობარი შიგნით იყო, სკოლაში და ფანჯრიდან რაღაც მომაწოდა. ფანჯარა ჩატეხილი იყო და ამაზე მოგვდეს შარი – რატომ არის ჩატეხილი, ალბათ, თქვენ გატეხეთო...


გოგი დოლიძესთან და თამაზ თამაზაშვილთან ერთად

### ჩემი მეგობარი ჟიული

მაშინ ძალიან მოდაში იყო „გეპეი“ და სამედიცინო ინსტიტუტი. სამედიცინოზე არ მინდოდა. ატომური ელექტროსადგურების სპეციალობა იყო პოპულარული და იქ ჩავაბარე. ამ პერიოდში თავი დავანებე სპორტს. აქაც ჩვეულებრივი ატმოსფერო იყო – არ გვაკლდა ქეიფი და დროსტარება. ერთხელ, ყამირზე ყოფნისას, ბიჭები ფეხბურთს ვთამაშობდით და ფეხი მოვიტეხე. ექვსი თვე თაბაშირში მქონდა. წონაშიც მოვიმატე, ველარ დავრბოდი. ინსტიტუტში ძალიან დავუახლოვდი ჟიული შარტავას, რომელიც მაშინ კომკავშირის მდივანი იყო. ჟიულის სხვანაირი მიდგომა ჰქონდა. იმის მიხედვით კი არ ჰქონდა ურთიერთობა ბიჭებთან, ვინ როგორ სწავლობდა, არამედ, ვის რა ავტორიტეტი ჰქონდა. კომკავშირი ჩემგან შორს იყო, არ მქონდა მიდრეკილება, მაგრამ, მოხდა ისე, რომ ჟიულისა და პროფესორ შალვა ნაჭყებიას მეშვეობით ჩავები ამ საქმეში. ამასობაში ინსტიტუტი დავამთავრე და დამტოვეს კათედრაზე. ფრიადოსანი არ ვყოფილვარ, მაგრამ, ჩემს სპეციალობაში ძალიან მაგარი ვიყავი. ერთი აკადემიკოსი იყო, ქუთათელაძე, რუსეთში ცნობილი და გავლენიანი პიროვნება, რომელმაც ნოვოსიბირსკში მიმიწვია სამუშაოდ. რომ წავსულიყავი, სამეცნიერო თვალსაზრისით, ალბათ, დიდ შედეგებსაც მივაღწევდი, მაგრამ, აღარ წავედი. ჟიული ჯერ ქალაქკომის მდივნად დანიშნეს, შემდეგ – „ცეკას“ მდივნად. ვინც მის გარშემო ვტრიალებდით, ყველას დაგვიძახა და გვითხრა: აბა, ბიჭებო, თუ ძმობა და მეგობრობაა, მხარში უნდა ამომიდგეთ და ჩემთან წამოხვიდეთო. ამ დროს ქვეყნის სათავეში შევარდნაძე მოვიდა. ჟიულის მხარდაჭერით, პირველი მაისის რაიონის მდივანი გავხდი.


ნიკა ივანიშვილთან ერთად

### „საპოს“ ცხენი

ჩემი მეგობარი კიჭა არველაძე სამედიცინოზე სწავლობდა, სადაც თავისი მომავალი მეუღლე, თამრიკო გაიცნო. მეორე ძმაკაცმაც საცოლე სამედიცინო ინსტიტუტიდან შეარჩია. მეც ამ სიტუაციაში გავიცანი მელანო ტორონჯაძე. ერთი სამეგობრო წრე შეიკრა, რომელსაც დავარქვით „საპო“ – სამედიცინო-პოლიტექნიკური. დაბადების დღეებზეც და ზღვაზეც ერთად მივდიოდით. თუ ისინი მოსკოვში ან ბაკურიანში წავიდოდნენ, ჩვენც იქ უნდა წავსულიყავით. მელანოს მხრიდან აქტიურობა არ შეიმჩნეოდა. ვიფიქრე, არ უნდა და ნუ უნდა-მეთქი და აღარ შემიწუხებია თავი, მაგრამ, ერთხელაც, ჩვენი საერთო მეგობრის დაბადების დღიდან ღამის კლუბში წავედით და მაშინ გადაწყდა ჩვენი ამბავი. ჩემი ქორწილი ჩემთან, სახლში იყო, მისი – იპოდრომთან, ერთ-ერთ რესტორანში. მახსოვს, ჩემი მეგობარი, პეტრე ხურცილავა, პირდაპირ ცხენით შემოვარდა დარბაზში. მეორე დღეს ჯერ მოსკოვში ჩავფრინდით და სასტუმროში გავჩერდით, მერე ტალინში გადავფრინდით. მერე კი გაჩნდნენ გოგოები – სოფო და სალომე. მელანოსაც ბიჭი უნდოდა, მაგრამ...



### ეს ჩემი უდიდესი შეცდომა იყო...

ცხოვრებაში იმას უფრო აფასებ, რაც გააკეთე, ვიდრე იმას, რაც უნდა გაგეკეთებინა. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ, ის სამყარო, რომელშიც მე ვიცხოვრე, შევიწროვდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ახალი ნაცნობი შევიძინე თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. ძალიან მენატრება ის სკამი, რომელზეც ჩვენი ქალაქის კოლორიტები ისხდნენ, თორემ, ისე, რა თქმა უნდა,



იმდენი შეცდომა მაქვს დაშვებული, მათი გამოსწორება რომ დავიწყო, ალბათ, ერთი-ორი ცხოვრება დამჭირდება. თავიდან რომ ვიწყებდე, ჟიულის ვერ ვუღალატებდი და ისევ ამ გზით წავიდოდი. არის ზოგი რამ, რაც დღეს მიმაჩნია, რომ არ უნდა გამეკეთებინა. მაგალითად, მერობიდან არ უნდა წამოვსულიყავი – ეს ჩემი უდიდესი შეცდომა იყო. რად მინდოდა სხვა თანამდებობა, მაგრამ, ნებისყოფა არ მეყო, ისე შემომიტიეს ყველა მხრიდან; დაწყებული ელდარ შენგელაიადან, ვის არ მიგზავნიდნენ და, უარი ველარ ვთქვი. ამიტომ, სულ მაქვს ღალატის გრძნობა. ეს ჩემი იყო და ის – სახელმწიფო სამსახური – არა. საჩხერეში წყალი მოვარდა თუ სადღაც მთა ჩამოწვა – ეს არ იყო ჩემი საქმე. თბილისში ვიღაცის კანალიზაცია რომ გაფუჭდებოდა, ის უფრო მეტად მაწუხებდა. საქართველოზე ვგიჟდები და თავსაც შევწირავ, ყველა კუთხე-კუნჭული მიყვარს, მაგრამ, ჩემი საქმე თბილისის მერობა იყო. აღარც კი მინდა იმ პერიოდის გახსენება, რა დღეშიც ვიყავი. მგონია, ეჭვიანობდნენ, როცა ხედავდნენ, რომ ხალხი ასეთ პატივს მცემდა და მაფასებდა. იფიქრეს, მეტი არ მოინდომოსო და... – აი, ამას ვდარდობ. სახელმწიფო მინისტრად ყოფნისას კი ინტრიგების ატმოსფეროში აღმოვჩნდი. დიდხანს ვერ გავძელი და წამოვედი. მერე ვაპირებდი თბილისში მეყარა კენჭი მაჟორიტარად, მაგრამ, რაჭველებმა მთხოვეს და კენჭი ამბროლაურში ვიყარე...



**ეკა პატარაია**

**ადამიანთა უმეტესობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩაცმას. ტანსაცმელი ყველაზე ახლოს არის ადამიანის სხეულთან. როგორც პარაფსიქოლოგი და ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნანი ამბობს, ტანსაცმელს აქვს თვისება, გაიზიაროს თავისი მფლობელის ბედი, შეინახოს მისი ცხოვრების დეტალები და ინფორმაციაც კი მოგვაწოდოს მომავალზე. მისივე თქმით, შესაძლოა, ტანსაცმელმა ნებისმიერი თქვენგანის ბედზეც იქონიოს გარკვეული ზემოქმედება და, თუ ამის შესახებ ინფორმირებული იქნებით, ადვილად დაძლევთ პრობლემებს, წინაღობებს და ცხოვრებაში თამამად გადადგამთ ნაბიჯებს.**

# რატომ არის სახიფათო გარდაცვლილი ადამიანის ნივთების ტარება და როგორ შევარჩიოთ ტანსაცმელი, რომელიც წარმატების მიღწევაში დაგვეხმარება

**ნანი**: ბევრისგან მსმენია, ბედი არ მაქვს, რას გავჩნდი ამქვეყნადო. ასე ლაპარაკი არ შეიძლება, ამით საკუთარ თავსაც თვალავთ და წარმატებებისკენ მიმავალ გზასაც ხერგავთ. ამას ჯობია, იმოქმედოთ, არ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც უკან ცუდად დაგიბრუნდებათ და ცხოვრებას გაგიმწარებთ. გეტყვით, რომ წარუმატებელი ადამიანი არ არსებობს, არსებობენ ინფორმაციის უარმყოფელი ადამიანები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში იმას, რაც სწორედ მათ ბედზე აგებს პასუხს და მათ უიღბლობას განაპირობებს. მერწმუნეთ, ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, საკუთარ თავს დაეხმაროს, გახდეს წარმატებული, სასურველი და იღბლიანი. ნურასდროს იტყვით საკუთარ კეთილდღეობაზე უარს და ნურც იმაზე დაიწუწუნებთ, რომ თქვენს დაბადებას იღბალი და ბედი არ დაჰყვა.

**– ამბობენ, გარკვეული ტანსაცმლის ტარება ადამიანის ბედთან და იღბალთან არის კავშირშიო. ეს როგორ გავიგოთ?**

– მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში ტანსაცმელს და იმას, თუ როგორ იცვამს ის. მე ამ შემთხვევაში არა ძვირად ღირებულ და ბრენდულ ტანისამოსს, არამედ, სწორად ჩაცმასა და საკუთარი გარეგნობის მიმართ გონივრულად მიდგომას ვგულისხმობ.



უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ, სამოსი, რომელიც თუნდაც სულ ცოტა ხანს ეცვა სხვა ადამიანს, მის ბედთან დაკავშირებულ ინფორმაციას ითვისებს. მისი ჩაცმით, შესაძლოა, ის ბედი ჩვენც გავიზიაროთ – ეს მომენტი ეზოთერიკაში უცხო არ არის. ნათხოვარი ტანსაცმლის ტარების დროს სხვისი ბედი საკუთარ ინფორმაციულ ველში გადაგვაქვს. ალბათ, გსმენიათ, რომ ბევრი ერიდება გარდაცვლილი ადამიანის ტანსაცმლის ტარებას და ეს სწორი ქმედებაა.

**– მე კი პირიქით მსმენია, თუ გარდაცვლილის ტანსაცმელს ატარებ, კარგიაო.**

– ეს, რასაკვირველია, მცდარი მოსაზრებაა, რადგან, სიკვდილი სამუდამო ინფორმაციულ კვალს ტოვებს ქსოვილზე. ასეთი ნაკვალევის განადგურება კი მხოლოდ ცეცხლს შეუძლია. ყველა, ვინც გარდაცვლილი ადამიანის ტანსაცმელს ატარებს, აღნიშნავს, რომ გუნება-განწყობა უფუჭდება, გული უმძიმდება და არც წინსვლა აქვს ცხოვრებაში. ერთი მეზობელი მყავდა, ახალგაზრდა ბიჭი. დაუნდობლად მოკლეს ქუჩაში მისმა თანატოლებმა. რა იყო მისი მოკვლის მიზეზი, ეს სხვა თემაა, მაგრამ, დასაფლავების შემდეგ, უახლოესმა ძმაკაცებმა მისი ტანსაცმელი გამოართვეს გამწარებულ და გაუბედურებულ დედას და გადანაწყვიტეს, გარდაცვლილი ძმაკაცის სახელზე ეტარებინათ. ძალიან უყვარდა საწყალს ჩაცმა და იმდენი ტანსაცმელი ჰქონდა, სად წაელო, აღარ იცოდა, თან, ყველა ხარისხიანი და ძვირფასი. დამიჯერეთ, სამივე ბიჭს შეეცვალა ხასიათი; ისე აერიათ ცხოვრება, მტერს არ ვუსურვებ. გარდაცვლილის დედასთან ახლოს ვარ და ვუთხარი: ლალი, უკვე ექვსი წელი გავიდა და, უთხარი შენი შვილის ძმაკაცებს, ნუღარ იცვამენ გიორგის სამოსს, ხომ ხედავ, ბიჭები რა დღეში არიან, ცხოვრება აერიათ და ლამის თავები დაიხოცონ-მეთქი. მართლაც, დამიჯერა, დაიბარა ბიჭები და სთხოვა, ნუღარ ჩაიცვამთ ჩემი გარდაცვლილი შვილის ტანსაცმელს, ეს ჩემზე ცუდად მოქმედებსო. სულ რაღაც სამი თვეა, გაიხადეს ბიჭებმა გარდაცვლილი ძმაკაცის ტანსაცმელი და ნელ-ნელა მათი ცხოვრებაც დალაგდა.

**– კონკრეტულად რაში გამოიხატა უკეთესობა?**

– ეს ბიჭები ჩემს უბანში ცხოვრობენ და ჩემს ხელში არიან გაზრდილები. ერთმა შეყვარებული გაიჩინა და აღარ დგას სულ უბანში და აღარ არჩევს საქმეებს, მეორემ მუშაობა დაიწყო და, იმედია, მესამესაც მალე გაუმართლებს. დამიჯერეთ, ეს უბრალო დამთხვევა არაა და ამაში სხვა ეზოთერიკოსებიც დამეთანხმებიან. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ტანსაცმლის შეძენა არ არის სასურველი იმ ადამიანისგან, რომელიც თქვენში ქვეცნობიერად იწვევს ანტიპათიას. ასეთი ტანსაცმლის ტარებამ კი, შესაძლოა, დეპრესიაში ჩაგაგდოთ, აგრესიული გაგხადოთ და ელემენტარულმა წინააღმდეგობამ ისე გამოგიყვანოთ წყობიდან, რომ ლანძღვა-გინებაზე გადახვიდეთ.

> **თუ ხელიდან გიცვივდებათ ნივთები, ეს დიდი ბედნიერების ნიშანია, მაგრამ, თუ ჩაი ან ყავა გადაგესხათ ტანსაცმელზე, ფრთხილად იყავით, შესაძლოა, რამე დაკარგოთ**

გირჩევთ, დააკვირდით, რომელი ტანსაცმლის ტარებისას გემართებათ ასე, რისი ჩაცმის შემდეგ გიფუჭდებათ გუნება-განწყობა, ადვილად ღიზიანდებით, უსიამოვნებებში ეხვევით. მაგრამ, თუ, პირიქით, რომელიმე სამოსში გამოწყობილი ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ, ადვილად გამოგდით საქმე და წარმატებებს აღწევთ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, მაშინ ასეთი ტანსაცმელი ხშირად ჩაიცვით. ამ დროს მისი დადებითი ენერგეტიკა თქვენზეც გადმოდის და იღბლიანობაც იმატებს. დააკვირდით, ჩვენი ქვეცნობიერი ხშირად გვკარნახობს და გვაფრთხილებს მომავალი უსიამოვნებების შესახებ, რომელსაც ჩვენ ჯერ ვერც ვხედავთ და ვერც ვგრძნობთ. ასევე, ნუ იყიდით თქვენთვის საჭირო ნივთს ისეთი ადამიანისგან, რადგან მას შეუძლია, უმოკლეს დროში დამუხტოს ეს ნივთი უარყოფითი, ნეგატიური ენერგიით. ხშირად ეს გაუცნობიერებლად ხდება, რის შედეგადაც ეს ენერგია ნაყიდ ნივთთან ერთად თქვენს ბინაში შემოდის, თქვენზე გადმოდის და უამრავ პრობლემას გიქმნით. დამეთანხმებით, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ ოცნებობდეს, იყოს წარმატებული, ჰქონდეს ბევრი ფული, აიწყოს ოჯახური თუ კარიერული ცხოვრება, გახდეს სასიამოვნო კომპანიონი, იდილია შეიქმნას გარშემო და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს ყოველივე ბევრს ცხოვრების ბოლომდე ოცნებად რჩება, საწადელს კი გაცილებით ნაკლები აღწევს. არადა, საწადელის მიღწევა არც ისე ძნელია, თუ გონივრულად იცხოვრებთ და გეცოდინებათ, რა დროს რა უნდა მოიმოქმედოთ, რა თქვათ და რა გაიაზროთ. ადამიანს მფარველი ანგელოზი ყოველთვის აძლევს შანსს, იყოს ბედნიერი, აიხდინოს ოცნებები და გახდეს სასურველი და წარმატებული. ეს შანსი არ უნდა გაუშვათ ხელიდან.

**– ამბობენ, თუ ადამიანი საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა, ადვილად აღწევს წარმატებასო. იქნებ, გვასწავლოთ, როგორ აღმოვჩნდეთ სასურველ დროს სასურველ ადგილას?**

– ამისთვის დაკვირვება და ფხიზელი თვალია საჭირო და ყველაფერს თავად მიხვდებით. მიაქციეთ ყურადღება, რა მინიშნებას გაძლევთ ცხოვრება – ასეთი მინიშნებები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავია, მაგალითად: თუ ფეხსაცმელზე ქუსლი მოგტყდათ, აუცილებლად ელოდეთ სასიამოვნო ცვლილებას ბედში; თუ ქუდი წაგართვათ ქარმა, პირად ცხოვრებაში უსიამოვნებები გელით; თუ დილით, სამსახურში მიმავალს, ქუჩაში პირველად ხეიბარი ადამიანი შეგხვდათ, არ აგცდებათ უსიამოვნო შეხვედრა ან საუბარი უფროსობასთან და, ამიტომ, ეს დღე ფრთხილად და წინდახედულად უნდა განვლოთ: მოერიდოთ ძალაუფლების მქონე ადამიანებთან საუბარს და კომპანიონებთან ან კოლეგებთან ერთობლივ საქმიანობას; თუ საათზე დრო ჩამორჩა, არ გირჩევთ ამ დღეს ფულის სესხებას ან გასესხებას; თუ ხელიდან გიცვივდებათ ნივთები, ეს დიდი ბედნიერების ნიშანია, მაგრამ, თუ ჩაი ან ყავა გადაგესხათ ტანსაცმელზე, ფრთხილად იყავით, შესაძლოა, რამე დაკარგოთ.

**ნონა დათეშიძე**

## წამალი ერთგულებისთვის

გინდათ, თქვენი რჩეული ერთგული პარტნიორი იყოს და მასზე ეჭვიანობით არ დაიღალოთ?! თუმცა, რომელ ქალს არ უნდა, საყვარელი მამაკაცისთვის ერთადერთი იყოს...

შეიძლება, ვერც დაიჯეროთ, მაგრამ, ბონის უნივერსიტეტის პროფესორებს უკვე აქვთ წამალი, რომელიც მამაკაცებს ღალატს გადააჩვევს. მექალთანესაც კი ერთგულ, ცოლზე შეყვარებულ მეოჯახედ აქცევს. ეს არის სპეციალური სპრეი – ცხვირში შესასხურებელი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტიც ოქსიტოცინია. რა შუაშია ოქსიტოცინი მამაკაცის ერთგულებასთან? – ახლავე მოგახსენებთ. მთელი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ოქსიტოცინი, იგივე „სიყვარულის ჰორმონი", თავის მხრივ, ხელს უწყობს დოფამინის გამოყოფას. ეს გახლავთ ნეირომედიატორი, რომელიც ასოცირდება დამოკიდებულებასთან. მექალთანე მამაკაცებს ოქსიტოცინის ბუნებრივი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებული აქვთ, ამიტომ მათ მონოგამური ურთიერთობა სიხარულს, ბედნიერებას ველარ ანიჭებს. საკმარისია, ჰორმონი სპრეის დახმარებით გააქტიურდეს, რომ ისინი მუდმივი და ძირითადი პარტნიორის გვერდითაც შესანიშნავად გრძნობენ თავს.

ახლა ის არის საკითხავი, სად ვიშოვოთ ბონის პროფესორების მიერ დამზადებული სპრეი და, ხომ არ შეეცდებიან მამაკაცები მის მასობრივ განადგურებას...

## ცხოვრება ეგოისტთან

მამაკაცები იშვიათად არიან ყურადღებიანები საყვარელი ქალის მიმართ, მით უფრო მას შემდეგ, როცა თავისად დაიგულებენ. თუმცა, არსებობს კიდევ უფრო ცუდი ვარიანტი – ურთიერთობა ეგოისტთან.

აღარავინ დავობს იმაზე, რომ, ბუნებით, მამაკაცი ქალზე მეტად არის მიდრეკილი ეგოიზმისკენ. შეიძლება თუ არა ეგოისტის გამოსწორება? – სავარაუდოდ, შეიძლება, თუმცა, ამას დიდი მოთმინება, დრო, სურვილი და ცოტა დიპლომატიური ნიჭიც სჭირდება.

დავიწყოთ იმით, რომ ეგოისტი არასდროს შეგეკითხებათ, რა ხდება თქვენს სამსახურში, რა სიახლეებია, რა პრობლემები და, ხართ თუ არა კმაყოფილი საკუთარი საქმიანობით; ეგოისტის ყურადღების მიღმა რჩება პარტნიორის ახალი ვარცხნილობა თუ სამოსი და ეს ბუნებრივია – ის ხომ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ამიტომ, ნუ ელით მისგან საოჯახო საქმეებში ხელის წაშველებას – ის ვერც კი მიხვდება, რომ იღლებით. ჩხუბი, წუწუნი – ამ შემთხვევაში გამოსავალი არ არის, კიდევ უფრო დაამძიმებთ სიტუაციას და თქვენვე შეიქმნით დისკომფორტს, თორემ, იმას არც აინტერესებს, რა პრობლემები გაქვთ.

ეგოისტების თვისებებია: არ ამჩნევენ უწესრიგობას, ანუ, წესრიგი მათთვის არაფერს ნიშნავს; გულმავიწყები, უყურადღებოები, უპასუხისმგებლოები და ზერელეები არიან; წვრილმანებს მათთვის საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, სამაგიეროდ, უსაზღვროდ უყვართ საკუთარი პერსონა. სარკის წინ დიდხანს უყურებენ თავიანთ გამოსახულებას და ხშირად ესაუბრებიან საკუთარ თავს. მათი ფიქრები ერთადერთი არსების – „მე"-ს გარშემო ტრიალებს.

თუ მამაკაცში ეგოიზმი მკვეთრად არ არის გამოხატული, მას კიდევ უპოვით გასაღებს. მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ვერ იტანს კრიტიკას, აღიზიანებს ნებისმიერი თხოვნა, რაც მას ეგრეთ წოდებულ თავისუფლებას უზღუდავს. ეპატაჟურად, ხელების გაშლითა და ყვირილით ცდილობს, ყველას თავზე მოახვიოს თავისი აზრი, დაამტკიცოს საკუთარი სიმართლე – ასეთი სიმართლე კი ეგოისტს ყოველთვის აქვს...

## ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა

ოჯახების თითქმის ორმოცი პროცენტს წყვილის ერთობლივი ცხოვრებისთვის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა ანგრევს. ხშირად არ გვინდა და არც ვიცით, როგორ უნდა მოვუსმინოთ და გავუგოთ საყვარელ ადამიანს, წავიდეთ მასთან კომპრომისზე, გავუადვილოთ ცხოვრება, მივანიჭოთ სიხარული... ზოგჯერ კი, უბრალოდ, მსხვერპლად მივიტანოთ საკუთარი ინტერესები. უამრავ წყვილს არ დაენგრეოდა ურთიერთობა, ერთმანეთისთვის ყურადღებით რომ მოესმინათ.

ცხოვრების თანამგზავრის გარდაქმნა, მისი ხელახლა აღზრდა ძალიან რთულია, თუმცა, შეუძლებელი არ არის. თავიდანვე უნდა გაითვალისწინოთ ის, რომ ამ მტკივნეულმა პროცესმა, შეიძლება, ყველაფერი დაანგრიოს. უმჯობესია, საკუთარი თავის გარდაქმნასა და გამოსწორებაზე იფიქროთ – ეს უფრო მარტივია და ნაკლებად დამაზარალებელი... ხშირად მამაკაცს ქალი სრულ კომფორტს უქმნის – ყველა პრობლემა თუ საზრუნავი თავის მხრებზე გადააქვს და ამით საკუთარ თავს უწევს დათვურ სამსახურს. გახსოვდეთ ერთი აუცილებელი პირობა: დათმობა ურთიერთობაში აუცილებელია, მაგრამ, არასდროს თქვათ უარი საკუთარ ინტერესებზე. ზოგჯერ აუცილებელია, იყოთ პრინციპულიც. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ თქვენი მეუღლე ზრდასრული, ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი ადამიანია და, მით უმეტეს, წუწუნისა და საყვედურს არ აქვს აზრი. აჯობებს, დასხდეთ და მშვიდად დაილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ გადაინაწილებთ მოვალეობებსა და ვალდებულებებს. მშვიდი, კონსტრუქციული საუბარი პრეტენზიული ტონის გარეშე გაცილებით მომგებიანია.

## საკუთარ თავზე შეყვარებული

ჯანსაღი ეგოიზმი ცუდი არ არის, ის ნებისმიერი ადამიანისთვის ცხოვრების სტიმული და პროგრესის მოტივაციაა. მაგრამ, როცა საკუთარი თავის სიყვარულის გამო, გარშემო ვერავის და ველარაფერს ამჩნევთ; როცა ფიქრობთ, რომ სამყარო თქვენი სიამოვნებისთვის არის შექმნილი, პრობლემა მარტო თქვენს ახლობლებს კი არა, თავადაც გექმნებათ. ზოგადად, ეგოისტებს ძალიან დაბალი აქვთ თვითშეფასების კრიტერიუმი და გაძლიერებული არასრულფასოვნების განცდა. რეალობაა ის, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ორჯერ უფრო ხშირად არიან ეგოისტები. ქალს ბუნება არ აძლევს ამის საშუალებას – ის დედაა და ინსტინქტი სხვაზე ზრუნვისა ყველა დანარჩენ გრძნობაზე მძლავრად აქვს განვითარებული.

ზოგიერთი მამაკაცი კარგად ნიღბავს ეგოიზმს და თავს გულღია, უშუალო, მსუბუქი ხასიათის ადამიანად აჩვენებს. სინამდვილეში კი თვალის ჩინივით უფრთხილდება საკუთარ პერსონას და არ დაუშვებს, რომ მას ვინმემ, თუნდაც ძალიან საყვარელმა ადამიანმა (თუ ასეთი საერთოდ ეყოლება), დისკომფორტი შეუქმნას.

რა ქნას, თუ საკუთარი თავი ყველაზე და ყველაფერზე მეტად უყვარს?! რაც არ უნდა გააკეთოს, ელოდება მქუხარე აპლოდისმენტებსა და მისი ზენიჭიერების აღიარებას: პურიც რომ მიიტანოს სახლში, პატარა ლურსმანიც რომ მიაჭედოს, მეუღლემ ტაში თუ არ დაუკრა, ბრაზობს და იბუტება. თვითონ კი, როგორც არ უნდა იზრუნოთ მასზე, მადლობას არ გეტყვით, რადგან, დარწმუნებულია, რომ ეს დაიმსახურა – აი, ასე ფიქრობს და იფერებს თქვენს ყურადღებას. აზრი არ აქვს წუწუნს, ტირილს, ნერვიულობას, ან იმის მოთხოვნას, რომ საკუთარ თავზე მეტად უყვარდეთ. შეეგუეთ იმას, რომ მას უყვარს მხოლოდ თავისი „მე" და ეს ყოველთვის ასე იქნება!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# დაბალანსებული დიეტა

ეს დიეტა 4-კვირიანია. სურვილის მიხედვით, მეოთხე კვირის დასრულების შემდეგ, პირდაპირ მიაყოლეთ პირველი და ბოლო კვირა, ანუ, დიეტას 14 დღე მიუმატეთ.

დიეტა ექიმების მიერ არის შედგენილი და შედარებით ადვილად შესასრულებელია, რადგან, არ არის მითითებული თითოეული ულუფის რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ, შეგიძლიათ, მიირთვათ მსუბუქად დანაყრებამდე.

დიეტა დამყარებულია ბუნებრივ ქიმიურ რეაქციებზე და არა კალორიებზე და არ საჭიროებთ დამატებით ვიტამინების მიღებას.

ნებისმიერი ჩანაცვლება დაუშვებელია. თუ, მაგალითად, რომელიმე პროდუქტი ამოაგდეთ, მის ნაცვლად სხვა პროდუქტის ჩასმა აკრძალულია.

4-5 კვირის განმავლობაში დაიკლებთ 10-12 კილოგრამს.



ამ დიეტის დაცვა არ შეიძლება მათთვის, ვისთვისაც მიზანშეწონილი არ არის კვერცხის ჭამა.

დღეს გთავაზობთ პირველი კვირის მენიუს, დანარჩენი 3 კვირის მენიუს კი შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ.

**პირველი კვირა**

მთელი კვირის განმავლობაში საუზმე ერთნაირია: 2 ცალი მოხარშული კვერცხი + ნახევარი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**I დღე**

***სადილი***: მხოლოდ ერთი სახეობის ხილი (ფორთოხალი, ვაშლი, ნესვი ან საზამთრო) ნებისმიერი რაოდენობით.

***ვახშამი***: ფრინველის, საქონლის ან მჭლე ღორის ხორცი (უცხიმოდ შემწვარი).

**II დღე**

***სადილი***: მოხარშული ან უცხიმოდ შემწვარი ქათმის ხორცი (კანის გარეშე).

***ვახშამი***: 2 ცალი მოხარშული კვერცხი + სალათა (კიტრი, პომიდორი, სტაფილო, ბულგარული წიწაკა, მწვანილი) + 1 ნაჭერი ტორტი + 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**III დღე**

***სადილი***: ახალი ყველი (ნაკლებმარილიანი და უცხიმო) + პომიდორი + 1 ნაჭერი ტორტი.

***ვახშამი***: უცხიმოდ შემწვარი ხორცი.

**IV დღე**

***სადილი***: მხოლოდ ერთი სახეობის ხილი.

***ვახშამი***: შემწვარი ხორცი + ბოსტნეულის სალათა.

**V დღე**

***სადილი***: 2 ცალი მოხარშული კვერცხი + მოხარშული ბოსტნეული (ძალიან არ ჩაგეხარშოთ: ყაბაყი, ლობიო, მწვანე ბარდა, გათლილი ბადრიჯანი ან სტაფილო (ძალიან ცოტა მარილით).

***ვახშამი***: მოხარშული თევზი + ბოსტნეულის სალათა.

**VI დღე**

***სადილი***: ერთი სახეობის ხილი.

***ვახშამი***: შემწვარი ხორცი + ბოსტნეულის სალათა.

**VII დღე**

***სადილი***: უცხიმოდ შემწვარი ან მოხარშული ხორცი + პომიდორი + 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

***ვახშამი***: მოხარშული ბოსტნეული.

შუალედებში შეგიძლიათ მიირთვათ უშაქრო ყავა, მწვანე ჩაი, მინერალური ან ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

აიწონეთ დიეტის დაწყების წინა საღამოს და მეშვიდე დღის დასრულების შემდეგ.

აუცილებელი პირობა. ყოველ დილით ან ყოველ საღამოს შეასრულეთ ფიზიკური ვარჯიშები. ყველაზე უფრო შედეგიანია საღამოს 7-დან 8 საათამდე ძუნძულით სირბილი. უკეთეს შედეგს მიიღებთ, თუ კვირაში ორჯერ ცურვითაც დაკავდებით.

**სასარგებლო რჩევა**: კვირის განმავლობაში იმდენი სახეობის ხილისა და ბოსტნეულის გამოყენება მოგიწევთ, დასანანი იქნება, რომ ისინი კანის მოსავლელად არ გამოიყენოთ. ამიტომ, ხილის, კიტრისა და პომიდვრის თითო პატარა ნაჭერი გახეხეთ, შეურიეთ ერთმანეთს კვერცხის გულთან და 1 ჩაის კოვზ ზეითუნის ზეთთან ერთად და ყოველ საღამოს, დაძინებამდე 1-2 საათით ადრე, გაიკეთეთ ნიღაბი. ჩამოიბანეთ გრილი წყლით და შემშრალებისთანავე გადაისვით მკვებავი. იმავე მასით შეგიძლიათ გაიკეთოთ თმის ძირების ნიღაბიც.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: საჭიროა თუ არა SPF დამცავი კრემების გამოყენება რუჯის ეფექტის მქონე მაკიაჟის გაკეთების დროს?**

**პასუხი**: რუჯის ეფექტის მქონე მაკიაჟის გაკეთებისას SPF დამცავი კრემების გამოყენება აუცილებელი არ არის. საკმარისია ბრინჯაოსფერი პუდრი და მბზინავი საშუალებები.

**კითხვა: მაინტერესებს, ამცირებს თუ არა გარუჯვა წვრილ ნაოჭებს?**

**პასუხი**: წვრილი ნაოჭების ყველაზე ბუნებრივი კორექტორი არის მსუბუქი რუჯი – მუქ კანს გაცილებით ნაკლებად ემჩნევა დანაოჭება. მაგრამ, ულტრაიისფერი სხივების დიდი დოზით მიღების შემთხვევაში კანი, პირიქით, უფრო სწრაფად იფიტება და ჭკნება.

**კითხვა: რომელი ხილისა და ბოსტნეულის ცოცხალი ნიღბის გაკეთება ჯობია ამ სეზონზე?**

**პასუხი**: თუ ალერგიული არ ხართ, გირჩევთ, გაიკეთოთ იმ ხილის ან ბოსტნეულის ნიღაბი, რომელიც ხელთ გაქვთ. თითოსაათიანი ინტერვალით, დღის განმავლობაში შეგიძლიათ გაიკეთოთ 2-3 სხვადასხვა პროდუქტის ნიღაბი, ჩამოიბანოთ ნელთბილი წყლით და წაისვათ თქვენი მკვებავი ან ზეითუნის ზეთი.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, სახის მკვებავი (მშრალი კანისთვის) ხელებზე წასასმელადაც გამოვიყენო?**

**პასუხი**: სახის მკვებავის ხელებზე წასმა დასაშვებია, მაგრამ, ხელის კრემის სახისთვის გამოყენება კატეგორიულად არ შეიძლება.

**კითხვა: მაინტერესებს, დასაშვებია თუ არა სხვადასხვა ბოსტნეულის (მაგალითად, გახეხილი კიტრისა და პომიდვრის) ერთმანეთში შერევა ნიღბის გასაკეთებლად?**



**პასუხი**: ეს არა მარტო დასაშვებია, არამედ, უკეთესიც არის, ოღონდ სასურველია, შეურიოთ ცოტაოდენი ზეითუნის ზეთი (თუ მშრალი კანი გაქვთ) და მჭადის ფქვილი, რომ ჩამობანისას მსუბუქი პილინგიც გაიკეთოთ.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# რა სიურპრიზი მოუწყო სტალინმა დე გოლს მოსკოვში



1944 წლის ნოემბერში სტალინის გაუარესებული ჯანმრთელობა სულ რაღაც ორიოდე კვირაში სრულიად აღდგა და დიდი ბელადი გაორმაგებული ენერგიით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ჩვენ წინ მივიწევდით, მთელი მსოფლიოსთვის უკვე ნათელი იყო ფაშისტური გერმანიის კრახი. მრავალი ოკუპირებული ქვეყნის ლიდერი უკვე პირადად სტალინს უთანხმდებოდა საკუთარი სამშობლოს ბედზე და დიდ ბელადს დახმარებას სთხოვდა. 10 დეკემბერს კრემლში სტალინმა საფრანგეთის სამხედრო დელეგაცია მიიღო, რომელსაც გენერალი შარლ დე გოლი მეთაურობდა. დე გოლი იმ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში იყო ჩართული, ფაშისტების ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძოდა და ქვეყნის პრეზიდენტი მოგვიანებით გახდა. მიუხედავად ამისა, ფრანგი გენერალი დიდ სამხედრო ძალას ფლობდა და საკუთარ ხალხში უდიდესი პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობდა. სწორედ ამიტომ, მიავლინეს დე გოლი მოსკოვში, რათა მას სტალინისგან სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის გარანტიები მიეღო და ეს გარანტიები სათანადო ხელშეკრულებით გაეფორმებინათ. გენერალი დე გოლი საკმაოდ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ის ძალიან მაღალი კაცი იყო, კოპებშეკრული უზარმაზარი ცხვირით. შესიებული უპეებიდან გამჭოლად გიყურებდნენ მისი თვალები. ეს კაცი თითქმის არასოდეს იღიმებოდა. ეს, ერთი შეხედვით, პირქუში პიროვნება სტალინის წინაშე მგლის ლეკვივით უმწეო შეიქმნა, როცა საკუთარი ნების თავზე მოხვევას შეეცადა. თუმცა, ვერაფერს გახდა. საქმე ისაა, რომ ფრანგების დროებითი მთავრობის ხელმძღვანელობა (რომელიც ლონდონში იყო დაბინავებული) ურთიერთდახმარებისა და კავშირის ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად იყო მოსკოვში ჩამოსული და ეს დოკუმენტი, უპირველესად, მათ ინტერესებს ემსახურებოდა. ფრანგებმა ხელშეკრულების საკუთარი ვარიანტი ჩამოიტანეს, რომლის თანახმადაც, საბჭოთა კავშირი ომის შემდეგ დიდ დათმობებზე უნდა წასულიყო ევროპაში (კერძოდ კი, გერმანიასთან მიმართებაში). გარდა ამისა, ფრანგებისთვის მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება უნდა გაგვეწია. სტალინმა, რა თქმა უნდა, ჩანასახშივე უარყო ფრანგული ვარიანტი, გაეცინა, დოკუმენტი მაგიდაზე მოისროლა და დასძინა: „თავხედობა პატიმრობისას მეორე ბედნიერებააო, გამიგია. თუმცა, არა მგონია, ჩვენთან თავხედობამ ფრანგები გააბედნიეროს. ამათ ჩვენ ვინ ვგონივართ, ალბათ, სულელები, არა? მართალია, დე გოლზე ბევრი კარგი მსმენია, მაგრამ ეს დოკუმენტი მას ჩემს თვალში ამცირებს“. ერთი სიტყვით, სტალინმა დე გოლს მოლოტოვის პირით დოკუმენტის გადასინჯვა შესთავაზა და შეუთვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეხვედრას აზრი არ ექნებაო. სულ რამდენიმე საათის შემდეგ, ფრანგებმა რადიკალურად განსხვავებული დოკუმენტი წარმოადგინეს და სტალინი კმაყოფილი დარჩა. თუმცა, შეხვედრა მაინც მეორე დღისთვის გადადო. 10 დეკემბერს სტალინი ისევე მიესალმა დე გოლს, როგორც სხვა მის ხელქვეითებს და ამით პირველი დარტყმა მიაყენა. დიდმა ბელადმა ფრანგ გენერალს თავიდანვე აგრძნობინა, ვინ იყო სიტუაციის ბატონ-პატრონი და განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია ლეგენდარული გენერლის მიმართ. მეტიც, სტალინი ხაზგასმული თავაზიანობით ეპყრობოდა ესკადრილია „ნორმანდიის“ მეთაურს, პუიადას და მასთან ერთად ვახტანგურადაც კი დალია პირადად მისი სადღეგრძელო. დე გოლი, რა თქმა უნდა, მიხვდა სტალინის დემარშს, მაგრამ ცდილობდა, არ შეემჩნია და ღირსეულად დაეჭირა თავი. თუმცა სახეზე მღელვარება აშკარად ეტყობოდა. სტალინმა ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, მშვენივრად შეამჩნია და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დე გოლი საჭირო კონდიციამდე მიიყვანა, სათანადო ყურადღება მიაპყრო. ფრანგთა გოლიათი ლიდერი ოთახის კუთხეში, ღვინით სავსე ბოკალით ხელში იდგა და დაბნეული იყურებოდა. იმ მომენტში ის ნამდვილად არ ჰგავდა გმირ ფრანგ წინამძღოლს, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი იყო თავისი სიჯიუტითა და პრინციპულობით. სტალინი, რომელსაც ასევე ღვინით სავსე ბოკალი ეჭირა, დე გოლს მიუახლოვდა, ხელკავი გამოსდო და ოთახის ცენტრისკენ გამოიყვანა. შემდეგ სადღეგრძელო წარმოთქვა და გენერალს ვახტანგურად დალევა შესთავაზა. დე გოლი იძულებული იყო, შესამჩნევად მოხრილიყო, რათა მკლავი მკლავში გაეყარა სტალინისთვის. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ფრანგი თავს იხრიდა სტალინის წინაშე მაშინ, როცა დიდი ბელადი წელში გამართული, თავაწეული სვამდა ვახტანგურად.

**დე გოლმა ფრანგულად ჩაილაპარაკა: „რომ არა გენერალი ბაგრატიონი, ძალიან გაგიჭირდებოდათ“**

ეს მომენტი, რა თქმა უნდა, ფრანგებმაც დააფიქსირეს და „ნორმანდიის“ მეთაურს ულვაშებშიც კი ჩაეღიმა. სტალინმა ერთ-ერთ სადღეგრძელოში თქვა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნები უსასტიკეს ომში ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ (იგულისხმება 1812 წელი), დღეს ჩვენ მოკავშირეები ვართ და ერთიანი ძალისხმევით ვცდილობთ ფაშიზმის განადგურებას. ჩვენს მიწაზე ვერც ჰიტლერმა მოიკიდა ფეხი, ვერც ნაპოლეონმა და ეს სურვილი ყველასთვის აუსრულებელი დარჩება“.

ნაპოლეონის ხსენება ფრანგებს არ ესიამოვნათ და მით უმეტეს, მისი შედარება ჰიტლერთან. თუმცა, ხმამაღალი პროტესტი არავის გამოუთქვამს, დე გოლმა კი ფრანგულად ჩაილაპარაკა: „რომ არა გენერალი ბაგრატიონი, ძალიან გაგიჭირდებოდათ“.

სტალინს, რომელსაც ბრწყინვალე სმენა ჰქონდა, არ გამოჰპარვია ფრანგის ეს ფრაზა და ის ასე დაასრულა: „თქვენი და ბაგრატიონის თამადობით, ყველა იმ მეომარს გაუმარჯოს, ვინც ბოროტებას ებრძვის“. ეს სადღეგრძელო უკვე ვახტანგურის გარეშე დალია ორივემ. შემდეგ დე გოლმა საპასუხო სიტყვა წარმოთქვა და მხოლოდ ბაგრატიონის თამადობით დალია მეომართა სადღეგრძელო. სტალინმა დე გოლს კვლავ ხელკავი გამოსდო და განუმარტა: „ბაგრატიონი ქართველი იყო და რუსეთში იბრძოდა, მეც საქართველოში მაქვს სამშობლო“.

სტალინის ეს სიტყვები მრავალი წლის შემდეგ გავიაზრე და დავრწმუნდი, რომ მას არასდროს გაუწყვეტია კავშირი თავის ფესვებთან.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# როგორ გავხსნათ წარმატების კოდი ყოველდღიურად და ვისთვის გადის დღეები შედარებით სწრაფად

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, დაგეგმოს და რაღაც საფეხურამდე წინასწარ განჭვრიტოს მომავალი მოქმედებები. რაშიც მას მეხსიერება ეხმარება.

წარსულსა და მომავალს შორის არსებობს ჩვენი აწმყო, ანუ, დროის ის მონაკვეთი, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით. ბევრი სწორად არ აფასებს აწმყოს და ძალიანაც ცდება, რადგან, გამოდის, რომ, ყველაზე მთავარი და ძირითადი, რაც ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია, მათ სადღაც შორეულ მომავალში ელოდება. თუმცა, ეს, ერთი მხრივ, არც ისე ცუდია, რადგან მომავლისთვის წინსვლის სტიმულს იძლევა. მეორე მხრივ კი, ვერ ვამჩნევთ, რომ ნებისმიერი სერიოზული მოვლენა შემთხვევით კი არ მოხდა, არამედ, მომავალი საქმის სასარგებლოდ მომზადდა. ირგვლივ ადამიანებს და რეალურ შესაძლებლობებს ან ვერ ვამჩნევთ, ან უკუვაგდებთ სწორედ იმის გამო, რომ დროს სათანადოდ არ ვაფასებთ, ჩვენს კარმას ვკეტავთ და ვაბინძურებთ.

რატომ უჭირთ ადამიანებს აწმყოს რეალურად გაცნობიერება? ამის პირველი მიზეზი დროის აღქმაში გაურკვევლობაა. მაგალითად, თუ დრო სწრაფად მიდის და ქრება, ესე იგი, თქვენი ყურადღება მხოლოდ დღევანდელ დღეზეა მიმართული და ფოკუსირებული. ასეთი შეგრძნება ხშირად გამოწვეულია იმით, რომ ცხოვრებაში რაღაცას ზურგს აქცევთ – რაღაცის შემჩნევა, ცნობა, აღიარება არ გსურთ.

მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ხშირად ადამიანი წყვეტს სინამდვილესთან კონტაქტს. ამ დროს ის თითქოს კარგავს სხეულის შეგრძნებას, ქრება მოხერხებულობა, ირღვევა ცხოვრების ჩვეული რიტმი და სხეულთან ჰარმონია. ეს უგუნებო-უქეიფოდ ყოფნა როდია, მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, ვინაიდან, ფიზიკური შეგრძნება ჩვენზე უფრო შორსმჭვრეტელია და ჩვენს ქვეცნობიერთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

მესამე მიზეზი გრძნობების ერთგვარი დაჩლუნგებაა. სინამდვილესთან კონტაქტის არქონა წარსულში გვაბრუნებს და ჩვენი ცხოვრება რაღაც უგრძნობი სიტუაციების შემადგენლობას ემსგავსება.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად დროის შეჩერება გვინდა, ეს არარეალური და შეუძლებელია, სამაგიეროდ, მისი აღქმის შეცვლა შეგვიძლია. ნურც გუშინდელ დღეს დაივიწყებთ და ნურც მხოლოდ ხვალინდელზე იოცნებებთ. შეიგრძენით ყოველი წამი, გაითვალისწინეთ ვარსკვლავების პროგნოზები და რჩევები და ნეგატიურ დღეებში მეტად ფრთხილი და წინდახედული იყავით.

ამით საკუთარ თავსაც დაეხმარებით და ყოველი დღე, საათი, წუთი და წამი თქვენთვის გაცილებით სასიკეთო აღმოჩნდება.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა**: **ჩემი შვილი დაიბადა 1988 წლის 9 აგვისტოს, დილის 8 საათზე. რომელ სფეროში ექნება მეტი წარმატებები, დაბრკოლებების გარეშე?**

**პასუხი**: მისთვის მისაღები და წარმატებების მომტანი პროფესიებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი; სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ორგანიზატორული ან ადმინისტრაციული საქმიანობა; საიუველირო ბიზნესი ან შემოქმედება; იურისპრუდენცია, პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგია, კარდიოლოგია, სამასაჟო საქმე, სადალაქო ბიზნესი, გასართობი ინდუსტრია, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია; საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო, კომერციული სფეროები; ლინგვისტიკა, პედაგოგიკა, სოციოლოგია.

**კითხვა**: **დავიბადე 1996 წლის 23 აპრილს, დღის საათებში. რა არის ჩემი კარმული მისია და რომელი პროფესია ავირჩიო სამომავლოდ, რომ ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიო?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისიაა, იყოთ მეტად აქტიური, ენერგიული, ინიციტივიანი; წარმოაჩინოთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები. დაეყრდენით ცოდნის ბაზას, კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ოპტიმიზმს. უნდა იმოქმედოთ უშიშრად, გამოავლინოთ შესაძლებლობების მაქსიმუმი. უნდა იყოთ დისციპლინირებული, მომთმენი, მიზანსწრაფული, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი და ფულის ყაირათიანად მხარჯველი. დაეყრდენით ინტუიციას. დაიცავით საკუთარი საიდუმლო. ასევე, თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა უცხოეთი – იქ წასვლა და ძალების მოსინჯვა. რაც შეეხება პროფესიებს, თქვენთვის წარმატების მომტანია: სპორტი, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სფერო; ფარმაცევტიკის გარდა ყველა სამედიცინო სფერო; ასევე, სამართალდამცავი ორგანოები, საგამოძიებო საქმიანობა, მაკონტროლებელი ორგანოები, საბაჟო და საგადასახადო სფერო; ფილოსოფია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, არატრადიციული მედიცინა.

**კითხვა**: **ჩემი შვილი დაიბადა 1999 წლის 13 მაისს. ოჯახის შექმნის მიზნით რომელი ასტროლოგიური ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანია მისთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი შვილის საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობისთვის მისაღებია კირჩხიბის, ვერძის, ქალწულის ან თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი. გეტყვით იმასაც, რომ არასასურველია ურთიერთობა და ამ მხრივ უნდა მოერიდოს თხის რქის, ლომისა და მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს, დანარჩენ ნიშნებთან ურთიერთობა კი საშუალოა.

**კითხვა**: **დავიბადე 1979 წლის 28 მარტს, დილის საათებში. რა არის ჩემი კარმული მისია და უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ მეტად აქტიური, ენერგიული; შეეძლოთ საკუთარ თავზე ინიციატივის აღება, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა. გამოავლინეთ უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთება, დაეყრდენით ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას. ასევე, ურთიერთობებში გამოიყენეთ დიპლომატია. აუცილებელია უცხოეთთან კონტაქტი – ესეც თქვენი კოსმიური მისიაა. ქვეყნებიდან კი კარგია: ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრალია, სერბეთი, სლოვენია, ბრაზილია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, კუნძული მალტა. ამ ქვეყნებში თქვენთვის გაცილებით მეტია წარმატების მიღწევის შანსი.

**კითხვა**: **დავიბადე 1988 წლის 11 იანვარს. მინდა უცხოეთში წასვლა. არის თუ არა ის ჩემი კარმული მისია და რომელი ქვეყნებია წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: უცხოეთში, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ, ამიტომ, ის თქვენთვის მიუღებელია, ანუ, უცხოეთში გამგზავრება თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის. თუმცა, თუ მაინცდამაინც გნებავთ წასვლა, შემიძლია, შემდეგი ქვეყნები გირჩიოთ: რუსეთი, პოლონეთი, შვედეთი, ჩილე, ჰოლანდია, სამხრეთ აფრიკა, კანადა, სლოვაკეთი, ახალი ზელანდია, უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, შვეიცარიის დასავლეთი მხარე, მოლდავეთი, არგენტინა, ლატვია, ბულგარეთი, ისრაელი.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

21 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;;***

22 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად..."** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

21 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ჰამლეტიკა"** - (ბილეთის ფასი - 10, 12 ლარი), რეჟისორი მორგანტე ნარდი. მონაწილეობენ: ნანა ხურითი, გიგი მიგრიაული, გიორგი გასვიანი, ანდრეა გველესიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

22 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21**

20 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

21 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

22 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი.***

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

20 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

21 ივნისი, **შაბათი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან;

22 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

**ილიაუნის თეატრი**
**ილია ჭავჭავაძის გამზირი №32.**
**ტელ.: 229-47-15.**

19 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, თამარ მაყაშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, დავით ველიჯანაშვილი, მაკა შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

20 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„ანტიგონე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი გაგა გოშაძე. მონაწილეობენ: თამთა ნავროზაშვილი, გია როინიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, მაკა ძაგანია, თამარ მაყაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, ანდრია ვაჭრიძე. ტრაგედია 1 მოქმედებად; ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

21 ივნისი, **შაბათი** 20.00 - **„ბრიყვთა ვახშამი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ზუკა პაპუაშვილი, დათუნა გოცირიძე, სოფო გვრიტიშვილი, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, დათო ველიჯანაშვილი, თემო კვარაცხელია, მაკა ძაგანია. სპექტაკლის ხანგრძლივობა: კომედია 2 მოქმედებად; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

22 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„ფრანგული გარნირი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, სალომე მიქაძე, გიორგი ჭუმბურიძე, სალომე ლაფერაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

**საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

17 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„წმინდა გიორგი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

20 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„შექსპირის სონეტები"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი დავით შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი.***

**თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

20 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„მე ვხედავ მზეს"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, ბერტა ხაფავა, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, ბესო მეგრელიშვილი, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ორშაბათი 16 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **არგენტინა-ბოსნია** (გ/ჩ) 17.00 "ქართული ჯარი" 17.30 "სოციალური თოქ-შოუ" 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **გერმანია-პორტუგალია** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 22.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ირანი-ნიგერია** (პ/რეპ) 01.00 "ბრაზილია – 2014" მე-10 გადაცემა (პ/რეპ) 01.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **განა – აშშ** (პ/რეპ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურის-მაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 მხ/ფ **"განდგომილები"** 00.45 მხ/ფ **"მეომარი"**(ჯ.რუსო) 02.30 მხ/ფ **"წინასწარმეტყველი"**.

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 X - ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ. 04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.45 მხ/ფ **"ცისკარა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"ცისფერი მთები"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.20 სპექტაკლი - **"ბაზაზიის სამოთხე"** ქუთაისის თეატრი. 18.05 განთიადის სტუმარი 18.35 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"მალე გაზაფხული მოვა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი 21.25 სახლი ღვთისა 21.40 "თვენი" ღირსი მამა ილარიონ ქართველი 22.25 დ/ფ"მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.25 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.45, 17.45, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30, 12.30, 1.20 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 13.00 იმედის ფსონი 14.00 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50 "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, **სერიალი "სკანდალი"** 0.30 დოკ.ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## სამშაბათი 17 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **განა-აშშ** (გ/ჩ) 17.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 17.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ბელგია – ალჟირი** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 22.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ბრაზილია – მექსიკა** (პ/რეპ) 01.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 01.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **რუსეთი – სამხრეთ კორეა** (პ/რეპ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო 00.00 მხ/ფ **"მებრძოლი"** 02.10 მხ/ფ **"დაბრუნება ბრაიდსჰედში"**(გ.სკაკი) (ტიტ.).

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. 04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 დ/ფ "პირველად იყო სიტყვა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დ/ფ "მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე" 11.05 დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 11.35 პატერიკი 11.40 სახლი ღვთისა 12.10 მხ/ფ **"მალე გაზაფხული მოვა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 დ/ფ "მესაზღვრე ბერები" I ნაწ. 16.15 კონცერტი - კამერული მუსიკის ფესტივალი 17.35 ქვიშით ნაამბობი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მოკ./ფ. **"უსახელო უფლისციხელი"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთის-ოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.35 დ/ფ "ქართული მონეტები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 7.45 "უცნობი ისტორიები" (გამ.) 8.10 "ურბანსპორტი"(გამ.) 8.25 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში/(გამ.) 8.45, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30, 12.30, 1.20 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 13.00 იმედის ფსონი 14.00 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი ,,ასი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, TV 11 მაესტროზე 23.55 **სერიალი "სკანდალი"** 0.40, დოკ/ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**16 – 22 ივნისი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00, 17.30, 20.00 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 16.00 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.00, 18.00, 20.15 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

22.30 - **„ჩემი საბნის ნაკეცი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 3*

11.45 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

14.00 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.30, 19.30, 22.30 - **„X ადამიანები: მომავლის განვლილი დღეები"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00, 16.00 - **„მძარცველი ციყვები: ოპერაცია თხილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

17.50, 20.00, 22.30 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.45, 17.30, 20.00 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

22.30 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15, 14.45, 17.15 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

19.45, 22.30 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

15.00, 17.00 - **„მონაკოს პრინცესა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ჩემი საბნის ნაკეცი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.30, 17.15 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

15.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

19.20, 22.30 - **„მომავლის ზღვარი"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ზუსტი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები



# „ჟარკოე“ ქოთანში







**საჭირო ინგრედიენტები:** 2-2,5 ჭიქა ფქვილი, 6-7 სადილის კოვზი არაჟანი (4 სადილის კოვზი – ცომში, 2-3 – შიგთავსში) 4 სადილის კოვზი მაიონეზი, 100 გრამი მარგარინი, ზეთი, მარილი, 1 ჩაის კოვზი არაყი, 300 გრამი რბილი ღორის ხორცი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 4 ცალი კარტოფილი, 1 ცალი პომიდორი, 2 კბილი ნიორი, გაყინული მწვანე ლობიო – 2 სადილის კოვზი, რეჰანი, ოხრახუში, ტკბილი წითელი წიწაკა, მარილი, შავი პილპილი, ცოტა რძე ან კვერცხის გული ზემოდან მოსასხმელად.

**მომზადების წესი:** ჯერ აკეთებთ ცომს. ფქვილში შეურიეთ 4 სადილის კოვზი არაჟანი, 4 სადილის კოვზი მაიონეზი, 100 გრამი რბილი მარგარინი, ცოტა მარილი, 1 ჩაის კოვზი არაყი. მოზილეთ რბილი, ელასტიკური ცომი. შეახვიეთ გამოსაცხობ ცელოფანში და მოათავსეთ მაცივარში 30 წუთის განმავლობაში. ხორცი დაჭერით მომცრო ნაჭრებად. მოხრაკეთ ცხელ ტაფაზე, მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი. უყავით მარილი და დაასხით ცხელი წყალი იმდენი, რომ ხორცი ოდნავ დაფაროს. შუშეთ ხუფის ქვეშ, სანამ სანახევროდ არ მოიხარშება. ხახვი, ნიორი და სტაფილო წვრილად დაჭერით. ხორცი გადაწურეთ, ბულიონი შეინახეთ ჭიქაში. დაუმატეთ ზეთი, მარილი, პილპილი, წითელი წიწაკა. დაუმატეთ დაჭრილი ბოსტნეული ხორცს და შუშეთ 5-7 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ დაჭრილი პომიდორი და კიდევ ხუთი წუთი შუშეთ. ცომი გამოიღეთ მაცივრიდან გაყავით ორ ნაწილად. ერთი ნაწილი იყოს 2/3 და გააბრტყელეთ მრგვლად, 3-5 მილიმეტრ სისქეზე. მოათავსეთ ფორმაში. ნაპირები ცოტა აუმაღლეთ და ამოუწიეთ 6 სანტიმეტრ სიმაღლეზე. სასურველია, ფორმა 12 სანტიმეტრის დიამეტრის იყოს. კარტოფილი დაჭერით მომცრო კუბიკებად. მოათავსეთ ცომზე. ზემოდან წაუსვით არაჟანი, მოაყარეთ ლობიო, შემდეგ მოშუშული ხორცი ბოსტნეულით. ცომის 1/3 გააბრტყელეთ თხლად, მიეცით წრიული ფორმა და დააფარეთ ხორცს. „შეუკარით“ ნაპირები. ცენტრში ამოაღრმავეთ. წაუსვით კვერცხის გული ან რძე, ჩაღრმავებაში კი ცოტა ბულიონი ჩაასხით (50-70 მილილიტრი) გამოაცხვეთ წინასწარ 180 გრადუსამდე გაცხელებულ აირღუმელში 1 საათის განმავლობაში. ნახევარი საათის გასვლის შემდეგ გამოიღეთ, ჩაღრმავებაში კიდევ ჩაასხით 50 მილილიტრი ბულიონი. დაუკელით ტემპერატურას 150 გრადუსამდე და გამოაცხვეთ სრულ მომზადებამდე.

გააცივეთ ფორმაშივე. შემდეგ, კუთხეში გადახადეთ ცომის „ხუფი“, ჩაასხით დარჩენილი ბულიონი და მოაყარეთ მწვანილი. მიირთვით გამომცხვარ „ხუფთან“ ერთად. იჭმევა მთლიანად, ნოყიერია და გემრიელი.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# ყველის „ლაზანია“ იხვითა და ქამა სოკოთი





**საჭირო ინგრედიენტები:** ლაზანიას 9 ფირფიტა (ფორმით 20X30), ზეითუნის ზეთი, 1,5 ჩაის კოვზი წყალი, 500 გრამი იხვის ხორცის ფარში (ქათმისაც შეიძლება), 250 გრამი რბილი ყველი, 250 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი პომიდორი, 60 გრამი ოთახის ტემპერატურის კარაქი; 50 გრამი ფქვილი, 210 მილილიტრი რძე, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით, ხმელი ქონდარი.

**მომზადების წესი:** დადეთ გამოსაცხობ ტაფაზე ერთი ფირფიტა ლაზანია, მოასხით ცოტა ზეითუნის ზეთი და წყლით დანამეთ. ცალკე მოამზადეთ სოუსი „ბაშამელი“. კარაქი გაადნეთ, უყავით ცოტა მარილი და ნელ-ნელა შეურიეთ ფქვილი. უნდა მიიღოთ სქელი, არაჟნისებური მასა. ქვაბი არ გადმოდგათ ცეცხლიდან, ისე შეურიეთ ნელ-ნელა რძე და ურიეთ მანამ, სანამ მასა კარგად არ გათეთრდება და ერთგვაროვანი არ გახდება. ფარში წაუსვით ლაზანიას ფირფიტას. გადაუსვით სოუსის მეოთხედი და მოაყარეთ გახეხილი ყველი. დაადეთ ზემოდან მეორე ფირფიტა და წაუსვით მხოლოდ სოუსი.

სოკო გაარჩიეთ, დაჭერით და მოშუშეთ ზეთში. უყავით ცოტა მარილი და პილპილი. პომიდორი გაჭერით შუაზე. ერთი ნაწილი დაჭერით კუბიკებად და შეურიეთ სოკოს. უყავით ხმელი ქონდარი. შუშეთ კიდევ 1-2 წუთი ხუფის ქვეშ. უკვე მზა მასა წაუსვით ლაზანიას ფირფიტას და მოაყარეთ გახეხილი ყველი. დააფარეთ ფირფიტა. მსუბუქად დანამეთ ზეთით. წაუსვით ისევ სოუსი და ზემოდან დაალაგეთ ჩხირებად დაჭრილი პომიდვრის მეორე ნახევარი. მოაყარეთ ყველი. გამოაცხვეთ 30 წუთის განმავლობაში 200 გრადუს ტემპერატურაზე. გააცივეთ 5-10 წუთის განმავლობაში. თბილი უნდა მიირთვათ.

# მაკა ცინცაძის სალათა ავოკადოთი





*მომწონს ორიგინალური რეცეპტები და, როცა დრო მაქვს, სიამოვნებით ვამზადებ. ვფიქრობ, ეს სალათა მოგეწონებათ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ავოკადო, 1 ცალი ყვითელი ან ფორთოხლისფერი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი პომიდორი, 1 ცალი კიტრი, 200 გრამი ქათმის ფილე, 50-100 გრამი მაგარი ყველი, 1 კბილი ნიორი, მაიონეზი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ავოკადო გაფცქვენით, მოაშორეთ კურკები და დაჭერით მომცრო კუბიკებად. ქათმის ფილე მოხარშეთ და დაჭერით შედარებით მოზრდილ კუბიკებად, მერე კი დაჩეჩეთ. პომიდორი და ბულგარული წიწაკა დაჭერით კუბიკებად, კიტრი – ჩხირებად. დაუმატეთ ძალიან წვრილად დაქუცმაცებული ნიორი (ძალიან უხდება), შეაზავეთ მარილითა და მაიონეზით, მოაყარეთ გახეხილი ყველი და ყველაფერი კარგად აურიეთ. უკეთესი იქნება, თუ ყველს მსხვილკბილა სახეხზე გახეხავთ. ორიგინალური და პიკანტური არომატი აქვს და ძალიან გემრიელია.











# სალათა „ელისეის მინდვრები“

**საჭირო ინგრედიენტები:** 250-300 გრამი კანგაცლილი და შებოლილი ქათმის ფილე, 1 ცალი კიტრი, 0,5 ქილა დაკონსერვებული, მწვანე ბარდა (გაროხი), ცოტა მწვანე ხახვი, ცოტა კამა, ცოტა ოხრახუში, 3 სადილის კოვზი ზეთი, 0,5 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, სუნელი – სურვილისამებრ, შავი პილპილი, ცოტა შაქარი, მარილი.

**მომზადების წესი:** ფილე და კიტრი დაჭერით. ძალიან წვრილად დაჭერით მწვანილი. ეს ყველაფერი მოათავსეთ ჯამში, დაუმატეთ ბარდა, რომელსაც წინასწარ გადაწურავთ და ცივ წყალს გადაავლებთ. ცალკე მოამზადეთ სოუსი: პატარა თასში შეურიეთ ერთმანეთში ზეთი, ძმარი, მდოგვი, მარილი, სუნელი, ცოტა პილპილი, შაქარი, ათქვიფეთ ჩანგლით. მოასხით სალათას და აურიეთ. ძალიან მსუბუქი და გემრიელი კერძია. თან, ადვილად მზადდება.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები




# პომიდვრის სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი პომიდორი, 2 სადილის კოვზი წითელი ღვინის ძმარი, 5 სადილის კოვზი ნიგვზის ზეთი, 100 გრამი სალათის ფოთოლი, 2 სადილის კოვზი მოხალული მარილიანი ნუში, შაქარი, მარილი და პილპილი კი გემოვნებით.



**მომზადების წესი:** პომიდვრები გაჭერით და ამოაცალეთ თესლი, რბილობი კი კუბებად დაჭერით. პომიდვრის თესლები საწურში გადაწურეთ და წვენი რბილობს დაასხით. დაუმატეთ მარილი, პილპილი, ზეთი, შაქარი და ძმარი. ხელით დააქუცმაცეთ სალათის ფოთლები და შეურიეთ პომიდორს, ზემოდან მოაყარეთ მარილიანი ნუში.

# ბულგარული წიწაკა ლობიოს გულსართით



**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ძირი მწვანე ხახვი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 400 გრამი დაკონსერვებული ლობიო, 150 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 2 ცალი დიდი და 5 ცალი საშუალო ზომის ბულგარული წიწაკა, 0,5 კონა პიტნა, 2 სადილის კოვზი სეზამის მარცვლები, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მწვანე ხახვი დაჭერით. თეთრი ნაწილი 1 სადილის კოვზ ზეითუნის ზეთში მოშუშეთ. დაუმატეთ გადაწურული ლობიო, დაასხით ბულიონი და 5 წუთის განმავლობაში ხარშეთ. პატარა წიწაკას ამოაცალეთ თესლი და წვრილად დაჭერით, პიტნა კი დაკეპეთ. ლობიოს მასა ბლენდერით ათქვიფეთ, მოაყარეთ მარილი და პილპილი. შეურიეთ დაჭრილი წიწაკა და პიტნა. ბულგარული წიწაკები შუაზე გაჭერით, ამოაცალეთ თესლი და ლობიოს გულსართით ამოავსეთ. მოაყარეთ სეზამის მარცვლები და მწვანე ხახვი, მოასხით ზეითუნის ზეთი.

# ხორცის სალათა სატაცურითა და მანგოთი

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი მოხარშული სატაცური, 200 გრამი მანგო, 5 ცალი სალათის ფოთოლი, 150 გრამი მოხარშული ლორი, 150 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი, 2 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი ცხარე მდოგვი, 3 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო", 5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სადილის კოვზი წვრილად დაჭრილი ქონდარი, მწიკვი შაქარი, მარილი და დაფქული წიწაკა – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** სასალათეში მოათავსეთ სალათის ფოთლები და სატაცური. ლორი და ქათმის ხორცი საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით, მანგო – მსხვილად, კვერცხი კი ოთხად გაჭერით. ნიორი დანაყეთ, შეურიეთ მდოგვსა და „ბალზამიკოს", დაუმატეთ 3 სადილის კოვზი წყალი, ზეთი და ბლენდერით ათქვიფეთ. შეაზავეთ წიწაკით, მარილით, ქონდრითა და შაქრით. სალათის ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ სასალათეში და მოასხით სოუსი.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 18 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **რუსეთი – სამხრეთ კორეა** (გ/ჩვ) **17.00** "ჩვენი ეზო" **17.30** პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია **19.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ავსტრალია – ჰოლანდია** (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **22.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ესპანეთი – ჩილე** (პ/რეპ) **01.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **01.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **კამერუნი – ხორვატია** (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05 "შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ **"ჩე"**(რ.სანტორო).

**06.30** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"საპრა"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.) **04.00** სერ. **"არ დამივიწყო"**

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** დ/ფ "ქართული მონეტები" **07.05** დ/ფ "მესაზღვრე ბერები" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ. "უსახელო უფლისციხელი" **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდ ხარ შენ,უფალო **15.20** დ/ფ"მესაზღვრე ბერები" II ნაწ. **16.10** კონცერტი - ანა-სოფია მუთერი **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"ელისო"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "სამშობლო ხარ ჩემი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** დოკ.ფ "გზა ბრაზილიისკენ" **8.15** TV **11** მაესტროზე (გამ) **8.45, 22.00, 2.00**, "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.00** იმედის ფსონი **14.00** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02 სერიალი "ასი"** **17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **18.25, 2.15**, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.50**, "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30 სერიალი "სკანდალი"** **0.30**, დოკჰფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## ხუთშაბათი 19 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **კამერუნი – ხორვატია** (გ/ჩვ) **17.00** "შემოძახილი" **17.30** "არენა" **18.20** დ/ფ "გზა ბრაზილიისკენ" მე-**16** ეპიზოდი: კოტდიუარი/ესპანეთი **19.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **კოლუმბია – კოტდივუარი** (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **22.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ურუგვაი – ინგლისი** (პ/რეპ) **01.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **01.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **იაპონია – საბერძნეთი** (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"მინდა გახსოვდე"**(პ.ბროსნენი) **02.10** მხ/ფ **"ჩე"**(რ.სანტორო).

**06.30** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"საპრა"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** პროფილი **00.00** თბილისი ლაივ **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.) **04.00** სერ. **"არ დამივიწყო"**.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** ჩვენი ფონდი **07.00** დ/ფ"მესაზღვრე ბერები" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "სამშობლო ხარ ჩემი" **11.10** ქართული ალბომი **11.35** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ელისო"** **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდ ხარ შენ,უფალო **15.20** დ/ფ "აკაკი" **16.10** კონცერტი - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ. **"კაცები"** **20.55** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დ/ფ "საგუშაგო კოშკი" (იაღოვას მოწმეები) **22.25** დ/ფ "წმინდა იოანე ნათლისმცემელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ./ფ. **"ალავერდობა"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.25** დოკჰფ. "გზა ბრაზილიისკენ" **8.45, 22.00, 2.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.00** იმედის ფსონი **14.00** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **15.45** პრესის მიმოხილვა **16.02, 17.02 სერიალი "ასი"** **17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **18.25, 2.15**, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.50**, "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30, სერიალი "სკანდალი"** **0.30**, დოკჰფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## პარასკევი 20 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **იაპონია – საბერძნეთი** (გ/ჩვ) **17.00** დ/ფ "გზა ბრაზილიისკენ" **იტალია/ჩილე** **17.30** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **19.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **იტალია – კოსტარიკა** (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **22.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **შვეიცარია – საფრანგეთი** (პ/რეპ) **01.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **01.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ჰონდურასი – ეკვადორი** (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** თოქ შოუ – რეაქცია **00.00** მხ/ფ **"სიკვდილის თამაში"**(ზ.ბელი) **01.55** მხ/ფ **"მინდა გახსოვდე"** (პ.ბროსნენი).

**06.30** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"საპრა"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** მთავარი თემა **22.30** ქერის უბანი **23.00** ვანოს შოუ **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. **04.00** სერ. **"არ დამივიწყო"**.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ქართული წიგნი" **06.40** დ/ფ "საგუშაგო კოშკი" (იაღოვას მოწმეები) **07.10** მოკ./ფ.**"ალავერ-**

**დობა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "წმინდა იოანე ნათლისმცემელი" 10.05 სახლი ღვთისა 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.10 მოკ./ფ. "**კატები**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.20 დ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 16.10 კონცერტი - ვერდის რექვიემი 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ "**ხევისბერი გოჩა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 წმინდა მოწამე დიმიტრი ყიფიანი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 "ინ-ფაქტი/ (კვირის კოლაჟი) (გამ.) 8.10 გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) 8.45, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 1.20 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.00 იმედის ფსონი 14.00 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი ,,ასი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, **სერიალი "სკანდალი"** 0.30, დოკ.ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## შაბათი 21 ივნისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ. ან "პატარა დოდო" 10.00 საბ. მხ/ფ "**გრინჩის ჩანჩქერი**" 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 12.30 "მხიარული სტარტები" 13.30 დ/ფ "გზა ბრაზილიისკენ" **ბელგია/ეკვადორი** 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: ჰონდურასი – ეკვადორი (გ/ჩვ) 16.30 "გურმანია" 17.00 "ეტალონი" 18.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **არგენტინა – ირანი** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 22.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **გერმანია – განა** (პ/რეპ) 01.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 01.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ნიგერია – ბოსნია** (პ/რეპ) 04.00 "ეტალონი" 38-ე გადაცემა (გ/ჩვ).

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 08.00 მხ/ფ "**მეფე პოლარული დათვი**" 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ვაკანსია 12.00 სერ."**მერლინი**" 13.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 14.50 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 21.00 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ადრენალინი 23.40 იდენტიფიკაცია 00.00 მხ/ფ "**ფართო ნაბიჯით**" (ე.სკოტი) 01.40 მხ/ფ "**სიკვდილის თამაში**"(ზ. ბელი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.25 ანიმაცია 08.30 მხ/ფ. 10.00 კომედი შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) 15.30 X - ფაქტორი (გ/ჩ) 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 განსხვავებული აქცენტები 22.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.30 გააცინე და მოიგე 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.40 დ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 11.00 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ "**ხევისბერი გოჩა**" 13.35 საღვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.20 ოპერა - "**ნაბუქო**" 17.45 ქვიშით ნაამბობი 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ "**ნიურნბერგის პროცესი**" I ნაწ.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 8.10 იუმორისტული შოუ -"4X4" (გამ.) 9.10, 11.00, 15.30, 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.00, 14.55, 17.55, 2.50 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50, 1.20 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 13.00 იმედის ფსონი 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.30, 2.20 გადაცემა "ფული და სურვილები" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 1.35 "თქვენი გადახდილია" 23.30, TV 11 მაესტროზე 0.00 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) 0.20, დოკ.ფ. "გზა ბრაზილიისკენ" 0.50 "უცნობი ისტორიები"(გამ.).

## კვირა 22 ივნისი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00 საბ. მხ/ფ "**ჰარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი**" 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ნიგერია – ბოსნია** (გ/ჩვ.) 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 16.55 რაგბი. თბილისის საერთაშორისო ტურნირი: **საქართველო – იტალია** (პ/რ) 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ბელგია – რუსეთი** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 22.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **სამხრეთ კორეა – ალჟირი** (პ/რეპ) 01.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 01.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **აშშ – პორტუგალია** (პ/რეპ).

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 08.00 მხ/ფ "**უიმბლდონი**" 10.10 ადრენალინი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**მერლინი**" 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) 17.30 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 პანორამა 21.00 ღამის შოუ 22.00 მხ/ფ "**დღის ცივი შუქი**"(ს.უივერი) 23.45 მხ/ფ "**ტალღებთან მოთამაშე**" (პ.სუეიზი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.25 ანიმაცია 08.30 მხ/ფ. 10.30 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 ქერის უბანი 14.15 სიცილის ზონა 15.30 პროფილი გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 კომედი შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 თბილისის ტაძრები 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.10 მოკ./ფ. "**მათთვის,ვინც მამამ მიატოვა**" 13.00 ქართ. მულტფილმი 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 წმინდა თეოდორე ტირონი 19.30 მხ/ფ "**მე ვხედავ მზეს**" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ათონელი მამები - ედიშერ ჭელიძე 01.30 მხ/ფ "**ნიურნბერგის პროცესი**" II სერ.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00 "უცნობი ისტორიები"(გამ.) 8.20 "თქვენი გადახდილია" (გამ.) 8.50 TV 11 მაესტროზე (გამ.) 9.20, 11.00, 14.20, 15.30, 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.45 გადაცემა "ურბანსპორტი" 13.00 იმედის ფსონი 14.00, 0.00 გადაცემა "ID"(გამ) 18.30 ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 21.00, 2.15 ვახო სანაიას რეპორტაჟი 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 იუმორისტული შოუ -"4X4" 23.45 "აბების" კვირის ანეკდოტები 0.30 გზა ბრაზილიისკენ (დოკ. ფილმი) 1.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 1.15 ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი")გამ. 1.45 გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) 2.00 ახალი ამბები (კოლაჟი).

## ვერძი

ნებისიერი პრობლემის გადაჭრისას დახმარება და რჩევები ჰკითხეთ თქვენს საქმიან პარტნიორებს და საყვარელ ადამიანს. გაიზრდება თქვენი შემოსავლები, რაც თავდაჯერებულობას შეგმატებთ. მოერიდეთ უცხო ადამიანებთან კონტაქტს, მოგზაურობას და ეგოიზმის გამოხატვას.

## კურო

მთელი ენერგია მიმართეთ მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებისკენ. გაიზრდება შეხვედრების რაოდენობა და ინფორმაციის მოპოვებაც არ გაგიჭირდებათ. გართობისას იყავით ზომიერი და შეინარჩუნეთ შინაგანი წონასწორობა. კარგია ჯანმრთლობის გაკაჟება და სამკურნალო პროცედურების ჩატარება.

## ტყუპები

გაუმჯობესდება გუნება-განწყობა და გაიზრდება თქვენი მომხიბვლელობა. არავის გაუმხილოთ თქვენი მიზნები და შემოსავლების წყარო. ეცადეთ, არ ინერვიულოთ წვრილმანების გამო. მოერიდეთ შორეულ მოგზაურობას და ახალი სასიყვარულო კავშირის წამოწყებას.

## კირჩხიბი

ეცადეთ დაძლიოთ შიშები და გამოავლინოთ მეტი გრძნობა საყვარელი ადამიანის მიმართ. არ დაკარგოთ სიმშვიდე და შეინარჩუნეთ წონასწორობა. არ არის გამორიცხული, მეგობრობა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. არ გირჩევთ მოგზაურობას, რადგან, დიდი ალბათობაა, ამან სიამოვნება ვერ მოგანიჭოთ და პრობლემები შეგიქმნათ.

## ლომი

გამოავლინეთ ინტელექტუალური შესაძლებლობები და ადვილად დაძლევთ პრობლემებსა და სირთულეებს. ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლება და ამისთვის მზად იყავით. მეგობრები საჭირო რჩევებს მოგცემენ. ნუ იქნებით პრინციპული საყვარელი ადამიანის მიმართ. მოგზაურობა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

## ქალწული

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. ყურადღებით მიუდექით იურიდიული საბუთების გაფორმებას. დასვენებისთვის დრო არ დაგრჩებათ, თუმცა, საქმეებს ადვილად გაართმევთ თავს. მოერიდეთ უცხო ადამიანებთან კონტაქტს, რათა მოტყუებული არ დარჩეთ.

## სასწორი

პარტნიორებთან გაუგებრობის გამო, შესაძლოა, მოგიხდეთ გარკვეულ დათმობებზე წასვლა. გაიზრდება გადაადგილებების რიცხვი. თუ მეტად კონტაქტური იქნებით, ადვილად გაართმევთ თავს საქმეებს, რაც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ და თქვენს თავდაჯერებულობასაც აამაღლებს; ასევე, სასიყვარულო პარტნიორთან მიმართებაში ნდობასაც გააძლიერებს.

## ღრიანკალი

შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის დროა. ნუ გექნებათ სხვების დახმარების იმედი, იმოქმედეთ დამოუკიდებლად. პირად ცხოვრებაში უსიამოვნებები თქვენზე უარყოფითად იმოქმედებს, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრების გვერდით.

## მშვილდოსანი

თავს ენერგიულად იგრძნობთ და ნაყოფიერად იმუშავებთ. ნებისმიერი შემთხვევა გამოიყენეთ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად და საქმიანი კავშირების გასაფართოებლად. კარგია მოგზაურობა. ნუ იქნებით ზედაპირული საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში.

## თხის რქა

მოიმატებს საქმეების რაოდენობა, ამიტომ, ვერ მოახერხებთ დასვენებას. ყურადღება მიაქციეთ სხვების რჩევებს. არ არის გამორიცხული, ოჯახური სიტუაცია დაიძაბოს. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი სითბო და სიყვარული გამოავლინეთ.

## მერწყული

აქტიურად ჩაებით ოჯახის საქმეებში და იზრუნეთ მატერიალურ სტაბილურობაზე. ნუ მოიქცევით ისე, რომ მერე თავის მართლება მოგიწიოთ. გამოიყენეთ სანაცნობო წრე მიზნების განსახორციელებლად. საყვარელ ადამიანთან იყავით მეტად გულახდილი. კარგია გადაადგილებები.

## თევზები

უმეტესი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან. ახლობლების პრობლემებზე მოგიწევთ ფიქრი. მართეთ საკუთარი ფინანსები სწორად და გონივრულად. არ არის გამორიცხული, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდებათ, მთავარია, იყოთ გულწრფელი და სანდო.

**ახალმთვარეობა – 27 ივნისი, 08 სთ: 00 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მიიღეთ სწორი გადაწყვეტილებები როგორც ოჯახში, ასევე, სამსახურში და ამით აიცილეთ ზედმეტი პრობლემები სამომავლოდ. ნუ აჰყვებით ინტრიგებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები და რომანტიკული ურთიერთობები. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი, ვარდისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, გართობა, რემონტის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სახლის მშენებლობა, ხეების დარგვა. სუსტდება ჯირკვლები, თვალები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება ინტუიცია, თუმცა გართულდება მოლაპარაკებები კომერციულ საქმიანობაში. ატარეთ ყვითელი, წითელი, ვარდისფერი, ცისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი ან ფირუზი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია გართობა, სახლის მშენებლობა, სარემონტო სამუშაოები, სამეცნიერო კვლევა, ტექნიკასთან ურთიერთობა. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### ოთხშაბათი

კარგია საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები, საზოგადოებრივი საქმიანობა, ქველმოქმედება, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი. ატარეთ მწვანე, იისფერი, ფირუზისფერი, ლურჯი, ვერცხლისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა საიდუმლო საქმიანობა. კარგია იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, შემოქმედებითი მუშაობა, ხეების დარგვა-გადარგვა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

მოერიდეთ უცხო ადამიანებთან კონტაქტს. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებს, ბავშვებსა და საყვარელ ადამიანს. მოიწესრიგეთ გარეგნობა. კარგია ქველმოქმედება, მოგზაურობა, იურიდიული საქმიანობა, კაპიტალდაბანდება, მცენარეების დარგვა-გადარგვა. ატარეთ ფირუზისფერი, იისფერი, მწვანე, ლურჯი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, გიშერი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

რეფორმატორული ცვლილებების დღეა. კარგია ფიზიკური ვარჯიშების ჩატარება, ინტიმური კავშირები. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ფირუზი ან ტოპაზი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს, რადგან მათი ახდენა საეჭვოა. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას, ეგოიზმის გამოვლენას. კარგია ტანსაცმლის ყიდვა, სპორტული ღონისძიებების ჩატარება. სუსტდება თავი, კბილები, სისხლძარღვები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ზაფხულის ბუნიობაა. გამახვილდება ინტუიცია, სიყვარულის გრძნობა. იმოქმედეთ ფრთხილად, რათა არ დაუშვათ შეცდომები. კარგია ინტიმური კავშირები, სახლის მშენებლობა, ახლობლებთან ურთიერთობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სარდიონი ან აკვამარინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, თმის შეჭრას, საფინანსო ოპერაციებს, წესების დარღვევას, სულსწრაფობას, ეჭვიანობას. კარგია მოგზაურობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### კვირა

კარგია პატიება, ვაჭრობა, ჯანმრთელობის გაკაჟება. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებსა და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ მწვანე, ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ონიქსი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა, ვაჭრობა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გულაბერიძე

**გულაბერიძე** უძველესი ქართული გვარსახელია. ის ორი სახელისგან არის წარმომდგარი, კერძოდ, **გულა** და **ბერი**.

ამ გვარის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ნიკოლოზ **გულაბერიძის** აღაპი. ეს არის ერთ-ერთი უძველესი აღაპი, რომელიც ჩაწერილია ჩვენამდე მოღწეულ ჯვრის სამონასტრო მატიანეში; აღაპთა მეორე, მთავარ წიგნში არის ნიკოლოზ **გულაბერიძის** – მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის, ქართლის კათალიკოსყოფილის აღაპი.

ნიკოლოზ **გულაბერიძე**, ანტონ ქუთათელ საღირაძესთან ერთად, იყო ხელმძღვანელი საეკლესიო კრებისა, რომელიც თამარ მეფის მოწვევით, 1184-1185 წლებში გაიმართა. ნიკოლოზმა ბევრი იღვაწა მთაწმინდის მონასტერში. იქ დიდ მშენებლობას აწარმოებდა და 1210 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში 122 **გულაბერიძე** ცხოვრობს: ხელვაჩაურში – 116, ბათუმში – 5, ქობულეთში – 1.

### ხავთასი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხავთაი**.

გვარის უწინდელი ფორმა იყო **ხავთაისძე** და დროთა განმავლობაში შემორჩა როგორც **ხავთასი**.

გვარი 1240-1250 წლებში მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში.

იოსებ **ხავთაისძის** აღაპი შეტანილია მთავარ სააღაპე წიგნში 1240-1250 წლებში. სააღაპე წიგნი შედგენილია იმ მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია გიორგი დადიანისა და აგავ გორგოშიძის ოჯახების აღაპები.

საქართველოში 656 **ხავთასი** ცხოვრობს: ოზურგეთში – 244, თბილისში – 225, ვანში – 48. არიან სხვაგანაც.

### გეგეშიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გეგე**, რომელიც მეგრული სიტყვაა და ყმას ნიშნავს.

**გეგეშიძეები** 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდიდან ასურეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

საქართველოში 1 944 **გეგეშიძე** ცხოვრობს: თბილისში – 469, სამტრედიაში – 431, ქუთაისში – 164. არიან სხვაგანაც.

### კორიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კორე.**

მარაბდელმა იოსებ **კორიაშვილმა** 1826 წელს სოფელ კოდის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათლა ვაჟი – ივანე.

ამავე ძირისაა გვარები: **კორელაშვილი, კორაშვილი, კორახაშვილი.**

საქართველოში 670 **კორიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 156, სიღნაღში – 136, ლაგოდეხში – 128. არიან სხვაგანაც.

### ბურდიაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ბურდა, ბურდი, ბურდია.**

მჭადიჯვრის მცხოვრები **ბურდიაშვილები** შედიოდნენ წილკნელის სამწყსოში. თუ მათი სახლის უფროსი ან მოხელე გარდაიცვლებოდა, ამისთვის მთელი რიტუალი არსებობდა, კერძოდ: შეკაზმული ცხენი, ორი გადასახურავი, სუფრის იარაღი, თალხი – ეს ყველაფერი წილკნელისთვის უნდა მიერთმიათ.




1664 წელს მოიხსენიება სუხიტა **ბურდიაშვილი** პაპუნა ფალავანდიშვილისა და თბილელი ეპისკოპოსის, იოსებ სააკაძეს შორის ყმამამულის დავის მოწმედ.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, **ბურდიაშვილებს** ადრე ქართლში უცხოვრიათ, შემდეგ კახეთში გადასულან. მოგვიანებით, **ბურდიაშვილებს** აზნაურობაც მიუღიათ.

საქართველოში 599 **ბურდიაშვილი** ცხოვრობს: ყვარელში – 334, გურჯაანში – 146, თბილისში – 82. არიან სხვაგანაც.

### ფიფია

**ფიფია** ცნობილი და პოპულარული გვარია.

**ფიფიათა** გვარი გეოგრაფიულად სვანეთისკენ იყურება. მაგალითად, სოფელ ლაკადაში მცხოვრებ **ფიფიებს** დღესაც სჯერათ, რომ ისინი წარმოშობით სვანეთიდან მოსული **ფილფანები** არიან.

**ფილ** ძირითაა გაწყობილი გვარები: **ფილაური, ფილაშვილი, ფილიპაშვილი** და ასე შემდეგ.

საქართველოში გავრცელებულ 25 000-ზე მეტ გვარს შორის **ფიფიათა** გვარს 33-ე ადგილი უკავია, წალენჯიხაში – მეორე, ხოლო ზუგდიდის რაიონში მეოთხე ადგილი უჭირავს.

გვარის ძირითადი სამკვიდრო ნაწილდება სამ მეზობელ სოფელზე: საჩინოზე, სადაც 93 კომლი ცხოვრობს, ჯვარზე – 81 კომლი, ჩქვალერზე – 59 კომლი. ასევე, ეს გვარი გვხვდება შემდეგ სოფლებში: ჩხორა, ლია, პატარა ეწერი, მუშავა, მედანი, ობუჯი, ყულიშკარი, რუხი, წალენჯიხა, ჭითაწყარო და ასე შემდეგ.

**ლეფიე (ლეფიფიე)** ყოფილი დასახლებული უბანი, ნასოფლარია წყავაში, მაგანის მარჯვენა მხარეს. **ლეფიფიე** უბნებია ლეშამუგეში, ჩქვალერში, პირველ ეწერში, კუხეში, ლეკაკულეში, მუხურში; **საფიფიო** კი უბანია ზედა ეწერში, კორცხელში, ჩხორიაში, ყულიშკარში.

მეგრულში **ფიფის** ვაშლის ანს მსხლის ტოტზე ამოსულ სოკოს ეძახიან.

საქართველოში 7 141 **ფიფია** ცხოვრობს: წალენჯიხაში – 2 608, ზუგდიდში – 2 589, თბილისში – 817. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

(მე-18 გვერდიდან)

დიაექსპერტი ჩემთვის არ არსებობს ***(იცინის).*** ზუსტად იმ შენიშვნებს მაძლევს, რომლებიც შეიძლება მოგცეს ძალიან ახლობელმა ადამიანმა. ის ხანში შესულია, მაგრამ, აზროვნებს სუპერთანამედროვედ და, შესაბამისად, მისი ქება თუ კრიტიკა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

**– მამამთილიც გაგირევია პროფესიულ ამბებში.**

– ეს მას ძალიან პროფესიონალურად გამოსდის ***(იცინის).*** „მაესტროს" ადმინისტრაცია არის გუნდი, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ დაამყაროს სწორი დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ. ჩემი ძალიან ახლო მეგობარია ბაია გადაბაძე, რომელსაც სწორად აქვს მორგებული დირექტორის როლი. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ახლო მეგობრები ვართ, როდესაც ბაია მირეკავს, ცოტა ვიძაბები – რამე ხომ არ დავაშავე, რამე ხომ არ მოხდა ***(იცინის).*** ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება მქონდა ბასა ჯანიკაშვილის მიმართ. ჩვენი მეგობრობა სამსახურს გარეთ მოიცავს ყველაფერს, რასაც მოიცავს მეგობრობა, სამსახურში კი მეგობარი-დირექტორისგან შენიშვნასაც ვიღებ და, თუ საჭიროა – რჩევასაც.

# რას ეწირება ნათია გამცემლიძის ზაფხული და ვისთან გაატარა მან საუკეთესო წლები

**– როგორ ფიქრობ, მამუკა ღლონტის წინასწარმეტყველება შენს ცხოვრებაში ახდება?**

– ვერ გეტყვი, მაგრამ, ეს დრო ჯერ რომ არ დამდგარა, ზუსტად ვიცი ***(იცინის).*** მე ვცდილობ, ჩემი საქმე გავაკეთო დიდი პასუხისმგებლობით. გაგიმხელთ, რომ ახალი სატელევიზიო სეზონიდან „მაესტრო" იწყებს დიდ პოლიტიკურ თოქ-შოუს, რომლის მსგავსი ქართულ ტელესივრცეში არ გაკეთებულა. მე ვერ გეტყვით იმ დეტალებს, რაც იქნება ამ გადაცემის მთავარი ხიბლი, რასაც მაყურებელი ვერც კი წარმოიდგენს. ეს იქნება სრულიად ახალი პროექტი. ამ ზაფხულს მე უნდა მოვემზადო ამ პოლიტიკური თოქ-შოუსთვის, რომელიც ეთერში გავა კვირაში ერთხელ. ამის გარდა, „მაესტრო" გეგმავს რამდენიმე ახალ პროექტს, რაც, ასევე, იქნება ახალი სიტყვა ქართულ ტელესივცეში. ვნახოთ, რა გამოგვივა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს პროექტები „მაესტროს" უდავოდ აქცევს №1 ტელევიზიად, თუ უკვე არ არის ***(იცინის).***

**– როგორც ჩანს, წინ ცხელი ზაფხული გელის.**

– დიახ. ამ გადაცემას არ ეყოფა ორკვირიანი „პრაგონები," მას სჭირდება დიდი მუშაობა, რომ პროექტი გამოვიდეს ისეთი, როგორიც გვაქვს ჩაფიქრებული. ახალ პროექტებს შეეწირება ჩემი ზაფხული, თუმცა, ეს არაა პრობლემა. გული მწყდება, რომ პროექტი, რომელიც გაკეთდა წინასაარჩევნოდ, უკვე მთავრდება. მინდა ბოდიში მოვუხადო მაყურებელს, რომელიც ჩემი გადაცემის გამო კვირაში ორ დღეს საყვარელ თურქულ სერიალს შეელია, რის გამოც, ვფიქრობდი, რომ ეს ცუდად იმოქმედებდა გადაცემის რეიტინგზე. მადლობა მათ იმისთვის, რომ ეს არ გამართლდა. მათ მაპატიეს, რომ კვირაში ორი დღე „გაქრა" მათთვის „დიდებული საუკუნე", რაც მალე, უკვე სამშაბათსა და ხუთშაბათსაც დაუბრუნდებათ.

**თამუნა სამადაშვილი**

**ერთი გავრცელებული გამოთქმა მახსენდება – „Не родись красивой а родись счастливой” – იმიტომ კი არა, რომ ჩვენს დღევანდელ რესპონდენტსა და ამ გამოთქმას შორის ძაფებს ვაბამ, პირიქით, იმის დემონსტრირება მინდა, თუ როგორ არ ვეთანხმები მას ამ შემთხვევაში. მოზარდ მაყურებელთა თეატრის 24 წლის მსახიობი თეკლა ჯავახაძე, ძალიან ლამაზიცაა, ბედნიერიც და იაღბლიანიც, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე – კარიერაში.**

# ვისზე ზრუნავს და ვისთან გრძნობს თავს კარგად ჭოლას ჯულიეტა თეკლა ჯავახაძე

**– თეკლა, უკვე ყველა ჭოლას ჯულიეტად გიხსენიებს. შევამჩნიე, რომ თეატრშიც ჯულიეტათი მოგმართავენ.**

– კი, უკვე ყველგან ჯულიეტას მეძახიან. რამდენიმე წლის წინაც ვითამაშე ჯულიეტა ჭოლას სტუდენტთან, თათა პოპიაშვილთან, მაგრამ ეს „ჯულიეტა” აღმოჩნდა ყველაზე წარმატებული. მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოვედი ჯულიეტათი, ეს იყო პირველი როლი, რომელიც ვითამაშე. ამ როლზე დამამტკიცეს და მერე დასში ამიყვანეს. ამიტომ, ამათთვის ჯულიეტა ვარ.

**– ეს ისეთი როლია, რომელზეც ზოგი მსახიობი მთელი ცხოვრება ოცნებობს და უმრავლეს შემთხვევაში, განუხორციელებელ ოცნებად რჩება.**

– ნამდვილად შეიძლება, ასე ითქვას, მაგრამ ყოველთვის ვამბობ, კონკრეტულად ჯულიეტას როლი ჩემთვის საოცნებო არასდროს ყოფილა. ჩემი ოცნებაა, ცხოვრების განმავლობაში შექსპირის ყველა ქალი განვასახიერო.

**– შეიძლება ითქვას, რომ შენი ოცნების ახდენა იწყება?**

– დავიწყე ჩემი ოცნების ახდენა. ჯულიეტას გარდა, შექსპირის სხვა გმირებიც ვითამაშე. „გლობუსში” რომ ვიყავი წასული, იქ ვითამაშე ლედი პერსია პიესიდან „ჰენრი მეოთხე”, ჰერმია – „ზაფხულის ღამის სიზმრიდან” და ჯულიეტაც.

**– „გლობუსის” სცენაო? – ამ თემაზე ცოტა უფრო კონკრეტულად მესაუბრე თუ შეგიძლია.**

– 2012 წელს ინგლისში ვიყავი შეფილდის საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალზე, 2013-ში კი „საერთაშორისო მსახიობების პარტნიორობა” – ასეთი პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ერთთვიანი ტრენინგი, სადაც მსოფლიოს 12 ქვეყნიდან ვიყავით მსახიობები. მათ შორის გახლდით, მე, ერთადერთი ქართველი. ქასთინგის შედეგად მოვხვდი იქ. ერთი თვე გავატარე „გლობუსის” სცენაზე. ეს იყო ჩემთვის უდიდესი გამოცდილება და ბედნიერება. ვისურვებდი, რომ კიდევ მეთამაშა იმ სცენაზე. „გლობუსის” ადგილობრივი ვარსკვლავები გავიცანი, ტრენინგებს გვიტარებდნენ „გლობუსის“ წამყვანი რეჟისორები: ბილ ბუხურისტი, რეზ შოუ. ასევე „გლობუსის“ სამხატვრო ხელმძღვანელი დომინიკ დომერგვილი. აგრეთვე – გლინ მაქდონალდი, ეს არის ქალი, რომელის გარეშეც „გლობუსში“ ვერ შეხვალ. მას „გლობუსის“ დედას ეძახიან და ჩვენც ასე მივმართავდით, „mother of globe”. ასეთი რიტუალი აქვთ: ვინც ამ თეატრში შედის ყველას ეს ქალი ნათლავს და აზიარებს „გლობუსის“ მაგიურ სცენას. მის გარეშე იქ ვერ მოხვდები. ამ ქალბატონის გაკვეთილები ჩემთვის დღემდე მნიშვნელოვანი, ფასეული და საგულისხმოა.

**– ისიც მიამბე, ქართულად რომ აგიმღერებია მთელი ამ პროექტის წარმომადგენლები.**

– დიახ ასე იყო. ამ პროექტის ყველა მონაწილეს ჰქონდა ეგრეთ წოდებულლი „ნაციონალური დღე”, სადაც თავისი ქვეყნის კულტურა უნდა წარმოეჩინა. ჩემი „ნაციონალური დღე” რომ დადგა, დომენიკ დომერგვილმა იმდენი ისაუბრა ქართულ თეატრზე, კიდევ რა უნდა დამემატებინა, არ ვიცოდი. ამიტომ, გადავწყვიტე, სიმღერა და ცეკვა მესწავლებინა მათთვის კინოფილმიდან „არ დაიდარდო”. ეს მაშინვე აიტაცა მთელმა შემოქმედებითმა გუნდმა და ყველა „ტაია-ტაიას” ღიღინებდა. ფინალური წარმოდგენაც სწორედ ამ ქართული ცეკვა-სიმღერით გაიხსნა.

**– მშობლებიც მსახიობები გყოლია.**

– დიახ, დედა და მამა ქუთაისის თეატრის მსახიობები არიან. დედას, მარიკა სამანიშვილს, ალბათ იცნობთ, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან” მადონას როლს თამაშობს. მამა – თენგიზ ჯავახაძეც მსახიობია. ისინი არიან ჩემი ყველაზე დიდი პედაგოგები.

**– ჭოლას ჯულიეტა როგორ გახდი?**

– მოზარდ მაყურებელთა თეატრში ტარდებოდა ქასთინგი, რომელზე წასვლაც აღარ მინდოდა. უფრო სწორად, როგორ არ მინდოდა, უბრალოდ, ცოტა გული მქონდა აცრუებული. ბევრი ქასთინგი გავიარე იმ პერიოდში და ბევრი იმედგაცრუებაც ვიგემე. სწორედ იმ დროს დაემთხვა ეს ქასთინგი და არ მინდოდა წასვლა, მაგრამ, ჩემმა შეყვარებულმა დამარწმუნა, უნდა წახვიდეო. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მე დღეს ჯულიეტა ვარ, მოვხვდი ამ თეატრში და ამ დასში. ჩვენ ერთად მოვემზადეთ,



ჩემი ოცნებაა, ცხოვრების განმავლობაში განვასახიერო შექსპირის ყველა ქალი

მოვედით ქასთინგზე. სხვათა შორის, ისიც იყო ამ ქასთინგზე და გაიმარჯვა კიდეც.

**– ვის როლზე დაამტკიცეს?**

– ეს არ იყო კონკრეტული როლისთვის ქასთინგი, ეს იყო დასის სინჯები. დასში უნდა აეყვანათ რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი და გოგო. გამიმართლა. უკვე აღარც ველოდი, რომ დამირეკავდნენ, თუმცა ქასთინგიდან რამდენიმე დღეში, დამირეკეს და მითხრეს: ლევან წულაძემ გაანაწილა როლები სპექტაკლზე „რომეო და ჯულიეტა” და თქვენ ხართ ჯულიეტაო. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, თავიდან არც დავიჯერე. ძალიან მინდოდა ბატონ ლევანთან მუშაობა და საბედნიეროდ, ასეც მოხდა. ალბათ, უნდა შეგხვდეს რაღაც წარუმატებლობები, რომ შემდეგ გაგიმართლოს. წარუმატებლობა თუ არ განიცადე წარმატების გემოს ვერ გაიგებ.

**– რეალურ ცხოვრებაში ვინ არის შენი რომეო?**

– რეალურ ცხოვრებაშიც მყავს რომეო, ეს არის გიორგი მარშანია. ის თავისუფალ თეატრშიც თამაშობს, ასევე „კომედი შოუშიც,” კომედი ჯგუფის წევრია. სცენარისტი და მსახიობია და ცალკე კიდევ არის დაკავებული სხვა საქმიანობით.

**– შენი და გიორგის ურთიერთობა საიდან იღებს სათავეს?**

– მე და გიორგი ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით თეატრალურ უნივერსიტეტში. გიორგი ჩემზე უფროსია. უნივერსიტეტში ხომ ყველა ერთმანეთს იცნობს. ჩვენც გავიცანით, დავმეგობრდით და ვიყავით ძალიან კარგი მეგობრები. 2013 წლის 26 მარტს, გიორგის დაბადების დღეზე აღმოჩნდა, რომ უკვე სხვა გრძნობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან და არა მეგობრობა და ამ დღის მერე ჩვენ მოვდივართ ერთად და ერთმანეთს ხელს ვუწყობთ. ვზრუნავთ ერთმანეთზე და თავს ერთად კარგად ვგრძნობთ.

**– წელან ახსენე საუბარში, შეყვარებული თუში მყავსო. მარშანია და თუში?**

– თუში არ არის... არა, თუშია! დედა ჰყავს თუში და რადგან გიორგის დედა თუშია, გიორგიც თუშად ითვლება, იმიტომ, რომ, ოჯახის თუშურ ტრადიციებს ის აგრძელებს. შარშან ვიყავით თუშეთში და ეს იყო საოცრება. მეგობრები წავედით და დაუვიწარი 10 დღე გავატარეთ. მსგავსი საოცრება, მე არ მინახავს. მეგონა, ზღაპარში ვიყავი. თუშეთის ცა რომ არის, ეგეთი ცა, მე არასოდეს მინახავს. იცით, როგორი ცაა? – დისნეის მულტფილმი რომ იწყება და „Disney presents” ცის ფონზე ეწერება, ზუსტად ეგეთი ვარსკვლავები იყო ყოველ ღამეს. ამის შემდეგ იყო ის, „გლობუსში” რომ იტალიელი გავიცანი, ისე დავმეგობრდით, ქართველ დას მეძახის – მარტინა სპერეტო, ჩემსავით დამწყები მსახიობია, ამ ცოტა ხნის წინ მომწერა, ჩემი ორი იტალიელი მეგობარი მოდის – რეჟისორი და ფოტოგრაფი და თუშეთზე ფილმის გადაღება უნდათო.

**– რატომ დაინტერესდნენ კონკრეტულად თუშეთით?**

– მათ საქართველოზე ბევრი რამ გამოიკვლიეს. სურდათ, საქართველოზე ფილმის გადაღება, თუშეთს მისტიკური ისტორიებიც აქვს, რომლითაც დაინტერესდნენ ეს იტალიელები. სწორედ ამიტომ ჩამოვიდნენ. ერთკვირიანი ტური ჰქონდათ. მეცხვარეებთან ერთად წავიდნენ. ცხვარი როგორ გადაჰყავთ მეცხვარეებს მთაში, ეს პროცესი უნდა გადაეღოთ. მათ ასევე სჭირდებოდათ საინტერესო ისტორიები თუშეთზე. მთიდან ჩამოსვლის შემდეგ, 2 დღე თბილისში გაჩერდნენ და ეს დღეები ჩვენთან ერთად გაატარეს. გიორგი ბავშვობაში მეცხვარეებთან ერთად იზრდებოდა და კარგად იცის მათი რიტუალები და ადათ-წესები. ამიტომ, მასთან ჩაწერეს ინტერვიუ და კიდევ ბევრი საინტერესო რამ გაიგეს თუშეთზე. არ ვიცი, ეს პროექტი როგორ განხორციელდება, მაგრამ ჩვენ დავპირდით ყველანაირ დახმარებას, რასაც შევძლებთ და მათაც სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება.

**– იტალიელების ქართულ ან კონკრეტულად, თუშურ ემოციებზე მიამბე?**

– გაოცებულები დარჩნენ. ისინი აღმოჩნდნენ აბსოლუტურად სხვა გარემოში. როგორც თვითონ გვითხრეს, თუშეთში თითქოს სხვა საუკუნეა, სხვა სამყარო. მათთვის ეს ყველაფერი განსხვავებული და ეგზოტიკურია.

**– როგორი შეყვარებულები ხართ – რომანტიულები, თუ მიწაზე მყარად დგახართ?**

– მართალია, გიორგი ხშირად ამბობს, რომანტიული არ ვარო, მაგრამ მე ამაში ვერ დავეთანხმები. მაგალითად, მე ქოთნის ყვავილები მიყვარს და სახლში პატარა ბოტანიკური ბაღი მაქვს. ამ ყვავილების დიდი ნაწილი გიორგის ნაჩუქარია. ჩვენ ერთად ვუვლით მათ. საერთოდაც, ვცდილობთ, თავისუფალი დრო ყოველთვის ერთად გავატაროთ.

**ეკა სალაღაია**

# რატომ ეგონა ცნობილი მძარცველი „ქორი“ სოჭელ მილიციელს შტირლიცი



### გაქცევისკენ მიდრეკილი

1974 წლის 1 იანვარს ნოვოჩერკასკის „კაპეზედან“ 36 წლის მურმან იონას ძე აბულაძე გაიქცა, რომელიც ერთი კვირით ადრე, ძებნილობისას, სწორედ ნოვოჩერკასკში დააკავეს და თბილისში უნდა გადმოეყვანათ. მურმან აბულაძე რეციდივისტი იყო. მესამე სასჯელს ინკასატორის ძარცვისთვის იხდიდა რუსთავში და სწორედ იქიდან გაიქცა. ნოვოჩერკასკში კი რესტორანში აიყვანეს, სადაც ქალთან ერთად იმყოფებოდა. ის ერთ-ერთმა კლიენტმა იცნო და მილიცია გამოიძახა. ინკასატორის ძარცვისთვის აბულაძეს თორმეტწლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მან და მისმა ორმა მეგობარმა ინკასატორი და მძღოლი „შეაყენეს,“ 32 ათასი მანეთი წაართვეს და მიიმალნენ. მაგრამ, მათ ავარია მოუვიდათ, მილიციის საპატრულო მანქანას შეასკდნენ და ველარ გაიქცნენ. მურმან აბულაძეს შავ სამყაროში „ქორს“ ეძახდნენ, რადგან ის ქორივით მოულოდნელად ესხმოდა თავს ინკასატორებს და, სანამ ისინი აზრზე მოვიდოდნენ, უმალვე უჩინარდებოდა. ასეთივე მოულოდნელი გაქცევა იცოდა მან ციხიდანაც. მას ოთხი „პაბეგი“ ჰქონდა და მის დოსიეში ეწერა: „საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან გაქცევისკენაა მიდრეკილი“.

1 იანვარს, საღამოს, „პახმელიაზე“ მყოფი ნოვოჩერკასკის მილიციის პირადი შემადგენლობა და ქალაქის გარნიზონი ფეხზე დააყენეს განსაკუთრებით საშიში დამნაშავის მოსაძებნად. თუმცა, მათი ყველა ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა – ქორის კვალს ვერავინ მიაგნო.

### ჩვეულ სტილში

ქორს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ინტენსიურად ეძებდა მილიცია, მაგრამ მისი პოვნა არ ხერხდებოდა. ძებნის სამსახურს საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი მისი ყველა ძველი თუ ახალი კავშირი, ამიტომ, რამდენიმე ადგილზე ჩასაფრებაც კი მოუწყვეს, თუმცა, უშედეგოდ. გაქცევიდან სამი თვის შემდეგ, 1974 წლის 2 აპრილს, ოთხი შეიარაღებული პირი ქალაქ კისლოვოდსკში თავს დაესხა ინკასატორსა და მის მძღოლს, 60 ათასი მანეთი გაიტაცა და მიიმალა. თავდასხმა ყოველგვარი გართულების გარეშე დასრულდა და არავინ დაზარალებულა. მძღოლმა და ინკასატორმა კი ვერც ერთი თავდამსხმელის გარეგნობა ვერ აღწერეს და მოსკოვიდან ჩამოსული სპეციალური ოპერჯგუფის უფროსს უთხრეს, ყველაფერი ისე ელვისებურად მოხდა, სახეების დანახვა კი არა, რამის გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარითო.

მოსკოვის სპეცჯგუფის უფროსი, მაიორი თემურ ჯაში, კარგად იცნობდა აბულაძის მუშაობის სტილს და თქვა:

– ესე იგი, ქორი და მისი კოლეგები იყვნენ. ასე ელვისებურად მხოლოდ ქორი მოქმედებს. ის ჩვეულ სტილს არ ღალატობს და თავის ამპლუაშია.

თემურ ჯაში ყოველთვის „კუდზე ეჯდა“ ქორის ბანდას და ისინი მხოლოდ ნახევარი ნაბიჯით ასწრებდნენ ხოლმე. კისლოვოდსკის მერე ქორმა და მისმა მეგობრებმა კიდევ ორი ძარცვა მოაწყვეს კიევსა და ბაქოში და 27 და 64 ათასი მანეთი გაიტაცეს. როგორც პირველ შემთხვევაში, დანარჩენი ძარცვებიც უნაკლოდ იყო შესრულებული. ჯაში მოსკოვში დაიბარეს და შეახურეს...

### სახალხო არტისტი

ქორის ძებნა გაათკეცდა და მილიციელებს მეტი სიფხიზლისკენ მოუწოდეს. 1974 წლის 16 სექტემბერს მურმან აბულაძე და მისი სამი მეგობარი ქალაქ სოჭში იმყოფებოდნენ და მორიგი საქმისთვის ემზადებოდნენ – მათ სოჭის რკინიგზის სადგურის თანამშრომელთა ხელფასი უნდა გაეტაცათ, რაც, საქმის მიმცემის თქმით, 100 ათას მანეთზე მეტი იყო. ქორმა იცოდა, რომ მისი სურათები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო გაკრული თვალსაჩინო ადგილებში, ამიტომ, გრიმით დადიოდა – მან თავზე პარიკი მოირგო, წვერ-ულვაში მიიწება და სათვალე გაიკეთა. დღის პირველ საათზე მძარცველები წინასწარ შეთანხმებულ ადგილებზე იდგნენ და ინკასატორის გამოჩენას ელოდნენ. ქორს ქამარში „სტეჩკინის“ პისტოლეტი ჰქონდა გარჭობილი და სტარტზე იყო. მოულოდნელად მას სოჭის რკინიგზის სადგურის მორიგე მილიციელი მიუახლოვდა, ყურადღებით შეათვალიერა და უთხრა:

– მოქალაქევ, სათვალე მოიხსენით და თქვენი საბუთები მაჩვენეთ.

## „ქორის“ ბანდამ მილიციელის ცხვირწინ 110 ათასი მანეთი გაიტაცა და მიიმალა

აბულაძე არ დაიბნა, სათვალე მოიხსნა და მილიციელს უთხრა:

– მიცანით, ხომ? მოკლედ, როლში შესვლას არ გაცლიან და მოსვენებას არ გაძლევენ, სანამ ავტოგრაფს არ მისცემ. ავტოგრაფი გსურთ?

მილიციელი ისე დაიბნა, რომ საბუთები აღარ მოუთხოვია, აბულაძემ კი გონზე მოსვლა არ აცალა, წვერ-ულვაში მოიძრო და უთხრა:

– საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვიაჩესლავ ტიხონოვი. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ გინახავთ?

– მაპატიეთ, ამხანაგო შტირლიც! – მილიციელმა მხედრული სალამი მისცა ქორს, გაუღიმა და პატრულირება განაგრძო.

### გამარჯობა, მე ვარ ქორი...

სოჭის ვაგზლის თანამშრომელთა ხელფასები, 110 ათასი მანეთი, მძარცველებმა მილიციელის თვალწინ წაიღეს და მიიმალნენ. თემურ ჯაში ცოფებს ყრიდა და პირველად იმ მორიგე მილიციელს დაეტაკა, რომელსაც ქორი შტირლიცი ეგონა...

– მე მაგას ვუჩვენებ სეირს! – ამბობდა ჯაში, რომელსაც რამდენიმე ადგილას მახე ჰქონდა დაგებული და სჯეროდა, რომ ერთ-ერთ მათგანში აბულაძე აუცილებლად გაებმებოდა.

1974 წლის 30 ოქტომბერს ქორი და მისი მეგობრები მოსკოვის №9 შემნახველი სალაროს ორ თანამშრომელს ვერნადსკის ჩიხში დაესხნენ თავს და ფულით სავსე ჩანთა წაართვეს, თუმცა, შორს გაქცევა ვერ მოასწრეს – როგორც კი მანქანაში ჩახტნენ, მათ მილიციის ოპერჯგუფმა ალყა შემოარტყა და მეგაფონიდან გაისმა:

– ქორო, დაგვნებდით! იარაღი დაყარეთ, თორემ, თქვენი ლიკვიდაცია გვაქვს ნაბრძანები!

მცირე პაუზის შემდეგ მეგაფონში უკვე ქართულად გაისმა:

– აბულაძე! მე მაიორი ჯაში ვარ და სისხლს ნუ დაგვაღვრევინებ. გარწმუნებ, ხაფანგში ხართ. ამ დღისთვის უკვე ერთი წელია, ვემზადებოდი.

ქორი და მისი მეგობრები უაიარაღოდ გადმოვიდნენ მანქანიდან და მილიციას ჩაბარდნენ, თუმცა, ერთი კვირის მერე, სასამართლოდან ტრანსპორტირებისას, ქორი საბადრაგო მანქანიდან გაიქცა და მის კვალს ვერავინ მიაგნო. ექვსი თვის შემდეგ მოსკოვში მცხოვრებ მილიციის მაიორ თემურ ჯაშს სახლში წერილი მიუვიდა, რომელშიც ეწერა: „გამარჯობა, მე ვარ ქორი! ახლა ისე შორს ვარ, რომ საბჭოთა მილიცია ვერ მომწვდება. მშვიდობით!“

მურმან აბულაძე, მეტსახელად ქორი, 1999 წელს, 61 წლის ასაკში გარდაიცვალა თურქეთის ქალაქ რიზეში...

**ნიკა ლაშაური**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.

# როგორ მოკლა ახალგაზრდა კაცმა უფროსი ძმა 15 ათასი დოლარის გამო და რატომ გაიხსნა დანაშაული ერთი წლის შემდეგ

49 წლის ომარ გ-ძის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცველებმა გარდაცვლილის ძმის, 41 წლის ვაკო მ-შვილისგან შეიტყვეს. ახალგაზრდა მამაკაცმა, ოპერატიულ სამსახურს შეატყობინა, რომ ძმის ცხედარი მის კუთვნილ ბინაში შუაღამისას აღმოაჩინა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაიწყო გამოძიება. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად, ოპერატიული სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ მამაკაცის სიკვდილი ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში მოხვედრილი ერთადერთი ტყვიით იყო გამოწვეული. ბალისტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ გარდაცვლილს ჭრილობა ზურგიდან ჰქონდა მიყენებული – სავარაუდოდ, დამნაშავე მას უკნიდან მიეპარა და მიბჯენით ესროლა. შემთხვევის ადგილზე არ იყო არც ერთი კვალი. ცეცხლსასროლი იარაღი, გარდაცვლილის კუთვნილება გახლდათ და დამნაშავეს შემთხვევის ადგილზე, კვალის მოსპობის შემდეგ დაეტოვებინა.

პირველი, ვინც გამოძიებას მომხდარის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მისი ძმა, ვაკო მ-შვილი იყო. განცხადებით, უფროს ძმასთან გვიან ღამით მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ ის მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა: საღამოს შეუძლოდ იყო, გული ჰქონდა ცუდად, შევშინდი და სახლშიც იმიტომ დავადექიო, განუცხადა მოწმის სახით დაკითხულმა ვაკო მ-შვილმა, რომელიც გარდაცვლილის ნახევარძმა გახლდათ, ისინი ერთი მამის შვილები იყვნენ, თუმცა ცალ-ცალკე გაიზარდნენ და ერთმანეთს მოზრდილ ასაკში დაუკავშირეს ცხოვრება.

საქმის მასალების მიხედვით, ომარ გ-ძე გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე კერძო ბიზნესის მფლობელი იყო. მას შემდეგ, რაც უცხოელ ქალბატონზე იქორწინა, ბიზნესი რამდენიმე ნაწილად გაყიდა. საკუთარი ბიზნესის განსაზღვრული წილი უმცროს ძმას ჩააბარა, საიდან აღებული დივიდენდების ნაწილიც მას ძმისთვის უნდა გაეგზავნა, ნაწილი კი პირადი სარგებლობისთვის გამოეყენებინა. გამოძიების პირველადი მოკვლევით, გარდაცვლილის ძმამ ძიება ომარ გ-ძის ყოფილი საქმიანი პარტნიორის მერაბ ჭ-ვას მიმართულებით წაიყვანა, მით უმეტეს, რომ მას გარდაცვლილისთვის 20 ათასი დოლარი ჰქონდა დასაბრუნებელი. გამოძიებამ რამდენჯერმე დაკითხა მერაბ ჭ-ვა, რომელმაც დაადასტურა არსებული ვალი. მისი განცხადებით, ომარ გ-ძე საქართველოში დაბრუნებისთანავე ნახა, თუმცა მასთან სატელეფონო კავშირი მუდმივად ჰქონდა. კერძო მეწარმის განცხადებით, მან ყოფილ პარტნიორს მოუბოდიშა, რომ ფულის გადახდა დაუგვიანდა და მათ შორის საუბარი კონკრეტულ პირობაზე შეთანხმებით დასრულდა. გარდაცვლილის ძმის, ვაკო მ-შვილის განცხადებით, მერაბ ჭ-ვას ყოფილი პარტნიორის სახლში შესვლაც შეეძლო და მისი იარაღის გამოყენებაც. მერაბ ჭ-ვას მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავი იყო. ის თავიდან უარყოფდა, რომ მკვლელობის ღამეს ყოფილი საქმიანი პარტნიორი მოინახულა, თუმცა გამოძიების მიერ მოპოვებული გარემოებების შემდეგ, აღიარა გვიან ღამით გარდაცვილილ მეგობართან სტუმრობა. თუმცა, გამოძიებას ისიც განუმარტა, რომ ბინაში ვაკო მ-შვილის სატელეფონო ზარის შემდეგ მივიდა, რომელმაც განუცხადა, რომ ომარს მასთან საქმე ჰქონდა: სულ ნახევარი საათი ვისაუბრეთ, ალბათ რამე შეეშალა ჩემს ძმასო, – მითხრა ომარმა და ასე დავშორდით ერთმანეთს. დილით საერთო მეგობრისგან გავიგე მისი მკვლელობის ამბავი, ვიფიქრე, თუ იმ ფაქტს ვაღიარებ, რომ ღამით იქ ვიყავი, გამოძიებას ჩემ მიმართ კითხვის ნიშნებს გავუჩენდი. ამიტომაც, გარდაცვალებამდე 2-3 საათით ადრე ომართან სტუმრობა დავმალე – განაცხადა მერაბ ჭ-ვამ ჩვენებაში, რომელიც განსასჯელის სკამზე გამოძიების დაუდევრობით მოხვდა. მან თითქმის ერთი წელი გაატარა პატიმრობაში. მას ბრალი დაედო განზრახ მკვლელობაში. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა სიმართლე – მკვლელი მოკლულის ძმა აღმოჩნდა.

მკვლელობის გამოძიებას ახალი მსვლელობა მიეცა, საქმეში მოკლულის ყოფილი მეუღლის ჩართვის შემდეგ. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ომარ გ-ძის მკვლელობის ღამეს თვითმხილველმა, რომელიც გარდაცვლილის კარის მეზობელი იყო, გვიან ღამით სახლიდან გამოსული ვაკო მ-შვილი შენიშნა, რომელიც ორი საათის შემდეგ კვლავ დაბრუნდა ბინაში და განგაში ატეხა. თვითმხილველის ჩვენების მიხედვით, სახლიდან გამოსული უმცროსი ძმა ადეკვატური იყო – მას სადარბაზოსთან ჰყავდა გაჩერებული საკუთარი ავტომობილი, რომელიც იქ დატოვა და ფეხით წავიდა. თუმცა, ორი საათის შემდეგ ისევ მანქანასთან დაბრუნდა, ავტომობილი გააღო, ჩაჯდა, სიგარეტი მოწია და შემდეგ ავიდა ძმის ბინაში. გამოძიებამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით ისიც დაადგინა, რომ ვაკო მ-შვილს, რომელიც აზარტული თამაშებით იყო გატაცებული, უფროსი ძმის ვალი ჰქონდა და ეს თანხა დაახლოებით თხუთმეტი ათას დოლარს შეადგენდა. ომარ გ-ძე უმცროს ძმას ფულს კატეგორიულად სთხოვდა. ამის შესახებ გამოძიებასთან ინფორმაცია ამ საქმეზე გასამართლებული მერაბ ჭ-ვასგანაც გახდა ცნობილი. თუმცა, მაშინ ეს ინფორმაცია გამოძიების მიღმა დარჩა.

გამოძიების ახალ ეტაპზე, ოპერატიული სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ ვაკო მ-შვილმა ძმის მკვლელობა შეუკვეთა ქილერს, რომელიც მოგვიანებით სხვა საქმეზე ჩავარდა და ციხეში ავადმყოფობით გარდაიცვალა. მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, ფულზე შეთანხმების დარღვევის შემდეგ, გამოცდილმა კრიმინალმა ვაკო მ-შვილთან საქმის დაჭერა გადაიფიქრა, რის გამოც ვაკო იძულებული გახდა, მკვლელობის გეგმა თავად მოეყვანა სისრულეში. იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაული ერთი წლის წინ იყო მომხდარი, გამოძიებისთვის ბევრი საინტერესო დეტალი უცნობი დარჩა. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ვაკო მ-შვილის წინააღმდეგ, რომელიც ორი თვე ემალებოდა ძიებას და მისი დაკავება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ძმის მკვლელი ძებნილი ქვეყნის საზღვრების დატოვებას შეეცადა. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა, განაცხადა, რომ ვალს ვერ იხდიდა და ამიტომ უფროსი ძმის მკვლელობა გადაწყვიტა. მისგან მკვლელობის დეტალებიც გახდა ცნობილი – ჩვენების მიხედვით ვაკო ძმას გვიან ღამით მოულოდნელად დაადგა თავს. იქამდე ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ალიბი შეექმნა – რამდენჯერმე დაურეკა ძმას, რომელიც მასზე გაბრაზებული იყო და იცოდა, მის ზარს არ უპასუხებდა. შემდეგ კი შემთხვევის ადგილზე მიიტყუა ძმის საქმიანი პარტნიორი, რომ დანაშაული მას დაბრალებოდა. მკვლელობის ღამეს ომარ გ-ძემ მოულოდნელ სტუმარს კარი გაუღო და სახლშიც შეუძღვა. ვაკომ უფროს ძმას უთხრა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა და ცოტა ხანს მის სახლში დაისვენებდა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, ის საძინებლიდან ძმის კუთვნილი რეგისტრირებული პისტოლეტით გამოვიდა, ტელევიზორთან სავარძელში მიძინებულ ძმას ზურგიდან მიეპარა და თავში ესროლა. ამის შემდეგ ვაკო მ-შვილმა მკვლელობის ყველა კვალი წაშალა, ბინა დატოვა, დაახლოებით ორ საათში კი უკან დაბრუნდა და გაითამაშა, რომ მკვდარი ძმა აღმოაჩინა. სასამართლომ ვაკო მ-შვილი დამნაშავედ ცნო ძმის განზრახ მკვლელობაში და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**მკვლელი ორი საათის შემდეგ დაბრუნდა ძმის ბინაში და განგაში ატეხა**

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 16 ივნისი

1633 – ინკვიზიციის სასამართლომ გალილეო გალილეი ცნო ერეტიკოსად და დამნაშავედ.

1903 – დაარსდა საავტომობილო კომპანია „ფორდი“.

1925 – ყირიმში გაიხსნა ცნობილი პიონერთა ბანაკი „არტეკი“.

1963 – კოსმოსში გაემგზავრა პირველი ქალი კოსმონავტი – ვალენტინა ტერეშკოვა.

### 17 ივნისი

1925 – ჟენევაში ხელი მოეწერა პროტოკოლს, რომლის მიხედვითაც აიკრძალა ომის დროს ქიმიური იარაღის გამოყენება.

1940 – მოხდა ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ.

1950 – ჩიკაგოელმა ქირურგმა რიჩარდ ლოუელმა ჩაატარა თირკმლის გადანერგვის პირველი წარმატებული ოპერაცია.

1982 – სიტყვით გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა.

### 18 ივნისი

1815 – ვატერლოოს ბრძოლა, სადაც საბოლოოდ ჩაესვენა ნაპოლეონის მზე.

1853 – ისტორიაში პირველად გაფორმდა სიცოცხლის დაზღვევა – ლონდონელმა რიჩარდ მარტინმა 200 ფუნტად დააზღვია უილიამ გიბსონის სიცოცხლე.

1889 – ამერიკაში დააპატენტეს საბავშვო ეტლი.

### 19 ივნისი

1846 – ამერიკის ქალაქ ჰობოკენში გაიმართა ბეისბოლის პირველი მატჩი.

1862 – მონათმლობელობა აიკრძალა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე.

1961 – დიდმა ბრიტანეთმა აღიარა ქუვეიტის დამოუკიდებლობა.

1990 – ბელგიამ, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ ლუქსემბურგმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს „შენგენის ხელშეკრულებას” ერთმანეთს შორის საზღვრების გახსნის თაობაზე.

### 20 ივნისი

1815 – ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხებული ნაპოლეონი ღამით კონსპირაციულად დაბრუნდა პარიზში.

1967 – მუჰამედ ალის მიესაჯა 5-წლიანი პატიმრობა და 10 000 დოლარი ჯარიმის გადახდა ვიეტნამის ომში წასვლაზე უარის თქმის გამო.

1974 – თურქები შეიჭრნენ კვიპროსზე.

### 21 ივნისი

1547 – მოსკოვის კატასტროფულმა ხანძარმა 25 ათასი მოსახლე შეიწირა. მემატიანის ცნობით, დაიღუპა 1 700 მცხოვრები; დაიწვა მეფის ხაზინა, საგანძური, იარაღი.

### 22 ივნისი

1910 – გაიხსნა ევროპაში პირველი საჰაერო სამგზავრო ხაზი: ფრიდრიხსჰაფენი-დიუსელდორფი – 350 კილომეტრი, რომელზეც მოძრაობდა დირიჟაბლი „გერმანია“.

1940 – მარშალმა პეტენმა საფრანგეთის მთავრობის სახელით ხელი მოაწერა გერმანიასთან მორიგების აქტს.

1941 – გერმანიის ჯარებმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; ეგრეთ წოდებული დიდი სამამულო ომის დასაწყისი.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა**: **ჩემმა ექევერიამ ფორმა დაკარგა და თითქოს მოიწყინა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: სინათლის ნაკლებობამ, შეიძლება, როზეტების გადახსნა და დეფორმაცია გამოიწვიოს. თუ ფოთლები დაურბილდა და მოუჭკნა, ეს იმის ნიშანია, რომ ექევერიას წყალი სჭირდება. მორწყვისას ქოთანი რამდენიმე წუთით წყალში ჩადგით და შემდეგ დაწრიტეთ – ასე ფოთლები მშრალი დარჩება და აღარ დაულპება. ზოგ სახეობას ფოთლებზე მოცისფრო-მორუხო ცვილისებრი ფენა აქვს, რომელიც ფოთოლზე ხელის გადასმისთანავე მოსცილდება, ამიტომ, ფრთხილად გაწმინდეთ.

**კითხვა**: **როგორ პირობებში გავახარო ალოე და არის თუ არა პრეტენზიული მცენარე?**

**პასუხი**: ალოეს მრავალი სახეობა არსებობს და ყველა იოლი მოსავლელია. მას სინათლე მუდმივად სჭირდება. მზეს იტანს, თუმცა ზაფხულობით შუადღის მწველ სხივებს მოარიდეთ. მისთვის იდეალურია 18-24 გრადუსი. ყვავილობისათვის ზამთარში რამდენიმე კვირით დაახლოებით 10 გრადუსზე დადგით. ზაფხულში მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს. ორ კვირაში ერთხელ მიაწოდეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქი, ზამთარში კი შედარებით იშვიათად მორწყეთ, ოღონდ მიწას ძალიან ნუ გამოაშრობთ და ამ დროს არც დამატებითი კვება სჭირდება. თუ ალოეს სინათლეს არ მოაკლებთ და ზედმეტ წყალს არ დაუსხამთ, არანაირ პრეტენზიას არ „გამოთქვამს". ეცადეთ, დადგათ მზიანი ფანჯრის რაფაზე.

**კითხვა**: **რამხელა იზრდება ანანასი და ხშირად მოვრწყა თუ არა?**

**პასუხი**: ეს ეფექტური მცენარე იმხელა იზრდება, რომ, შეიძლება, თქვენი ბინა ევიწროვოს. თუმცა, თუ საკმარისი ფართი გაქვთ, ინტერიერს დიდი ხნით გაგილამაზებთ. ანანასი მთელი წლის განმავლობაში იზრდება, ამიტომ, ზაფხულობით ხშირად მორწყეთ, ზამთრობით კი მიწა ტენიანი უნდა იყოს. რაც უფრო თბილია ზამთარი, ანანასს მით ნაკლები ტენი სჭირდება. ამ მცენარეს დასვენების პერიოდი არ აქვს, ამიტომ, განათებასაც მთელი წლის განმავლობაში საჭიროებს. მისთვის საუკეთესო პირობებია სითბო, კარგი განათება, საშუალო ტენიანობა და კარგი დრენაჟის მქონე მიწა.

**კითხვა**: **ჩემს ბეგონიას ფოთლები მოულპა, ხომ ვერ ამიხსნით, რამ გამოიწვია?**

**პასუხი**: თქვენ, ალბათ, წყალს ფოთლებზე ასხამდით და ამის შედეგად დაიწყო ლპობა. გახსოვდეთ, თუ მცენარე ქოთანს მთლიანად იკავებს ან ბუსუსებიანი ღეროები აქვს, წყალი პირდაპირ მიწაზე ან ლამბაქზე დაუსხით.

**კითხვა**: **რა სიხშირით უნდა მოვრწყა გრევილეა?**

**პასუხი**: აქტიური ზრდის პერიოდში გრევილეა რეგულარულად მორწყეთ რბილი წყლით. ამ დროს მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრობით, როცა ზრდა შენელდება, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზაფხულში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ სპეციალური თხევადი სასუქით. ეს სწრაფად მზარდი მცენარე მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე მიწაში ჩარგეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, სამოქალაქო ურთიერთობებში რას ნიშნავს პირგასამტეხლო და რა შემთხვევაში წარმოეშობა პირს პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წამოიშობა ხელშეკრულების დარღვევისთანავე.

**კითხვა**: **გთხოვთ მაცნობოთ გამარტივებული სააღსრულებო წარმოების დროს ვინ არიან აღნიშნული პროცესის მხარეები?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ მხარეები გამარტივებულ წარმოებაში არიან აპლიკანტი და რესპონდენტი. აპლიკანტი არის პირი, რომელსაც აქვს დოკუმენტურად დადასტურებული ფულადი სახის ვადამოსული მოთხოვნა და რომელიც მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით; ხოლო რესპონდენტი არის პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აპლიკანტის მოთხოვნა.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს სეკვესტრი და რა პროცედურების განხორციელებას გულისხმობს ის?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სეკვესტრი, ანუ, იძულებითი მართვა, გულისხმობს, რომ იძულებითი აღსრულების ყველა ეტაპზე, კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე და კანონით დადგენილი წესით, აღსრულებას დაქვემდებარებული მოვალის კუთვნილი ქონება იძულებით სამართავად შეიძლება გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველს, ხოლო, თუ საქმე აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნულ მმართველს ან თვით მესაკუთრეს.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, გამარტივებული სააღსრულებო წარმოების დასაწყებად როგორ უნდა შეივსოს და რას უნდა შეიცავდეს ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს: მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებას; პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს; მისამართს (ფაქტობრივ საცხოვრებელ ან/და საქმიანობის ადგილს); სხვა ცნობილ საკონტაქტო მონაცემებს; აპლიკანტის საბანკო რეკვიზიტებს; აპლიკანტის მოთხოვნას; დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელთა მეშვეობითაც აპლიკანტი ასაბუთებს თავის მოთხოვნას და რომლებიც ერთვის დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას; მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი გამარტივებული წარმოებისას გაწეული დამატებითი ხარჯის ანაზღაურებას; მითითებას იმის შესახებ, რომ დაყენებული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული აპლიკანტის მიერ რამე საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე, ან, რომ მან ასეთი ვალდებულება უკვე შეასრულა; მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას; მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებას; აპლიკანტის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: ავტომობილის სტარტერი კარგად მუშაობს, ნაპერწკალი აშკარად მიეწოდება სისტემას, მაგრამ მაინც არ იქოქება. ამ შემთხვევაში რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ამ დროს ერთმნიშვნელოვნად საწვავის მიწოდების პრობლემაა, რომელსაც შეიძლება, სხვადასხვაგვარი გამოხატულება ჰქონდეს. გააჩნია რა სტილის ავტომობილია.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

უპირველესად, მაინც მცველი უნდა გადაამოწმოთ, განსაკუთრებით ბენზინის ელექტროძრავების შემთხვევაში. ანუ, უფრო თანამედროვე მოდელებში. ვგულისხმობ, არა კარბურატორიან ავტომობილებს, სადაც პირველად მცველი უნდა შემოწმდეს. ამ ტიპის ავტომობილების ბენზინის ავზში განთავსებულ ძრავას აქვს სპეციალური მცველი, რომელიც უზრუნველყოფს წინ, საწვავის სისტემაში ბენზინის მიწოდებას. თუ პრობლემა მცველია, ხომ კარგი, მაგრამ თუ ბენზინი მაინც არ მიეწოდება, მაშინ საწვავის მიმწოდებელი ძრავაა დამწვარი, ან ბენზინის ფილტრია გაჭედილი. ამ შემთხვევაში, თუ ოდნავ მაინც ერკვევით ავტომობილში, ძრავასთან მიმავალი ბენზინის მილი მოხსენით და გადაატრიალეთ გასაღები. ისე, რომ წითლები აინთოს. თუ ბენზინი გამოვიდა, ეს ნიშნავს, რომ ბენზინის მიწოდებას უზრუნველყოფს ძრავაში განთავსებული სპეციალური პომპა. თუ ბენზინი არ წამოვიდა, სწორედ საწვავის ავზში განთავსებულ იმ პატარა ძრავას აქვს პრობლემა და ის ვერ უზრუნველყოფს ბენზინის მიწოდებას. ამ დროს უნდა ჩახსნათ ეგრეთ წოდებული „აბრატნი შლანგი," ანუ სისტემიდან უკან ავზში მიმავალი მილი. თუ თავად ვერ მოახერხეთ ამ პრობლემის აღმოფხვრა, მაშინ მიმართეთ ეგრეთ წოდებულ „ინჟექტორის" ხელოსანს, რომელიც იოლად გამოასწორებს პრობლემას. თუ კარბურატორიანი ავტომობილი გყავთ, ანუ ის არ არის ელექტრული სისტემებით აღჭურვილი, მაშინ პრობლების მიზეზის დადგენაც და მისი გამოსწორებაც, ძალიან იოლია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს „ბენზონასოსი". ხსნით კარბურატორისკენ მიმავალ მილს, ნახავთ ბენზინი შედის თუ არა და თუ შედის, მაშინ ამოწმებთ უკან გამომავალ მილს და ის იქნება დაზიანება. კარბურატორს ოდნავ მიუკაკუნეთ, შიგნით სისტემა იქნება გაჭედილი და ასე მარტივად შეძლებთ პრობლების აღმოფხვრას.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მონტერო სპორტი", 2001 წლის. როცა დამხმარე ხიდს ვრთავ ტალახიანი გზის პირობებში, ოთხივე ხიდი არ ირთვება. არადა, რომ შევიძინე და ეს ორი თვის წინ მოხდა, ოთხივე მუშაობდა. „რიჩაგი" ჩვეულებრივად რთავს, მაგრამ თვითონ ხიდი არ მუშაობს. ხელოსნები კოლოფს აბრალებენ. რა შეიძლება, იყოს მიზეზი? არის თუ არა ეს კოლოფის ბრალი?**

**პასუხი**: ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს ავტომობილი რამდენი ხნის ნაყიდია. შეიძლება, ის ერთი კონკრეტული, არასწორი მოქმედების შედეგად გაფუჭდეს. ასე რომ, თუ ყიდვის დროს ოთხივე მუშაობდა, ეს ამ შემთხვევაში დიაგნოზის დასმის საშუალებას არ მაძლევს. იმისთვის, რომ ზუსტად გაიგოთ საქმე რაშია, დაუკავშირდით დათო მამუკაშვილს, ოფროუდის სპორტსმენს, რომელმაც საქართველოში ყველაზე კარგად იცის ხიდების საკითხები. დარეკეთ ნომერზე: 577506606.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა უკვე წელიწადზე მეტია, ჩემი ძაღლი ცოფზე არ ამიცრავს. მაინტერესებს, ეს ძალიან საშიშია თუ, შესაძლებელია, კიდევ რამდენიმე თვე არ ავცრა?**

**პასუხი**: ცოფზე ვაქცინაცია აუცილებელია, გაუკეთდეს ძაღლს 3 თვის ასაკიდან და, შემდეგ, ყოველ 11 თვეში ერთხელ. ამიტომ, თქვენს შემთხვევაში, აუცილებელია, სასწრაფოდ გაუკეთოთ თქვენ ძაღლს ვაქცინა. უნდა გახსოვდეთ, რომ ცოფი ძალიან საშიში დაავადებაა. ასე რომ, აღარ გადადოთ აცრა და, რაც შეიძლება სწრაფად წაიყვანეთ თქვენი ძაღლი ასაცრელად. ამით თქვენც და ისიც დაცული იქნებით შესაძლო საფრთხისგან.

**კითხვა: როგორ უნდა დავუმუშაოთ ოთახის ძაღლს ბრჭყალები?**

**პასუხი**: ბუნებრივ პირობებში ბრჭყალების დამუშავება მექანიკურად, ხახუნის გზით ხდება. რაც შეეხება ბინაში მცხოვრებ ძაღლებს, ბრჭყალების ჰიგიენა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ბრჭყალების დამუშავება აუცილებელია შესაბამის სპეციალისტთან, სპეციალური ხელსაწყოს გამოყენებით.

**კითხვა: მაინტერესებს, უნდა შევზღუდოთ თუ არა ინფექციური ენტერიტისგან გამოჯანმრთელებული ძაღლის ფიზიკური დატვირთვა?**

**პასუხი**: ინფექციური ენტერიტისგან გამოჯანმრთელებული ძაღლის ფიზიკური დატვირთვა რეკომენდეული არ არის, ამიტომ, ამას უნდა ვერიდოთ. შეიძლება, ძაღლს ძაღლიანაც უნდოდეს ბევრი სირბილი, მაგრამ, პატრონმა რაღაც დროის განმავლობაში გასეირნების დროს სირბილი სიარულით უნდა შეუცვალოს.

**კითხვა: რა ასაკიდან იწყებს ლეკვი კბილების მოცვლას?**

**პასუხი**: ლეკვი კბილების მოცვლას იწყებს 3 თვიდან და 6 თვემდე ყველა კბილი უკვე მოცვლილი უნდა ჰქონდეს.

**კითხვა: მაინტერესებს, რამდენი ხანი უნდა იზრდებოდეს ლეკვი დედასთან?**

**პასუხი**: ლეკვი დედასთან 8 კვირა, ანუ, მინიმუმ, ორი თვე მაინც უნდა იზრდებოდეს. ამაზე ადრე ლეკვის დედისგან მოშორება რეკომენდებული არ არის.

**კითხვა: მყავს 4 თვის ძაღლი. ერთი თვის წინ ცოფზე ავცერით და მას შემდეგ არ იზრდება. ახლახან მითხრეს, რომ ზრდის შეწყვეტის მიზეზი სწორედ ეს აცრა შეიძლება იყოს. იქნებ, მითხრათ, შეიძლება, რომ რეალური მიზეზი ეს იყოს?**

**პასუხი**: რომ მიგენიშნებინათ, რა ჯიშის ძაღლზეა საუბარი, გაცილებით უფრო კონკრეტულ პასუხს გაგცემდით. არასწორია ის შეხედულება, ვითომ სამი-ოთხი თვის ასაკში ცოფზე ვაქცინაცია ხელს უშლის ცხოველის ზრდას და ცუდად მოქმედებს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებზე. ცოფის ვაქცინაში არ შედის ცოცხალი ვირუსი, მას მხოლოდ შენარჩუნებული აქვს იმუნოგენები. ვაქცინა, რომელიც წარმოებულია ისეთი მწარმოებლისაგან, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, ყოვლად უსაფრთხოა.

**კითხვა: გამიგია, რომ ალბინოს ძაღლებს მხედველობის პრობლემა აქვთ. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?**

**პასუხი**: ალბინოს ძაღლებს ჩვეულებრივი მხედველობა აქვთ. მათი ღია ფერის თვალები იმდენად ბაცია, წითელ ფერად ჩანს. ამას „რუბერუზი" ეწოდება, რაც უფრო ხშირად დოგებში გვხვდება. თეთრი ძაღლების გამრავლება სწორედ ამ სირთულესთან არის დაკავშირებული, ამიტომ თუ თეთრ ძაღლს ამრავლებენ, მას აუცილებლად შავი ცხვირ-პირი უნდა ჰქონდეს, თვალები კი – მაქსიმალურად შეფერილი.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



გოგლა

ვინ გამოდგა ჰიტლერი?

საქსოვი დაზგა

დროის სტილი

ნიადაგი

პატარა კაცი

ძველი დანიელი ფეხბურთელი

სუნამოს ჭურჭელი

თავგანწირული

სახელობითი ბრუნვა (ლათ.)

სადაზღვევო კომპანია

თავსაბურავის სამკაული

უფროსსა და უმცროსს შორის

ცემა (ძვ.სიტყვა)

მადამ ბოვარის ჰქვია

დიდი გომბეშო

მინდვრის მინერალი

ფრანგი მწერალი ეჟენი....

ქალის სახელი

მაქსიმ....

რუსთველის კალამი

„დინამოს“ დიდი კაპიტანი, შოთა....

აკვიატებული ჩვევა

ყირგიზეთის ქალაქი

პლასტი

უშფოთველი ცხოვრება

ცეცხლის ენა

მწერალი (......) ჩიანელი

(.......) დაიჯერე, (.......) არა

მოუხარშავი

დოლარის მეასედი

საგანგებო დავალება

უძლური, უუნარო

ფრანგი ფანტასტი პიერ.....

ჟაკ-(.....) კუსტო

ბზის საზიდარი ურემი

გამდინარე წყალი

ჰიგიენური დაწესებულება

ასაფეთქებელი საგანი

ჟანღი, ბურუსი

არა კაც (.......)

(.......) ისაკაძე

ორი ნარდში

ზმანება, ილუზია

ჩემგან და შენგან შორს

მამლუქთა თავადი

მუშნი

ბავშვის საჭმელი

ზინედინ (.......)

აშშ-ს შტატი

ბარბაროსების ბელადი

ფართო გზა

ისტ. ძეგლი ადიგენის რაიონში

ყანწის მასალა

დიდი დათვის თანავარსკვლავედში შემავალი ვარსკვლავი

ინერტული აირი

(......) ამოს კომენსკი

სიძველეთა საცავი დაწესებულება

ქოშები დაკარგა

აიეტის ასული

მრწამსი, რწმენა

ბაირონმა წამოიწყო

ფრანგი მსახიობი ჟან....

მწერალი (......) ქიაჩელი

გაზაფხულის ყვავილი

ევროპის სახელმწიფო

პატარა მაიმუნი

ნებისმიერი საზოგადოებისათვის მავნებელი სენი

იაპონური სათამაშო ძაღლი

(......) ელიავა

რეზინი ასეთია

მეხუთე საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი

რაჭის „ზღვა“

ჯარიმა არმოკვლისთვის შაში

ფილიპინების ყოფილი პრეზიდენტი ქალი კორასონ......

მდინარე ვოლგის შენაკადი

თეატრის განცხადება

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 3 | | 1 | | | | | | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | 2 | 2 | | 3 | 2 | 2 | | 4 | 8 | 3 | 3 | | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 3 | 5 | 6 | 1 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 4 | 10 | 6 | 6 | 7 | 16 | 15 | 9 | 9 | 9 | 8 | 7 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | | | | |
| | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 4 | 2 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 3 | 3 | 4 | 8 | 7 | 7 | 7 | 8 | 10 | 10 | 10 | 9 | 9 | 7 | 12 | 13 | 13 | 13 | 13 | 3 | | 4 | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 1 | 2 | 3 | 5 | 5 | 4 | 5 | 2 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 2 | 7 | 7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5 |
| | | | | | 8 |
| | | | | | 10 |
| | | | | | 10 |
| | | | | | 10 |
| | | | | 2 | 6 |
| | | | | 2 | 6 |
| | | | | | 12 |
| | | | | | 13 |
| | | | | | 12 |
| | | | | | 8 |
| | | | | 6 | 10 |
| | | | | | 21 |
| | | | | 5 | 16 |
| | | | | | 16 |
| | | | | 3 | 16 |
| | | | 5 | 7 | 5 |
| | | | 7 | 7 | 5 |
| | | | 3 | 7 | 12 |
| | | | | 5 | 11 |
| | | | | 5 | 12 |
| | | | | 6 | 13 |
| | | | 4 | 3 | 14 |
| | | | 5 | 2 | 14 |
| 1 | 2 | 1 | 2 | 9 | 5 |
| | | 1 | 6 | 9 | 5 |
| | | 1 | 5 | 8 | 5 |
| | | 2 | 4 | 6 | 5 |
| | | | 4 | 4 | 10 |
| | | | | 3 | 10 |
| | | | 2 | 4 | 9 |
| | | | | 5 | 4 |
| | | | | 5 | 2 |
| | | | | 7 | 3 |
| | | 10 | 8 | 16 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 1 | 8 | 9 | | 4 | 5 | |
| | | 8 | 4 | | 2 | 1 | | 7 |
| | 4 | | 5 | 1 | 3 | | 8 | 2 |
| 1 | | 5 | | 4 | | 7 | | 9 |
| 3 | 9 | 2 | | 5 | 6 | | 4 | |
| | 7 | | 9 | | 1 | 5 | | 6 |
| 2 | 5 | | 1 | 7 | | 9 | | |
| | 1 | 6 | | 8 | | 3 | | 5 |
| 9 | | 7 | 6 | | 5 | 2 | | 4 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 2 | 8 | | | 9 | | 3 |
| 4 | | 7 | 2 | | 6 | | 5 | |
| | 8 | | | | 3 | | 2 | |
| 2 | | | 6 | | 7 | | | |
| | | 6 | | | | | 7 | 2 |
| 9 | 7 | | | | | 4 | | |
| | 1 | | | | | | 3 | 7 |
| | | 5 | 3 | | | | | 4 |
| | 9 | | 7 | 2 | | | | |

# მეგობრები თუ თქვენი სიყვარული?!

*ხშირად სიყვარულს ვპოულობთ, მაგრამ ვერ ვხვდებით, სერიოზულია თუ არა ის. გვერევა პრიორიტეტები და ვერ ვაკეთებთ არჩევანს მეგობრებსა და საყვარელ ადამიანს შორის. თქვენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?*

**1. გჯერათ ერთი ნახვით შეყვარების?**

ა) რატომაც არა? ეს არის სწორედ ნამდვილი სიყვარული – 10 ქულა;

ბ) ასე არ ხდება, სისულელეა – 8 ქულა;

გ) ზოგჯერ, ალბათ, ხდება – 7 ქულა.

**2. მაინც შეიყვარებდით თქვენს რჩეულს, თუ ის მიუღებელი იქნებოდა თქვენი მეგობრებისთვის:**

ა) რა თქმა უნდა – 7 ქულა;

ბ) ვფიქრობ, რომ –კი – 3 ქულა;

გ) არავითარ შემთხვევაში – 1 ქულა.

**3. შეყვარებულთან ერთად მეორედ წახვალთ არც ისე საინტერესო ფილმის სანახავად?**

ა) დიახ. მასთან ყოფნაა მთავარი – 6 ქულა;

ბ) მასთან ერთად ყველგან კარგია და საინტერესო – 7 ქულა;

გ) არა. რისთვის? – 3 ქულა.

**4. თქვენი შეყვარებული ვერაფრით ეგუება თქვენს მეგობრებს. როგორ მოიქცევით?**

ა) დავფიქრდები, სწორი არჩევანი გავაკეთე? – 2 ქულა;

ბ) მეგობრებს დაველაპარაკები – 10 ქულა;

გ) ასეთი რაღაც არც წარმომიდგენია – 7 ქულა.

**5. როცა თქვენს რჩეულზე ყვებით, რას ახსენებთ უპირველესად?**

ა) მის სიმპათიურ გარეგნობას – 2 ქულა;

ბ) ჭკუას, კომუნიკაბელურობას, სიკეთეს – 7 ქულა;

გ) ჩემს რჩეულს ყველაფერი კარგი აქვს – 10 ქულა.

**6. იცით, რითაა დაკავებული თქვენი რჩეული, როცა ერთად არ ხართ?**

ა) დიახ. ინფორმაციას მუდმივად ვცვლით – 4 ქულა;



ბ) ჩვენ თავისუფალი ურთიერთობა გვაქვს. თითოეული ისე იქცევა, როგორც მას უნდა – 0 ქულა;

გ) ჯერჯერობით ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ შევამოწმო – 7 ქულა.

**7. გიფიქრიათ იმაზე, რომ ერთხელაც თქვენი ურთიერთობა დასრულდება?**

ა) არა. ამაზე ფიქრის მეშინია – 9 ქულა;

ბ) ადრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება – 4 ქულა;

გ) ჩვენ ეს არ დაგვემართება – 7 ქულა.

**8. ფიქრობთ, რომ ცხოვრება მაშინ არის მშვენიერი, როცა ერთად ხართ?**

ა) რა თქმა უნდა. სიყვარული სხვანაირად შეუძლებელია – 9 ქულა;

ბ) მარტო მოწყენილი ვარ – 1 ქულა;

გ) ცხოვრება ისედაც მშვენიერია – 7 ქულა.

**9. ერთად როცა ხართ, მნიშვნელოვან თემებზე ლაპარაკობთ?**

ა) არა. დრო არ გვაქვს საამისო – 2 ქულა;

ბ) რისთვის? – 1 ქულა;

გ) კი. საკმაოდ ბევრს – 7 ქულა.

**10. ზოგჯერ მაინც ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი რჩეული სხვანაირია და მას კარგად არ იცნობთ?**

ა) არა. ზუსტად ის არის, ვინც მგონია – 10 ქულა;

ბ) კი, ეს მომწონს კიდეც – 7 ქულა.

გ) დიახ. პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის მატყუარაა – 5 ქულა.

**შედეგები**

*30 ქულაზე ნაკლები: აშკარად მეგობრები უფრო გეძვირფასებათ. დარწმუნებული ხართ, რომ ეს ადამიანი საერთოდ გჭირდებათ?! სიყვარულზე ლაპარაკიც ზედმეტია.*

*31-65 ქულა: ალბათ, ასეთია ნამდვილი სიყვარული. თქვენი რჩეულის ყველაფერი მოგწონთ და გიყვართ. ისეთი გინდათ და გიყვართ, როგორიც არის. ერთად ყველაფერს მოერევით – ფიქრობთ თქვენ და მართალიც ხართ.*

*65 ქულაზე მეტი: თქვენ უფრო თქვენი სიყვარული გიყვართ, ვიდრე კონკრეტული ადამიანი. ზოგჯერ საკუთარ იდეალიზირებულ პარტნიორს რეალობაში ვერ ხედავთ და ბრაზობთ. საკუთარ თავს ჰკითხეთ, შეძლება, ის თქვენი მეორე ნახევარია.*

## ყველაზე ძველი ქალაქი

ინგლისელებს უყვართ ყველაფერი ძველი. დიდი ბრიტანეთის ყველაზე ძველი ქალაქის საპატიო ტიტული ერთხმად მიანიჭეს ქალაქ ეიმსბერის. გულმოდგინე კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები ამ ადგილას კომპაქტურად ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8820 წლიდან ჩასახლდნენ. ისინი ქვის ხანის ადამიანები იყვნენ.

4300 წელს ამ ადგილას უკვე ცხოვრობდნენ საკმაოდ განვითარებული და ორგანიზებული ტომები. შესაძლოა, სწორედ მათ ეკუთვნით სახელგანთქმული, იდუმალებით აღსავსე მეგალოკური ძეგლი, სარიტუალო ადგილი – სტოუნჰენჯი. უკვე მოგვიანებით, როცა ბრიტანეთს რომი დაეპატრონა, ეიმსბერიში განთავსდა ლეგიონერების გამაგრებული ბანაკი. ერთ-ერთი ვერსიით, ქალაქის სახელწოდება რომაული წარმოშობისაა. ერთი რომაული სარდლის სახელისგან – ამბროსია ავრელიანედან, რომელიც მეხუთე საუკუნეში ცხოვრებდა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ინგლისში ყველაზე ძველ ქალაქად ტუტჩიემი იყო მიჩნეული, რომელიც, სხვათა შორის, ეიმსბერის ახლოსაა.

## ორგულობის სიმბოლო

ამბობენ, რომ ყვითელი ყვავილები ორგულობის სიმბოლოა. ეს სტერეოტიპი, თავის არსებობას ძველ, არაბულ ლეგენდას უნდა უმადლოდეს. მხედართმთავარმა მუჰამედმა ომში წასვლის წინ, სახლში დარჩენილ ცოლს – აიშანს ერთგულება და მოთმინებით ლოდინი სთხოვა. მაგრამ, აიშანმა ქმარს უღალატა. მუჰამედს მოახსენეს საყვარელი ცოლის ღალატის შესახებ, მაგრამ მას ისე სწამდა აიშანის, რომ არ დაიჯერა. მაშინ ბრძენმა ურჩია: ცოლისთვის წითელი ვარდები ეჩუქებინა, თუ ისინი ფერს შეიცვლიდნენ და გაყვითლდებოდნენ, მაშინ აიშანი ტყუოდა. მუჰამედი ასეც მოიქცა. აიშანმა ვარდები დიდ ლარნაკში ჩააწყო. დილით ვარდებმა ფერი შეიცვალა – გაყვითლდა. მას შემდეგ ყვითელი ვარდები ორგულობისა და განშორების სიმბოლოა.



**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# უხერხული ბედნიერება

## ლიონ ჯენიფერი

ფილიპ დეიზის თავი ბედნიერ კაცად მიაჩნდა და ცოტა ეშინოდა კიდეც ამ ბედნიერების. როგორ შეიძლება, 43 წლის ცოლიანი კაცი, რომელსაც 20 წლის შეყვარებული ჰყავს, ბედნიერი იყოსო, – ფიქრობდა ის, მაგრამ, რა ექნა, როცა ფლორას გვერდით თავს სხვა ადამიანად გრძნობდა?! თავი მის კალთაში ედო და ნეტარებდა. ფლორა ნამდვილი საოცრება იყო – პირველად ნახა ქალი, რომელიც არაფერს ითხოვდა მისგან – არც ძვირფას საჩუქრებს, არც მაქსიმალურ ყურადღებას... არ ჭირვეულობდა და ულტიმატუმებს არ უყენებდა; არასდროს აბეზრებდა თავს იდიოტური შეკითხვებით: „რატომ არ დამირეკე?“ „სად იყავი გუშინ?“ „დაგავიწყდა, რომ ვარსებობ?!“... მაინც, რა მოეწონა ფლორას მისი? ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა... ჰო, ჩვეულებრივი, ისეთი სიმპათიური და სექსუალური არ იყო, როგორზეც ქალები გიჟდებიან. ფილიპს ჰქონდა ფული – ჯერ ბაბუამ, მერე კი მამამისმა იზრუნა ამაზე; საკმარისზე მეტი ფული ჰქონდა, მაგრამ, ფლორას ხომ ფული არ აინტერესებდა...

– რაზე ფიქრობ და რატომ ოხრავ? – ჰკითხა ქალიშვილმა.

– იმაზე, რომ სულ შენ გვერდით ყოფნას ვერ ვახერხებ.

– ხომ ვართ ხოლმე ერთად? – გაუღიმა ფლორამ და ისევ თავზე მოეფერა, – შენ ცოლი გყავს და მე ამას ვეგუები. არაფერს გთხოვ, საერთოდ არაფერს.

ფილიპმა აკოცა.

– ძალიან მიკვირს, რომ შეგიყვარდი... მართლა არაფერი გინდა, მთხოვო? ძვირფასეულობა, მანქანა... ქურქს მაინც გიყიდი.

ფლორას გაეღიმა:

– შენ ფიქრობ, ქურქის გამო მიყვარხარ? რა საყვარელი და, ამავე დროს, სულელიც ხარ. მე ისე მიყვარხარ, ყველაფრის გარეშე.

ყოველი ასეთი საუბრის შემდეგ ფილიპს უჩნდებოდა სურვილი, როგორმე თვითონ მოეშორებინა ცოლი, მაგრამ, ამას მხოლოდ მისი მოკვლით თუ შეძლებდა – სილვია არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა გაყრაზე. იმიტომ არა, რომ ქმარი უყვარდა, ის ვერ შეელეოდა დეიზის ფულს, არ დასჯერდებოდა იმ თანხას, რომელსაც გაყრის შემდეგ მიიღებდა. ვერც იმას აიტანდა, ფილიპს სხვა ქალთან ეცხოვრა ბედნიერად. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი – სილვია უნდა მოეკლა. მაგრამ, როგორ, რა საშუალებით მოახერხებდა ამას ისე, რომ პოლიციას ეჭვი მასზე არ მიეტანა? ქმრები ხომ პირველი ხარისხის ეჭვმიტანილები არიან ხოლმე. ფილიპ დეიზი, მას შემდეგ, რაც ცოლის მკვლელობაზე დაიწყო ფიქრი, დეტექტივების კითხვამ გაიტაცა, მაგრამ, მალე იმედი გაუცრუვდა – ვერ იპოვა მეთოდი იდეალური მკვლელობისათვის. რა საშუალებაც არ უნდა მოეძებნა, ბოლოს მაინც ციხისკენ მიდიოდა. რაღა აზრი ჰქონდა სილვიას მოკვლას, თუკი სიცოცხლეს ბნელ საკანში, ან სიკვდილმისჯილთა ელექტროსკამზე დაასრულებდა?! ფლორას ყველაფერი მოუყვა და იმანაც მკაცრად დატუქსა ასეთი აზრებისთვის. სთხოვა, თავს გაუფრთხილდი, ასეთ სისულელეებზე ნულარ იფიქრებო. ზოგადად, ფლორამ ყველაფერი იცოდა მის შესახებ – როგორი ბავშვობა ჰქონდა, რაზე ოცნებობდა, რა უყვარდა...

ერთ დღეს, როცა ფილიპი თავისი ჰოლდინგის ვრცელ კაბინეტში იჯდა, მდივანმა დარეკა და მოახსენა: ვილაც ახალგაზრდა ვინმე ფლორა არნოლდსის სახელით გკითხულობთო. დეიზის ხელები აუკანკალდა, მაგრამ, მოახერხა, თავი ხელში აეყვანა. შემოუშვითო, სთხოვა მდივანს. საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა უცერემონიოდ შევიდა და სკამზე მოკალათდა.

– ვინ ხართ და რა გნებავთ? – გაოცდა დეიზი.

– თქვენ ხომ იცნობთ ფლორა არნოლდსს?



– კითხვაზე კითხვით უპასუხა ახალგაზრდამ, თან ცინიკურად გაიღიმა.

– ეგ თქვენი საქმე არ არის, – წარბი შეიკრა ფილიპმა.

– სულ ტყუილად ბრაზობთ. მე აქ თქვენი პრობლემის მოსაგვარებლად ვარ. ჩვენი ორგანიზაციისთვის ეს სირთულეს არ წარმოადგენს – თქვენ შესახებ ყველაფერი ვიცით და, მზად ვართ, თქვენი ცხოვრება ულრუბლო და ბედნიერი გავხადოთ.

ფილიპ დეიზიდ პირიც კი დააღო გაოცებისგან. რაღაც სმენოდა თუ წაეკითხა ამგვარი სინდიკატის შესახებ, რომელიც, გარკვეული თანხის საფასურად, არასასურველი ადამიანების ლიკვიდაციას ახდენდნენ.

– თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ჩემს ცოლს მოკლავთ? – ჰკითხა ხმის კანკალით.

ახალგაზრდა კაცი შეიჭმუხნა.

– როგორ გეკადრებათ! მე არავის ვკლავ და არც ჩვენი ასოციაციის მკვლელები მიდიან ასეთ რისკზე. ჩვენ ყველაფერს მაღალ დონეზე ვაკეთებთ, ასე ვთქვათ, მაღალპროფესიონალურად. დიახ, ეჭვსაც კი ვერავინ აიღებს, რომ ეს ბუნებრივი სიკვდილი არ იქნება. თქვენ ხომ გიყვართ დეტექტივები?

ფილიპ დეიზიმ იგრძნო, როგორ გამოჟონა შუბლზე ცივმა ოფლმა.

– ესეც იცით?

– ხომ გითხარით, პროფესიონალები ვართ-მეთქი. მე ახლა წავალ და ჩემს სავიზიტო ბარათს დაგიტოვებთ. კარგად მოიფიქრეთ, დამშვიდდით და დამირეკეთ. შეგიძლიათ, ოფისშიც გვესტუმროთ.

– როგორ, ოფისიც გაქვთ? – საბოლოოდ გაოგნდა ფილიპი. ახალგაზრდამ შეურაცხყოფილი გამომეტყველება მიიღო:

– ეტყობა, კარგად ვერ აგიხსენით. ჩვენ არ ვუშვებთ შეცდომებს და ძალიან ვუფრთხილდებით როგორც ჩვენს რეპუტაციას, ისე კლიენტებს. მერწმუნეთ, თქვენ არაფერი გემუქრებათ, მხოლოდ ხელს მოაწერთ კონტრაქტს, გადაიხდით თანხას და თავისუფალი ქვრივი გახდებით.

– ჰო, კარგია თავისუფლება, – ოცნებაში წავიდა ფილიპი, – ცოლს, ალბათ, აღარასოდეს შევირთავ... მართლა, რა ღირს თქვენი მომსახურება? რომ ვიცოდე, ყოველი შემთხვევისათვის...

– თხუთმეტი ათასი დოლარი. შეიძლება, მოგეჩვენოთ, რომ ძვირია, მაგრამ, პროფესიონალიზმი და გარანტია იაფი ვერ იქნება, ეს არასერიოზულია. ათი ათასს წინასწარ იხდით, ნაღდი ფულით, ხუთი ათასს კი – როცა დავალება შესრულებული იქნება. მეორე თანხის ნაწილს იმ ანგარიშზე გადმორიცხავთ, რომელსაც ჩვენ მოგწერთ...

ზუსტად ხუთი დღის შემდეგ ფილიპმა ასოციაციაში დარეკა და აგენტს ხელშეკრულებით მასთან მისვლა სთხოვა. ფული ჩაუთვალა და კიდევ ერთხელ ჰკითხა უსაფრთხოების შესახებ.

– არ ინერვიულოთ. სალამოს, სახლში რომ მიხვალთ, ყველაფერი დამთავრებული იქნება და ეჭვსაც ვერავინ მიიტანს, რომ სიკვდილი ბუნებრივი არ იყო.

– ალიბზე ხომ არ ვიზრუნო? – საქმიანად ჰკითხა ფილიპმა და უკვე წარმოიდგინა, როგორ მიიღებდა სამძიმარზე მოსულ სტუმრებს.

– არა, არ დაგჭირდებათ. ბედნიერებას გისურვებთ...

ფილიპმა კარი თავისი გასაღებით გააღო... სახლში სიჩუმე იყო და, იფიქრა, რომ ასოციაციამ თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ, დიდხანს არ დასცალდა ნეტარება – მეორე სართულის მისაღებიდან გარკვევით გაიგონა ცივი, გამყინავი ხმა:

– მოხვედი? საინტერესოა, ბოლო დროს სად დაბრძანდები გვიანობამდე!..

***

ფლორა კისერზე ჩამოეკიდა სტივს და ფულის შეკვრას აღტაცებულმა დახედა.

– ნამდვილი გენიოსი ხარ... დარწმუნებული ხარ, რომ საფრთხე არ გვემუქრება?

– არანაირი. წარმოიდგინე, რა შეუძლია, დაგვიშავოს? წავა პოლიციაში და იტყვის, ცოლის მკვლელობა შევუკვეთე კაცს, რომელმაც ფული აიღო და გამაცურაო? ნუ გეშინია, ძვირფასო, ასი პროცენტით გაგვიმართლა. ის კი არა, შეგვიძლია, ქალაქიდან არც გავემგზავროთ, მხოლოდ ამ ბინიდან გადავალთ გაცილებით კომფორტულ სახლში და მდიდრულ უბანში. ეს ფული ერთხანს კარგად გვაცხოვრებს, მერე კი... აუცილებლად გამოჩნდება ფილიპ დეიზის მსგავსი მდიდარი და სულელი ცოლისმოძულე...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**

ზაზა თაბაგარი

# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-23(702)**

გუგა, თავისდაუნებურად, უცბად დაემორჩილა მზიას სიტყვებს და დაბნეულმა ჰკითხა:

– ამდენი რამე სად წავიღო?

– მე ახლა ყველაფერს ამოვალაგებ და ერთად მოვათავსოთ კარადასა და მაცივარში.

– მაცივარი ჯერ არც კი ჩამირთავს, – გაახსენდა მასპინძელს და სამზარეულოში



გავიდა, – თითქმის ორი თვეა, სახლში არ ვყოფილვარ და აქაურობა ძალიან მოუწესრიგებელია, – მობოდიშებით გამოსძახა სტუმარს, როცა მაცივრის კარი გამოაღო და იქ საკმაოდ უსიამოვნო სურათი დახვდა.

– მაშინ, თქვენ ამოალაგეთ ეს ყველაფერი, მე კი მაცივარს მივხედავ, – ქალმა ისეთი უშუალობით შესთავაზა დახმარება, რომ გუგა მაშინვე დაეთანხმა და თან ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ძალიან დიდი ხნის ნაცნობი და ახლობელი ადამიანი ელაპარაკებოდა.

მზიამ ხუთ წუთში გააკრიალა მაცივარი, მალფუჭებადი პროდუქტები კოხტად შეალაგა შიგ და ახლა კარადას მიხედა. ნახევარ საათში გუგას პაწაწინა სამზარეულოს ლაპლაპი გაუდიოდა.

– თქვენ რა, ჯადოსნური ჯოხი გაქვთ? – გუგას აღარც ახსოვდა, მერამდენედ გაოცდა მას შემდეგ, რაც ეს უცნაური გოგო შემოვიდა მის ოთახში.

– არა, უბრალოდ, სწრაფი ხელი მაქვს, – გაეცინა მზიას, – მერე სამზარეულოდან შესაფერისი ჭურჭელი გამოიტანა, გუგას სუფრა გაუწყო და ცარიელი პარკები კოხტად დაკეცა, – ამას ნუ გადაყრით, რამეში გამოგადგებათ. სად შევინახო?

– სამზარეულოში, მაგიდის უჯრაში, – მექანიკურად უპასუხა კაცმა. მერე სუფრას გადახედა და მზიას ჰკითხა: – თქვენ არ დამეწვევით?

– დიდი მადლობა, მაგრამ, ძალიან მეჩქარება. ლობიანი და ხორცეული, რასაც ვერ მოერევით, მაცივარში შეინახეთ; ხაჭაპური და ნამცხვარი კი, შეგიძლიათ, მაგიდაზე დატოვოთ, ხვალამდე არ გაფუჭდება. ჰო, კიდევ რაღაცა გამომატანა ბატონმა გიორგიმ, – მზიამ სწრაფად გახსნა თავისი ჩანთა და იქიდან მომცრო კოლოფი ამოიღო.

– ეს რა არის? – ჰკითხა გუგამ და კოლოფი გარედან შეათვალიერა.

– მობილურია თავისი ნომრით. ბარათი უკვე ჩადებულია და ოცი ლარია ჩარიცხული. ნომერი მეც არ ვიცი. თუ გინდათ, ახლა დარეკეთ ჩემს ნომერზე და, ეკრანზე რომ დაიწერება, მერე გადაიწერეთ ფურცელზე, სანამ დაიმახსოვრებთ, – და მზიამ თავისი ნომერი უკარნახა.

გუგამ თავისი ახალი ნომერი ფურცელზე მიაწერა და ტელეფონი მაგიდაზე დადო.

– კოლოფს მაინც ნუ გადააგდებთ, ყოველი შემთხვევისთვის. რა იცით, რაში დაგჭირდებათ, – ეშმაკური ღიმილით უთხრა ქალმა და სკამიდან წამოდგა, – ისე, ახალ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს თუ იყიდით, კარგი იქნება, – მიაძახა კარიდან და მოჩვენებასავით გაუჩინარდა.

გუგა კარგა ხანს გაოგნებული მისჩერებოდა კარს და ვერ გარკვეულიყო, ეს მართლა მოხდა თუ მოელანდა. მერე თვალები მოიფშვნიტა და გაწყობილ მაგიდას შეხედა. იქვე ახალი მობილურის ყუთიც იდო.

– არა, აშკარად არ მომჩვენებია, – თქვა ხმამაღლა, – რაღაც ხდება ჩემს თავს და, ვერ გამიგია – რა. მგონი, უფალი გამოცდას მიწყობს... – მერე ნელი ნაბიჯით გაემართა მაგიდისკენ და გაშლილ სუფრას მიუჯდა. ძალიან შიოდა, მაგრამ, ისე იყო გაოგნებული ბოლო ორი დღის განმავლობაში მომხდარი თითქმის დაუჯერებელი ამბებით, ძლივს გადაყლაპა რამდენიმე ლუკმა. სიგარეტი მოუნდა, მაგრამ, არ ჰქონდა. მაღაზიაში გასვლა დაეზარა. მერე წამოდგა და მექანიკურად აიღო სკამზე ჩამოკიდებული პარკი, რომ გადაეგდო და შიგნით რაღაც გრძელი კოლოფი დაინახა. ამოიღო და კინაღამ ხმამაღლა შეჰყვირა – „მარლბოროს“ მთელი ბლოკი დადო მაგიდაზე და გაოცებით დააცქერდა.

„აღარც მახსოვს, რამდენი წელია, ნორმალური სიგარეტი არ მომიწევია“, – გაიფიქრა, მაშინვე ამოიღო ერთი კოლოფი და ისეთი სასოებით გახსნა, თითქოს ძვირფასი ნივთი ეჭირა ხელში. მერე სამზარეულოში გაიქცა, ასანთი და საფერფლე გამოიტანა, სავარძლის წინ, პაწაწინა მაგიდაზე დააწყო, სავარძელში ჩაჯდა და ნეტარებით გააბოლა. თვალებდახუჭული ეწეოდა და იმ უცნაურ გოგოზე ფიქრობდა, გიორგიმ ამდენი რამე რომ გამოატანა. სამი ღერი ზედიზედ მოწია და მაგიდაზე დადგმული უკვე გაცივებული ყავა დააყოლა, მაგრამ, მაინც ძალიან ესიამოვნა. ცოტა აზრზე რომ მოვიდა, მობილური აიღო, შეათვალიერა და ახლა კოლოფს დასწვდა. იქიდან ტელეფონის დამტენი და პასპორტი ამოიღო და კოლოფის ფსკერზე ვიწრო თეთრი კონვერტი დაინახა. წერილი ეგონა და გაუკვირდა. რაღაც მომენტში ისიც კი გაიფიქრა, შეიძლება, იმ უჩინარმა კეთილმა ფერიამ, რომელმაც ამდენი საოცრება მომიწყო, წერილიც მომწერა, რომელშიც ისიც ეწერება, რა ხდება ჩემს თავს და ამ ყველაფრის შემდეგ როგორ უნდა მოვიქცეო, მაგრამ, კონვერტი რომ გახსნა, წერილის ნაცვლად ხუთი ცალი ასლარიანი დახვდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რატომ უთხრა იმ მხიარულმა გოგომ, მობილურის ყუთი არ გადააგდოო. გუგამ მიშას მეგობრის მოცემული ხუთასი ლარიც ამ ფულთან ერთად მოათავსა და კონვერტი პატარა კომოდის უჯრაში ჩადო. მერე ისიც გაახსენდა, გოგომ კარიდან რომ მოაძახა, ტანსაცმელი იყ-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო........................

მარიკა 599 24 28 31

იდეო. უცებ მართლაც ძალიან მოუნდა, წასულიყო ბაზრობაზე და ერთი ხელი ნორმალური ტანსაცმელი ეყიდა, მაგრამ, რატომღაც, მარტო წასვლა შეეშინდა და იმაზე დაფიქრდა, ვისთვის ეთხოვა წაყოლა. გონების თვალი გადაავლო თავის სანაცნობოს და, ასეთი ვერავინ რომ ვერ ამოაჩინა, დაღონდა. მერე მობილური აიღო და კარგა ხანს ატრიალა ხელში. დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, ვინმესთვის დაერეკა და, უბრალოდ, დალაპარაკებოდა – ეკითხა, რას შვრები, როგორ ხარო; იმ ვიღაცას კი გახარებოდა მისი ხმის გაგონება და ხმამაღლა ეყვირა – სად დაიკარგე, ბიჭო, ძალიან მომენატრეო. მაგრამ, ისეთი ახლობელი ვერავინ გაიხსენა, ვისაც მისი ხმის გაგონება გაუხარდებოდა და თვალებიდან სიმწრის ცრემლები წამოუვიდა. მიშას მეგობრისთვის ტელეფონის ნომრის გამორთმევა დაავიწყდა, არც პროფესორისა და გიორგის მობილურის ნომრები იცოდა, არადა, ისე უნდოდა გულშემატკივარი ადამიანის ხმის გაგონება, კინაღამ ყვირილი დაიწყო. მერე უცბად გაახსენდა, რომ, იმ გოგომ, მზიამ, თავის ტელეფონზე დაარეკვინა ნომრის გასაგებად და, სიხარულის შეძახილი აღმოხდა.

„მგონი, თქვა, მზია მქვიაო“, – გაიფიქრა და მწვანე ღილაკს ორჯერ დააჭირა თითი. ეკრანზე ცხრა ციფრი გამოისახა – ერთადერთი ნომერი, რომელიც გუგას ტელეფონში იყო ჩაწერილი და რომელზეც მას დარეკვა შეეძლო.

მესამე ზარის შემდეგ მზიას ხალისიანი ხმა გაიგონა:

– გისმენთ, ბატონო გუგა, ხომ მშვიდობაა?

– კიდევ ერთხელ გამარჯობა, მზია. უბრალოდ, ისე უცბად წახვედით, თან, ისე მოულოდნელი იყო ეს ყველაფერი, რომ მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, უფრო სწორად, ვერ მოვახერხე.

– მადლობა სახეზე გეწერათ, თქმა კი აუცილებელი არ იყო, თანაც, მე არაფერ შუაში ვარ, მე მხოლოდ ბატონი გიორგის თხოვნა შევასრულე.

– გიორგისაც მინდა ვუთხრა მადლობა და პროფესორსაც, მაგრამ, არც ერთის ტელეფონის ნომერი არ ვიცი. თქვენ ხომ ვერ დამეხმარებით?

– კი ბატონო, ჩაიწერეთ, – მაშინვე დაეთანხმა მზია და ნომრები უკარნახა, მაგრამ, იგრძნო, რომ გუგა მხოლოდ ამისთვის არ ურეკავდა და ჰკითხა: – ბატონო გუგა, კიდევ რამეში ხომ არ შემიძლია, დაგეხმაროთ? არ მოგერიდოთ, მთხოვეთ, რაც გინდათ.

– ისე, მართლაც მინდა თქვენი დახმარება, მაგრამ, ასე მგონია, ცოტა უხერხულია, თითქმის უცნობ ადამიანს ასეთი რამ სთხოვო, თუმცა,, გამოგიტყდებით და, სხვა არავინ მყავს, ვისაც შემიძლია, რომ დავურეკო და ასეთი თხოვნით მივმართო. ამიტომ...

– არ არის საჭირო ამდენი ბოდიშის მოხდა, – საოცრად თბილი ხმით უთხრა მზიამ, – ჩათვალეთ, რომ ჩვენ უკვე ახლობლები ვართ, ამიტომ, თამამად მითხარით, რაში შემიძლია დახმარება. ძალიან გთხოვთ, არ მოგერიდოთ, თორემ, მართლა მეწყინება, იცოდეთ.



გუგას რაღაც გაულღვა მთელ სხეულში და უცებ იგრძნო, რომ მარტო აღარ იყო. გულაჩუყებულმა გაიფიქრა, კიდევ კარგი, მზია ვერ მხედავსო, თვალები მუჭით მოიწმინდა, ყელში მობჯენილი გორგალი ძალით გადაყლაპა და ოდნავ შეთამამებულმა უთხრა:

– კარგი, რადგან არ მინდა, რომ გაწყენინო, გეტყვი. მოკლედ, ტანსაცმლის საყიდლად მინდა ბაზრობაზე წასვლა და, შეგიძლია, წამომყვე?

– სულ ეს იყო? – გაეცინა გოგოს, – რა თქმა უნდა, შემიძლია, ოღონდ, ახლა უკვე გვიანია – ერთ საათში იქ აღარავინ იქნება. ხვალ მოვალ, თერთმეტიდან თორმეტ საათამდე და წავიდეთ. თანაც, ვიცი, სად ჯობია მამაკაცის ტანსაცმლის ყიდვა, თუ მენდობით, რა თქმა უნდა.

– დამცინი? – თქვა გუგამ და უცებ იგრძნო, რომ მზიაზე ახლობელი, უფრო სწორად, თავისიანი ადამიანი არასდროს ჰყოლია.

– გაგეხუმრეთ, ბატონო გუგა. ხვალამდე კი კარგად დაისვენეთ. დილითაც გამოიძინეთ, თორემ, ბაზრობაზე ბევრი სიარული მოგვიწევს და დაიღლებით.

– კარგი, ასე მოვიქცევი.

– ჰო, კიდევ, არ დაგავიწყდეთ, რაც მაგიდაზე საჭმელებია, მაცივარში შეინახეთ, თორემ, ხვალამდე ყველაფერი გაფუჭდება.

– არის, უფროსო! – გაეცინა გუგას.

– თქვენი ტელევიზორი ხომ მუშაობს?

– მგონი, კი.

– ჰოდა, რამე მხიარულ გადაცემას უყურეთ. კრიმინალი, პოლიტიკა და მსგავსი „უჟასები“ თქვენთვის ჯერჯერობით აკრძალულია. გაიგეთ?

– გავიგე და გემორჩილები, – უპასუხა მზრუნველობით ნასიამოვნებმა გუგამ, – ესე იგი, ხვალ თერთმეტიდან თორმეტამდე გელოდები.

– არის, უფროსო! – ახლა მზიამ უპასუხა სიცილით, – ხვალ შესაბამისი აღჭურვილობით გამოვცხადდები!

– რა აღჭურვილობით? – ვერ მიხვდა გუგა.

– არა, ეს ისე ვთქვი, სიტყვის მასალად. აბა, ხვალამდე!

– ნახვამდის, – თქვა გუგამ და ყურმილის გათიშვა დაენანა.

უცბად კარგ ხასიათზე დადგა. სუფრას მიუჯდა და გემრიელად ისადილა. მერე მაგიდა აალაგა, ყავა მოიდუღა, ტელევიზორი ჩართო და სავარძელში მოკალათდა. საოცარი სიმშვიდე დაეუფლა. დიდი ხანია, ასე კარგად აღარ უგრძნია თავი. ცხელ ყავას დაგემოვნებით სვამდა, თან სიგარეტს ეწეოდა და უაზროდ უყურებდა ეკრანზე გამოსახულ თითქმის შიშველ მომღერლებს, რომლებიც უცნაურად იკლაკნებოდნენ, იმანჭებოდნენ და მთელი ხმით გაჰკიოდნენ ერთსა და იმავე უშინაარსო და არამელოდიურ ფრაზას. რამდენიმე წუთის შემდეგ პულტი აიღო და სხვადასხვა არხზე გადართვა დაიწყო – რამე მშვიდი გადაცემის ყურება მოუნდა, ისეთის, მის განწყობას რომ შეესაბამებოდა. კარგა ხანს აწვალა პულტიც და ტელევიზორიც, მაგრამ, ყველა არხზე თითქმის ერთი და იგივე მეორდებოდა: უნიჭო მომღერლებისა და მოცეკვავეების ტლინკაობა, ან, საკუთარ თავში დაჯერებული, ჩასუქებული პოლიტიკოსების პაექრობა და ცრუ დაპირებები, შუალედებში კი – გულის ამრევი რეკლამები იდლიების სილამაზეზე, ქალის ჰიგიენურ პაკეტებზე, ტუალეტის ქაღალდის განსაკუთრებულ ღირსებებზე გამოყენების დროს, სხვადასხვა ბანკის არარეალურ შემოთავაზებებზე და ათასგვარ სხვა სისულელეზე. ამ ყველაფერმა ნერვები აუშალა.

– სულ გაგიჟდა ეს ხალხი! – თქვა გაბრაზებულმა, კიდევ რამდენჯერმე დააჭირა პულტის ღილაკს თითი და ეკრანზე სასულიერო პირი გამოჩნდა. გუგა მიხვდა, რომ საპატრიარქოს არხს მიაგნო და გაუხარდა – ეს სწორედ ის იყო, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა. მეუფე აღსარების საიდუმლოსა და ცოდვების მონანიების შესახებ საუბრობდა. გუგა სმენად იქცა. არ გამოჰპარვია არც ერთი სიტყვა, რაც მოისმინა და, გადაცემის დასრულების შემდეგ, უკვე ზუსტად იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ამ გადაწყვეტილებამ საოცარი სულიერი სიმშვიდე და სიხარული მოჰგვარა. მერე ისევ ბოლო დღეებში მომხდარ დაუჯერებელ სასწაულებს გადაავლო გონების თვალი და ადამიანებთან ელემენტარული ურთიერთობის დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, თუნდაც მხოლოდ დალაპარაკების დონეზე. ისევ მზიას ვეღარ დაურეკავდა, ამიტომ, ძალიან კი ეძნელებოდა ამის გაკეთება, მაგრამ, მაინც გადაწყვიტა, ირაკლი ქებაძისთვის და გიორგისთვის დაერეკა – სხვა თუ არაფერი, ვალდებული იყო, მადლობა ეთქვა. ჯერ პროფესორის ნომერი აკრიფა.

– გისმენთ! – რამდენიმე ზარის შემდეგ გაისმა ქებაძის ხმა.

– ბატონო ირაკლი, გუგა ვარ... – გაუ-



ბედავად ჩაილაპარაკა გუგამ.

– ვინ გუგა? – იკითხა პროფესორმა.

– გუგა სანებლიძე... დიმიტრის რომ მოვაკითხე რეანიმაციაში...

– აა, დიახ, დიახ, გამახსენდით! გისმენთ, ბატონო გუგა, ხომ მშვიდობაა, მოხდა რამე?

– დიახ, მშვიდობაა, ბატონო ირაკლი. თქვენი წყალობით, უფრო სწორად, თქვენი და გიორგის წყალობით, დღეს დილით გამომიშვეს ციხიდან და ახლა სახლიდან გირეკავთ გიორგის გამოგზავნილი ტელეფონით.

– მართლა? ძალიან გამახარეთ. თავს როგორ გრძნობთ, ხომ არაფერი გაწუხებთ?

– დიდი მადლობა, ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ, თავი სიზმარში მგონია...– გუგამ ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო: – ბატონო ირაკლი, ვიცი, რომ მადლობის სიტყვები ძალიან ცოტაა იმისთვის, რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ, მაგრამ, მე სხვა არაფერი შემიძლია. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თქვენ, გიორგიმ და კიდევ რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც, ღმერთის ნებით, ერთად გამოჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში, თანაც, ჩემი აზრით, ყველაზე შეუსაბამო დროს და შეუსაბამო ადგილას, სიკეთის რწმენა დამიბრუნეთ...

– განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია, ასე ბევრი იქცევა, – იუხერხულა ქებაძემ.

– არა, ბატონო ირაკლი, ასე თითქმის არავინ არ იქცევა. თქვენ ექიმი ბრძანდებით და უკეთ მიხვდებით, რასაც ვამბობ: თქვენი წყალობით, მე ცხოვრებაში აღარ გავიხედავ „წამლისკენ“ და, საერთოდაც, ეს ორი დღეა, მთლიანად შემეცვალა ცნობიერება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთლიანად ჩემი პიროვნების განწმენდა მოხდა.

– ძალიან სასიამოვნოა ამის გაგონება, ჩემო კარგო, – გულწრფელად გაუხარდა ქებაძეს.

– უფრო მეტსაც გეტყვით, ბატონო ირაკლი: თქვენ და კიდევ იმ რამდენიმე ადამიანმა, ხორციელადაც და სულიერადაც გადამარჩინეთ. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჯოჯოხეთში აღარ მოვხვდები, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ვეცდები, რომ ეს არ მოხდეს.

– ეს კარგია, მაგრამ, როგორ ეცდებით? – დაინტერესდა პროფესორი.

– მართლა გაინტერესებთ? – ჰკითხა გუგამ.

– თანაც, ძალიან, – უპასუხა ქებაძემ.

– ლოცვით, მარხვით და აღსარებით, ბატონო პროფესორო. ამ ორ დღეში საოცრად მორწმუნე გავხდი – ეტყობა, ეს ჰქონდა მიზნად უფალს და იმიტომ მოხდა ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში.

– გეთანხმები, ტყუილად და შემთხვევით არაფერი ხდება.

– თავს აღარ შეგაწყენთ, ბატონო ირაკლი, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. მე სხვა არაფერი შემეძლება გარდა იმისა, რომ თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ვილოცო.

– ეს ცოტა არ არის, ჩემო კარგო, – ქებაძემ ჩაახველა და განაგრძო: – ბატონო გუგა, როცა ცოტა მოღონიერდებით და ამის განწყობაც გექნებათ, იქნებ, შევხვდეთ ერთმანეთს და, როგორც ახლობელმა ადამიანებმა, ცოტა გავისაუბროთ.

– დიდი სიამოვნებით, თუკი იკადრებთ ჩემთან შეხვედრას... – გაუხარდა გუგას.

– აბა, აბა, ეგეთები დაივიწყე! შენ ძალიან წესიერი ადამიანი ხარ, თან, არ ხარ უბრალო კაცი...

– მე?! – გაკვირვებით შეაწყვეტინა გუგამ, – ამას იმის შემდეგ ამბობთ, რაც ჩემზე იცით?

– დიახ, ჩემო კარგო. თანაც, მე ექიმი ვარ და ასეთი რამეები არ მეშლება.

გუგამ სინდისის ქენჯნა იგრძნო იმის გამო, რომ პროფესორმა მისი მთავარი ცოდვის შესახებ არ იცოდა არაფერი და ამიტომაც აქებდა.

– ბატონო ირაკლი, თქვენ რომ ყველაფერი იცოდეთ ჩემზე, ამას აღარ იტყოდით. ის კი არა, რომ გცოდნოდათ, რა ცოდვილი ადამიანი გელაპარაკებათ ახლა, დარწმუნებული ვარ, თითსაც არ გაანძრევდით ციხიდან ჩემს გამოსაყვანად.

პროფესორი მიხვდა, რომ გუგას რაღაც სერიოზული დარდი აწუხებდა, მაგრამ, მიზანშეწონილად არ ჩათვალა ამ თემის გაღრმავება და უთხრა:

– ბატონო გუგა, ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს და უამრავ თემაზე ვისაუბრებთ. თქვენ ახლა დაღლილი და განერვიულებული ხართ, ამიტომ, კარგად დაისვენეთ და რამდენიმე დღის შემდეგ დავთქვათ ჩვენი პირველი მეგობრული შეხვედრა; აი, მაშინ კი, რაც გნებავთ, მიამბეთ, გულისყურით მოგისმენთ და, თუ საჭიროდ ჩათვლით, შეძლებისდაგვარად, რჩევასაც მოგცემთ. თანახმა ხართ?

– რა თქმა უნდა! – გაუხარდა გუგას, – თუ არ შეწუხდებით, თქვენ დამირეკეთ, როცა გეცლებათ და მაშინვე იქ მოვალ, სადაც დამიბარებთ.

– ძალიან კარგი. ესე იგი, შევთანხმდ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ა | | მ | | ი | ა | ნ | ე | თ | ი | |
| | | | | | რ | ვ | ე | უ | ლ | ი | | | ხ | | ბ |
| | | | | | ხ | | რ | | ა | რ | ა | რ | ა | ტ | ი |
| | | | | | ი | | ს | ა | ნ | ა | თ | ი | | ა | ლ |
| | | | | | | ბ | ი | ბ | ი | | რ | ა | ი | ნ | ი |
| | | | | | | ნ | ე | ო | გ | ე | ა | | ყ | ი | ა |
| | | | | | | ე | | ა | ი | რ | მ | | ა | | რ |
| | | პ | | | | ლ | ი | ტ | რ | ა | | ა | ლ | ი | დ |
| ა | ს | ა | ნ | ი | ძ | ე | | რ | ო | მ | ა | ნ | უ | ლ | ი |
| რ | | ო | | კ | ა | თ | ხ | ა | | ა | ლ | ო | | ე | |
| კ | ა | ლ | ო | ე | ვ | ი | | კ | | ს | ა | ტ | ი | ნ | ა |
| ა | რ | ო | დ | ნ | ა | | რ | | ი | | პ | | დ | ა | |
| | დ | | ე | | ტ | | ო | ქ | ტ | ო | მ | ბ | ე | რ | ი |
| ი | ნ | ე | ბ | ს | ი | რ | ბ | | ა | | ი | ნ | ა | გ | რ |
| ძ | ა | ძ | ა | | ნ | ე | ო | | ბ | | | | ლ | | ა |
| ო | ს | ა | ს | | ი | ნ | ტ | ე | რ | ი | ე | რ | ი | | ს |
| ლ | | გ | | ა | | | ი | ნ | ა | | ფ | | | | ხ |
| | | ა | კ | ი | რ | ა | | ა | | გ | რ | ი | ლ | ი | ა |
| ა | ი | ნ | ა | დ | | რ | ო | გ | ი | | წ | ვ | ე | რ | ი |
| ი | | ა | ლ | ო | ნ | ი | რ | ი | | რ | | გ | ი | ა | |
| ლ | ა | მ | ა | რ | ა | | ე | ს | მ | ე | რ | ა | ლ | დ | ა |
| | | | თ | ა | მ | ღ | ა | | | გ | | ლ | | ო | |
| ო | ს | ტ | ა | პ | ი | | ს | უ | ს | ა | მ | ბ | ა | რ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 1 | 9 | 5 | 6 | 7 | 8 | 2 |
| 8 | 7 | 2 | 4 | 1 | 3 | 6 | 9 | 5 |
| 6 | 9 | 5 | 2 | 8 | 7 | 3 | 4 | 1 |
| 1 | 6 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 7 | 8 |
| 3 | 8 | 7 | 1 | 2 | 9 | 5 | 6 | 4 |
| 5 | 2 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 1 | 3 |
| 7 | 4 | 8 | 3 | 6 | 5 | 1 | 2 | 9 |
| 9 | 1 | 3 | 7 | 4 | 2 | 8 | 5 | 6 |
| 2 | 5 | 6 | 8 | 9 | 1 | 4 | 3 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 9 | 7 | 6 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 8 | 2 | 1 | 3 | 9 | 5 | 4 | 7 | 6 |
| 4 | 7 | 6 | 1 | 2 | 8 | 9 | 5 | 3 |
| 7 | 3 | 5 | 6 | 4 | 9 | 1 | 8 | 2 |
| 1 | 6 | 2 | 8 | 3 | 7 | 5 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 8 | 5 | 1 | 2 | 6 | 3 | 7 |
| 6 | 1 | 4 | 2 | 8 | 3 | 7 | 9 | 5 |
| 5 | 9 | 3 | 4 | 7 | 6 | 8 | 2 | 1 |
| 2 | 8 | 7 | 9 | 5 | 1 | 3 | 6 | 4 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მენეჯმენტის. 2. უცხოელის „დამტვრეული“ ლაპარაკი. 3. მოსამართლეებს. 4. გოგონები ხშირად უყურებდნენ მას და ვითარდებოდა სიელმე, რაც ინდიელთა ტომში სილამაზის ერთ-ერთი პირობა იყო. 5. ქრისტეს ქანდაკება ბრაზილიაში. 6. ვესტერნს – პორტერმა გადაიღო ფილმი „მატარებლის დიდი ძარცვა“. 7. ყავა რძით. 8. ძაღლების. 9. საპონს. 10. გარყვნილებას.**

ით. აბა, ყოჩაღად იყავით, ნახვამდის!

– კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ირაკლი! – თქვა გუგამ და დაელოდა, სანამ პროფესორი თვითონ გათიშავდა ყურმილს.

ქებაძესთან საუბრის შემდეგ ირაკლიმ რამდენიმეწუთიანი შუალედი გააკეთა და გიორგის ნომერი აკრიფა. გიორგიმ დახედა თუ არა თავისი მობილურის ეკრანს, მაშინვე მიხვდა, ვინც ურეკავდა, თავის ოთახში გავიდა, რომ დიმიტრის არ მოესმინა მათი საუბარი (ძმას ზედმეტი ემოციები აარიდა) და მხოლოდ მერე დააჭირა თითი მწვანე ღილაკს.

– გამარჯობა, გუგა! – მიესალმა თბილად.

– გამარჯობა... – თქვა გუგამ და ველარ განაგრძო, რადგან, არ იცოდა, როგორ მიემართა – მხოლოდ სახელით თუ „ბატონოთი“.

გიორგი მიხვდა მის გასაჭირს და შეეშველა:

– არ გვინდა ოფიციალურობა, სახელით მომმართე. როგორ ხარ?

– ახლა უკვე კარგად... მადლობის სათქმელად დაგირეკე. არ დამიმსახურებია ასეთი თან გადაყოლა.

– მოდი, ამაზე არასდროს არაფერი აღარ მითხრა. მე კი აუცილებლად გეტყვი ჩემს მთავარ სათქმელს: ის, რაც შენთვის გავაკეთე პირადად მე, ანუ, ქებაძეს არ ვგულისხმობ, ზღვაში წვეთიც არ არის იმ ტკივილთან და ვნებასთან შედარებით, რაც შენ ჩემმა ძმამ მოგაყენა. ამიტომ, შენ კი არ უნდა მიხდიდე მადლობას, მე უნდა გიხდიდე ბოდიშს, თუკი ასეთ რამეზე საერთოდ შესაძლებელია ბოდიშის მოხდა.

– არ არის საჭირო ბოდიშის მოხდა, გიორგი, მით უმეტეს, რომ პირადად შენ არაფერი დაგიშავებია ჩემთვის; ამიტომ, მოდი, ნურც ამ თემაზე ვილაპარაკებთ ნურასოდეს.

– კარგი, თანახმა ვარ.

– გიორგი, მზია იყო დღეს ჩემთან და უამრავი რამ მომიტანა. ათ კაცს ეყოფა ეს ყველაფერი... – მობოდიშებით უთხრა გუგამ.

– დავანებოთ თავი ამ თემას. როგორ ხარ, ცოტა მოხვედი აზრზე?

– ნელ-ნელა მოვდივარ, ჯერ ერთი დღეც არ გასულა, რაც სახლში ვარ.

– დამლაგებელი ხომ არ გამოგიგზავნო? – შესთავაზა გიორგიმ, – რამდენი ხნის დაულაგებელი გექნება ბინა...

– არა, არ არის საჭირო. ნაწილობრივ მე თვითონ დავალაგე, ცოტა მზიაც მომეხმარა და ახლა ყველაფერი წესრიგშია.

– მზია?! – გაოცდა გიორგი, – გადამრევს ეს გოგო.

– ჰო, ცოტა უცნაური გოგოა, დადებითი ენერგიის ნამდვილი საბადო, – გაეცინა გუგას.

– შენი მოხიბვლაც მოახერხა, არა? – სიცილითვე უპასუხა გიორგიმ, – სადაც მიდის, ყველგან თავს ამახსოვრებს, თანაც, მხოლოდ დადებითი მხრიდან. სწორედ იმიტომ გამოვატანე ის ყველაფერი მზიას, რომ ბუნებრივად ჩაეტარებინა შენთვის ფსიქოთერაპია.

– ჰოდა, გამოგივიდა კიდეც, დიდი მადლობა.

– მოკლედ, გუგა, თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, დღე-ღამის ნებისმიერ საათზე დამირეკე. შევთანხმდით?

– შევთანხმდით. დიდი მადლობა ყველაფრისთვის, ნახვამდის.

– აბა, კარგად! – დაემშვიდობა გიორგი და ყურმილი გათიშა.

გუგამ იგრძნო, როგორ მოეხსნა გულიდან უზარმაზარი სიმძიმე და უცნაური ნეტარების გრძნობა დაეუფლა. მერე ბალიში და თხელი საბანი გამოიტანა, დივანზე გემრიელად მოეწყო და ბავშვივით მშვიდად და უშფოთველად დაიძინა. ბოლო წლების განმავლობაში ეს იყო პირველი ღამე, როცა არავინ და არაფერი დასიზმრებია.

***

მზიას არ გაჰკვირვებია, ნანიტამ იმ დღესვე რომ დაურეკა – შინაგანად გრძნობდა, რომ დიმიტრის ყოფილ ცოლს ნებისყოფა არ ეყოფოდა, რამდენიმე დღე მოეთმინა, რადგან, აშკარად რაღაც აწუხებდა, უფრო სწორად, რაღაცის გამო იტანჯებოდა. ასეთ დროს კი ადამიანს ძალიან სჭირდება მსმენელი, თანაც ისეთი, რომელიც კომენტარების, საყვედურებისა და შენიშვნების გარეშე მოუსმენდა.

– გისმენთ, ქალბატონო ნანიტა, – გაუმეორა მზიამ ქალს, რომელიც გაჩუმდა და ხმას აღარ იღებდა.

– მზია, გადავწყვიტე, ხვალ შეგხვდე, თუ გცალია, რა თქმა უნდა, – როგორც იქნა, თქვა ნანიტამ.

– დღეს ხომ უკვე გითხარით, რომელ საათზეც მეტყვით და სადაც მეტყვით, იქ მოვალ, – მაშინვე დაეთანხმა მზია.

– მაშინ, საღამოს 5 საათისთვის მზად იყავი და დაგირეკავ, სად უნდა მოხვიდე.

– კარგი, დაგელოდებით.

– ესე იგი, შევთანხმდით. კარგად იყავი!

– ხვალამდე, ქალბატონო ნანიტა, – მზიამ ყურმილი გათიშა და ღრმად ამოისუნთქა.

– რაო, რა გითხრა? – დაძაბული ხმით იკითხა დიმიტრიმ.

– ხვალ უნდა შევხვდე.

– სად, ისევ მასთან, სახლში?

– არ ვიცი, ხუთისთვის დამირეკავს და მეტყვის.

– ესე იგი, ამ საღამოს და ხვალინდელ დღეს ისევ მოლოდინის რეჟიმში გავატარებთ, – ამოიოხრა დიმიტრიმ.

– არა უშავს, ცოტაღა დაგვრჩა, გავუძლებთ როგორმე, – გაამხნევა მზიამ, – ახლა კი შენი სადილობის დროა, ბატონო დიმიტრი.

– მე ცოტას დავისვენებ ჩემს ოთახში, – წამოდგა გიორგი.

– ბარემ, თქვენც გესადილათ, – შესთავაზა მზიამ.



– არ მშია, წამოწოლა მირჩევნია, – თქვა გიორგიმ და გავიდა.

მზიამ ასადილა დიმიტრი, მერე თვითონაც წაიხემსა და რაღაც ჟურნალს წამოავლო ხელი გადასათვალიერებლად. უცებ ისევ ტელეფონის ზარი გაისმა – გიორგის მობილური რეკავდა. გოგომ მაშინვე აიღო მაგიდაზე დატოვებული ტელეფონი და გიორგის მიუტანა. კაცმა დახედა ნომერს, მაგრამ, ვერ იცნო და გაკვირვებული ხმით იკითხა:

– გისმენთ, ვინ ბრძანდებით?

– გამომძიებელი ვარ, ბატონო გიორგი.

– ხომ მშვიდობაა? – რატომღაც შეეშინდა გიორგის.

– კი, მშვიდობაა. უბრალოდ, იმიტომ დაგირეკეთ, რომ კარგი ამბავი შეგატყობინოთ, – გუგა სანებლიძე დღეს დილით გათავისუფლდა პატიმრობიდან. ახლა უკვე კარგა ხნის მისული იქნება სახლში.

– დიდი მადლობა, მართლაც ძალიან გამახარეთ.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – დაემშვიდობა გამომძიებელი, – ღმერთმა სხვაგან შეგვახვედროს ერთმანეთს.

– ნახვამდის. აუცილებლად გნახავთ უახლოეს მომავალში, – უთხრა გიორგიმ და თავისი ოთახის კარიდან გასძახა მზიას: – შეგიძლია, ერთი წუთით შემოხვიდე ჩემთან?

მზია მაშინვე მივიდა და, გახარებული მასპინძელი რომ დაინახა, ვერ მოითმინა, არ ეკითხა:

– რამე კარგი მოხდა?

– ჰო, – ჩურჩულით უპასუხა გიორგიმ, რომ დიმიტრის არ გაეგო, – გუგა უკვე სახლშია.

– მართლა?! – გაუხარდა მზიას, – მერე, რატომ ჩურჩულებთ?

– ჯერჯერობით, არ მინდა, რომ დიმიტრიმ გაიგოს – არ არის საჭირო ზედმეტი ემოციები, მერე ვეტყვი. მაგრამ, ეს არ არის მთავარი. ახლა მე უნდა გავიდე და მალე მოვალ.

– სად? – წამოსცდა მზიას და გაწითლდა, – მაპატიეთ...

– სად და, გუგას ახლა ათასი რამ დასჭირდება, საჭმლით დაწყებული...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-23(702)

**ვაჟბანი სინანულისანი**

სახლამდე ჩუმად იარეს. ქეთის ერთი სული ჰქონდა, რამე ეთქვა მოღუშული ქმრისთვის, მაგრამ ვახოს სახის გამომეტყველება ამის შანსს არ უტოვებდა. ქალი ინტუიციურად გრძნობდა, რომ სიტუაცია სერიოზული სკანდალისკენ იხრებოდა – აშკარად ყველაფერი ამაზე მიანიშნებდა და, უსიამოვნო მოლოდინისგან ხელის თითები გაეყინა. სახლში შესული ვახო პირდაპირ საძინებელი ოთახისკენ გაემართა, კარადიდან სამგზავრო ჩანთა გამოიღო და ტანსაცმლის ჩალაგებას შეუდგა. ზღურბლზე მიყრდნობილმა ქეთიმ ღრმად ჩაისუნთქა და აკანკალებული ხმით ჰკითხა:

– რას აკეთებ, ვახო?..

– ვერ ხედავ? ჩემს ნივთებს ვალაგებ, – უკანმოუხედავად მიუგო ქმარმა.

– რატომ?

– ჰმ, როგორ მეკითხები, რატომო... შენი მხრიდან ასეთი მოჩვენებითი გულუბრყვილობა კიდევ უფრო მაღიზიანებს, მაგრამ, ჩხუბს არ ვაპირებ – ამ ყველაფერს აზრი აღარ აქვს, მშვიდად და უხმაუროდ წავალ. კარგს იზამ, თუ ცოტაოდენ კეთილგონიერებას მაინც გამოიჩენ და ხელს არ შემიშლი.

– ვახო, ასე ნუ მელაპარაკები, ძალიან გთხოვ... – ხმაში ცრემლი გამოერია ქეთის.

– ჰმ, „ასე ნუ ელაპარაკები,“ თურმე... ქეთი, მომეშვი, მართლა არ მინდა შენთან ჩხუბი, დავიღალე... იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მოხდა, დასვენება და სიმშვიდე მჭირდება.

– იმ ყველაფრის შემდეგო, ამბობ... ისეთი რა მოხდა, რომ მტოვებ?

– როგორ არ გრცხვენია, ამას რომ მეკითხები? – ვახო შემობრუნდა. ერთიანად აჭარხლებული იყო და თვალები მასაც ცრემლით ჰქონდა სავსე, – შენი გულისთვის, შენი უპასუხისმგებლო საქციელის გამო, ისეთი რაღაც ჩავიდინე, საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია. ეს როგორ გააკეთე, იმ ლაწირაკთან როგორ მიღალატე?!

– ვახო! – შეჰკივლა ქეთიმ და ქმართან მიიჭრა, – მე შენთვის არ მიღალატია. უნდა დამიჯერო, ძალიან გთხოვ... გემუდარები... უნდა მომისმინო და მენდო!

– მე ერთხელ უკვე გენდე და ძალიან ვნანობ ამას. კიდევ მატყუებ, თვალებში მიყურებ და მატყუებ! განადგურებული ვარ. არ ვიმსახურებდი ამას, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ბრალია. უნდა მეფიქრა, რომ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ძალიან გთხოვ, აღარაფერი თქვა. უარესად ნუ დაამძიმებ სიტუაციას, მშვიდად გამიშვი.

– არა, არა... ვერსად ვერ გაგიშვებ... ვახო, მე შენ მიყვარხარ. მარტო შენ და, სხვა არავინ მჭირდება.

– ჰო?! – ირონიულად ჩაიცინა ვახომ, – მიუხედავად ამისა, მშვენივრად ხვდებოდი იმ კუნთებდაბერილს, კინოში და კაფეებში დაჰყვებოდი... ჩემ ცხვირწინ ეკეკლუცებოდი და მაბრიყვებდი, ახლა კი მეუბნები, მარტო შენ მიყვარხარო. ამის მერე რაღა მაქვს შენთან სალაპარაკო?!

– მომისმინე, გემუდარები! ისე არ არის, როგორც შენ გგონია, – აქვითინდა ქეთი, – რა მოხდება, რომ დამელაპარაკო?

– რომ იმაზე უარესი მოვისმინო, რაც უკვე ვიცი? ცეცხლს რატომ ეთამაშები, ქეთი?..

– არაფერიც არ იცი... სიმართლე არ იცი... – ქალი ხელების მტვრევას მოჰყვა, – ძალიან ცუდად ვარ... ჰო, გატყუებდი, მაგრამ, არ მიღალატია, ეს შენი სიყვარულის, ჩვენი სიყვარულის გამო გავაკეთე.

– გეყოფა! ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი! – ვახომ ხელები თავზე იტაცა, – ერთ ნაბიჯზე არ ყოფილხარ სანდო. სახლიდან გასული არ ვიყავი, რომ შემცვლელი მომიძებნე... რომ ვფიქრობ ამაზე, სისხლი მივარდება თავში... ახლა ვხვდები, როგორ ხდებიან კაცები საკუთარი ცოლების მკვლელები.

– რას ამბობ, გაგიჟდი?

– ბედი შენი, რომ არ გავგიჟებულვარ, თორემ, ასე არ დაგელაპარაკებოდი. მე თვითონაც მიკვირს, კიდევ როგორ ვარ მშვიდად. მოკლედ, წავედი და რამდენიმე დღე აღარ დამირეკო. მე თვითონ მოვალ, რომ ბავშვზე და გაყრის დეტალებზე დავილაპარაკოთ, – ვახომ ჩანთას ხელი მოჰკიდა და კარისკენ გაემართა.



ქეთი წინ გადაუდგა:

– არ გაგიშვებ!..

– ქეთი, გამატარე... ვერც ცრემლებით, ვერც ხვეწნით ვერაფერს შეცვლი და, იმდენს იზამ, ერთმანეთს მტრებად დავშორდებით. თუმცა, მეგობრებიც რომ ველარ ვიქნებით იმ შეურაცხყოფის მერე, რომელიც შენ მომაყენე, ალბათ, ხვდები. მაგრამ, შვილი გვყავს და ეს ბევრ რამეს ცვლის. შენ ჩემი შვილის დედად დარჩები ყოველთვის და ახლა უნდა ვეცადო, ამ აზრს როგორმე შევეგუო.

– ნუ ლაპარაკობ ასე! – მთელი ხმით აღრიალდა ქეთი და კართან იატაკზე დაეშვა, – მომისმინე, მხოლოდ ამას გთხოვ... ერთხელ კიდევ... მომეცი საშუალება, აგიხსნა...

– რა უნდა ამიხსნა, როგორ მატყუებდი? თუ, მეტყვი, რამდენ ადამიანთან დამცინოდი და მამასხარავებდი?!

– არავისთან არ დაგცინოდი... ვახო, მომისმინე... ყველაფერს სიმართლეს გეტყვი. ძალიან ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი.

– ნანობს, თურმე... ჰმ... ჰოდა, დარჩები მაგ შენს სინანულთან ერთად და იფიქრებ, რა დაკარგე... – შეუბრალებლად მიუგო ვახომ და მისი წამოყენება სცადა, რომ კარი გაეღო. მაგრამ ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა... ქეთი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებღაუჭებოდა ქმარს და მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. კაცი მაინც არ შეეპუა... ბოლოს მიაღწია საწადელს – ცოლი გვერდზე გააჩოჩა და კარი გაიჯახუნა. ქეთი ხმამაღლა აბღავლდა... მერე ხმაურზე გაღვიძებულ და ოთახიდან გამოტანტალებულ, ფეხშიშველა და თვალებგაფართოებულ შვილს ჩაეხუტა და უხმოდ განაგრძო ტირილი...

***

ნინიმ ფრთხილად მოჰკიდა ხელი ლევანს მკლავზე:

– ასე ძალიან ნუ ნერვიულობთ... ექიმმა ხომ თქვა, ყველაფერი კარგად იქნებაო...

ლევანმა ამოიოხრა. მერე სიგარეტი ამოიღო მოუკიდა და ამღვრეული მზერა მიაპყრო.

– ჩემი შვილი... შეიძლება მოკვდეს, ნინი, მითხარი, რა ვქნა, როგორ ვუშველო?

– ლევან, არ გინდათ... არ მოკვდება... ექიმები ყველაფერს აკეთებენ. აი, ნახავთ, ლიზაც კარგად იქნება და ბავშვიც, – ნინიმ სცადა, დაემშვიდებინა, მაგრამ, დამაჯერებლობა აკლდა მის სიტყვებს. გიგის შეხედა და სასოწარკვეთილმა ამოიოხრა.

– ლიზამ ინერვიულა... ყველაფერი იმ ჩხუბის ბრალია... ისედაც ძალიან ემოციური გახდა ბოლო დროს... როგორ უხაროდა ეს წვეულება, ემზადებოდა და უნდოდა, ყველაფერი იდეალურად ყოფილიყო, თქვენ კი ჩაუშალეთ, – ლევანმა მტრულად შეხედა გიგის, – აგებთ პასუხს, თუ ჩემს ცოლშვილს რამე მოუვა?

ნინი გაფითრდა. არანაკლებ ცუდ მდგომარეობაში იყო გიგიც. გიგის ჩუმად ანიშნა, იქნებ, წავიდეთ აქედანო.

– ლევან, რაც მოხდა არავისი ბრალი არ არის. წინასწარ ვის შეუძლია, თქვას, სად როგორ მოიქცევა? დამშვიდდით და ბედს მიენდეთ... მე ვიცი, რომ ყველაფერი მშვიდობით დასრულდება.

– მე არ მაქვს იმედი... მეშინია, ძალიან მეშინია... ლიზას ან ბავშვს რამე რომ დაემართოთ, თავს არ ვიცოცხლებ, რაღაც საშინელებას ჩავიდენ.

ნინი წამოდგა. აპარატიდან წყალი ჩამოასხა და ლევანს მიუტანა;

– ექიმს ხომ არ ვთხოვო, რამე დამამშვიდებელი მოგვცეს?

ლევანმა თავი გააქნია.

– თქვენ წადით, გვიანია უკვე...

– არა, ვიქნები, – იუარა ნინიმ, – მაინც ვერ მოვისვენებ სახლში.

გიგი აწრიალდა:

– იქნებ ყავა მაინც დავლიოთ. მე წავალ, მივივლ-მოვივლი, შეუძლებელია, აქ სადმე არ იყიდებოდეს, – თქვა და გავიდა.

ნინი და ლევანი მარტონი დარჩნენ. გოგომ უკვე აღარ იცოდა, რა ექნა, ამიტომ, გაჩუმება ამჯობინა. დრო კი უსაშველოდ იწელებოდა. ნინიმ უცებ იგრძნო, რომ ამ ერთმა დღემ მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, თანაც ისე, რომ ბოლომდე ვერ გააცნობიერა, უნდოდა ეს თუ არა. ახლა კი, როცა საკუთარ თავთან ფაქტობრივად მარტო დარჩა, ცოტათი შეეშინდა. თომა წავიდა... მასთან ყველაფერი დასრულდა და ისევ გიგის გვერდით აღმოჩნდა. იქნებოდა კი ამჯერად მაინც გიგისთან ურთიერთობა სანდო და სტაბილური? – ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა... ამოიოხრა და თვალები დახუჭა... ფიქრებიდან ნაბიჯების ხმამ და ლევანის შეძახილმა გამოარკვია:

– რა მოხდა, ექიმო, რა უნდა მითხრათ?

ექიმს დაღლილი და შეფიქრიანებული სახე ჰქონდა.

– ვაჟი შეგეძინათ... თქვენი მეუღლე თავს კარგად გრძნობს. ნახევარი საათის შემდეგ პალატაში გადავიყვანთ და შესძლებთ მის ნახვას.

ლევანი გამოცოცხლდა:

– მართლა? ექიმო, ჩემს ლიზას არაფერი ემუქრება? არ მატყუებთ? კარგად არის?

– დიახ, კარგად არის... სტრესი ნელნელა გაივლის... რაც შეეხება ბავშვს, პრობლემები გვაქვს...

ლევანის აღრთოვანება ერთბაშად ჩაცხრა და მღელვარებისგან ყბა აუკანკალდა.

– მაგით რისი თქმა გინდათ, ექიმო? – დაასწრო შეკითხვა ნინიმ.

– როგორც გითხარით, დღენაკლული დაიბადა. ძალიან მცირე წონის არის და დროებით ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გვეყოლება, მაგრამ, ამას კიდევ არა უშავს... ვფიქრობთ, სისხლის გადასხმა დაგვჭირდება... თქვენს მეუღლეს განსხვავებული ჯგუფი და რეზუსი აქვს. ასეც რომ არ იყოს, ისე სუსტად არის, მისგან სისხლს ვერ ავიღებდით... ბატონო ლევან, იცით, რომელი ჯგუფის სისხლი და როგორი რეზუსი გაქვთ?



კაცი შეყოყმანდა:

– თუ არ ვცდები, მეორე ჯგუფის სისხლი და დადებითი რეზუსი უნდა მქონდეს...

– ანუ, დარწმუნებული არ ხართ... უცნაურია, – მხრები აიჩეჩა ექიმმა და ნინი შესამჩნევად გაფითრდა. ლევანმა კითხვით სავსე მზერა მიაპყრო ექიმს.

– რისი თქმა გინდათ?

– იმის, რომ ბავშვს თქვენი და თქვენი მეუღლისგან განსხვავებული სისხლის ჯგუფი და რეზუსი აქვს. თუმცა, შეიძლება, ცდებით. გადავამოწმოთ?

– ვერ ვხვდები, რა უნდა გადაამოწმოთ?

– თქვენი სისხლის ჯგუფი და რეზუსი. იქნებ, ზუსტად არ გახსოვთ?

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა... მე მზად ვარ...

ლევანი ექიმს გაჰყვა... დერეფანში შემოსულმა, ყავის ორთქლავარდნილი ჭიქებით დახუნძლულმა გიგიმ გაოცებულმა გახედა ორივეს და ნინის მიუბრუნდა:

– რა ხდება?

– ცუდი ამბავია, – თავი გადააქნია ნინიმ.

– რა? არ მითხრა, რომ ლიზა გარდაიცვალა, – გიგის ლამის ჭიქები დაუცვივდა ხელიდან, თითებიც კი დაიწვა.

– რაფაზე დააწყვე და ნუ იფუფქები. რას ნიშნავს, გარდაიცვალა! პირიქით, ლიზა თავს კარგად გრძნობს. ბავშვიც დაიბადა – ბიჭია, მაგრამ... – ნინი გაჩუმდა.

– რა – „მაგრამ?" თქვი გოგო, ნუ ამომართვი სული...

– ბავშვი ცუდად არის... სისხლის გადასხმა სჭირდება და...

– მერე გადავუსხათ. არ მითხრა, რომ სისხლს ვერ შოულობს ისეთი ყოვლისშემძლე პიროვნება, როგორიც ლევანია, – ირონიულად ჩაიცინა გიგიმ და მაშინვე ინანა, რადგან ნინიმ ავად შეუბღვირა.

– როგორი სულელი ხარ და როგორ მიშლი ნერვებს! სწორედ რომ სისხლშია პრობლემა. ახალშობილს არც დედის სისხლი აქვს, არც მამის... ხვდები ახლა?

– ანუ? – გიგიმ პირი დააღო.

– ანუ, შეიძლება, ბავშვის მამა სხვა იყოს... ჩურჩულზე გადავიდა ნინი, – ოღონდ, ახლა, არ მკითხო, ვინ არის ეს სხვაო, თორემ, გავგიჟდები... მომაწოდე ეგ ყავა, ძალიან ცუდად ვარ.

– ვაა! ეს რა მითხარი, ტო... ესე იგი, ზუკა არ ხუმრობდა, როცა ამბობდა, ლიზა ჩემგან არის ორსულადო? ესეც მაგარი ამბავი...

– ჩუმად, ბიჭო, რა გაყვირებს, არავინ გაიგონოს, – პირზე ხელისგული მიაფარა ნინიმ. გიგიმ აკოცა და გაუღიმა.

– ჩემი ჭკვიანი და ემოციური გოგო... მალე თუ ყველა გაიგებს ამ ამბავს, მე მაინც ჩუმად უნდა ვიყო? ლევანს უკვე უთხრეს?

– სულელი ხარ? ვინ ეტყვის მაგას?!

– აბა, სად წავიდა?

– სისხლი უნდა აუღონ. შეიძლება, ეშლება... ხშირად არ ახსოვთ, რომელი ჯგუფის სისხლი აქვთ.

– მოიცა და, ჩვენ როდემდე უნდა ვიყოთ აქ?

ნინიმ მხრები აიჩეჩა.

– ნახევარ საათში ლიზას ნახვის საშუალებას მოგვცემენ და, მინდოდა, დაველაპარაკებოდი. თან, გაირკვეს ბავშვის ამბავიც.

– ისე, ჩვენი სისხლიც რომ ენახათ? იქნებ, გამოდგეს. თუმცა, როგორც შენ თქვი, თუ ჩემი და ბავშვის სისხლის ჯგუფები ერთმანეთს დაემთხვევა, შარში აღმოვჩნდები. ხომ შეიძლება, ლევანმა იეჭვიანოს, – აქირქილდა გიგი.

ნინიმ წარბი შეიკრა:

– შენ ისევ ისეთი არასერიოზული და უპასუხისმგებლო ხარ, ოდნავაც არ შეცვლილხარ. როგორ შეგიძლია, ასე იხუმრო, როცა საქმე ბავშვის სიცოცხლეს ეხება? ისე ნუ იზამ, ვინანო, რომ შეგირიგდი.

– არა, ღმერთმა დამიფაროს! ეს ისე... წამომცდა.... აუ, ზუკა რა იდიოტია... ისე, ლიზას რა უფლება ჰქონდა, რატომ დაუმალა, ბავშვს მისგან რომ ელოდებოდა?

– ეს ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარკვეული და, ძალიან გთხოვ, ზედმეტად ნუ იაქტიურებ. ნუ ჩავერევით იმაში, რაც ჩვენი საქმე არ არის, – გააფრთხილა ნინიმ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


# მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ ფარშევანგის ხატვა
2. მიახატეთ ყელი
3 შემდეგ – ტანი
4. მიახატეთ ფეხიც
5. კუდი არ დაგავიწყდეთ
6. დაასრულეთ ნახატი
7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ხუთი განსხვავება



## იპოვე ნახატზე მოცემული ფიგურები





## გაიკვლიე გზა



# კაჭკაჭი და ყვავი

## (იგავ-არაკი)

ერთი კაჭკაჭი სხვა კაჭკაჭებზე დიდი იყო: თავი გამორჩევით ეჭირა. ადგა, თანამოძმეებს გაეცალა და ყვავებს მიეკედლა. ყვავებმა კაჭკაჭი თავისიანად ვერ ცნეს: მისი ხმაც იუცხოვეს და სახეც, ჩაუნისკარტეს და გამოაგდეს.

ყვავებისგან განდევნილი კაჭკაჭი ისევ თავისიანებს დაუბრუნდა, მაგრამ განაწყენებულმა თანამოძმეებმა ზურგი შეაქციეს.

ეს არაკი სამშობლოს მოღალატეზეა ნათქვამი.

## რიცხვრებუსი

,20, 1,,, ,,0

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| გაზაფხულის თვე | | ბუნებრივი გაზი ანუ | | წყლის ტრანს-პორტი |
| | | | | |
| სპორტის სახეობა | | ყვავილი | | |

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-23(702)**

ვასია ბრილიანტი, როგორც უკვე ვთქვი, არ იყო წინააღმდეგი ქურდული ცხოვრების ეკლესიური ცხოვრებით შეცვლის და ამბობდა: პატიოსანი მღვდელი დედამიწის უმაღლესი არსებააო. უმაღლესი არსება კი ძია ვასიას ქვეყნად სიცოცხლის არსებობის მთავარ მცველად, შემნახველად და მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა. დარწმუნებული იყო, რომ, თუ ამქვეყნად პატიოსნება მოისპობოდა, სამყაროს უმართავი ქაოსი მოიცავდა და ადამიანი თვითგანადგურდებოდა. ხშირად ძია ვასიას სიტყვების არსს ბოლომდე ვერ ვწვდებოდი და ისიც მიხსნიდა ხოლმე. სიტყვა „ქაოსის” მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ვიცოდი, მაგრამ, დამაბნია „უმართავმა ქაოსმა“ და მას ვკითხე:

– ძია ვასია, ქაოსი ხომ არეულობას, უმართაობას ნიშნავს და, როგორ გავიგო უმართავი ქაოსი, რა, მართული ქაოსიც არსებობს?

მას ჩემს სიტყვებზე გაეღიმა და მითხრა:

– რა თქმა უნდა, არსებობს და ყველაფერს ახლავე, უბრალო ენით აგიხსნი.

– გისმენ, ძია ვასია, ამიხსენი.

– კობრა, ეს ძალიან ადვილია. მართული ქაოსია შუმოკი, ბუნტი ციხესა და ზონაში. მას ჩვენ, ქურდები ვაკონტროლებთ და გარკვეული მიზნის მიღწევის შემდეგ სიტუაციას ვაწყნარებთ. უმართავი ქაოსი კი ისაა, რომ შუმოკი და ბუნტი სტიქიურად ხდება, მას ვერავინ აკონტროლებს და ის ყოველთვის დიდი სისხლისღვრით მთავრდება. ციხე და ზონა ძალიან პატარა მასშტაბებია, მაგრამ, შენ წარმოიდგინე, რომ ეს ყველაფერი ერთბაშად მოხდეს დედამიწაზე, მაშინ ხომ ყველაფერი წამში დასრულდება და სიცოცხლეც მოისპობა?! ამიტომ, ყველაფერს პატიოსანი მმართველი, მოძღვარი სჭირდება, ასეთი პიროვნება კი ეკლესიის წიაღშია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ღმერთთან. სწორედ ამიტომ არ ვგმობ იმ პატიოსან ქურდს, რომელიც თავის ძველ ცხოვრებაზე უარს იტყვის და ღმერთის გზას დაადგება.

– უპატიოსნო ქურდმა რომ მოინდომოს ეს?

– უპატიოსნო ქურდს თავად ეკლესიის წიაღი უარყოფს. მას იქ, უბრალოდ, არ იღებენ. იქ ყველაფერს ღმერთი განაგებს, მას კი ვერ მოატყუებ.

– ძია ვასია, შეიძლება, ერთი რაღაც გკითხო?

– რა თქმა უნდა, – მითხრა ბრილიანტმა.

– შენზე პატიოსანი ქურდი არ არსებობს და, ნუთუ არასოდეს გსურვებია ეკლესიაში წასვლა?

– ბევრჯერ მიფიქრია ეს, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ამას არ გავაკეთებ.

– რატომ?

ბრილიანტს გაეცინა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა:

– იქ ჩემზე ღირსეული ადამიანები მოღვაწეობენ და, მეც რომ მათ შევუერთდე, აქაურობას ვინ მიხედავს?

აი, მაშინ კი მივხვდი, თუ რა მისია იკისრა ბრილიანტმა, რომელიც ბოლომდე ღირსეულად შეასრულა და თავიც გაწირა. სწორედ რომ, მისი სიკვდილის შემდეგ აირია ქურდული სამყარო. ეს არეულობა კი დღითი დღე უმართავი ქაოსის ფორმებს იღებს და ქურდულ სამყაროს წალეკვით ემუქრება, რაც, საბოლოო ჯამში, უფრო დიდ, გლობალურ ქაოსად შეიძლება გადაიქცეს. მარტო ის რად ღირს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ერთსქესიანი ქორწინებებია კანონით ნებადართული და სატანიზმის ამ უსაშინლეს ფორმას დღევანდელ საქართველოშიც ეყრება საფუძველი... ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ციხე ზოგადი, გლობალური ცხოვრების მიკროსამყაროა. იქაც, ისევე, როგორც აქ, არიან ცუდები და კარგები, პატიოსნები და უპატიოსნოები, ვაჟკაცები და „ქათმები”, მაგრამ იქ „ქათმებს” თავიანთი ვიწრო და ბინძური ნიშა უკავიათ და ამ ნიშას, ამ წითელ ხაზს ვერ გადაკვეთენ. აქ კი ეს წითელი ხაზი უკვე კარგა ხანია, გადაკვეთეს, ჩვენს მოძღვრებად, ჭკუის მასწავლებლებად გამოდიან და ცრუ თანასწრობას ქადაგებენ. ეს მათი ქადაგება კი, სწორედაც რომ, უთანასწორობისკენ მიმავალი სატანური გზაა, რამეთუ თვით შემოქმედმა დააწესა, რომ ქალი უნდა იყოს ქალი, კაცი კი – კაცი და, სწორედ ამ ცნებების აღრევაა უთანასწორობა, დისბალანსი და, საბოლოო ჯამში – გლობალური კატასტროფა...



ერთხელ, იაკუტიის მკაცრი რეჟიმის ზონაში, სადაც ოთხასი პატიმარი ვიხდიდით სასჯელს, დიდი არეულობა მოხდა. ისე გამოვიდა, რომ კოლონიაში სამასამდე „ქათამმა” და ძუკნამ მოიყარა თავი. ერთ მშვენიერ დღეს, ამ მასამ ერთმანეთში მოილაპარაკა, შეიკრა და ჩვენ – ქურდებსა და ქურდული მასტის მიმდევრებს „პრედიავა“ წაგვიყენეს. „პრედიავა“, ანუ, უბრალო ენით რომ ვთქვათ, საკუთარი მოთხოვნები. ძუკნა-ქათმების ოცკაციანი ჯგუფი ქურდულ ბარაკს მოუახლოვდა და მათმა მეთაურმა ქათამმა – ჟანამ, სალაპარაკოდ გამოგვიხმო. ჟანა ორმეტრიანი „ჟლობი“ იყო. სვაბოდაზე ის ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა და მოსწავლე გოგონას გაუპატიურების მცდელობისთვის დაიჭირეს. თავისთავად, მარტო ჟანა არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ, თავისნაირ ჟლობებთან ერთად უკვე დიდი ფიზიკური ძალა იყო და სწორედ ამ ძალაზე დაყრდნობით გამოგვიხმო სალაპარაკოდ. ქათმებთან მოლაპარაკება, მათთან თანასწორი ურთიერთობა ქურდისთვის უკიდურესად დამამცირებელია და ჩვენ არც ვაპირებდით მათთან გასვლას. თუმცა, რაღაც უნდა გვეღონა, თანაც, სასწრაფოდ.

– ქურდებო! გამოდით და დაგველაპარაკეთ, – დასჭექა ჟანამ, რომელსაც ეტყობოდა, რომ საკმაოდ შემართული იყო და ბევრ რამეზე წავიდოდა.

ათიოდე ქურდმა იქვე მოვითათბირეთ, მოქმედების გეგმა შევიმუშავეთ, გავედით და ჟანას ვუთხარით:

– ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ და ისე ილაპარაკეთ. რა იყო, რატომ გამოგვიხმეთ?

– სიტყვა გვაქვს თქვენთან.

– თქვი!

– უნდა მოვილაპარაკოთ, მოთხოვნები გვაქვს.

– რა მოთხოვნები?

– ზონაში ძალაუფლება უნდა გავიყოთ, – მტკიცედ განაცხადა ჟანამ.

– მაინც, რა გსურთ?

– თანასწორობა და მეტი არაფერი.

– მხოლოდ ეს?

– რა, ცოტაა?

– პირიქით, ძალიან ბევრია.

– ჩვენც ბევრნი ვართ, – თქვა ჟანამ და ხელით იმ დანარჩენ ძუკნა-ქათმებზე მიგვითითა, რომლებიც მოშორებით იყვნენ შეჯგუფებულები, – აი, მთელი მასა და თქვენ ანგარიში უნდა გაგვიწიოთ.

– ჟანა, – დავიწყე მე, მაგრამ მან სიტყვა შემაწყვეტინა და შემომიტია:

– ჟანა აღარ დამიძახო!

– გაჩუმდი და მომისმინე. აქ სალაპარაკო ადგილი არაა, ლესაპავალზე (დიდი ხეების ჭრა) რომ გამოხვალთ, იქ მშვიდად ვიბაზროთ. მაგრამ, მხოლოდ ხუთნი მოდით და კონკრეტული მოთხოვნები გვითხარით.

ხეების ჭრაზე ტყეში გავყავდით ბადრაგს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვმუშაობდით, დანარჩენები კი „დრუჟბით“ ჭრიდნენ უზ-

არმაზარ ხეებს. ორი საათის შემდეგ ჟანა და ოთხი მისი თანამოაზრე ჩვენს კოცონს მოუახლოვდა და მოთხოვნების ჩამოთვლას შეუდგნენ. უცებ, ოცმა ჩვენიანმა ალყა შემოარტყა მათ, რომლებმაც ოთხნი იქვე გაბაწრეს და თოვლზე დაყარეს, ჟანა კი ოთხმა კაცმა გააკავა, მას თავი დაადებინეს კუნძზე და ერთ-ერთმა შემსრულებელმა მას „დრუჟბით" თავი წაახერხა... ოთხმა გაკოჭილმა პრედიავისტმა საკუთარი თვალით ნახა ჟანას ეგზეკუციის მთელი პროცესი. შემდეგ ისინი ახსნეს, შემსრულებელმა მათ ჟანას მოკვეთილი თავი მიაჩეჩა და კბილებში გამოსცრა:

– ეს თქვენებს ანახვეთ და უთხარით, თავიანთ სოროებს დაუბრუნდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათაც ასეთი ბედი ელით და, კიდევ: სიტყვა არ დაძრათ ჩემზე, თორემ, უარესს გიზამთ.

ბადრაგი მოსყიდული გვყავდა და ისინი შორს, ზურგშექცევით იდგნენ. პრედიავისტები წავიდნენ და იმავე საღამოს ყველაფერი თავის ჩვეულ ნორმას დაუბრუნდა. ჟანას მკვლელი კი „ვერ დაადგინეს" და საქმე დაიხურა...

სისასტიკე ჩავიდინეთ? რა თქმა უნდა, მაგრამ, ასე რომ არ გვექნა, ჟანა და მისნაირები ჯერ ჩვენს ზონაში აღზევდებოდნენ, შემდეგ კი ეს ტენდენცია მთელ პენიტენციურ სისტემას მოედებოდა და ისეთი ქაოსი შეიქმნებოდა, რომელსაც ვერაფერი აღუდგებოდა წინ. დიდი სისხლი დაიღვრებოდა და მრავალი პატიოსანი, ვაჟკაცი კაცი შეეწირებოდა ყოველივე ამას. ჩვენ კი ეს ბეზპრეძელი უდანაკარგოდ აღვკვეთეთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ზონიდან რომ გავთავისუფლდი და „სუფთა ჰაერზე" გამოვედი, რეჟიმის უფროსმა გამომაცილა და მითხრა:

– შენ არ გეგონოს, რომ ჟანას მკვლელობის ამბავი არ ვიცი და დამნაშავეებს მართლა ვერ მივაგენით.

– ამას მე რატომ მეუბნებით? – კითხვა შევუბრუნე რეჟიმის უფროსს.

– იმიტომ, კობრა, რომ ამ ეგზეკუციის სულისჩამდგმელი შენ ხარ.

– დავუშვათ, ასეა. მერე რა, გინდათ, უკან შემაბრუნოთ?

– სულაც არა, – თავი გააქნია რეჟიმის უფროსმა, – პირიქით, მინდა, მადლობა გადაგიხადო.

– კი მაგრამ, რისთვის მიხდით მადლობას?

– ჟანას გამო.

– ჟანას გამო? რაღაც, ვერ ვხვდები. თუ, თქვენის აზრით, ჟანა მე მოვაკვლევინე, რისთვისაც თქვენ ზემოდან მაგრად შეგახურეს, მადლობის მაგივრად, უნდა მაპატიმრებდეთ.

– შეხურება არაფერია, მთავარი ისაა, რომ პედერასტების თარეში აღკვეთე და მადლობასაც ამიტომ გიხდი. ეს ამბავი კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ და ისინი უკვე ველარ გაბედავენ მოთხოვნების წაყენებას. მე აქ სახელმწიფოს წარმოვადგენ და, მართალია, პედერასტობა დასჯადი ქმედებაა, მაგრამ, მე და ბევრი ჩემნაირი თქვენსავით ვერ მოიქცევა. ის, რაც არ შემიძლია მე, თქვენ გააკეთეთ და მადლობასაც სწორედ ამის გამო გიხდი. გასაგებია?

– გასაგებია. მშვიდობით, – ვუთხარი რეჟიმის უფროსს და ცხოვრებაში პირველად ჩამოვართვი ხელი ციხის თანამშრომელს. მას გაეცინა და მითხრა:

– ეს დიდი პატივია ჩემთვის. ჩემი ცხოვრების განმავლობაში უამრავი ქურდი მინახავს, ურთიერთობაც მქონია მათთან, მაგრამ, ხელს პირველად ვართმევ.



– მეც პირველად ვართმევ ხელს ციხის თანამშრომელს, – ღიმილით მივუგე მე.

– მაშინ, ჩაიფიქრე რამე, – მითხრა რეჟიმის უფროსმა.

– უკვე ჩავიფიქრე.

– რა?

– დიდება ქურდებს!

– კარგად იყავი, კობრა, მშვიდობით იარე.

მთლად მშვიდობით ვერ ვიარე. ჩავედი თუ არა იაკუტსკში, აეროპორტში ბილეთი შევიძინე და მოსკოვის რეისის მოლოდინში სკამზე ჩამოვჯექი. თბილი ქუდი თავზე წამოვიფარე, ტყავის ჩანთა მხარზე ჩამოვიკიდე და ჩამთვლიმა.

– ეი, მოქალაქევ, გაიღვიძეთ, – ჩამესმა ძილში მამაკაცის ხმა. თვალები რომ გავახილე, ჩემ წინ ატუზულ ზემდეგს მოვკარი თვალი. ჯერ კიდევ გაბრუებული ვიყავი და მილიციელს მივუგე:

– რა ხდება?

– მე მგონი, ჩანთა მოგპარეს, – მამცნო ზემდეგმა.

– ჩანთა? – გავიმეორე მე.

– დიახ, – მან იატაკზე მიმითითა და დაამატა, – აი, ქამრის გადაჭრილი ნაწილი.

– ღმერთო ჩემო, ჩანთა! – აღმომხდა მე, რადგან, ხუთასი მანეთი, თვითმფრინავის ბილეთი და, რაც მთავარია, გათავისუფლების საბუთი ჩანთაში მედო.

– ესე იგი, გაგქურდეს, – „ბრძნულად" ჩაილაპარაკა ზემდეგმა და დაამატა: – გთხოვთ, განყოფილებაში გამომყვეთ და განცხადება დაწეროთ, თან, ის ნივთები აღწეროთ, რაც ჩანთაში გელაგათ. ჩვენ კი დამნაშავის პოვნას შევეცდებით.

„ესლა მაკლდა", – ვთქვი გულში, ახალგაზრდა ზემდეგს კი ვუთხარი:

– აზრი არა აქვს. ბევრი არაფერი მოუპარავთ. გმადლობთ, ამხანაგო მილიციელო. მივემგზავრები და დამაგვიანდება.

უკაპიკოდ ვიყავი დარჩენილი და გადავწყვიტე, მატარებლით მემგზავრა – იმედი მქონდა, რომ გამცილებელს „პოსლეზე" შევუთანხმდებოდი. ამიტომ, ავდექი, რომ იქაურობას გავცლოდი, მაგრამ აბეზარმა ზემდეგმა კოპები შეკრა და მითხრა:

– თქვენი საბუთები, მოქალაქევ!

– ზემდეგო, რას გადამეკიდე, დავარღვიე რამე?

– მოქალაქევ, საუბთები! – დასჭექა მილიციელმა...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ხუთიოდე წუთის შემდეგ უკვე აეროპორტის მილიციის უფროსის კაბინეტში ვიჯექი და უფროსს ველოდი, აბეზარი ზემდეგი კი პირადი მცველივით მდარაჯობდა. უფროსი რომ მოვიდა, ჯერ მე შემათვალიერა, შემდეგ ზემდეგს უთხრა:

– აბა, მაქსიმ, მომახსენე, რაშია საქმე, ვინ მრომიყვანე ამჯერად?

ზემდეგი უფროსს გამოეჯგიმა და უპასუხა:

– ამხანაგო მაიორო, აი, მოქალაქეს ჩანთა მოჰპარეს მოსაცდელ დარბაზში და განცხადების შემოტანა არ სურს.

– არ სურს და მშვიდობით იაროს, – მხიარულად თქვა მაიორმა, – ისედაც ბევრი საქმე გვკიდია და ახალი რაში გვჭირდება?

– ამხანაგო მაიორო, – არ ცხრებოდა მაქსიმი, – მოქალაქე საბუთების ჩვენებაზეც უარს აცხადებს. მე ეს საეჭვოდ მომეჩვენა და დავაკავე.

მაიორი მომიბრუნდა და მითხრა:

– მოქალაქევ, თქვენი საბუთები.

– საიდან, უფროსო, საბუთები ჩანთას გაჰყვა, – მხრები ავიჩეჩე მე.

მაიორს არ გასჭირვებია ჩემი ამოცნობა და, რატომღაც, მხიარულად მითხრა:

– ზეკი (პატიმარი) ხარ?

– ყოფილი ზეკი. ამ დილით გავთავისუფლდი, – ვუთხარი მხიარულ მაიორს.

– სად მიემგზავრებით?

– მოსკოვში.

– დედაქალაქელი ხართ?

– დიახ, მაგრამ, საქართველოს დედაქალაქიდან, – ვუთხარი მაიორს, რომელსაც მხიარული სახე კიდევ უფრო გაებადრა და ქართულად მითხრა:

– მეც თბილისელი ვარ. რომელ უბანში ცხოვრობ?

– მთაწმინდაზე.

– მე კი ორთაჭალელი ვარ, თუმცა, უკვე ოცი წელია, თბილისში აღარ ვცხოვრობ და ჩემი პროფესიის გამო მთელი საბჭოეთი მაქვს მოვლილი. ახლა აქ ვარ, თბილისში კი და მყავს და დედა.

– ძალიან სასიამოვნოა, ზემლიაკები ვყოფილვართ, – ვუთხარი მაიორს.



– რა გქვია, ზემლიაკო?

– კობრა, – ვთქვი მე.

– ვიცი, გამიგია, – რატომღაც სიამაყით მითხრა მაიორმა, – ადრე „მურში“ ვმუშაობდი სტაჟიორად და შენი სახელი პირველად იქ გავიგე.

– გაიგებდით; „მურთან“ მჭიდრო ნაცნობობა მაკავშირებს, – გამეცინა მე.

– ესე იგი, კობრა, ხომ? – ჩაილაპარაკა მაიორმა, შემდეგ გაოცებულ ზემდეგს შეხედა და უთხრა:

– მაქსიმ, წადი და „ნოჟნიცა“ მომიყვანე. ის ახლა სარდაფის ლუდხანაში იქნება და მოპარული ჩანთაც თან ექნება. აბა, ჩქარა, გავარდი!

მაქსიმი გაშპა, მე კი მაიორს ვუთხარი:

– რას მიკეთებ, მაიორო, ნუთუ ფიქრობ, რომ მოპარულ ჩანთას ამოვიცნობ?

მხიარულმა თბილისელმა მაიორმა თვალი ჩამიკრა და მითხრა:

– ნუ განიცდი, კობრა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. „მაკრატელა“ ვერც კი შეიტყობს, ვინ გაქურდა. სროკზე ნამდვილად არ გავუშვებ – ის გარეთ უფრო საჭიროა. შენ კი შენი ნივთები ხელუხლებელი დაგიბრუნდება.

ზემლიაკმა პირნათლად შეასრულა პირობა: ნახევარი საათის შემდეგ მოპარული ჩანთა წინ დამიდო, რომლის შიგთავსი მართლაც ხელუხლებელი იყო. რადგან თვითმფრინავში ჩაჯდომა დამაგვიანდა, მან პირადად ამიყვანა ბორტზე, გამომშვიდობების წინ პატარა ხვეული მომცა და მთხოვა:

– კობრა, თბილისში რომ ჩახვალ, გთხოვ, ეს ვინმეს ჩემებთან გაატანო. აქ ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის ფოტოები და ხუთასი მანეთია.

მხიარულ თბილისელ მაიორს გამოვემშვიდობე და ხელი ჩამოვართვი. თბილისში რომ ჩავედი, მის ოჯახში პირადად მივედი და სურათებთან ერთად ფულიც მივიტანე.

– ღმერთმა გაგახაროს, შვილო, შენ ჩემი საშკას ვინ ხარ? – მკითხა მაიორის დედამ, როდესაც გზავნილი გადავეცი.

– ბავშვობის მეგობარი ვარ, დეიდა. ნახვამდის, მეჩქარება.

– შვილო, იქნებ დარჩე, ჩაის დაგალევინებ, კარგი ნამცხვარი მაქვს.

– არა, გმადლობთ, სხვა დროს იყოს. ახლა მართლა ძალიან მეჩქარება. კარგად ბრძანდებოდეთ, – გამოვემშვიდობე მხიარული მაიორის დედას და წამოვედი.

მხიარულ მაიორს რამდენიმე წლის შემდეგ ისევ შევხვდი: როსტოვიდან მოსკოვში მივემგზავრებოდი. „ესვეს“ კუპე მქონდა აღებული და კომფორტულად ვმგზავრობდი. შემდეგ გაჩერებაზე კუპეს კარი გაიღო, აქოშინებული მამაკაცი შემოვიდა ტყავის ჩემოდნით, მომესალმა და, ისე, რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავს, რადგან ჩემოდანს აბინავებდა, მითხრა:

– როსტოვში ჩაჯდომა ვერ მოვასწარი და კერძო მანქანით ძლივს დავეწიე.

ახალმოსული შემოტრიალდა, დაჯდა და, რომ დამინახა, სახეგაბადრულმა მითხრა:

– კობრა, როგორ ხარ, ზემლიაკო?

– მაიორო, გამარჯობა, – ხელი ჩამოვართვი ძველ ნაცნობს.

– უკვე პოდპოლკოვნიკი ვარ, – შემისწორა მან და დაამატა: – ახლა აქ ვარ, როსტოვში – ჩემს სამშობლოსთან უფრო ახლო გადმომისროლა ბედმა. ოდესმე, ალბათ, მაინც დავბრუნდები თბილისში, მაგრამ, ჯერჯერობით ეს არ ხერხდება.

მე და მხიარულმა მაიორმა იაკუტსკის ინციდენტი გავიხსენეთ, ბევრი ვიცინეთ და ბოლოს ვკითხე:

– თუ საიდუმლო არაა, ნოჟნიცას მაშინ რა ბედი ეწია?

– ვის, ვინც ჩანთა მოგპარა?

– დიახ.

– მან ყველა გადაგვაგდო, – უხალისოდ მომიგო მხიარულმა მაიორმა.

– ეგ როგორ?

– როგორ და, პადლეცურად, – თავი გააქნია მან, – ის დამპალი ხომ ჩემთან თანამშრომლობდა. მოკლედ, რაღაც-რაღაცეების სანაცვლოდ, მე მას არ ვიჭერდი და საქმე აწყობილი გვქონდა. ერთხელ, ის პადლეცი კონსპირაციულ ბინაში შემხვდა და მითხრა:

– საველიჩ, ერთი საქმეა და, თუ გაგვიმართლა, შენც იხეირებ და მეც.

– აბა, თქვი, რა საქმეა.

– მოკლედ, ასე. ხვალ შენ და შენმა ბიჭებმა ერთი პატარა ოპერაცია უნდა ჩაატაროთ, დიდ სარგებელს მიიღებთ და ცოტას მეც თუ გადმომიგდებთ, მადლობელი დაგრჩებით.

– თქვი. დააყენე საშველი – ვუთხარი ნოჟნიცას, მან კი ჩაახველა და თქვა:

– აი, ამ მისამართზე ერთი წამლის ბარიგა ცხოვრობს. ხვალ ის ტავარს მიიღებს და, რომ ააგდებთ და დააყრევინებთ, ცოტა მეც შემახვედრეთ...

ერთი სიტყვით, ბარიგა ავაგდეთ და დალუქულ ჩემოდანთან ერთად, თავისი კურიერის თანხლებით, მილიციაში წავიყვანეთ. ჩემოდანი იქვე ვერ გავხსენით, რადგან რკინის, თანაც, დასვარკული იყო და მთელი პროცედურის ჩატარება მილიციაში გვქონდა განზრახული. კურიერი და ბარიგა დანაშაულს უარყოფდნენ, მაგრამ, ვინ დაუჯერებდა. ერთი სიტყვით, მილიციაში რომ მივედით და ჩემოდანი გავჭერით, შიგ სამი თითის კომბინაცია დაგვხვდა... უფრო სწორად – ქვიშა. ქვიშაში კი მაკრატელას ხელით დაწერილი ბარათი, რომელშიც ეწერა: „გაგაცურე, სულელო? მთელი ცხოვრება შენზე მამუშავე, ახლა კი ეძიე ნემსი თივის ზვინში“. ერთი სიტყვით, ბარიგა იუველირი აღმოჩნდა და მისი დაჭერა იმისთვის დასჭირდა იმ დამპალს, რომ სახლი ცარიელი ყოფილიყო. შემდეგ ის თავისუფლად შეძვრა ბაითში, პირწმინდად გაასუფთავა და აორთქლდა. დასვარკული ჩემოდანი კი მან გამოატანა კურიერს, რომელსაც ორმოცდაათი მანეთი გადაუხადა.

– მერე?

– რა, მერე, კობრა? ის ახლა ისრაელშია და ბაირამობს.

– რა იცი?

– რა ვიცი და, იმ დამპალმა იქიდანაც გამომიგზავნა წერილი და გულითადად მომიკითხა.

– რას იზამ, ხდება ხოლმე, – ვანუგეშე მხიარული მაიორი და, თემა რომ შემეცვალა, ვკითხე: – ზემდეგი როგორაა?

– ვინ ზემდეგი?

– აი, ის შუსტრი ბიჭი, მგონი, მაქსიმი ერქვა.

– აა, ჩემი მაქსიმკა? – კვლავ სახე გაებადრა „მხიარულს,“ – სწორედ მასთან მივემგზავრები ტულაში.

– მასთან?

– ჰო. ის ჩემი სიძე გახდა. ერთი კვირის წინ შვილიშვილი მაჩუქეს და მოსაკითხად მივდივარ.

# ლევან დევდარიანის მონატრება



ჩემო ლამაზო და ძლიერო შვილო, ჩვენო ტკივილო, ტკივილი, რომელსაც სახელი არ აქვს და ჭრილობავ, რომელსაც დრო ვერ მოაშუშებს. შენ ხომ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპე 24 წლის ბიჭი. ექვსი წელი იწურება უკვე იმ ავადსახსენებელი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ექვსი გაუსაძლისი და ტკივილიანი წელი, ცრემლითა და დარდით სავსე. ექვსი წელი ვლოცულობ გამუდმებით, რათა უფლის ნებით, გავიხაროთ იმიერში ერთად ყოფნით. მაპატიე, შვილო, უშენოდ ცხოვრება რომ ვისწავლე. 17 ივლისი შენი დაბადების დღეა, 30 წელი შეგისრულდება, 30 წმინდა სანთელი და 30 წითელი ვარდი იქნება შენი საიუბილეო საჩუქარი.

ნათელში იყავი. ჩვენი ცხოვრება კი მძიმე და უფერულია უშენოდ.

**დედ-მამა, და-ძმა და სიძე**

ჩვენ მთელი გზა მხიარულად გავატარეთ. ცოტ-ცოტას ვსვამდით კიდეც და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვილაპარაკეთ, მას ჩემი ამბავი ერთხელაც არ უკითხავს. მატარებლიდან ჩასვლის წინ კი ხელი ჩამომართვა და, სანამ წავიდოდა, მითხრა:

– თავს გაუფრთხილდი, ზემლიაკო. შენი ფოტოები ყველა თვალსაჩინო ადგილზეა გაკრული და არ „დაიწვა“...

იმ პერიოდში მორიგი „პაბეგი“ მქონდა აკიდებული, ერთ საქმეზე მეძებდნენ და ვიმალებოდი.

მილიციის პოდპოლკოვნიკის საქციელი რომ კანონის კუთხით შევაფასოთ, მას, რა თქმა უნდა, დანაშაულში ეთვლება და დაასჯიან, რომ არ დამაპატიმრა. თუმცა, არსებობს უფრო მაღალი სუბსტანცია და ზნეობრივად მან სწორი საქციელი ჩაიდინა. მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მე მეხება, არამედ, იმას ვუსვამ ხაზს, რომ ზოგჯერ კანონიც კი უნდა დაარღვიო, რათა შეინარჩუნო ზნეობა და ღმერთთან წარდგომისას პირნათელი იყო. იმ „მხიარულის“ ადგილზე, ალბათ, მეც მასავით მოვიქცეოდი და, მართალია, მის ადგილზე ვერასოდეს აღმოვჩნდები, მაგრამ, არც ჩემს ადგილზე დამიშვია ზნეობრივი შეცდომა.

ერთხელ, კიევის ერთი ქურდული მალინიდან, სადაც მე ვიმყოფებოდი, თორმეტი ათასი მანეთი დაიკარგა. ეს ფული 21 წლის „მომავალმა“ მოიპარა და გადამალა, მაგრამ, მე სრულიად შემთხვევით გავიგე ეს. ფული ობშჩიაკს ეკუთვნოდა და ასეთი დანაშაულისთვის ჩვენთან უმკაცრესი სასჯელია გათვალისწინებული. ატყდა ერთი ამბავი, დაიწყო ქურდული გამოძიება და, ბიჭი რომ გაშიფრულიყო, მას ვერავინ უშველიდა. არადა, მას აუცილებლად გაშიფრავდნენ. მე შორიდან ვაკვირდებოდი „კრისას“ და მოთმინებით ველოდებოდი მომენტს. როგორც კი ვასკა (პირობითი სახელი) დავიმარტოხელე, თვალი თვალში გავუყარე და ვკითხე:

– რას იტყვი, ვისზე გაქვს ეჭვი?

– რა ეჭვი?

– როგორ ფიქრობ, ვინ იკრისა?

– არ ვიცი. აქ ისეთი ხალხია შეკრებილი, რომ ეჭვს ვერავიზე მიიტან, – უტიფრად მომიგო მან.

– ვასკა, ფული მოიტანე! ზუსტად ვიცი, რომ შენ აიღე, – ვუთხარი ბიჭს, რომელსაც ფერმა გადაჰკრა. მე კი დავამატე: – სულელო, „დაიწვები,” თავი ხელში აიყვანე. თქვი, ხომ შენ აიღე?

– ჰო, – თქვა ცოცხალ-მკვდარმა ბიჭმა და კვლავ ფერი დაკარგა.

მე რომ სიმართლე გამემხილა, ბიჭს სამუდამოდ მოეჭრებოდა ყველა გზა. მოკვლით არ მოკლავდნენ, მაგრამ, არც ბევრს დააკლებდნენ. ვერ ვიტყვი, შემეცოდა-მეთქი, მაგრამ, ინტუიციამ მიკარნახა, რომ ბიჭი არ გამეთქვა და ვუთხარი:

– არაფერს ვიტყვი, მაგრამ, ფულს დააბრუნებ. თავი კი ხელში აიყვანე, რომ არ დაიწვა, თორემ ველარ გიშველი.

ბიჭმა შეძლო თავის შეკავება და იმავე საღამოს ფული მოიტანა. მე კი ისე მოვახერხე, რომ ქურდებმა იფიქრეს, ფული არ დაკარგულაო, ანუ, მაყუთი სხვა ადგილზე შევინახე და ის „იპოვეს“... ეს ამბავი ამით დასრულდა და ჩვენში „კრისა“ არ აღმოჩნდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ორი დღის შემდეგ კი ბიჭს პირისპირ შევხვდი და ვკითხე:



– რატომ იკრისე?

– არ ვიცი, სიხარბემ მძლია. უფრო სწორად, გულაობის სურვილმა.

– ვასკა, ძმაო, კარგად მომისმინე, – ვუთხარი ბიჭს, – წესით, მე შენ ხელს არ უნდა გაფარებდე, მაგრამ, მე თვითონ არ ვიცი, ეს რატომ ჩავიდინე. მე ქურდული წესი დავარღვიე, გამონაკლისი დავუშვი და უწესოდ მოვიქეცი, მაგრამ, ყველა წესს აქვს გამონაკლისი, რომელიც ამ წესს ადასტურებს და, ჩათვალე, რომ შენზე ავანსია გაცემული. მე შენ არც ამის გამო გადაგელობები ოდესმე წინ და არც არასდროს შეგახსენებ ამ ამბავს, მაგრამ, თუ შენ სულ მცირე არაქურდულ საქციელს ჩაიდენ, იცოდე, რომ ჩემზე საშიში და სასტიკი მტერი არ გეყოლება და გაგანადგურებ!

– გასაგებია, კობრა. შენი მადლიერი ვარ და აღარასოდეს მივქარავ, – მითხრა ვასკამ და წავიდა.

წლების მერე ვასკა ქურდი გახდა. დღეს ის დიდი ავტორიტეტია და ძალიან პატივცემული ქურდი. ერთხელ მან დამიმარტოხელა და მკითხა:

– კობრა, მაშინ რატომ დამინდე?

– ალბათ, იმიტომ, რომ კარგი კაცი გამოსულიყავი და არც შევმცდარვარ.

– კობრა, ძმაო, გულწრფელ მადლობას გიხდი. რომ არა შენ, მე ახლა არარაობა ვიქნებოდი, ან, ვიქნებოდი კი ამქვეყნად?!

– ვასკა, ძმაო, მოვრჩეთ ამ ბაზარს და მეტი აღარასოდეს გაიხსენო. რაც იყო, ის უკვე მორჩა, მორჩა სასიკეთოდ, სიკეთეს კი გაფრთხილება უნდა, – ვუთხარი ვასკას და, მართლაც, მას მეტად აღარც უხსენებია ეს ამბავი.

ჩემი სიტყვები ისე არავინ გაიგოს, რომ ქურდები წამდაუწუმ ვარღვევთ ხოლმე კანონებს და ფილანტროპები ვართ. სულაც არა. ქურდები საკმაოდ დაუნდობლები, მაგრამ, სამართლიანები ვართ, ის კი, რაც ზემოთ ვთქვი, იშვიათი გამონაკლისია და მეტი არაფერი. მე ბევრი ისეთი შემთხვევის გახსენება შემიძლია, როდესაც ყოველგვარი სიბრალულისა და სინდისის ქენჯნის გარეშე დაგვისჯია დამნაშავე. მარტო თავმოხერხილი ჟანა რად ღირს... სხვათა შორის, როდესაც ძია ვასიამ ჟანას ამბავი შეიტყო, თავი გააქნია და მითხრა:

– ძალიან გაგირისკავთ და უნდა გითხრა, რომ გაგიმართლათ.

– რას გულისხმობ, ძია ვასია?

– ჟანას, – თქვა ბრილიანტმა და დაამატა, – მარტო ჟანას დასჯას, შეიძლება, არ ემოქმედა ძუკნა-ქათმებზე და ისინი უფრო მეტად გახელებულიყვნენ. დანარჩენი ოთხისთვისაც უნდა მოგეხერხათ თავები – აი, ეს კი ყოველგვარი მოთხოვნების წაყენების სურვილს დაუკარგავდა მათ.

– ძია ვასია, ხუთი მოკვეთილი თავი, ჩემი აზრით, მეტისმეტი იქნებოდა.

– არა, კობრა, ენდე ჩემს გამოცდილებას. ხუთი ჯობდა. ერთი თავმოკვეთილი – გმირია იმ ბოზების თვალში, ხუთი კი – იმის ნათელი მაგალითი, რომ ქურდებს „ქათმებმა” პრედიავა არ უნდა წაუყენონ. ამიტომ, ჩვენ ბოზებისგან, თუნდაც იმავე ბოზებისთვის, გმირები არ უნდა შევქმნათ. მათ უნდა იცოდნენ, რომ, რამდენიც დააშავებს, იმდენი დაისჯება და ჩვენგან მათ დანდობა არ ექნებათ. ასეა, ძმაო. ეს ცხოვრება ომია, ომში კი დანდობა არ არსებობს.

ძია ვასიას სიტყვებზე დავფიქრდი და დავრწმუნდი, რომ მართალს ამბობდა.

მე არ მსურს, ისე გამიგონ, თითქოს სისასტიკის პროპაგანდას ვეწევი, მაგრამ, თუ „ქათამი” და „ბოზი” დაინდე, ის მაინც არ დაგინდობს და გაგანადგურებს... აბა, რა უნდა მოსთხოვო ბოზს, რომელიც პატიოსან კაცს ან, საერთოდ, ნებისმიერ ადამიანს, ჩაუშვებს და უსამართლოდ გაწირავს? რა უნდა აპატიო იმ „ქათამს,” ვინც ბავშვზე იძალადებს და საკუთარ შვილს გააუპატიურებს? ასეთს კი არ უნდა ელაპარაკო, უნდა გაანადგურო, რადგან, მას უკვე გამოტანილი აქვს განაჩენი და ეს განაჩენი მან საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა.

**გაგრძელება შემდგე ნომერში**

სიმაღლეში ზრდის საუკეთესო პროგრამები

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად, კურსით 3-5 სანტიმეტრის მომატებით 2-25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.



გახდომა-გასუქება 3-დან 15 კილოგრამამდე თვეში, ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით,

100%-იანი შედეგით.

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №154 (მწვანე ოფისი).

ტელ.: 558-156-333, ექიმი ნინო, 218-46-08.

# ვისთან უპირებდნენ დაქორწინებას საქართველოს მომავალ მეფეს, იოახიმს

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მნიშვნელობა ბევრ დიდ სტრატეგსა და განათლებულ ადამიანს ესმოდა სხვადასხვა ეპოქაში ისტორიისა და გეოგრაფიის ცოდნის წყალობით.

1914 წელს გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი, მასში ჩაერთო რუსეთის იმპერიაც. ქართველი პატრიოტები, რომლებიც ოცნებობდნენ საქართველოს გამოხსნას რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან და ჰქონდათ სერიოზული პოლიტიკური მცდელობებიც რუსული იმპერიის მტრებს დაკავშირებოდნენ, უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ.

ქართველი გენერალი, დიდი ნაციონალისტი და მონარქისტი შალვა მაღლაკელიძე ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის. მისი გადმოცემით, გერმანიის იმპერატორმა, ვილჰელმ მეორემ გადაწყვიტა საქართველოს ფაქტორი გამოეყენებინა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და ქართველ ნაციონალისტებს დახმარება გაუწია.

ამ მიზნით გერმანიაში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ხუთი კაცი: ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, ანდრო დეკანოზიშვილი, გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი. კომიტეტის თავმჯდომარე გახდა გიორგი მაჩაბელი, ივანე მაჩაბლის ძმისშვილი. გიორგი მაჩაბელი გერმანიაში სწავლობდა და იქ დაუახლოვდა ჰოჰენცოლერნებს, ვიტელსბახებსა და სხვა პრინცებს, ასევე, პოლიტიკოსებს.



გერმანული პოლიტიკის მიზანი საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის დახმარების დროს, თავისთავად ცხადია, იყო საკუთარი ინტერესების რეალიზება, ანუ, რუსეთის იმპერიაში მოკავშირეების მოძებნა და მათი რესურსების გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ ომშიც და პერსპექტივაშიც. მართლაც, ამ კომიტეტმა არაერთი სერიოზული დარტყმა მიაყენა რუსულ იმპერიას სხვადასხვა მიმართულებით.

ვილჰელმ მეორესა და მის პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ საქართველოს ფასი როგორც სტრატეგიული, ასევე, პოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომ, გადაწყდა, რომ გერმანიის დახმარებით მომხდარიყო საქართველოს გათავისუფლება. ქართველებისგან იქმნებოდა სამხედრო დაჯგუფებები, რომლებიც გერმანიის მხარეზე იბრძოლებდნენ.

ვილჰელმ მეორის გეგმით, უნდა აღმდგარიყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ამ ცნობით – საქართველოს სამეფო. საქართველო უნდა გამოსულიყო რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროდან. ტახტზე ბაგრატიონების აყვანას, ვილჰელმი, რასაკვირველია, არ ფიქრობდა.

შალვა მაღლაკელიძის თქმით, იმპერატორს გადაწყვეტილი ჰქონდა, საქართველოს მეფე გამხდარიყო მისი უფროსი ვაჟი, გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრე – იოახიმი.

მისივე ცნობით, იმპერატორის მეორე შვილი უნდა გამხდარიყო უკრაინის მეფე (ჰეტმანი). ამგვარად, უკრაინაც უნდა ქცეულიყო რუსული იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე სახელმწიფოდ და მისი შემაკავებლად. გარდა ამისა, ამ პროექტში იგეგმებოდა კავკასიის სხვა ხალხების ჩაბმაც.

ცნობის თანახმად საქართველოში გამეფების მიზნით, იოახიმს დიდი მონდომებით ამზადებდნენ. ერთი პერიოდი ის ჩასული ყოფილა ტრაპიზონში და იქ ხვდებოდა ქართველ მოკავშირეებს.

შალვა მაღლაკელიძის თქმით, იოახიმს ცოლად უნდა შეერთო ქართველი ქალი და კანდიდატურაც შერჩეული იყო – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წარმომადგენლის, მიშა (მიშო) მაჩაბლის ასული – მარინე მაჩაბელი. გერმანიის იმპერატორის გეგმით, საქართველო გამოცხადდებოდა სამეფოდ, ტახტზე ავიდოდა იოახიმი, დაქორწინდებოდა მარინე მაჩაბელზე და შეიქმნებოდა ახალი დინასტია.

ერთ-ერთ ამოცანად დასახულ იქნა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, რაც საკუთარ თავზე აიღო ლეო კერესელიძემ, შემდგომში „ვერმახტის" გენერალმა, რომელიც დიდი პატრიოტი იყო. ის დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, დაბომბვის დროს. ერთი პერიოდი ლეო კერესელიძე იოახიმთან ერთად იმყოფებოდა ტრაპიზონში. როგორც ცნობილია, თურქეთი გერმანიის მოკავშირე იყო იმ ომში. მათთან ერთად იყო ლადო სიამაშვილი, რომელსაც თან ჰყოლია ქართველთაგან შექმნილი ათასეული რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად – ართვინის ხეობაში ისინი რუსებს ებრძოდნენ.

შალვა მაღლაკელიძე ხაზს უსვამს, რომ იოახიმი იყო იმპერიის მემკვიდრე და, თან, საქართველოს მეფეც იქნებოდა.

ეს ცნობა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, იოახიმი არ იყო ტახტის მემკვიდრე, კრონპრინცი გახლდათ მისი უფროსი ძმა – ფრიდრიხი.

ამ დროისათვის იოახიმს უკვე ჰყავდა ცოლ-შვილი – ის 1916 წელს დაქორწინდა. თუმცა, შესაძლოა, დიდი პოლიტიკური მიზნისათვის, მისი მხრიდან რაღაც დათმობები იქნებოდა გათვალისწინებული, მით უფრო, რომ მას პრობლემები ჰქონია ცოლთან.

იოახიმთან დაკავშირებით იყო სხვა იდეაც: უკრაინელი მონარქისტის, ვიაჩესლავ ლიპინსკის (1882-1932) აზრით, უკრაინა უნდა გათავისუფლებულიყო და მისი მეფე (ჰეტმანი) უნდა გამხდარიყო პრინცი იოახიმი.

შესაძლოა, შალვა მაღლაკელიძის ცნობაში სახელი ან და ასევე მემკვიდრეთა თანმიმდევრობაა არეული, თუმცა, ამგვარი პროექტის არსებობა სავსებით დასაშვები და რეალური ჩანს, მით უმეტეს, იმ პერიოდისთვის.

რუსული დაზვერვის ერთი იმდროინდელი ცნობით, საქართველოს მეფედ მოიაზრებოდა იმპერატორის მეოთხე ვაჟი – ავგუსტ ვილჰელმი.

ვილჰელმ მეორეს 6 ვაჟი ჰყავდა:

1. კრონპრინცი ვილჰელმი. ის 1905 წელს დაქორწინდა ჰერცოგინია ცეცილია მაკლენბურგ შვერინგზე. საინტერესოა, რომ გერმანიის იმპერიის დაცემის შემდეგ მხარს უჭერდა ჰიტლერს.

2. პრინცი ეიტელ ფრიდრიხი. მან 1906 წელს იქორწინა ჰერცოგინია სოფია შარლოტა ოლდენბურგზე. ცოლ-ქმარს არ უყვარდა ერთმანეთი და 1914 წლის ომის წინ უკვე უნდოდათ გაყრა, თუმცა, ვერ მოახერხეს იმპერატორის ნებართვის გარეშე. 1919 წლის 15 მარტს პრინცმა განქორწინების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. შემდგომში ის იყო ნახევრად გასამხედროებული ეროვნული ორგანიზაციის – „რკინის მუზარადის" წევრი.

3. ადალბერტი. ის 1914 წელს დაქორწინდა ჰერცოგის შვილიშვილზე პრინცესა ადელაიდა საქსენ-მაინინგენზე.

4. ავგუსტ ვილჰელმი. 1906 წელს ცოლად შეირთო ჰერცოგინია ალექსანდრა ვიქტორია შლეზვიგ-ჰოლშტეინ-ზონდერბურგ-გლიუკსბურგი. გაშორდა 1920 წელს. 1927 წლიდან იყო „რკინის მუზარადის", 1930 წლიდან კი – ნაციონალ-სოციალისტური პარტიის აქტიური წევრი. იყო „შტურმავიკების" შტანდარტფიურერი და, ჯერ პრუსიის, მერე კი გერმანიის პარლამენტის (რაიხსტაგის) წევრი, ხოლო შემდეგ პრუსიის სახელმწიფო მრჩეველი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკელებმა ის 3 წლით ჩასვეს ციხეში.

5 ოსკარი. პრინცმა ოსკარმა 1914 წელს, სიყვარულით იქორწინა გრაფინია ინე ფონ ბასევიცზე; ეს იყო მორგანატიკული (არათანაბარი) ქორწინება, რის გამოც დაკარგა მემკვიდრეობის უფლება პრუსიის (გერმანიის) ტახტზე. იყო იოანიტების ორდენის ქერონმაისტერი, 1932 წლიდან კი – გერმანიის ეროვნული სახალხო პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

6. იოახიმი. დაავადებული იყო ეპილეფსიით. 1916 წლის 11 მარტს იქორწინა ანჰალტის ჰერცოგინია მარია ავგუსტაზე. პრინცმა იოახიმმა თავი მოიკლა 1920 წლის 18 ივლისს. ძალიან განიცდიდა მონარქიის დამხობას, ჰქონდა ფინანსური პრობლემები, არ იყო ბედნიერი ოჯახში და გაშორებული იყო ცოლს.

შესაძლოა, ზუსტი არ იყოს ცნობა მაჩაბლის ქალზე და, გერმანელები, შეიძლება, მხოლოდ ფიქრობდნენ გერმანელი პრინცის საქართველოში გამეფებას – ასეთი ფაქტები მომხდარა ევროპაში, როცა გერმანელი პრინცი გამეფებულა სხვა ქვეყანაში; ან, შესაძლოა, რომელიმე პრინცი გაშორებოდა ცოლს და ქართველი ქალი მოეყვანა.

ნამდვილი არის ის, რომ გერმანიის მესვეურები საქართველოს მუდამ დიდი სერიოზულობით ეკიდებოდნენ, რასაც ადასტურებს გერმანიის დაინტერესება საქართველოს დამოუკიდებლობით 1918 წელს.

1918 წელს რუსეთი, ფაქტობრივად, დამარცხდა მსოფლიო ომში. გერმანიის იმედითა და ხელშეწყობით, ასევე, თურქეთის თანხმობით (სხვათა შორის, თურქეთი ამაში გერმანიამ დაარწმუნა), რათა ბუფერი ჰყოლოდა რუსეთთან, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც ხელში ჩაუვარდა ძალაუფლება, 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანული ჯარები საქართველოში შემოვიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთი მხრივ საოკუპაციო, მეორე მხრივ კი დამოუკიდებლობის გარანტორი ჯარი იყო ჩვენთვის.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მენშევიკი სოციალ-დემოკრატები განაგებდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ერთგვარად, იძულებითი ნაბიჯიც კი იყო მენშევიკების მხრიდან. იმ დროს, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ყველაზე პოპულარულები იყვნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც) და ამიტომაც მოხვდნენ ისინი საქართველოს ხელისუფლების სათავეში.

მონარქისტული ძალები ძალიან სუსტი იყო მაშინდელ საქართველოში. თუმცა, როგორც ჩანს, შეთქმულებაც კი იგეგმებოდა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. მონარქისტებს შორის იყვნენ: ვარლამ ჩიქოვანი, კალანდარიშვილი, მაღლაკელიძე და სხვები, რომლებსაც საქართველო სამეფოდ ჰქონდათ წარმოდგენილი. მაგრამ, ვინაიდან გერმანელების გარდა სხვას ვერავის დაეყრდნობოდნენ, რომელიმე გერმანელი პრინცის გამეფებას დაუჭირდნენ მხარს.

1918 წლის ნოემბერში გერმანიაში მოხდა რევოლუცია და ვილჰელმ მეორის ხელისუფლება დაემხო. მანამდე, ბოლო ხანების განმავლობაში, გერმანიას ძალიან უჭირდა რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა.

გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა კატეგორიულად მოითხოვეს როგორც იმპერატორის, ას-

**ამბობენ, ცხოველები ადამიანების უანგარო და ყველაზე ერთგული მეგობრები არიანო. თუმცა, მათი მოვლა საკმაოდ რთული საქმეა და თუ გულით არ გიყვარს, ამას გრძნობენ და შესაბამისადაც რეაგირებენ. მსახიობ ონისე ონიანის სახლში, პირველი სწორედ მისი ოთხფეხა მეგობარი შემოგეგებებათ. მიუხედავად მისი დიდი და, ერთი შეხედვით საშიში ვიზუალისა, საკმაოდ თბილი მასპინძელია. თუ რატომ გადაწყვიტა მისი „გასვანება" ონისე ონიანმა, რატომ უწევს თითქმის ყოველდღიურად საპატარძლოების არჩევა-მოგერიება და ვის გამო გადაიტანა მან 16-ჯერ კლინიკური სიკვდილი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორ ყიდულობს მაღაზიაში სიგარეტს ონისე ონიანისთვის მისი ძაღლი და რატომ გადაიტანა მის გამო 16-ჯერ კლინიკური სიკვდილი

**ონისე ონიანი**: ბავშვობიდან ვგიჟდები ფრინველებსა და ცხოველებზე. მყავდა კატა, ძაღლები, ჩიტები, თუთიყუშები და მიხარია, რომ ჩემი ბავშვები ამაში მე დამემსგავსნენ. ჩემს კატას კონსტანტინე ერქვა და მოფერებით კოტეს ვეძახდით. ჩიტებს ბორია და ტანია დავარქვი, რადგან რუსეთიდან ჩამომიყვანეს, ძაღლებს კი – ჯეკა და რექსი. ახლა ორი ძაღლი მყავს, მაგრამ ერთი – შავი კოკერსპანიელი, სახელად პეგი, ძიძას გავატანეთ, რადგან ჩემი როკი ვერ შეეჩვია, გადაეკიდა და აწვალებდა. ვხუმრობ ხოლმე, პეგი გოგო იყო და გავათხოვე, გვარის გამგრძელებელი, თეთრი ლაბრადორი როკი კი სახლში დავიტოვე-მეთქი *(იცინის).* სხვათა შორის, პეგი უმზითვოდ კი არ გამისტუმრებია სახლიდან – თან გავატანე ლეიბი, საბანი, ჯამი და ჭურჭელი. მაგრამ, ახლა შავ დღეში ვარ. როკი გაიზარდა და დღე და ღამე საცოლეებს დასდევს.

**– როკის ყელზე უკეთია ყელსაბამი, სადაც სახელი, გვარი და ტელეფონის ნომრებია მითითებული. როგორც ვხვდები, ის შენს გვარს ატარებს.**

– დიახ, ასეა, როკი ჩემს გვარს – ონიანს ატარებს და ყელსაბამზე ჩემი ტელეფონის ნომრებია ამოტვიფრული. იმდენჯერ დაიკარგა, უკვე გადამრია და გადავწყვიტე, გვარიც მიმეცა მისთვის, ოფიციალურ შვილად მეღიარებინა და ტელეფონის ნომერიც დამეფიქსირებინა, რომ დაკარგვის შემთხვევაში უკან დააბრუნონ. როკი ექვსი წლისაა. სულ პირველად რომ დაიკარგა, სამი დღე ვერ ვპოულობდი და ეს დრო ჩემთვის ჯოჯოხეთად, სამ საუკუნედ იქცა. ელიზბარაშვილები გაახაროს ღმერთმა, იმათ მომიყვანეს. წყნეთში ყოფილა ყმაწვილი წაბრძანებული „გოგონებთან" ერთად და „გულაობდა," მე კიდევ აქ მასულიერებდნენ. სასაცილო იცით, რა იყო? რომ დამირეკეს, წყნეთში ვიპოვეთო, ისე ჩავხტი მანქანაში, არც კი მიფიქრია წესიერი ტანსაცმლის ჩაცმა. რაც მეცვა სახლში, ლამის ტრუსებით, ანუ დახეული შორტებით, და მკლავებმოდღლეზილი მაისურით, გავქანდი. თან, გზაში ეს ჩემი თეთრი თმებიც ამებურძგლა. მოკლედ, რომ ვიპოვე, სურათი გადავიღე გახარებულმა და სოციალურ ქსელში დავდე. მეგობარმა დააკომენტარა: გამაგებინე რომელი იყო დაკარგული და რომელი იპოვესო *(იცინის).* მგონი, თმა რომ გამითეთრდა, როკის ბრალია. ამისმა „გოგონებმა" ხომ სულ გადამრიეს და გამათეთრეს. ვამბობ ხოლმე, კაცს ვერ გიპოვია ქალი გასართობად და როკი რა დღეშია-მეთქი *(იცინის).* სხვათა შორის, როკი ზურაბ ჟვანიას ძაღლის შვილია. ნინო ქადაგიძემ მაჩუქა და ერთი თვის ასაკიდან ვზრდით. საკმაოდ კარგი და ჯიშიანი წინაპრების შთამომავალია. ჩვენთან კი ისეთი ოჯახური „უჭირავს", ხმამაღალს როგორ ვაკადრებთ? *(იცინის)* ისეთი ჭკვიანია, არ მახსოვს, ოდესმე რაიმე დაეღრღნას, გაეფუჭებინოს ან ეტიროს მარტო დარჩენილს. უბრალოდ, იცის ოჯახის კეთილმოსურნე და მტერი – ამაში კარგად ერკვევა და შესაბამისი რეაქციაც აქვს.

**– რომელიმე ფილმში ან სერიალში ხომ არ არის როკი გადაღებული?**

– კი, როგორ არა! სერიალ „ჩიფსების თაობაში," ორ სერიაში გამოჩნდა. „რუსთავი 2-ზე" და „ჯიდიესზეც" იყო სტუმრად გადაცემებში. ვხუმრობ ხოლმე, კაცო, ეს ჩემი ძაღლი ზარალია, პოპულარობაში მეცილება, გვარიც დამტყუა და ხელფასის ნახევარს მიჭამს, რა გავაკეთო-მეთქი *(იცინის).* მაგრამ, ნამდვილად ღირს, ისე მიყვარს და ისე მივეჩვიეთ ერთმანეთს.



**სალამოს გამოვდივარ და რას ვხედავ? მოდის როკი პატარძლით. პატარძალს არ იკითხავთ? დიდი კავკასიური ნაგაზი. გარეთ რა გამომიყვანდა? ისიყვარულეს და დილის ხუთ საათამდე მაყურყუტეს**

**– თქვი, როკი „გავასვანეო". მისი სვანური ხასიათი რაში გამოიხატება?**

– ზუსტად ხვდება, როგორი ადამიანი შემოდის სახლში. თუ ავი თვალი გაქვთ, მტრისას, მის რისხვას ვერ ასცდებით. ყეფას იწყებს, აგრესიული ხდება და ვერ გააჩუმებთ. მაგრამ, თუ დაინახა მეგობრული ხართ, მაშინვე ფერხთით გიწვებათ. ერთგვარი დაცვაა როკი ჩემთვის. სახლის ახლო-მახლო ტერიტორიაზე არ აკარებს უცხოს, „გოგონები", იცოცხლე, უყვარს *(იცინის).* ერთ დღეს, დაიკარგა. ვეძებე და ვერ ვნახე, სალამოს გამოვდივარ და რას ვხედავ? მოდის პატარძლით. პატარძალს არ იკითხავთ? დიდი კავკასიური ნაგაზი. აივნიდან ვუყურებდი, გარეთ რა გამომიყვანდა? მოკლედ, ისიყვარულეს და დილის ხუთ საათამდე მაყურყუტეს. არადა, მივხვდი, ისიც პატრონიანი იყო. დავრეკე მუნიციპალურ თავშესაფარში, მოუძებნეს პატრონი და წაიყვანეს. ასე გავუგდე პატარძალი როკის. ასე რომ, თუ სადმე დაიკარგა, ვიცი, პატარძლით უნდა მომადგეს და ამას შევეჩვიე. ერთი გასაგებია, მაგრამ ორი პატარძლით რომ მადგება, აი, მაშინ ვხდები ნამდვილი სვანი *(იცინის).* გადმოვდგები აივნიდან და ვყვირი, აბა, გაეთრიეთ აქედან, არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა აქ მეორედ-მეთქი.

**– სულ, რამდენჯერ არის დაკარგული?**

– 16-ჯერ დაიკარგა და 16-ჯერ გადავიტანე ამის გამო კლინიკური სიკვდილი *(იცინის).* რაც ყელსაბამი გავუკეთე, დავისვენე. ვიცი, ვერსად დაიკარგება და აუცილებლად მომიყვანენ, თუ თავად ვერ მოაგნო სახლის კარს. დამიჯერეთ, ხან ონკოლოგიური საავადმყოფოდან მომყავს და ხან რესპუბლიკური საავადმყოფოდან. ვბრაზობ, კაცო, ექიმი ხომ არ არის ეს ჩემი ძაღლი, რას დაძვრება ამ საავადმყოფოებში-მეთქი. როკი ჩემი მესამე „შვილია," ბავშვივით ვაბანავებ, ვუვლი, ვეფერები, ვასეირნებ, ვღელავ და განვიცდი მასზე. ისეთი შავი მოდის ხანდახან ეს ფითქინა ჩემი „შვილი" „გულაობის" მერე, გული მისკდება. მაგრამ, ვახუშხუშებ და ისევ ისეთი პიწკინა მყავს. მარა, რად გინდა? გაიპარება ბიჭი და ახალდაბანილი, ისევ ამოგანგლული მოდის.

**– ამბობენ, ამ ჯიშის ძაღლები საკმაოდ ჭკვიანებიც არიანო. როკიც ასეთია?**

– სულ ვამბობ, ერთ დილასაც რომ გამოვიდე საძინებლიდან და როკი მისაღებში დამხვდეს, სავარძელში ჩამჯდარი, თვალზე სათვალით და ხელში გაზეთით, არ გამიკვირდება-მეთქი, ისეთი ჭკვიანია. „მოდი-წადი" რომ ესმის, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ დაიჯერებთ თუ გეტყვით, რომ მაღაზიაში მეგზავნება სიგარეტის მოსატანად?

**– ამას ნამდვილად ვერ დავიჯერებ. აი, გაზეთის ან ჩუსტის მოტანა რომ გეთქვა, კიდევ დავიჯერებდი.**

– თქვენ არ გჯერათ და უნდა ნახოთ, კისერზე ყელსაბამზე რომ მივამაგრებ ფულს და ვეტყვი: აბა, როკი მაღაზიაში წადი და მე რომ მინდა, ის სიგარეტი ამომიტანე-მეთქი. რასაკვირველია, გამყიდველს ვერ დაელაპარაკება, მაგრამ ის გაფრთხილებული მყავს და ფულის მაგივრად სიგარეტს ამაგრებს. როკიც მორბის სახლში ნავაჭრით.

**– ოთხფეხა მეგობრის შენახვა ძვირი არ ჯდება?**

– არ მკითხოთ, ამან შეჭამა ჩემი ბიუჯეტის ნახევარი! ჩემი ხელფასიდან, თვეში მინიმუმ 200 ლარი, როკის მიაქვს. ძალიან მჭამელები არიან ამ ჯიშის ძაღლები, მაგრამ ხშირად ინაზება და შეიძლება უარი თქვას ჭამაზე. აი, აქ ჩვენი შესაშინებელი მეთოდი გვაქვს ოჯახს. ბავშვი რომ არ ჭამს, ხომ ეუბნებიან, ახლავე ჭამე, თორემ ბუა მოვა და შეგიჭამსო? როკის კი ასე ვაშინებთ: ჩქარა ჭამე, თორემ ბავშვი მოვა და შეგიჭამსო. უნდა ნახოთ, როგორ დაფაცურდება, გარბის და თქვლეფავს. თუ ჯამში საჭმელი აქვს და ტერიტორიას ბავშვი მოუახლოვდა, როკი ეგრევე გარბის და ბოლომდე ჭამს, ჰგონია, ის ბავშვი მისი ულუფის შესაჭმელად მოვიდა *(იცინის).* არ დამავიწყდება, სამი წლის იყო და ლევან წულაძისა და მანანა კოზაკოვას აგარაკზე ავიყვანე. ტკიპებმა დამიკბინეს ძაღლი და ისე ცუდად გამიხდა, საავადმყოფოში გამოვაქანე. თითო გადასხმა 80 ლარი დამიჯდა, მაგრამ მაგას დავეძებდი? ჭოლაც გამოგვყვა საავადმყოფოში და სამი დღე თავზე გვადგა. პირველად ვნახე ჭოლა ასეთი უსიტყვო, წარბშეკრული, დაღონებული და სერიოზული, როცა არ ხუმრობდა. მგონი, ჩემი ოჯახის წევრებიდან, ყველაზე მეტად როკი უყვარს *(იცინის).* სხვათა შორის, ასეთი დაავადება სამჯერ თუ გადაიტანა ძაღლმა, ველარ გადარჩება. როკიმ ორჯერ უკვე გადაიტანა და ახლა თვალებში ვუყურებთ, წამალს სულ ვუსვამთ და ვამოწმებთ, სადმე ტკიპამ არ უკბინოს. არადა, ძალიან უყვარს ჭოლას „დაჩაზე" ძუგძუგი. ერთი ტბა არის და იქ იპარება ხოლმე. არ გამიკვირდება, ერთ დღესაც, თევზით რომ მოვიდეს *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

---

ევე, გერმანიის ყველა მეფე-მთავრის გადადგომა, ასეთები კი ბევრნი იყვნენ, რადგან, გერმანიის იმპერია სხვადასხვა სამეფო-სამთავროებისგან შედგებოდა.

დამარცხებული გერმანია იძულებული გახდა, საქართველოდან ჯარი გაეყვანა.

რომ არა რევოლუცია, გერმანია არ დამარცხდებოდა ამ ომში და საქართველოს ბოლშევიკური საფრთხე ასცილდებოდა.

1921 წლის 25 თებერვალს, გერმანელებზე გამარჯვებული ინგლისელების გულგრილობითა და თურქეთის თანხმობით, საქართველო რუსეთმა დაიპყრო და თურქეთთან გადაინაწილა ტერიტორიები.

ასე დაამარცხა საქართველოს დამოუკიდებლობისა და შესაძლო მონარქიის იდეა 1918 წლის გერმანიის რევოლუციამ.

შალვა მაღლაკელიძის ცნობით, მარინე მაჩაბელი მისთხოვდა ფრანზონის – იტალიის ყოფილ კონსულს თბილისში.

**გიორგი მახოზეშვილი**

**დავით დოის, 15 წლის ქალიშვილი ანა დოი, ტელემაყურებლებისთვის კარგად არის ცნობილი. პირადად მე, ის რამდენიმე სპექტაკლში მყავს ნანახი. ანას ხელოვნებასთან ურთიერთობა არ გამოიხატება მხოლოდ თეატრით. თუ როგორ ცხოვრობს, რა ინეტერესები აქვს და ვის ჰგავს ის ხასიათებით, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორ აგიჟებს ანა დოი დედას და როგორ საჩუქრებს უკეთებს მას დავით დოი

**ანა დოი**: მე ვარ ანა დოი, დოიაშვილს აღარავინ მეძახის. დოისაც მეძახიან, მაგრამ – ანა დოის ყველაზე ხშირად. ვარ 15 წლის. სულ 4 წელია, რაც ვმღერი. „ანა-ბანაში" გამოვედი, შემდეგ იტალიაში კონკურსზე ავიღე პირველი ადგილი, მერე კი უკვე შეიკრა ჩვენი კვინტეტი, სადაც დღემდე ვარ და იმედია, კიდევ დიდხანს ვიქნებით. ჩვენი ხელმძღვანელია ბუკა კარტოზია. ეთნო-ჯაზს ვმღერით. გვაქვს ჯაზ-სტანდარტებიც, ფოლკიც, მრავალფეროვანია ჩვენი რეპერტუარი.

**– შეიძლება ითქვას, რომ მსახიობობაზე მეტად სიმღერამ გაგიტაცა?**

– გამიტაცა. იმიტომ რომ, ძალიან რთულია ამ ჟანრში – აკაპელაში და ხუთ ხმაში სიმღერა, თანაც ძალიან საინტერესოც. ბევრი მომღერალი არ მღერის ამ სტილში. საქართველოში, კერძოდ თბილისში, მხოლოდ 2 ჯგუფია. კონცერტი გვქონდა 30 აპრილს. ბევრი ხალხი მოვიდა. ზედმეტად კრიტიკულები ვართ, საზოგადოება ძალიან რთულად იღებს სიახლეებს. არ მოველოდი ასეთ ტაშს. ძალიან გაგვიხარდა, ასე რომ მიგვიღეს.

**– როგორც მახსოვს, ამ კონცერტს აქტიურად ადევნებდა თვალს შენი მამიკო.**

– კი *(იცინის)* და ძალიან ნერვიულობდა.

**– არიან მშობლები, რომლებსაც საკუთარი შვილის შექმნილი, ნამოქმედარი... ყველაფერი აღაფრთოვანებთ, ზოგი – პირიქით, რაც არ უნდა გააკეთო, ბოლომდე მაინც არაა კმაყოფილი. შენთან როგორაა?**

– ავთოს და ნუნუკას, ბებიას და ბაბუას ყოველთვის ყველაფერი მოსწონთ. დედაჩემის დედა – ირა ძალიან კრიტიკულია.

**– რას გეუბნება?**

– მაგალითად, მეუბნება, რომ წონაში უნდა დაიკლო, სცენაზე, სხვაგვარად არ შეიძლება, ან თმა იქ არ მომეწონა, ასე კი არა, ასე უფრო გიხდებაო. მთელ ნიუანსებს განიხილავს. დედაჩემი ძირითადად შენიშვნებს არ მაძლევს, მხოლოდ რჩევებით შემოიფარგლება, კრიტიკის გარეშე. რაც შეეხება მამას. სპექტაკლშიც რომ ვმონაწილეობდი, ყველაზე მძიმედ ჩემთან იყო, იმიტომ რომ, ძალიან ვგავარ მამაჩემს ხასიათებით. ამას რომ უყურებს, იბნევასავით. მეორე კიდევ, შვილი რომ ვარ, ჩემთან უფრო მკაცრია. ამას უკვე მივეჩვიე. სიმღერაში, ამერიკაში რომ გავიმარჯვე, პირველად მითხრა, რომ ვამაყობ შენითო და ტელეფონი კინაღამ გამივარდა, ავკანკალდი, ცრემლები წამომივიდა. იმდენად არ ველოდი და ისე გამიხარდა.

**– ამბობენ, გოგოები უფრო მამიკოს შვილები არიანო?**

– მე და მამას დამოკიდებულებას ერთი სიტყვით ვერ აღვწერ. არც მჭირდება გახმოვანება, იმან უკვე იცის, რაზეც ვფიქრობ. ძალიან ვგავართ ერთმანეთს, იცის ჩემი თვისებები, რა სიტუაციაში რას გავაკეთებ. მგონია, რომ მენდობა. ხშირად ვერ ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ როცა ერთად ვართ მაშინ აბსოლუტური ზეიმია.

**– განებივრებს?**

– კი. მე საერთოდ, შეიძლება ეს ცუდია, შეიძლება – კარგი, ვმეგობრობ ჩემზე უფროსებთან. ვისთან ერთადაც გავიზარდე, მათთან უფრო მეტად გახსნილი ვარ – მიადვილდება ურთიერთობა. ვმეგობრობ მსახიობებთან, ერთი ოჯახივით ვართ. მიმაჩნია, რომ, რაც არ უნდა დამჭირდეს, გვერდში დამიდგებიან. ეს ფუფუნება მაქვს. ამით მანებივრებს, ძალიან ბევრი ადამიანი მაჩუქა მამაჩემმა. ნივთებით და ასეთი რამეებით-მეთქი, ვერ ვიტყვი. ჩემთვის ეს არ არის მნიშვნელოვანი, ურთიერთობები კი უფრო ფასეულია.


ბავშვობაში მეგონა, რომ გალაკტიონი იყო ბიძაჩემი

დაბადების დღეზე მკითხა, რა გაჩუქოო? თეთრი გიტარა-მეთქი და მაჩუქა. მამა მანებივრებს რჩევებით, დასამახსოვრებელი დღეებით.

**– შენი ძმა, 13 წლის ყოფილა. ალბათ, იმ ასაკს უკვე გადააბიჯეთ, ხშირად რომ კამათობენ დედმამიშვილები?**

– კი. მე და ჩემი ძმა – თემო, ძალიან ვკამათობდით ადრე. აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათები გვაქვს და იმიტომ. ის არის საყვარელი, მშვიდი, გაწონასწორებული და ძალიან თბილი. მე ვარ ენერგიული, ბობოქარი – კატრინას მეძახიან, სულ რაღაცას ვაკეთებ. ჩემი ძმა სახლის ბიჭია. მე სახლში ვერ ვჩერდები. აი, ამითი ჰგავს ჩემი ძმა დედაჩემს, მე კი – მამაჩემს.

**– დედიკოს ბიჭი და მამიკოს გოგო ხართ?**

– ალბათ, ასე უფრო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მამას ვგავარ, არის ისეთი თვისებები, რითაც ვცდილობ, დავემსგავსო დედაჩემს.

**– გარეგნობით ვის გამსგავსებენ?**

– ამბობენ, რომ ვგავარ ბებიებს.

**– ასეთი ლამაზი, აპრეხილი ცხვირი ვისგან გამოგყვა?**

– დედაჩემის დედა რუსია ***(იცინის).*** ამიტომ მაქვს ასეთი ცხვირი და რუსის ხასიათიც კარგად მეტყობა. ჯიუტი ვარ, უფრო სწორად ძალიან მტკიცე ხასიათი მაქვს, რასაც ვამბობ, ყოველთვის იმას ვაკეთებ.

**– გეგმიანი ხარ.**

– ვცდილობ, ყველაფერი გავაკეთო გეგმის მიხედვით. იმიტომ რომ, ყველაზე მეტად რისიც მეშინია, ალბათ, ის არის, რომ ტყუილად არ დავკარგო დრო. მინდა, ყველაფერი მოვასწრო.

**– ბაბუაზეც მიამბე.**

– თემური ჩვენს ოჯახში ყველაზე განსხვავებული, თავისებური ადამიანია, რომელიც არასდროს გამოხატავს ემოციას. უზომოდ განათლებულია და ძალიან ბევრ რაღაცას ვსწავლობ მასთან საუბრისას, მაგრამ იმავდროულად, ძალიან ჩაკეტილია, მე ასე ვფიქრობ. სულ წიგნებს კითხულობს, სულ თავის თავზე მუშაობს. ძალიან განსხვავებულია ბებიაჩემისგან, რომელიც იყო მართლა მზესავით. რამდენიმე წელია, რაც ბებია გარდაიცვალა.

**– ბატონი თემური ცნობილი გალაკტიონოლოგია. როგორია გყავდეს გალაკტიონოლოგი ბაბუა?**

– ერთ პროექტზე მოგვიწია მუშაობა. სკოლაში მქონდა – „ადამიანი, რომელსაც ძალიან ვაფასებ". გავაკეთე გალაკტიონზე, რადგან ბავშვობაში მეგონა, რომ გალაკტიონი ბიძაჩემი იყო ***(იცინის).*** იმდენი რაღაც მესმოდა მასზე, იმდენი ფოტო გვქონდა. ბაბუას დახმარება რომ ვთხოვე, ძალიან გაუხარდა. მასთან მუშაობა ძალიან ადვილია, იმიტომ რომ, სწორედ მაგაში ვგავარ – ყველაფერი აქვს დაგეგმილი.

**– წეღან თქვი, მამამ ბევრი ადამიანი შემძინაო. ვინ არიან ისინი?**

– ახლა რომ ჩამოვთვალო, ვინმე გამომგრჩება. დედაჩემის მხრიდან შევიძინე ნანკა კალატოზიშვილი და ბუბა გოგორიშვილი. ბევრ რაღაცაზე მაინტერესებს მათი აზრი. ასევე, განსაკუთრებულია ჩემთვის აჩიკო სოლოღაშვილი. ძალიან დადებითი ადამიანია. აჩიკო ისეთია, მის სახელს რომ ვამბობ, სულ მეღიმება. ასევე, ანა ზამბახიძე, ანა ქურთუბაძე. ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. ჩემს მეგობროებს რომ გადავხედავ, იმდენად განსხვავებულები არიან ხასიათებით, ხანდახან ვფიქრობ, რომ გიჟი ვარ ***(იცინის).***

სულ ვამბობ, სიმღერა ვისწავლე თეატრში, როდესაც აჩიკო და ბუბა გიტარით დასხდებიან და მღერიან. განსაკუთრებულად მიყვარდა ამ პროცესის თვალის დევნება. დასასვენებლადაც ერთად დავდიოდით. საღამოს რომ მოვსხდებით და გიტარას ხელში აიღებენ, სიმღერას იწყებენ, ეს ისეთი პროცესია, რომელიც მინდა, არასდროს დასრულდეს.

ყოველთვის, როცა რაღაცა რჩევა მინდა, უპირველესად, დედაჩემს ვეუბნები. განსაკუთრებით თუ ეს ჩაცმას ეხება. დედაჩემს ვაგიჟებ, როგორ მიძლებს, არ ვიცი ***(იცინის).*** მაქვს „ენ" რაოდენობის ტანსაცმელი და ყოველდღე იმის პრობლემა მაქვს, რა ჩავიცვა.

**– კიდევ ვის მიმართავ რჩევისთვის?**

– უპირველესად, დედას, რა თქმა უნდა. ასევე, ბაბუაჩემის მეუღლეს, ნუნუს. მამიდაჩემს, ის სუპერადამიანია. მასთან ხშირად ვსაუბრობ ხოლმე ძალიან სერიოზულ თემებზე. რაღაცა რომ მჭირდება ანა ზამბახიძეს ვეკითხები როგორ მოვიქცე-მეთქი და მეუბნება: ანა დოი, აი, ასე და ასე ჯობია. ამ ადამიანებს თვალდახუჭული ვენდობი.

**– გადაწყვეტილი გაქვს რა პროფესიას აირჩევ?**

– ძალიან მინდა, გამოვიდე ჟურნალისტი. ამაზე ვფიქრობ უკვე 3 წელია. ეს აჩიკოს ცოლის დამსახურებაა. ნუცა, შეყვარებულია თავის საქმეზე. ზაფხულში ერთად რომ ვისვენებდით, საინტერესო ამბებს მიყვებოდა. ვწერ, ამბობენ რომ, კარგი მოსაუბრეც ვარ. ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამ მაქვს, რითაც შეიძლება, რომ შემდგომში კარგი ჟურნალისტი გამოვიდე.

**ეკა სალაღაია**




მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

# რატომ გადადგა ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი

ევროპაში ტენდენცია გრძელდება, მოხუცები ადგილს უთმობენ ახალგაზრდებს. ნიდერლანდებისა და ბელგიის სამეფოების შემდგომ, სადაც მონარქებმა შვილებს დაუთმეს ტახტი, ახლა უკვე ესპანეთის 76 წლის მეფემ გააკეთა განცხადება შვილის სასარგებლოდ გადადგომის შესახებ.

ესპანეთის აწ უკვე ყოფილი მეფე ხუან კარლოს პირველი დაიბადა 1938 წლის 5 იანვარს რომში. მისი ბაბუა იყო მეფე ალფონსო მეცამეტე. მათი დინასტიის გვარია ბურბონი.

ალფონსო მეცამეტე 1931 წელს არჩევნების შედეგად გადააყენეს. ქვეყანაში დამყარდა რესპუბლიკა. 1939 წელს ნაციონალისტურმა ძალებმა დაამხეს ინტერნაციონალისტურ-სოციალისტური რესპუბლიკა და ქვეყანაში დამყარდა კათოლიკური პრინციპების ნაციონალისტური ხელისუფლება, რომელსაც „ფალანგისტურ" რეჟიმს (მმართველი ნაციონალისტური პარტიის სახელის მიხედვით), ან ფრანკოს დიქტატურას უწოდებენ.

ქვეყნის მეთაურმა („კაუდილიო"), დიდგვაროვანმა გენერალმა ფრანცისკო ფრანკომ სახელმწიფოში დაამყარა მკაცრი დისციპლინა. ფრანკომ ესპანეთი გადაარჩინა მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობისგან. ამით ქვეყანა გადაურჩა ნგრევას, უამრავ ადამიანურ მსხვერპლს, ოკუპაციას გამარჯვებული ამერიკელებისა და ინგლისელებისგან. რაც მთავარია, ქვეყანა გადარჩა დაშლას.

ფრანკოს კარგად ესმოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ქვეყანა უნდა დადგომოდა დემოკრატიისა და ეროვნულობის ისეთ გზას, რომელიც დააკმაყოფილებდა მის მომხრეებსაც და უამრავ მოწინააღმდეგესაც, რომელნიც მის სიცოცხლეში, მართალია, ხმას ვერ იღებდნენ, მაგრამ მისი სიკვდილის მერე აუცილებლად წამოჰყოფდნენ თავს. ამიტომ, გადაწყვიტა მონარქიის აღდგენა. ფრანკომ ესპანეთის ყოფილი მეფის შვილს, სამეფო ოჯახის უფროსს, ბარსელონის გრაფს, დონ ხუანს შესთავაზა მისი ძის, ხუან კარლოსის სამეფოდ აღზრდა.

დონ ხუანი ფრანკოს მტერი იყო და მის წინააღმდეგ შეთქმულებაშიც მონაწილეობდა, თუმცა, ბარსელონის გრაფი ამ წინადადებას მაინც დათანხმდა.

მანამდე, ხუან კარლოსი იზრდებოდა იტალიასა და პორტუგალიაში, რადგან მის ოჯახს ემიგრაციაში მოუწია წასვლა მეფის ხელისუფლების დამხობის გამო.

1947 წელს, „ფალანგისტური" ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურმა – კაუდილიო ფრანცისკო ფრანკომ ესპანეთში მონარქიის აღდგენა გამოაცხადა. თუმცა, მეფედ არავინ უკურთხებიათ. მეფე ფრანკოს სიკვდილის შემდეგ დაიკავებდა ტახტს, ჯერ კი სამოქალაქო ომის შემდგომი კრიზისი იყო გადასალახი. ფრანკო ხუან კარლოსს სამეფო ტახტზე ასაყვანად ზრდიდა. ამ დროს ხუან კარლოსის მამა ისევ ეწინააღმდეგებოდა ფრანკოს და მისი ეს ნაბიჯი თავისი უფლებების შელახვად ჩათვალა.

1948 წლიდან ხუან კარლოსი და მისი უმცროსი ძმა – ინფანტი ალფონსო განათლებას ესპანეთში იღებდნენ, გენერალ ფრანკოს ზედამხედველობითა და პატრონაჟით.

მომავალი ხელმწიფე სწავლობდა სან-ისიდორეს სახელობის სკოლაში, რომელიც 1954 წელს დაამთავრა. შემდეგ სწავლობდა სარაგოსაში სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიაში და გახდა მფრინავი. ხუან კარლოს პირველი საკმაოდ გამოცდილი საჰაერო პილოტია, რომელსაც 10 ათასი საათი აქვს ჰაერში გატარებული, მათ შორის 3740 - ვერტმფრენებით. მისი სამხედრო კარიერა დაიწყო, როგორც ვთქვით, 1955 წელს ფეხოსანთა, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და საჰაერო-სამხედრო ძალთა აკადემიებსა და სამხედრო სკოლებში სწავლის დროიდან. მის პატივსაცემად აგებულია ესპანეთის უნივერსალური სადესანტო ხომალდი „ხუან კარლოს I". აქვს 50-წლიანი საავიაციო სტაჟი.

შემდეგ, მომავალმა მეფემ სწავლა მადრიდის უნივერსიტეტში განაგრძო.

1956 წელს მოხდა უბედური შემთხვევა, პორტუგალიაში დასვენების დროს, იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო, გარდაიცვალა ხუან კარლოსის უმცროსი ძმა, 14 წლის ინფანტი ალფონსო. დეტალები უცნობია, ოფიციალური ინფორმაციით, იარაღი თავად ალფონსიტოს გაუვარდა წმენდის დროს.

რთული ბავშვობა და ახალგაზრდობა ჰქონდა ხუან კარლოსს, არც მამა უნდა გაებრაზებინა და არც – კაუდილიო. ის ცდილობდა, ყურადღება ზედმეტად არ მიექცია და არავინ გადაემტერებინა. ხშირად ქარაფშუტა, ოდნავ არასერიოზულ, მოსულელო პრინცად წარმოაჩენდა თავს, რაც მერე აღიარა კიდეც... თვალწინ მოუკვდა უმცროსი ძმაც...



1962 წლის 12 მაისს ხუან კარლოსი დაქორწინდა საბერძნეთის მეფის, პავლე პირველის ასულ სოფიაზე. სოფია გლიუკსბურგების გვარიდანაა. დანიის ამ სამეფო გვარის წარმომადგენლები, ასევე გამეფდნენ საბერძნეთსა და ნორვეგიაში.

ინფანტ ხუან კარლოსს და ინფანტა სოფიას სამი შვილი შეეძინათ: ინფანტა ელენე (1963), ინფანტა ქრისტინა (1965) და ტახტის მემკვიდრე ფილიპე, ასტურიის პრინცი (1968).

1969 წელს ფრანკომ 31 წლის ხუან კარლოსი ესპანეთის ტახტის მემკვიდრედ დანიშნა. ხუან კარლოსი უნდა გამეფებულიყო ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ.

კაუდილიოს გარდაცვალების შემდეგ, ხუან კარლოსი ესპანეთის ტახტზე მართლაც ავიდა – 1975 წლის 22 ნოემბერს. მის გამეფებაზე პროტესტი გამოთქვა მამამისმა, ბარსელონის გრაფმა და კარგა ხანს არ თვლიდა შვილს კანონიერ მეფედ. მას მომხრეებიც ჰყავდა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ტახტის ნამდვილი, რიგით პირველი მემკვიდრე იყო დონ ხუანი.

თუმცა, მას მერე, რაც ფრანკოს რეჟიმი შეცვალა ხუან კარლოსმა და დემოკრატიის გზას დაადგა, გამოაცხადა თავი არა ფრანკოს, არამედ დინასტიის მემკვიდრედ, მოახდინა პოლიტიკური პარტიების ლეგალიზება, ბარსელონის გრაფი 1977 წელს დაბრუნდა სამშობლოში და აღიარა თავისი შვილი მეფედ.

ხუან კარლოსმა გადალახა ყველა წინააღმდეგობა. მეფემ შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, მან დემოკრატიული რეფორმები გაატარა, რითაც ხალხის გული მოიგო. 1978 წელს მიიღეს ახალი, დემოკრატიული კონსტიტუცია. ავტონომია მიეცა რამდენიმე ეროვნულ მხარეს.

ხასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე გამოიჩინა საკმაოდ მალე. 1981 წელს, ფრანკოს რეჟიმის აღდგენის მიზნით, კაუდილიოს თანამზრახველების მხრიდან სამხედრო გადატრიალების მცდელობას, წინ აღუდგა ხუან კარლოს პირველი და ჩაშალა ის. ამის შემდეგ, მან საბოლოოდ მოიპოვა ხალხის სიყვარული. ისინიც კი, ვინც მეფის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი, ტელეკამერების წინ გაჰყვიროდნენ: „დღეგრძელი იყოს მეფე ხუან კარლოსი!". მათ შორის სანტიაგო კარილიო, კომუნისტების ლიდერი.

1982 წლიდან ხუან კარლოსი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არ ერეოდა, ის მოიაზრებოდა ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ.

მეფე ხუან კარლოსი დაკავშირებულია ქართველებთანაც. ის ახლო ნათესავია ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონის შვილების მეორე ქორწინებიდან – ბაგრატისა და მარიამისა. ირაკლი ბაგრატიონის მეორე მეუღლე, ესპანეთის ინფანტა (და ბავარიის პრინცესა) მერსედესი, იყო ხუან კარლოსის პაპის, მეფის ალფონსო მეცამეტის დის შვილი.

ესპანეთში მეფე არის ქვეყნის მეთაური და მთავარსარდალი. ხუან კარლოსს აქვს გენერალ-კაპიტნის წოდება. 1975 წლიდან 39 წლის განმავლობაში მეფის, ანუ სახელმწიფოს მეთაურის მძიმე მოვალეობას ხუან კარლოსი ღირსეულად ასრულებდა და ესპანელი ხალხის დიდი უმრავლესობის პატივისცემაც დაიმსახურა.

ხუან კარლოსს ბოლო ხანს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და რამდენიმე ოპერაციის გადატანაც მოუხდა. 2012 წელს 4 სექტემბერს მას გაუკეთეს ოპერაცია მარცხენა ფეხის მყესზე ქუსლის მიდამოებში. მანამდე, ივნისში, ესპანეთის მეფეს ოპერაცია გაუკეთეს მარჯვენა მუხლზე. 2010 წელს კი, ფილტვებიდან სიმსივნე ამოაჭრეს.

ბოლო ხანს, ხუან კარლოსს პრობლემები შეუქმნა სიძემ, ინფანტა კრისტინას ქმარმა, ბასკური წარმოშობის ინიაკი ურდანგარინმა, რომელიც კორუფციულ საქმეებში ამხილეს.

გარდა ამისა, რამდენიმე წლის წინ, ეკონომიკური კრიზისის დროს, აფრიკაში სპილოებზე ნადირობა არ მოუწონეს, თუმცა, ხდებოდა თუ არა ეს ბიუჯეტის ხარჯზე, ძნელი სათქმელია. ამასთან, ესპანეთში ისევ წამოყვეს თავი მემარცხენეებმა, რომლებიც ითხოვენ მონარქიის გაუქმებას ან რეფერენდუმს მაინც ამ საკითხთან დაკავშირებით. მათ დაავიწყდათ, როგორ ჩამოყალიბდა მონარქიის პირობებში დემოკრატიული სტრუქტურები, როგორ განვითარდა ესპანეთი ეკონომიკურად და რა საფრთხეები ემუქრება მის ტერიტორიულ მთლიანობას.

შემოდგომაზე კატალონიაში აპირებენ რეფერენდუმის ჩატარებას კატალონიის ესპანეთიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. ეს დიდ პრობლემებს უქმნის ხელისუფლებას და, ალბათ, მეფის ამგვარი ნაბიჯიც, შესაძლოა, გამოწვეულია სურვილით, განამტკიცოს შვილის მეფობა და გააძლიეროს ხელისუფლება.

თვითონ ხუან კარლოსმა თავისი კანცელარიის თანამშრომლებს განუმარტა (და ეს ცნობილი გახდა, არ დაუმალავთ): „არ მინდა, ვუყურო, როგორ ბერდება ჩემი შვილი პრინცი ჩარლზივით; მინდა, გადავცე გვირგვინი, სანამ ახალგაზრდაა".

ეს ერთგვარად მინიშნებაც შეიძლება იყოს ბრიტანეთის დედოფლისადმი. თან, აქვე გავიხსენოთ, რომ ხუან კარლოსი გადადგა დედოფალ ელისაბედის კორონაციის დღეს, 2 ივნისს (1953 წელს).

შესაძლოა, ევროპის პოლიტიკაში რაღაც სერიოზულად იცვლება...

ვარაუდი: აქვე გავიხსენოთ, რომ პრინცი ჩარლზი ყველაზე მეტად დაუპირისპირდა ვლადიმირ პუტინს – აგრესორს და სეპარატიზმის წამქეზებელს მისთვის მტრულ ევროპაში.

ასეა თუ ისე, გამოთქმა: „მეფე მოკვდა - გაუმარჯოს მეფეს!" – ევროპაში იცვლება შემდეგი შინაარსის გამოთქმით: „მეფე მოხუცდა! გაუმარჯოს ახალგაზრდა მეფეს"!

ესპანეთის ტახტს იკავებს მეფე ფილიპ VI.

**გიორგი მახოზეშვილი**

(მე-14 გვერდიდან)

სფეროში, და, ვცდილობდით, ყოფითი თემებით არ შეგვეშალა მისთვის ხელი. ვამბობდით – ეს რომ ოჯახის შენახვას გადაჰყვეს, მისი შემოქმედებითი ცხოვრება ისეთი ველარ იქნება, როგორიც არის. იმის გამო, რომ ამ ცხოვრებას არ მოსწყვეტოდა, ჩვენ ვეხმარებოდით ირაკლის ფინანსურად – ყოველ კვირას ვაძლევდით რაღაც თანხას, რაც მის ოჯახს ჰყოფნიდა. ისინი ყოველ შაბათს მოდიოდნენ ჩვენთან ოჯახურ სადილზე – ეს ტრადიცია ჩვენთან განსაკუთრებულად იყო დაცული. დღეს ამ ტრადიციას განაგრძობენ ჩემი მეგობრები – მე მიყვარს, როცა ჩემთან ხალხია.

**– ცხოვრების ძალიან აქტიური წლები გქონდათ და მათი „ნაწილი" ამ თქვენს დიდ გალერეაშია გამოფენილი. დღეს რთული არ არის პასიურ რეჟიმში ცხოვრება?**

– ახლა ჩემი ცხოვრება არც ისე პასიურია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, პირიქით, მინდა, რომ უფრო პასიურიც იყოს. მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანებს, რომლებიც ძველს მისტირიან და ხშირად იციან თქმა: „უჰ, ჩემს დროს რა კარგი იყო!" – ეს შეგრძნება არ მაქვს, ასე არაა. საკუთარი თავის მოტყუებაა, რომ ჩვენს დროს რამე უკეთესად იყო, ვიდრე დღესაა. მაშინაც იყო ბრძოლა ყველაფრისთვის, დასმენა, ღალატი. ადამიანი არის ადამიანი ყველა დროში და ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს – ამ ასაკში უფრო სხვა თემებზე ხარ კონცენტრირებული, მეტს ფიქრობ სამყაროზე, იმაზე, თუ რატომ ვართ მოსულები. ის აქტიური წლები აქ, ამ კედლებზეა გამოფენილი, ამერიკის მარტო ხუთი პრეზიდენტია აქ, ვისთანაც ვარ შეხვედრილი.

# რა გაანდო გელა ჩარკვიანს ამერიკელმა ასტრონავტმა, რომელმაც „ღმერთი ნახა" და სად „მოათავსა" მან წარსული

**– „აქაა" ლეგენდარული ასტრონავტი მიტჩელი, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, „ღმერთი ჰყავდა ნანახი"**

– მიტჩელი ძალიან საინტერესო ადამიანი და ასტრონავტი იყო. ის თბილისშიც იყო ჩამოსული. მაშინ მასზე ლეგენდები დადიოდა, იმასაც ამბობდნენ, ღმერთი დაინახაო, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელია. მიტჩელი ბუნებით მგრძნობიარე კაცი იყო, მითხრა, როცა მთვარეს ვუახლოვდებოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სამყარო ერთიანია და მისი პულსი მესმისო. მოგვიანებით მიტჩელმა შექმნა ნოეტიკის ინსტიტუტი, სადაც ხდება კვლევები სამყაროს ერთიანობის შესახებ.

**– თქვენი ნებართვით, თქვენთვის მძიმე თემაზეც გკითხავთ: მეუღლის გარდაცვალების შემდეგ როგორ გრძელდება თქვენი ცხოვრება?**

– რომ არა ეს ტრაგედიები, მე დღეს ვიქნებოდი აბსოლუტურად ბედნიერი ადამიანი. ამ ტრაგედიების შემდეგ ჩემი ცხოვრება ძალიან დამძიმდა, ხშირად მაწუხებს ემოციები. ამას წინათ ირაკლის საღამო მოეწყო რუსთავში, ქალების დაწესებულებაში, რაც ჩემთვის ძალიან ემოციური იყო. ირაკლი ხშირად მხვდება, მხვდება ყველგან. არ არის დღე და არ არის საათი, არ მახსოვდეს ნანა და ირაკლი. ირაკლის თვითონ წარმოედგინა თავისი სიკვდილი, სხვანაირად ხედავდა ამას, ფილოსოფიურად აღიქვამდა გარდაცვალებას. მას არ უნდოდა, ყოფილიყო ხანშიშესული ირაკლი... ნანას ძალიან უყვარდა ცხოვრება, ვერც წარმოედგინა, რომ უცებ, შეიძლებოდა, მომკვდარიყო, ის იყო დიდი ბავშვი, ამიტომ, შეცოდებით ნანა უფრო მეცოდება. სახლში ყველგან ნანას ფოტოები მიკიდია. მწუხარება ყველას სხვადასხვანაირად გადააქვს: ზოგი ცდილობს, როგორმე აირიდოს დარდი თავიდან, ხშირად არ შეხედოს საყვარელი ადამიანის ფოტოს და ასე შემდეგ, რომ, რაც შეიძლება, ნაკლებად გაიხსენოს რამე. მე ასე არ ვარ; უფრო მეტად დავიტანჯებოდი, თუ ვიგრძნობდი, რომ ჩემს მწუხარებაში სიმძაფრე აღარ არის. თუ ზოგჯერ ლაღად ვიგრძნობ თავს, ხელად საშინელი სინდისის ქენჯნა მეწყება და ჩემთვის ასე ჯობია. ნანა ძალიან საიმედო თანამგზავრი იყო, არ იყო ამბიციური. კატასავით ინტუიცია ჰქონდა, კარგად იცოდა კეთილი და ბოროტი. როგორც კი შეხედავდა ადამიანს, გეტყოდა, მოყვარე იყო ის თუ მტერი. მე ამაში ისე ვერ ვიყავი გარკვეული, უფრო რაციონალური ვიყავი, ჭკუით უფრო ვსჯიდი, ვიდრე გულით. გულმა იცის ის სიმართლე, რომელსაც ტვინი ვერასდროს მისწვდებაო, – ამბობს ერთი დიდი ფილოსოფოსი. ჩვენ ყველა სადღაც მივდიოდით და ჩამოვდიოდით, ნანა კი იყო ღუზა, რომელიც აჩერებს გემს, მასზე იყო აგებული ჩვენი ყველას ცხოვრება, რომელიც სულ იცვლებოდა და ამ ცვლილებებში უცვლელი იყო ნანა.

**თამუნა ნიჟარაძე**

(მე-12 გვერდიდან)

**ნობდი ამ ადამიანს. ამბობენ, კარგი იუმორი ჰქონდაო.**

– ფედერაციის პრეზიდენტობის წლებში, ქვეყანაში არსებული სასტიკი გაჭირვების მიუხედავად, მამა მაინც ახერხებდა ფეხბურთის განვითარებას (სამოქალაქო ომის დროსაც კი არ ჩაშლილა არც ერთი თამაში) და, ამ უამრავი სირთულის ფონზე, მამა მაინც არ კარგავდა იუმორს. ფედერაციიდან შინ რომ დაბრუნდებოდა და „ჩვეულ" მაკარონს რომ დაინახავდა, – დღეს მეშვიდე კილომეტრზე გადავედითო, – ჩაილაპარაკებდა ღიმილით.

**– როდის იყო მისთვის ყველაზე რთული პერიოდი?**

– განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა 1997 წელი. მისი თანამდებობის ხელში ჩაგდების მიზნით, სახელწიფო ორგანოებმა ფედერაციის საქმიანობაც კი შეაჩერეს. ბოლოს საქმეში „ფიფა" ჩაერია და ქვეყნის პირველ პირს ამ გადაწყვეტილების გაუქმება დასჭირდა. მამა დაუმარცხებელი წავიდა ცხოვრებიდან. იგი საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტულ მწვრთნელად იქნა აღიარებული; მას მიღებული აქვს „ფიფასა" და „უეფას" ორდენები.

**– და, ეს გახდა მისი ინფარქტის მიზეზიც...**

– მის ამდენ ნერვიულობას უკვალოდ არ ჩაუვლია. 1998 წლის 2 იანვარს მამას 60 წელი შეუსრულდა. ნოდარი მეგობრებთან ქეიფობდა – ახალი წელი, 60 წლის იუბილე, შობა, დაბადების დღეები... თითქოს გრძნობდა, რომ ეს მისთვის ბოლო დღეები იყო. სულ ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების წრეში სურდა ყოფნა. ღამლამობით თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ მკურნალობაზე უარს ამბობდა, თან, იმასაც ამბობდა, ამაღამ თუ გადავრჩი, დიდხანს ვიცოცხლებო. ჩვენც გვჯეროდა მისი, თუმცა... 25 იანვარს მოსკოვში „ფიფას" პრეზიდენტთან, ბლატერთან შესახვედრად გაფრინდა. ალბათ, წინათგრძნობა ჰქონდა და წასვლა არ უნდოდა. მისი ბოლო სიტყვები იყო: „ნეტა ფრენა არ იყოს!" ფრენა არ გადადებულა. მოსკოვის აეროპორტიდან სასტუმროში მიმავალს, მეგობრის მანქანაში გაუჩერდა გული.

# რის გამო საყვედურობდნენ ნოდარ ახალკაცს, რას ჭორაობდნენ მასზე და რა ინციდენტი მოუხდა მას დიუსელდორფში 13 მაისის მატჩზე

**– როდის ამჩნევდით, რომ რაღაცაზე ნერვიულობდა და ძალიან განიცდიდა? როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას ფეხბურთელებთან?**

– პირველად ჩემს ცხოვრებაში მამა ატირებული ვნახე იმ დღეს, როდესაც ვიტალი დარასელია დაიღუპა. ვიტალის გარდაცვალება საშინლად განიცადა. მამას ფეხბურთელები საკუთარი შვილებივით უყვარდა. მათთან უფრო მეტ დროსაც ატარებდა, ვიდრე ჩვენთან, შესანიშნავად იცოდა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მკაცრ და მომთხოვნ მწვრთნელს ადვილად ვერ ეგუებოდნენ – ახალგაზრდა ფეხბურთელებს ხშირად გართობა და დროსტარება სურდათ, მამა კი გასაქანს არ აძლევდა. თვითონ რომ გახდებით მწვრთნელები, მერე მიხვდებით, რომ ასეა საჭიროო, – ამბობდა. ის ზრუნავდა არა მხოლოდ მათ სპორტულ წარმატებებზე, არამედ, მათ განათლებასა და ზოგად განვითარებაზეც. უცხოეთში როცა იყვნენ, დაჰყავდა მუზეუმებში; მუდმივად იწვევდა „დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე სხვადასხვა საზოგადო მოღვაწესა თუ მეცნიერს, რათა მათ ლექციები ჩაეტარებინათ ფეხბურთელებისთვის.

**– ამბობენ, დარასელიას შემდეგ დათო ყიფიანი იყო მისი რჩეული ფეხბურთელიო.**

– განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა მამას დათო ყიფიანთან. გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ „ლოკომოტივში" დაიწყო მათი ურთიერთობა 1970 წელს. „დინამოში" დაწუნებული 19 წლის დათო, რომელიც ფეხბურთისთვის თავის დანებებაზეც კი ფიქრობდა, „ლოკომოტივში" წამოიყვანა. ერთი წლის შემდეგ დათო ისევ „დინამოში" დააბრუნეს. თუმცა, დათოს აღზევება და მსოფლიო დონის ვარსკვლავად ჩამოყალიბება სრული მასშტაბით 1976 წლიდან დაიწყო, „დინამოში" მამას მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ. მიუხედავად მათი მრავალი ერთობლივი წარმატებისა (როგორც ხშირად ხდება ხოლმე ფეხბურთში), მათი პოზიციები ბევრჯერ კატეგორიულად განხვავებულიც ყოფილა. ასეთ სიტუაციებს მამა ძალიან განიცდიდა, საკუთარი „შვილების" მოწინააღმდეგე ბანაკში ყოფნას ვერ ეგუებოდა.

მამას დაკრძალვის წინა ღამეს დათომ ჩვენთან სახლში დარეკა და გვკითხა, შეიძლებოდა თუ არა, რომ მოსულიყო. იმ ღამეს დათო გვიან მოვიდა ჩვენთან და გვთხოვა: ნოდარის ცხედართან მარტო დამტოვეთ, არ მინდა, რომ ჩემზე ნაწყენი წავიდეს ამქვეყნიდანო.

**ეკა პატარაია**

# ᲕᲘᲜ ᲕᲔᲠ ᲘᲪᲜᲝ „ᲛᲘᲡ 7 ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ” ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲥᲪᲐ ᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲚᲩᲐᲓ

**11 წლის ასაკიდან დაიწყო ᲔᲚᲔᲜᲔ ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲔᲛ სამოდელო სააგენტოებთან ურთიერთობა, ბევრი ისწავლა და დიდი გამოცდილებაც მიიღო. ახლა ის 19 წლისაა. გასულ წელს ელენემ გაიცნო ამერიკიდან ჩამოსული დიზაინერი ირაკლი კახნიაშვილი, რომელმაც დააარსა სამოდელო ბრენდი „ირაკლიონი” და, სწორედ ამ ბრენდის მეშვეობით აღმოჩნდა ის სულ ცოტა ხნის წინ თურქეთში, კონკურსზე – „მის 7 კონტინენტი”, საიდანაც „მის გლამური 2014-ის” ტიტულით დაბრუნდა.**

**– ელენე, გილოცავ! ადვილი არ არის, ამხელა კონკურენციის ფონზე, „მის გლამური 2014” გახდე.**

– „მის გლამური 2014” გავხდი კონკურსზე – „მის 7 კონტინენტი”.

**– იმით დაიწყე, როგორ მოხვდი ამ კონკურსზე.**

– საქართველოში ბრენდმა „ირაკლიონმა” ჩაატარა შესარჩევი ტური, სადაც გავიმარჯვე.

**– სად ჩატარდა ეს კონკურსი და რამდენი გოგონა იღებდა მონაწილეობას „მის 7 კონტინენტში”?**

– „მის 7 კონტინენტი” ჩატარდა თურქეთში, კერძოდ – ბოდრუმში. მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 30 გოგონა – თითო ქვეყნიდან თითო წარმომადგენელი.

**– დიდი კონკურენცია იყო?**

– რა თქმა უნდა, დიდი კონკურენცია იყო. ძალიან კარგი გოგონები მონაწილეობდნენ, თან, სხვადასხვა კონკურსზე მონაწილეობის გამოცდილებაც ჰქონდათ. მაგრამ, გულწრფელად ვამბობ, მართლა ჯანსაღი და მეგობრული ურთიერთობა იყო კონკურსანტებს შორის. ერთმანეთს ვეხმარებოდით მაქსიმალურად, რითაც შეგვეძლო. შეიძლება ითქვას, „მის 7 კონტინენტში” 29 მეგობარი შევიძინე ***(იცინის).*** დღემდე მაქვს მათთან კონტაქტი, მოვიკითხავთ ერთმანეთს, რჩევებს, შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ; ჩვენს მომავალზე ვსაუბრობთ. ძალიან კარგი გოგოები არიან, მართლა.



ორი ბიჭის მზერა ვიგრძენი. გვერდზე რომ ჩამიარეს, ხმაური მომესმა. მოვიხედე და, რას ვხედავ – თურმე, ერთ-ერთი ბანერს დაეჯახა და გახია. ამაზე ძალიან ბევრი ვიცინე

განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მქონდა „მის ბელორუსიასთან” და „მის სომხეთთან.” მიუხედავად იმისა, რომ სამივე სხვადასხვა ოთახში ვცხოვრობდით, სულ ერთად ვიყავით და „განუყრელ სამეულს” გვეძახდნენ.

**– წარსულში თუ გქონდა სამოდელო საქმიანობის ან რომელიმე სხვა კონკურსში მონაწილეობის გამოცდილება?**

– მქონია, როგორ არა. პატარაობისას ძალიან მორცხვი ვიყავი და 11 წლის ასაკში მამამ სამოდელო სააგანტო „ნატალიში” მიმიყვანა. სამი წელი ვიარე იქ. ამის შემდეგ, კიდევ სამი წელი კონტრაქტი მქონდა თაკო ჩხეიძესთან „ჯეომოდელსში”, მერე ვიყავი ეკა მგალობლიშვილთან „კატრინში”. 2013 წლის ნოემბერში წავედით კონკურსზე „მის ევროპელი”, რომელიც ჩატარდა მალტაში. მართალია, იქ ვერ გავიმარჯვე, მაგრამ, ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ამის შემდეგ დიზაინერ ირაკლი კახნიაშვილის ერთ-ერთ ჩვენებაზე გამოვედი. ამ ჩვენების შემდეგ მე და ირაკლის შორის დაიწყო საქმიანი ურთიერთობა. მან შემომთავაზა, ქასთინგში მიმეღო მონაწილეობა, რომ კონკურსზე წავსულიყავი. ამ ქასთინგზე შესარჩევი ტური წარმატებით გავიარე და, მერე რაც მოხდა, კი მოგეხსენებათ.

**– დიზაინერ ირაკლი კახნიაშვილზე მიამბე.**

– ირაკლი კახნიაშვილი არის ძალიან კარგი დიზაინერი და ძალიან კარგი პიროვნება. ის 15 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ნიუიორკში. 2013 წელს ჩამოვიდა საქართველოში და დააარსა „ირაკლიონი”, რომლის თაოსნობითაც ჩატარდა შესარჩევი ტური – ის იყო ორგანიზატორი, ამ ტურის შემდეგ კი მოვხვდი „მის 7 კონტინენტზე”.

**– როგორც ვიცი, შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამა ყოფილა.**

– მამა ყოველთვის მეხმარება ყველაფერში, მაქსიმალურად ჩართულია ჩემს საქმიანობაში და ხელს მიწყობს, რომ სამოდელო სფეროში წარმატებას მივაღწიო. მთელი ოჯახი მეხმარება, მაგრამ, არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამაა.

**– გარდა სამოდელო ცხოვრებისა, კიდევ რას საქმიანობ?**

– ვარ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „გაუს” სტუდენტი, ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტზე ვსწავლობ. გარდა ამისა, „ფრი პროდაქშენში” გავდივარ პრაქტიკებს, რომ პროდიუსერის საქმიანობას დავეუფლო. ბავშვობაში დავდიოდი ცეკვაზე, ფორტეპიანოზეც ვუკრავდი – საერთოდ, ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ხელოვნებასთან, ამასთან, ვცდილობ, ვიცხოვრო სპორტულად – ყოველ დილით დავრბივარ, ვვარჯიშობ და, ვცდილობ, ფორმაში ვიყო.

**– ახლა იმის შესახებ მიამბე, ნაციონალური დღე რომ ჩაატრეთ ბოდრუმში კონკურსანტებმა.**

– ამ დღესთან დაკავშირებით ყველამ წავიღეთ ჩვენი ქვეყნის სუვენირები, გადავეცით ერთმანეთს, ორგანიზატორებს და ვუამბეთ ამ ნივთების ისტორია. გარდა ამისა, კონკურსზე ჩატარდა ტალანტის ტური, სადაც ვიცეკვე „აზრაგული”, რომლის დადგმაშიც დამეხმარა დათო ბაბუხადია.

**– ასეთ კონკურსზე შენნაირი გარეგნობის გოგო ჩოხითა და ფაფახით რომ გამოვიდოდა, წარმომიდგენია, რა რეაქცია ექნებოდათ.**

– რეაქცია მართლაც დიდი და გასაოცარი იყო. ჟიური გაკვირვებული მიყურებდა, თავიდან ვერც მიცნო. იყო დიდი ტაში, ოვაციები. მერე მომაყოლეს, ვინ იყვნენ აზრაგები, როგორ ცხოვრობდნენ; ყველამ მთხოვა ფაფახით სურათის გადაღება, ჩოხას იზომებდნენ... ზოგიერთს ნანახიც არ ჰქონდა ჩვენი ნაციონალური სამოსი. მოკლედ, ამავსეს კომპლიმენტებით. ამას გარდა, ცალკე იყო ნაციონალური სამოსის დღე. ამ დღეს მეცვა ცეკვა „ქართულის” კაბა და ძალიან მოეწონათ. დარწმუნებული ვარ, საქართველო შევაყვარე, იმდენ კითხვას მისვამდნენ. ბევრი კონკურსანტი გოგო აპირებს საქართველოში ტურისტად ჩამოსვლას, უფრო მეტიც, ქართული ცეკვის სასწავლად მოდიან ***(იცინის).*** დარწმუნებული ვარ, ამ კონკურსში მონაწილეობით, საქართველოს კულტურისა და ტურიზმის ელჩი ვიყავი.

**– შენი პარამეტრები მითხარი.**

– ჩემი პარამეტრებია 86X60X88. ამბობენ, რომ კარგი მონაცემები მაქვს.

**– ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გეყოლება.**

– თაყვანისმცემლების რაოდენობას არ ვუჩივი ***(იცინის).***

**– მომიყევი რომელიმე მათგანზე.**

– მათზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თან, მგონია, რომ ეს ძალიან პირადულია. მოგიყვებით იმას, თუ რა გადამხდა სტამბულის აეროპორტში, კონკურსიდან რომ ვბრუნდებოდი იმ დღეს.

**– მიამბე, ძალიან მაინტერესებს.**

– დედამ დამირეკა და მითხრა, გამოპრანჭული ჩამოდიო. მივხვდი, რომ შეხვედრას მიწყობდნენ თბილისის აეროპორტში. მეც გამოვიპრანჭე და, ის იყო, თვითმფრინავში ჩასაჯდომად ვემზადებოდი, რომ ორი ბიჭის მზერა ვიგრძენი. გვერდზე რომ ჩამიარეს, ხმაური მომესმა. მოვიხედე და, რას ვხედავ – თურმე, ერთ-ერთი ბანერს დაეჯახა და გახია. ამაზე ძალიან ბევრი ვიცინე.

**– მართლაც სასაცილოა.**

– მსგავსი ისტორია აქაც შემემთხვა: მიწისქვეშა გადასასვლელში მივდიოდი, ჩემ ყურებაში ვიღაც ბიჭი კედელს დაეჯახა და დაეცა. ზუსტად ასე იყო. თუ მოვინდომე, შემიძლია, ისეთი ეფექტი მოვახდინო, რომ ჩემს დანახვაზე დაეცნენ ძლიერი სქესის წარმომადგენლები.

**– გათხოვებას ხომ არ გეგმავ?**

– გათხოვებას არ ვგეგმავ, ამ ეტაპზე სწავლით ვარ დაკავებული. მინდა, რომ კარიერას მივხედო, ამიტომ, ჯერჯერობით, პირადი ცხოვრებისთვის არ მცალია.

**– მომავალში რა გეგმები გაქვს?**

– მომავალში ისევ „ირაკლიონი” ატარებს შესარჩევ ტურებს „მის ბიკინისთვის” და ამ კონკურსში მეც ვმონაწილეობ, უკვე მეორე ტურში გადავედი და გამარჯვების იმედიც მაქვს. გამარჯვებული 28 აგვისტოს „მსოფლიო მის ბიკინიზე” მიემგზავრება ჩინეთში. ძალიან მინდა, რომ ეს გამარჯვებული მე აღმოვჩნდე და კიდევ ერთხელ მივიღო მსოფლიო დონის სილამაზის კონკურსში მონაწილეობა.

**ᲔᲙᲐ ᲐᲚᲑᲠᲔᲮᲢᲘ**


გერმანული ხარისხი
BEKO ბუკო-ს
მაღაზიათა ქსელში
24-თვიანი
უპროცენტო განვადება
პირველადი შენატანი 0%
439
ლარიდან
GRUNDIG
გრუნდიგი
საჩუქარი: გრუნდიგის პლანშეტი GTB 701
გრუნდიგი
მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით შეიძინეთ გრუნდიგის ტელევიზორები 439 ლარიდან და მიიღეთ საჩუქრად გრუნდიგის პლანშეტი
გერმანული ხარისხი
GRUNDIG UHD
გრუნდიგ იუ-ეიჩ-დი
Digi 9300 Premium
დიჯი 9300 პრემიუმი
x2 Dual Core Processor
დუალ ქორ პროცესორი
SRS StudioSound HD
ეს-არ-ეს სტუდიოსაუნდ ეიჩ-დი
SMART inter@ctive TV 3.0
სმარტ ინტერაქტივ თი-ვი 3.0
პროდუქციის რაოდენობა შეზღუდულია
უკეთესი განწყობისთვის
GRUNDIG

# ბრძნული აზრები

**ბრეჰტი**: განა რა არის ბანკის გაძარცვა ბანკის დაარსებასთან შედარებით?!

**დიკი**: განათლებასთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ მას დიდი დრო მიაქვს; ის თქვენი ცხოვრების საუკეთესო ნაწილს ისაკუთრებს და, როცა დაასრულებთ, ერთადერთი, რაც დანამდვილებით იცით, არის ის, რომ საბანკო სფეროში წასვლა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა.

**გერცენი**: გრანდიოზული საქმეები გრანდიოზული საშუალებებით კეთდება, მხოლოდ ბუნებას შეუძლია დიდებულის საჩუქრად მიძღვნა.

**გიბონი**: თითოეულ ადამიანს ორი განათლება აქვს: ერთი – სხვებისგან მიღებული; მეორე კი, უფრო მნიშვნელოვანი – მის მიერვე შეძენილი.

**შოპენჰაუერი**: ხანდახან გვგონია, რომ ესა თუ ის შორეული ადგილი გვენატრება, მაშინ, როდესაც სინამდვილეში მხოლოდ იმ დროზე ვჭმუნავთ, იქ რომ გავატარეთ, როცა უფრო ახალგაზრდები და ხალისით სავსენი ვიყავით. ასე გვატყუებს დრო, სივრცის ნიღბით რომ გვევლინება. იქ რომ ჩავსულიყავით, ხელად მივხვდებოდით ჩვენს შეცდომას.

**ლაბრიუერი**: საუბედუროდ, არაგონივრულად დახარჯული დრო როდი ეხმარება ადამიანებს, გონივრულად დახარჯონ დროის დარჩენილი ნაწილი.

**ჯონსონი**: როგორ სწრაფადაც არ უნდა მიჰქროდეს დრო, ის ძალიან ნელა გადის მათთვის, ვინც მხოლოდ აკვირდება მას.

**იუმი**: თავისთავად ქცევებს, თუ ისინი რაიმე მუდმივი პრინციპებიდან არ გამომდინარეობენ, ზნეობრიობისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ.

**პასკალი**: თუ მე არ ვიცი ზნეობრიობის არსი, მეცნიერება გარე სამყაროს შესახებ ვერ მომანიჭებს შვებას ცხოვრების რთულ მომენტში, ხოლო ზნეობრიობა თავად მოიტანს სიმშვიდეს, თუნდაც არ შემეძლოს გარე სამყაროს შესახებ მეცნიერული ანალიზის გაკეთება.

**შექსპირი**: სიამოვნების იმედი თითქმის ისევე სასიამოვნოა, როგორც თვითონ სიამოვნება.

**ლოკი**: განათლებულმა ადამიანებმა ადამიანთა ყოველ მცდარობაში რაიმე ჭკუის სასწავლებლის პოვნა იციან.

**დისტერევი**: არასწორი ცოდნა არცოდნაზე უარესია.

**ციცერონი**: შრომა ტკივილს აყუჩებს.

**სენეკა**: ის დადუმდეს, ვინც კეთილი საქმე ჩაიდინა; დე, იმან ილაპარაკოს, ვისაც სიკეთე გაუკეთეს.

**დემოკრიტე**: სხეულის სილამაზე, თუ მას ჭკუა არ ახლავს, მხოლოდ პირუტყვობაა.

**სოფოკლე**: სიყვარულმა მომიყვანა, სიძულვილმა კი არა.

**ლაროშფუკო**: ქალების უმრავლესობისთვის ქონება იმდენად მათი კეთილგონიერების განმტკიცებას როდი ემსახურება, რამდენადაც მათი უგუნურების გამართლებას.

**სოკრატე**: ქორწინება ბოროტებაა, მაგრამ, აუცილებელი ბოროტება.

# თუ გაქვთ იცოდეთ

1. ადამ სმიტის საპასუხოდ, რომელმაც 1759 წელს შემოიღო ტერმინი „ბაზრის უხილავი ხელი" – ბაზრის მექანიზმით ეკონომიკის თვითრეგულაციის გამოსახატავად, 1977 წელს ალფრედ ჩენდლერმა გამოსცა წიგნი, სადაც ამტკიცებს, რომ თანამედროვე ეკონომიკაში საბაზო სტრუქტურა დამოკიდებულია „ბაზრის ხილულ ხელზე". **რის ხელს გულისხმობდა ჩენდლერი?**

2. „რობინზონ კრუზოს" ავტორი, ინგლისელი მწერალი დანიელ დეფო, ცნობილია იმით, რომ სიახლე დაამკვიდრა ლიტერატურაში. **რა?**

3. ძველ ჩინეთში ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლებს მუშაობის დროს აუცილებლად უნდა ჰკეთებოდათ მუქი სათვალე. **ვის?**

4. მაიას ტომის ინდიელ გოგონებს დაბადებიდან წარბებს შორის, ცხვირთან ჰკიდებდნენ პატარა ბურთულას. **რატომ?**

5. ეს ქანდაკება ამ ქვეყნის გათავისუფლების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. საფრანგეთში შეიქმნა და ადგილზე ნაწილ-ნაწილ, ატლანტის ოკეანით ჩაიტანეს. როგორც ამბობენ, მასზე მილიონი რეისი (ნაციონალური ვალუტა) დაიხარჯა. **დაასახელეთ რომელი ქანდაკებაა და სად დაიდგა ის?**

6. 1903 წელს მოხდა მატარებლის დიდი ძარცვა, რამაც კინემატოგრაფში ახალ დარგს ჩაუყარა საფუძველი. **რომელს?**

7. ინგლისში საკმაოდ გავრცელებულია სასმელი, რომელსაც თეთრ ყავას უწოდებენ. **რა სასმელია?**

8. ისრაელის სამხრეთით სოფელ ასკელონის ახლოს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში დაარსდა, იპოვეს სასაფლაო, რომელიც მეხუთე საუკუნის განეკუთვნება. აქ 700 სამარხია, მაგრამ არც ერთ მათგანში არ არის ადამიანის ძვლები. **რა სამარხებია ეს?**

9. ცხოვრება ცვალებადია... ანტიკურ ხანაშიც ზეიმებს გლოვის დღეები მოსდევდა. ამიტომაც ნახავდით ცნობილ ქალბატონებს, რომელთაც ერთ დღეს თმაში სურნელოვანი ზეთი ჰქონდათ შეზელილი, მეორე დღეს – ფერფლით და ნაცრით გადათეთრებული... ამბობენ, ამან დაუდო სათავე იმას, რის გარეშეც ჩვენი ყოველდღიურობა წარმოუდგენელია. **რას?**

10. ერთი იაპონური იეროგლიფი აღნიშნავს ქალს. **რას აღნიშნავს სამი ასეთი იეროგლიფი, რომლებიც პირამიდის ფორმითაა განლაგებული?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

**„თამბაქოს წევა საერთოდ საშიშია ჯანმრთელობისათვის"...**

თამბაქოს მავნებლობაზე ბევრი დაწერილა და არც ის არის სადავო, რომ ის პირდაპირ კავშირშია მწეველთა სიცოცხლის ხანგრძლივობასთან, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმადაც, თამბაქოს წევა დადებით გავლენას ახდენს ნერვული უჯრედების მუშაობაზე, რომლებიც ნიკოტინის ზემოქმედებით უფრო გვიან ილუპებიან, ვიდრე არამწეველთა ნერვული უჯრედები. მწეველები იშვიათად ავადდებიან პარკინსონითა და ალცჰაიმერის დაავადებით. ფიქრობენ, რომ რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს ნიკოტინსა და ქიმიურ ნივთიერება აცეტილქოლინს შორის, რომელსაც ელექტრული იმპულსები გადააქვს თავის ტვინის უჯრედებს შორის. ყველაფერი ეს შესაძლებელია, მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დასახელებული დაავადებები მხცოვან ადამიანთა დაავადებებია, ხოლო მწეველები იშვიათად აღწევენ ასეთ პატივსაცემ ასაკს.

**„ჭექა-ქუხილის დროს ნუ დადგებით მუხის ქვეშ – შეეფარეთ წიფელს"**

ალბათობა იმისა, რომ ხეს მეხი დაეცემა, დამოკიდებულია მის სიმაღლეზე და არა მის ჯიშზე. უმჯობესია, შევეფაროთ დაბალ მუხას, ვიდრე მაღალ წიფელს.

ამ ცდომილების მიზეზი, ალბათ ისაა, რომ, როდესაც მეხი ეცემა მუხას, მის ქერქზე ღრმა ნაჭრილობევი რჩება (მუხას ხომ დახორკლილი ქერქი აქვს), მაშინ, როცა წიფლის გლუვ ქერქზე მეხი სხლტება და ნაკლებად შესამჩნევ ნაკვალევს ტოვებს, მაგრამ, ხის ქვეშ მდგარი ადამიანისთვის ეს მცირედი შეღავათი იქნება.

ყველა ელვა ღრუბლებიდან არ „გამოედინება", ხდება ისეც, რომ დედამიწიდანაც ხდება საპასუხო დარტყმები, ანუ, ელვების დაახლოებით 10 პროცენტი დედამიწაზე იწყება. ცეცხლოვან ისრებს განსაკუთრებით ხშირად გამოსახავენ ცათამბჯენები და სატელევიზიო კოშკები.

**„კრივის ხელთათმანები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე დაცული იქნეს ძლიერი დარტყმებისგან"**

მოკრივის ხელთათმანები, სინამდვილეში, უპირველეს ყოვლისა, იცავს არა მოწინააღმდეგეს, არამედ, თვით მოკრივეს – ხელთათმანების წყალობით, ის ხელების დაზიანებას იცილებს თავიდან. კინეტიკური ენერგია მოწინააღმდეგეს თავზე ან სხეულზე ეძგერება და, შესაბამისად, ხელთათმანით ტრავმის მიყენების საფრთხე (რამეთუ ხელთათმანები 200-400 გრამს იწონის) იზრდება.

ამიტომ გასული საუკუნის ბოლომდე კრივში აკრძალული იყო ხელთათმანების გამოყენება. დაუცველი ხელებით (უხელთათმანოდ) კრივში ბოლო მსოფლიოს ჩემპიონი იყო ჯონ სალივანი (1889 წელი).

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh3-c3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– საყვარელო, აბა, რას აკეთებდით დღეს საბავშვო ბაღში?
– დედას ვხატავდით.




– გუშინაც ხომ დედას ხატავდი, თითქოს, გუშინწინაც...
– ჰო... ყოველდღე დედას ვხატავთ... მასწავლებელი გვეუბნება დასხედით და ხატეთ... თქვენი დედა...

***

დილა, პირველი ღამის შემდეგ.
– მაგარი იყო... ცუდია, რომ არ გავაგრძელეთ...
– მაშინ, რატომ თქვი, მეტი აღარ შემიძლიაო...
– მე არა, მეზობელმა თქვა...

***

– არასდროს დამავიწყდება ის საღამო ბარში... ჩემს ცოლს იქ შევხვდი...
– რომანტიკული საღამო ყოფილა.
– რა რომანტიკული... მეგონა, სახლში იყო, ბავშვებთან...

***

მაღაზიაში.
– თუ შეიძლება, ხორბლის წვენი მომეცი, ოღონდ რბილობის გარეშე...
– ეგ რა არის? – ეკითხება გაოცებული გამყიდველი.
– არაყი, არაყი...

***

– ალო, პროკურატურაა?
– გისმენთ.
– იცით, მამაჩემმა ახალი „ჯიპი“ იყიდა... უკანონო ფულით...
– ლიზი?!
– მამა?!

***

– გოგოებო, გათხოვდით! არც ერთი კაცი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!

***

– ერთმა მილიონერმა 100 ათასი დაუტოვა ქალს, რომელიც 40 წლის წინ მას ცოლად არ გაჰყვა.
– აი, მესმის მადლობის გადახდა.

***

– ჩემს ქმარს ახალი ნიჟარა დავადგმევინე სამზარეულოში.
– კი მაგრამ, ძველს რას უწუნებდი...
– პატარა იყო, ჩაიდანი რომ წყლით ამევსო, ყველა ჭურჭელი უნდა დამერეცხა, რაც იქ იდო...

***

პაციენტი კაბინეტში ექიმს ახლოს მიუჯდა და ჩურჩულით ეუბნება.




– ექიმო, პ რ ო ბ ლ ე მ ა მაქვს, ორგაზმს ვერ განვიცდი, მიუხედავად იმისა, რომ ცოლთან მთელი ღამე ნორმალური ურთიერთობა მაქვს...
– ასე შეშინებული რატომ ლაპარაკობთ?
– ცოლმა გამაფრთხილა, ექიმთან არ მიხვიდე, თორემ მოგკლავო...

***

პატარა გოგონა ეუბნება მამას:
– მამა, ბაღში ჩემს წასაყვანად ნასვამი ნუ მოხვალ, რა...
– რა ხდება, შვილო?
– უკვე მეოთხე დღეა, ჩემს ნაცვლად ჩემი აღმზრდელი მიგყავს...

***

ყველა ქალს ცხოვრებაში ორი კითხვა აწვალებს:
1. როგორ იპოვოს თავისი ოცნების მამაკაცი?
2. რა უყოს ამ საშინელებას...

***

– ალო, სასწრაფოდ მჭირდება დახმარება! ვიაგრა დავლიე... 4 საათი გავიდა და ერექცია კიდევ არ გადის.
– მერე რა?
– ინსტრუქციაში წერია, თუ ერექცია 4 საათზე მეტხანს გრძელდება, ექიმს გამოუძახეთო..
– კარგი, გამოვაგზავნით მანქანას... მისამართი...
– ოღონდ გთხოვთ, ექიმის მაგივრად ექთანი გამოუშვით, უკეთესია ორი...

***

– ვერ გიტან! საზიზღარო, ახალგაზრდობა შეგალიე და შენ კი მთელი სიცოცხლე გამიფუჭე...
ხმა სამზარეულოდან:
– შვილო, გეყოფა დიპლომთან ლაპარაკი...

***

დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ მოშიებული პროგრამისტი მაცივართან მივიდა, გაალო კარი, გამოიღო კარაქი და შეფუთვაზე კითხულობს: „ნაღების კარაქი 72%“...
– ოო, მალე ჩაიტვირთება, – ჩაილაპარაკა, კარი მიხურა და ისევ კომპიუტერს მიუჯდა.

# ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

მთავარმართებელი შევიდა ტფილისის აფთიაქში, რომელიც დოქტორ დეპნერს ეკუთვნოდა და ნახა, რომ იქ დიდი უწმინდურება და არევ-დარევაა. ამ გარემოებამ ძლიერ გააჯავრა მთავარმართებელი.
– გამიგონე, დოქტორო, პირიდამ სასაქმებელი წამალი გაქვთ?
– გახლავს, თქვენო უაღმატებულესობავ.
– სრულებით საჭირო არ არის ეს წამალი: ავადმყოფი შემოიყვანეთ თქვენს აფთიაქში და აქაურობის დანახვა საკმაოა, რომ პირიდამ ზადილი დააწყებინოს.

***

„ივერიის“ რედაქციაში 1886 წლის 1 იანვარს ექსპრომტად რამდენიმე ლექსი ითქვა მათ შორის თავადმა ერისთავმაც მიმართა ილიას:
„ღმერთმა ინებოს, ილია,
არ მოგერიოს ძილია,
და კარგათა გაგეზარდოს
ეს მამის ერთა შვილია!..“

***

– ერთი ძველი რედაქტორი „ცისკარს“ გვიგზავნიდა, როდესაც ჩვენ პეტერბურგში ვსწავლობდით; სტუდენტებმა მადლობა შემოვუთვალეთ, მაგრამ იმავე დროს ვსთხოვეთ, რედაქციას „მიმართულება“ გამოეცვალა... რედაქტორმა ეს ჩვენი ვედრება შეისმინა და ხმელეთის მაგიერი ზღვით გვიგზავნა თავისი ჟურნალიო... – ყვებოდა აკაკი.

***

ერთმა მელოტმა თქვა:
– ერთ ლამაზ ქალს წიგნი მივწერე, ვთხოვე, რომ ისე შეგინახავ, როგორც ჩემს თავსაო, მაგრამ მაინც არ გამომყვა ცოლადო.
– სწორედ მაგით დაგიფრთხია: რა სასიამოვნოა მუდამ შიშველი და ცარიელად დარჩენაო, – მიუგო აკაკიმ.

***




ზამთრის ერთ დღეს ქართლოსი და ნიაზი ბელინსკის ქუჩას მიუყვებოდნენ. მოყინული იყო და ქარლოსს ფეხი დაუცურდა.
– ჯერ კიდევ ჰაერში ვიყავი, – ყვებოდა მერე კასრაძე, – და სანამ დავეცემოდი, ნიაზმა მოასწრო, ჩაიკუზა და ამომძახა: „დაჯე, ვილაპარაკოთო!“

# როგორ აღმოჩნდა ავადმყოფ ბავშვთან გამოძახებული პედიატრი სიმპათიური მამაკაცის კომპანიაში

***ნ. კ. (პედიატრი):*** ბავშვთა პოლიკლინიკაში ახალი დაწყებული მაქვს მუშაობა; თან, ახალი გათხოვილი ვარ, უბანს არ ვიცნობ, ამიტომ, ჩემი მეუღლე მეხმარება – სამსახურში რაღაცას იმიზეზებს და მე მემსახურება. ერთხელ კოლეგამ მთხოვა, დაკრძალვაზე მივდივარ, ველარ ვასწრებ და, ჩემ ნაცვლად ხომ შეგეძლება გამოძახებაზე წასვლა, აქვეა, შენი მეუღლის სახლთან ახლოს, ნაფარეულის ქუჩაზეო. კი-მეთქი. სართული მითხრა და დააზუსტა: რემონტი აქვთ და მათ კართან ცემენტის ტომრები აწყვიაო. ჩემი მეუღლისთვის დიდი დრო რომ არ წამერთმია, მუდმივად ვჩქარობდი. იმ დღესაც, სართული არ დამითვლია, ისე ავირბინე კიბეები და, სადაც ტომრები ეწყო, იქ დავრეკე ზარი. კარი სიმპათიურმა ახალგაზრდა კაცმა გააღო და არანაკლებ მომხიბვლელი ახლად გარემონტებული ინტერიერიც დავლანდე. ხმის ამოღება არ ვაცადე, გამარჯობა-მეთქი, – ვთქვი, შევვარდი, შემოსასვლელშივე გავიხადე ქურქი, იქვე, სარკეში, ცოტა გავიკეკლუცე კიდეც და შევცინე – ახლა საით წავიდე-მეთქი. მე კი ქვეცნობიერად ვეპრანჭებოდი, მაგრამ მისგანაც ვიგრძენი, რომ მოვეწონე. კაცმა ხელით მიმანიშნა მისაღებისკენ – იქ დაბრძანდითო – და თვითონ ოთახიდან გავიდა. ცხადია, ჩავთვალე, რომ, ან ბავშვს აწესრიგებდა, ან ბავშვი მწოლიარე არ იყო და საუზმობდა – მეგონა, რომ ყველა შემთხვევაში ბავშვთან იყო დაკავშირებული მისი გასვლა. მე, ამასობაში, თვალი შევავლე რემონტს და გულში გავიფიქრე, გემოვნებაც კარგი ჰქონია-მეთქი. ცოტა ხანში მასპინძელი შემობრუნდა და ძვირფასი კონიაკი, ხილი და




ტკბილეული გაჩნდა მაგიდაზე. ჯერ საქმე! – მოვთხოვე კატეგორიულად. კაცი, თავის მხრივ, შემეწინააღმდეგა, ერთი ჭიქა ავწიოთ და საქმე მხოლოდ მას შემდეგო. კეკლუცად დავეთანხმე და სადღეგრძელოს თქმაც მე ვითავე. ექიმი ვარ და, რას ვიტყოდი – ღმერთმა ჯანმრთელად გვამყოფოს-მეთქი, ცოტა მოვსვი და წამოვდექი. ახლა ერთს მე ვიტყვიო და ჩვენი გაცნობის სადღეგრძელო დალია, თან ისიც ადღეგრძელა, ვინც მე მასთან გამგზავნა. არ გამკვირვებია – ის იყო მათი უბნის ექიმი და, ბუნებრივია, შვილის ექიმის მიმართ პატივისცემას გამოხატავენ. ისევ წამოვდექი და ისევ დამსვა – ღმერთი სამებითააო, თან ისე იღიმებოდა, ვერც ვუძალიანდებოდი. წიოკს ხომ ვერ დავიწყებდი თავმომწონე გოგო – ე ბიჭო, დაბლა ქმარი მელოდება, სამსახურში აგვიანდება-მეთქი, თან, ვფიქრობდი, ეტყობა, მეუღლე პრანჭია ვინმეა, მოსაწესრიგებელი იყო და ალბათ, დროის გაყვანა სთხოვა, ეს კი, სანამ ცოლი თვითონ არ შემოვა, აქ მაყოვნებს-მეთქი. მეოთხე და მეხუთე ჭიქა რომ მოჰყვა და ერთი-ორი ფილმიც რომ გავარჩიეთ, უკვე მართლა შევწუხდი და კატეგორიულად მოვითხოვე საქმე, თან დავძინე, ჩემთვის არანაირი პრობლემა არ არის, თუ მოულოდნელად მოვედი და რამე ისე არ გაქვთ ოჯახში-მეთქი. კი შევნიშნე, რომ კაცს რაღაცნაირი გამომეტყველება ჰქონდა, რაც მე თავაზიანობაში ჩავუთვალე, მაგრამ, საძინებელში რომ შემიყვანა და იქ ავადმყოფი ვერ დავინახე, ცოტა შევფიქრიანდი – ეს რას ნიშნავს-მეთქი?

თურმე, ცემენტი იქ იმ დღეს მიუტანიათ, მე კი ერთი სართულით მაღლა უნდა ავსულიყავი. კაცს თავის მხრივ, ეგონა, მეგობრებმა „ცოცხალი სიურპრიზი" გამომიგზავნესო. აქეთ ხომ ამ კაცს აუტყდა სიცილი, მე იქით ვეხეთქებოდი სიცილისგან კედელს, მაგრამ, ერთი სართულით მაღლა რომ ავინაცვლე, ჯერ იქ მისაყვედურეს, მერე კი, ქვემოთ – ჩემმა მეუღლემ. როგორ ვიტყოდი სრულიად უწყინარ სიმართლეს, არადა, რეალურად, უცხო მამაკაცთან ერთად კონიაკს ვწრუპავდი...

**ჩაიწერა**
**მაია ჭელიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

**დიზაინერი ფატუნა ბუშიჰედი მართალია, ქართველ მომხმარებელს დიდად არ ანებივრებს საკუთარი კოლექციით, მაგრამ მას ძალიან კარგად იცნობენ ევროპასა და ამერიკაში. ჩვენი რესპონდენტი ახლახან დაბრუნდა მონაკოდან, სადაც ჩვენება გამართა. ჩვენებას უამრავი ცნობილი ადამიანი დაესწრო და რაც მთავარია, მოიწონა მისი ახალი კოლექცია. საქართველოში დაბრუნებულ დიზაინერს შევხვდით და დაწვრილებით გამოვკითხეთ ამ ჩვენების შესახებ.**

# რა აკავშირებს ფატუნა ბუშიჰედს მაიკლ ჯექსონის მამასთან და რით გააოცა ქართველმა დიზაინერმა სელებრითი სტუმრები

**– ახლახან დაბრუნდი საქართველოში. მორიგი ჩვენება გამართე, ამჯერად მონაკოში. უფრო დაწვრილებით მოგვიყევი, რა ხდებოდა იქ?**

– ეს იყო პრივატული ჩვენება, რომელიც მონაკოში, ერთ-ერთ, ძალიან ცნობილ და პრესტიჟულ იახტაზე გაიმართა. იახტაზე მხოლოდ 60 სტუმარი იყო, აქედან თითქმის ყველა სტუმარი სელებრითი გახლდათ. ამ ყველაფერს მსოფლიო პრესა აშუქებდა, „ფეშენ-ტივი" იღებდა და აფიქსირებდა ყველაფერს. მონაკო ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ადგილია, სადაც საოცრებები ხდება.

**– ამჯერად საოცრების მონაწილე შენც იყავი.**

– კი და ძალიან ვამაყობ ამით.

**– სელებრითები ახსენე და ჩვენთვის ცნობილი თუ იყო ჩვენებაზე ვინმე?**

– კი, როგორ არა. ჩვენებაზე იყვნენ ჯოი ჯექსონი – მაიკლ ჯექსონის მამა, ლორენცო ქვინი – ყველასთვის საყვარელი მსახიობის, ენტონი ქვინის შვილი. ლორენცო ძალიან კარგი ფერმწერი, მოქანდაკე და ფანტასტიკური არტისტია. გარდა ამისა, ის არაჩვეულებრივი ადამიანია. იყვნენ სტუმრები „ვოგიდან." არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, ამიტომ მკითხველს შეუძლია, ჩემს ვებ-გვერდზე შევიდეს: www.patunafashion.com და იქ ნახავს ყველა სტუმარს, არა მხოლოდ მონაკოს ჩვენების, არამედ სხვა ივენთებისაც.

**– ჩვენების დროს ყველა ფეხშიშველი რატომ იყო?**

– იახტაზე, სადაც ჩვენება გაიმართა, არც ერთი სტუმარი და არც მოდელები არ უნდა შესულიყო ფეხსაცმლით. ეს ჩემი კაპრიზი ნამდვილად არ ყოფილა. ძალიან ძვირად ღირებულ იახტაზე ვიყავით, რომელიც 15 მილიონად არის შეფასებული. მართლა წარმოუდგენლად ზღაპრული ცხოვრებაა მონაკოში. ერთ მეზობელს თუ 15-მილიონიანი იახტა ჰყავს, მეორე 20-მილიონიანს ყიდულობს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან. იახტაზე ფეხშიშველი შესვლის მოთხოვნაც იმიტომ იყო, რომ ფეხსაცმელს ხელით მოქსოვილი ხალიჩა არ გაეფუჭებინა. უამრავი დეტალისგან არის მოქსოვილი ხალიჩა, რომელსაც ბიოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. ორგანიზმისთვის ძალიან კარგია, თან სიარულის დროს მასაჟს აკეთებს. სიმართლე გითხრა, იმის დროც არ მქონდა, ბოლომდე გავოცებულიყავი. მართალა ზღაპრულად იყო ყველაფერი.

**– შემოთავაზება თავად გაგიკეთეს?**

– რა თქმა უნდა, თავად შემომთავაზეს, რომ ჩვენება სწორედ ამ იახტაზე ჩატარებულიყო.

**– საკუთარი ტენდენციები გაქვს?**

– მოდის ტენდენციების მიმდევარი არ ვარ, მე საკუთარი ტენდენციები მაქვს. საერთოდ, ტენდენცია არის მასისთვის, ვისაც ყოველდღიური და კომფორტული სამოსი სჭირდება. ჩემი სამოსი კი, რაღაც მომენტში, არ არის კომფორტული, რადგან ეს საღამოს გრძელი კაბებია. რომელსაც ყოველდღიურად ვერ ჩაიცვამ. ვერაფრით გააკვირვებ მსოფლიოს, თუ არ დაინახეს, რომ შენ საკუთარი სტილი და ხედვა გაქვს. შესაბამისად, მერე მათგან მოწვევასაც იღებ. ამერიკაში არაერთი ჩვენება გამიმართავს მათივე მიწვევით, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში. ჩემი აზრით, ამერიკა არის ქვეყანა, სადაც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩადიან ძალიან ნიჭიერი ადამიანები. უფრო მეტიც, ამერიკა ერთგვარი მიქსერი და ნიჭიერი ადამიანების თავშესაფარია. ეს არის ქვეყანა, სადაც ყველა ოცნება აგიხდება,



იახტა, სადაც ჩვენება გაიმართა, 15 მილიონად არის შეფასებული. ფეხშიშველი შესვლის მოთხოვნაც იმიტომ იყო, რომ ფეხსაცმლით ხელით მოქსოვილი ხალიჩა არ გაეფუჭებინათ

თუ ძალიან მშრომელი და მიზანდასახული ხარ. მე შრომა არ მეზარება, ეს ჩემი ცხოვრების სტილია.

**– ყველა ჩვენება, რომელიც გაგიმართავს ამერიკასა თუ სხვა ქვეყანაში, ინტერნეტში თავისუფლად შეიძლება, მოიძიოს მსურველმა, ისევე როგორც შენი „ფეისბუქის" გვერდზე. იქ ასახულია ფაქტები და შესაბამისად შენი ჩვენების შესახებ მკითხველს მხოლოდ სიტყვებზე დაყრდნობით არ უწევს ამ ყველაფრის დაჯერება.**

– არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი და არც წინასწარ ვსაუბრობ, მომავალ გეგმებთან დაკავშირებით. ჩვენების შემდეგ, როცა ფოტო და ვიდეომასალას მაწვდიან, ის თავსდება ჩემს ვებ-გვერდზე და ასევე, „ფეისბუქის" გვერდზე. აი, ამის შემდეგ უკვე შეუძლია, ნებისმიერმა ადამიანმა გაიგოს, თუ რომელ ქვეყანაში, როგორი ჩვენება გაიმართა. ამ ყველაფერს კომენტარებიც მოყვება ხოლმე. ზოგს ეგონა, რომ ზედმეტად ვაფორმებდი ჩემი ჩვენების შესახებ ინფორმაციას, თუმცა ეს ასე ნამდვილად არ არის. ჩემთვის წარმოუდგენელია, ის ვთქვა, რაც არ არსებობს. ეს ხომ მხოლოდ თავის მოტყუებაა და არა იმ პერსონის მოტყუება, ვისაც ამას უყვები. შესაბამისად, ყოველთვის მიყვარს ფაქტებით საუბარი. ამიტომ ვდებ ამდენ ფოტო და ვიდეომასალას, ისევე როგორც მსოფლიო პრესის მიმოხილვებსა და შეფასებებს ფატუნა ბუშიჰედის შესახებ. ძალიან დიდი სიამოვნებაა, როცა ბევრისგან გარჩევენ. მე მაქვს ჩემი ხაზი, რომელიც არავის ჰგავს. ამ ხაზის მოძებნა ძალიან რთული იყო. კოლექციას ჩემს სხეულზე ვირგებ, უბრალოდ, მას მეტ სიგრძეს ვამლევ, რადგან მოდელები, რომლებიც კოლექციას წარმოადგენენ, ჩემზე გაცილებით მაღლები არიან. უპირველესად, საკუთარ თავზე ვცდი და ვირგებ. ცოტა ვეგოისტობ, მაგრამ ასეა.

**– სამი შვილის დედა ხარ, მაგრამ შენი პროფესიისთვის დრო არ დაგიზოგავს. ერთი მეორეს ძალიან კარგად შეუთავსე. მახსოვს, როცა მესამე შვილს ელოდებოდი, მთელი 9 თვე მუშაობდი ახალ კოლექციებზე. უფრო მეტიც, ფეხმძიმობის მეცხრე თვეში ამერიკაში ჩვენებაც კი გამართე. ეს საკუთარი პროფესიის მიმართ ძალიან დიდი სიყვარული და პატივისცემაა.**

– 5 დღით ამერიკაში გადავფრინდი, მერე დღენახევრით ლონდონში მომიწია წასვლა.

**– როგორ ახერხებ, ყოველთვის იყო ფორმაში, მოუარო სამ შვილს, პარალელურად იმუშაო ახალ-ახალ კოლექციებზე და გამართო სხვადასხვა ჩვენება?**

– ვფიქრობ, რაც უფრო დაკავებული ხარ, მით უფრო ასწრებ ყველაფერს. უბრალოდ, უნდა გიყვარდეს საკუთარი თავი და შენი პროფესია. იმის გარდა, რომ პროფესიაზე უნდა იყო გადართული, საკუთარ თავსაც უნდა მიხედო – ჯანსაღი საკვებით იკვებო და გქონდეს ცხოვრების ჯანსაღი სტილი. ეს ყველაფერი კი ადამიანზე აუცილებლად აისახება. რაც შეეხება ბავშვების გაზრდას, რასაკვირველია, ძალიან დიდ დროს ვუთმობ მათ. სანდრო უკვე 17 წლისაა, ქელი – 7-ის და ანდრიანა – წლის და 5 თვის. დროის გადანაწილება ძალიან ადვილია, თუ იცი, როგორ გააკეთო ეს. ზუსტად ვიცი, დილით რომ ავდგები, ანდრიანათი უნდა დავკავდე, მერე მოდის ჩემი დამხმარე, თიკუნა. მეხმარება ასევე, დედა. იმავდროულად, მე უკვე ჩემს სტუდიაში ვმუშაობ.

**– გეგმებზე საუბარი არ გიყვარს და მაშინ ის მითხარი, თბილისში როდემდე რჩები? პასუხის მიხედვით მივხვდები, თუ რამდენ ხანში გაქვს მორიგი ჩვენება.**

– თბილისში ყოფნა დაახლოებით, თვე-ნახევარი მომიწევს.

**მარიკა ხიდურელი**




რა აკავშირებს ფატუნა ბუშიჯელს მაიკლ ჯეკსონის მამასთან და რით გააოცა ქართველმა დიზაინერმა სელებრითი სტუმრები




როგორ ყიდულობს მაღაზიაში სიგარეტს ონისე ონიანისთვის მისი ძაღლი და რატომ გადაიტანა მის გამო 16-ჯერ კლინიკური სიკვდილი

ვინ ვერ იცნო „მის 7 კონტინენტის“ ქართველი კონკურსანტი ელენე პაიჭაძე და როგორ იქცა ის ქართული კულტურისა და ტურიზმის ელჩად



გვ. 74


ISSN 1987-569X

საქართველო ბეჭედი... ლო და თბილისი – შ... ული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობი... №24 (703) * 16 – 22 ივნისი * ფასი 1,50 ლარი